mastsavlebeli.ge

მასწავლებლის წიგნი

დილემებით სწავლება

18

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებლის წიგნი

დილემებით სწავლება

მანანა ბოჭორიშვილი
ნინო ლომიძე
გურამ მეგრელიშვილი
მაია ფირჩხაძე
მაია ბლიაძე
თამარ მურუსიძე
თინათინ ზარდიაშვილი
ირენა მახარაძე

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2023

რედაქტორები:
ნატო ინგოროყვა
მანანა ბოჭორიშვილი
ნანა მაჭავარიანი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

© 2023, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სხვადასხვა საგნის და ინტეგრირებული გაკვეთილების ნიმუშების სახით წიგნში წარმოდგენილია დილემებით სწავლების მაგალითები. დილემებით სწავლების გამოყენება შესაძლებელს ხდის, ცოდნის შეძენასთან ერთად, მოსწავლეებში წარიმართოს ღირებულებების ჩამოყალიბება.

დილემებით სწავლების კონცეფცია ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საგნის ცოდნის მიღებასთან ერთად, განივითარონ ფასეულობები და ღირებულებები.

დილემის შეტანა შესაძლებელია როგორც კონკრეტული საგნის, ასევე ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. დილემის შედგენისას გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ ის უნდა უკავშირდებოდეს შესასწავლ საკითხსა და იმ აქტუალურ თემას, რომელიც მოსწავლისთვის საინტერესოა და სასკოლო საზოგადოებაზე ემოციურ გავლენას მოახდენს.

დილემის თემა შეიძლება უკავშირდებოდეს გლობალური მნიშვნელობის რომელიმე საკითხს ან მხოლოდ სასკოლო თემის რომელიმე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას. დილემა ამბავია, რომელსაც ჰყავს მოქმედი პირები, რომლებიც მოულოდნელად სხვადასხვა დილემის წინაშე აღმოჩნდებიან. დილემის შინაარსი შეიძლება ეხებოდეს ეკოლოგიას, ადამიანის უფლებებს, ბიზნესს, გენდერულ თანასწორობას, ჯანსაღ კვებას, ქიმიურ ნარჩენებს და ა.შ. დილემებით სწავლებისას, გაკვეთილის ეფექტიანი სტრუქტურისთვის, მასწავლებელს უწევს რამდენიმე თანმიმდევრული ნაბიჯის გადადგმა:

პირველი ნაბიჯი: ღირებულებათა კონფლიქტის შეტანა დილემის სახით
მეორე ნაბიჯი: პირველადი გადაწყვეტილება
მესამე ნაბიჯი: პირველადი არგუმენტირება
მეოთხე ნაბიჯი: გამოცდილების გაზიარება
მეხუთე ნაბიჯი: ინფორმაციის შევსება
მეექვსე ნაბიჯი: ინფორმაციის გაცვლა

მეშვიდე ნაბიჯი: მეორადი არგუმენტირება
მერვე ნაბიჯი: ინფორმაციის სინთეზი/შეჯერება
მეცხრე ნაბიჯი: მე-4- და მე-8 ნაბიჯების გამეორება
მეათე ნაბიჯი: საბოლოო პროდუქტი
მეთერთმეტე ნაბიჯი: განზოგადება

დილემებით სწავლება დაეხმარება მასწავლებელს, სრულყოს სასწავლო პროცესი.

სარჩევი

მანანა ბოჭორიშვილი

1. სწავლება დილემებით და შემთხვევის ანალიზით 11

ნინო ლომიძე

1. ვაგონის დილემა 31
2. ლიტერატურა, როგორც გზამკვლევი კონფლიქტურ სიტუაციებში 37
3. ამბის მბობა – ცხოვრება და ლიტერატურა 41
4. მთავარი სათქმელი, მწერლის საზრისი და მკითხველის აღქმა 43
5. მხატვრული ნაწარმოების გააზრებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტები – დეტალი 48
6. რამდენად თავისუფალია მკითხველი ნაწარმოების ინტერპრეტირებისას? 51
7. თანამედროვეობა, მოსწავლე... 57

გურამ მეგრელიშვილი

1. მხატვრული წერის გაკვეთილები 65

მაია ფირჩხაძე

1. დილემა – ფოკუსირება ინდივიდის გამოცდილებაზე, თავისუფლებასა და არჩევანზე 101
2. სიტუაციური ამოცანების გამოყენება დისკუსიისას და პრობლემათა ანალიზი 110
3. მოგზაურობა წარსულში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად – კოგნიტური თამაში 114

მაია ბლიაძე

1. დილემებით სწავლება გეოგრაფიის გაკვეთილზე 123

თამარ მურუსიძე

1. დილემებით სწავლება მათემატიკის გაკვეთილზე 141
2. საინტერესო პროექტი, ანუ „ფარული“ მათემატიკა 149

თინათინ ზარდიაშვილი

1. დილემებით სწავლება ბიოლოგიაში 155
2. მაგალითებით სწავლების უპირატესობა 165
3. „მოდური სიგამხდრე“ – სადამრიგებლო საათისთვის საშუალო საფეხურზე 170

ირენა მახარაძე

1. რამდენიმე ფრაგმენტი დედის პორტრეტების გალერეიდან 177
2. სიურრეალისტური თამაშები 187
3. ალბერსის ხელოვნების გაკვეთილები 198
4. გოგენის ინტერპრეტაციები და „შოკოლადის ფილა“ 206

მანანა ბოჭორიშვილი

1 სწავლება დილემებით და შემთხვევის ანალიზით 11

სწავლება დილემებით
და შემთხვევის ანალიზით

თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მასწავლებელი და აქტუალური გახდა ისეთი სწავლება, რომლის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მასწავლებელი, რომელიც კონსტრუქტივისტული გაკვეთილის ჩარჩოს ფარგლებში ინტენსიურად იყენებს ინტერაქტიური სწავლების და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, მუდმივად ცდილობს – სრულყოს საკუთარი გაკვეთილის კონცეფცია და დიზაინი, რათა ის მოარგოს მოსწავლეთა იმ საჭიროებებს, რომელიც მათ დაეხმარება ტრანსფერული უნარების განვითარებაში. **იმ უნარების, რომელიც მოსწავლეებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყობს.**

სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში ამა თუ იმ თემის სწავლებისას შესასწავლი საკითხის ცხოვრებისეულ პრობლემებთან დაკავშირება, ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე შემთხვევების განხილვა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება თანამედროვე გაკვეთილის დიზაინისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი კომპონენტები გახდა, რადგან ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები, რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით, იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი სიცოცხლე წარმატების მისაღწევად გამოადგებათ.

იმისათვის, რომ მოსწავლემ წამატებულად და ეფექტიანად შეძლოს ამა თუ იმ საგანში მიღებული ცოდნის ინტეგრირება რეალურ ცხოვრებასთან, მასწავლებელმა სწავლებისას პრაქტიკაში ინტენსიურად უნდა გამოიყენოს – შემთხვევის ანალიზი და დილემებით სწავლება. სფეროს მკვლევრები გვიდასტურებენ, რომ შემთხვევის ანალიზი და დილემებით სწავლა მოსწავლისთვის უფრო საინტერესოა, უფრო სახალისოა და ზრდის შესასწავლი საგნისადმი ინტერესს.

მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვივების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: **ამბავი, ბინარული დაპირისპირებები, შემთხვევები, დილემები.**

ამბავი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შემეცნებითი ინსტრუმენტია. სხვადასხვა საკითხზე შეთხზული ან მოძიებული ამბები მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს, ისინი წარმოსახვის გამოყენებით ახდენენ შესასწავლი საკითხის გადამუშავებას, გააზრებას.

ბინარული დაპირისპირებები ცოდნის მოწესრიგებისა და კატეგორიებად დაყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი ინსტრუმენტებია. ამგვარ დაპირისპირებას თითქმის ყველა ამბავში ვხვდებით. ყველაზე ძლიერი დაპირისპირებებია: კარგი/ცუდი, უსაფრთხო/საშიში, შეჯიბრი/თანამშრომლობა. ამგვარი დაპირისპირების ფონზე წარმართული სწავლების პროცესი ემოციურია და ზრდის მოსწავლის ჩართულობას.

შემთხვევის ანალიზით სწავლება არის სწავლების აქტიური ფორმა, რომელიც ფოკუსირებულია შემთხვევაზე და გულისხმობს სწავლას კეთებით (Herreid, C.F.2007). შემთხვევები არის რეალური ან გამოგონილი ამბავი (Andersen, E. and Schiano, B. 2014), რომელიც მოიცავს „საგანმანათლებლო გზავნილს", ნარატივს, მოვლენებს, პრობლემებს, დილემებს, თეორიულ ან კონცეპტუალურ საკითხს, რომელიც საჭიროებს ანალიზს და/ან გადაწყვეტილების მიღებას.

შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება ერთგვარ სიმულაციას უკეთებს რეალურ სამყაროში არსებულ სიტუაციებს და შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად გაუმკლავდნენ რთულ პრობლემებს (Andersen, E. and Schiano, B. 2014, Lundberg, K.O. (Ed.) 2011). სწავლების ეს მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა დისციპლინებში სწავლის გასაუმჯობესებლად და გარდა სასკოლო საგნებისა აქტიურად იყენებენ: სამართალში, ბიზნესში, მედიცინაში და სხვა სფეროებში.

სწავლა-სწავლების პროცესში რატომ უნდა გამოვიყენოთ შემთხვევის ანალიზი?

კვლევებით დადგინდა, რომ შემთხვევის ანალიზით სწავლება აუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლის შედეგებს, ზრდის მოსწავლეთა აღქმას სწავლის მიღწევების შესახებ და ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას (Bonney, K. M. 2015, Krain, M. 2016). ასევე აღინიშნება მოსწავლეთა უფრო მეტი ჩართულობა სწავლაში (Thistlethwaite, JE; Davies, D.; Ekeocha, S.; Kidd, J.M.; MacDougall, C.; Matthews, P.; Purkis, J.; Clay D. 2012), ადგილი აქვს შესასწავლი საკითხის უფრო ღრმა გაგებას, რაც მდგომარეობს საკითხის კრიტიკულ გააზრებაში და საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზებაში (Yadav, A.; Lundeberg, M.; DeSchryver, M.; Dirkin, K.; Schiller, N.A.; Maier, K. and Herreid, C.F. (2007).

შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლების საშუალებით მოსწავ-ლეები სვამენ კითხვებს მოცემული სიტუაციის შესახებ, მუშაობენ პრობლე-მის გადაჭრაზე, ურთიერთობენ და სწავლობენ მათ თანატოლებთან, „ხსნიან“ შემთხვევას, აანალიზებენ, აჯამებენ. ისინი სწავლობენ, როგორ უნდა იმუშაონ მოცემული არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში და ეკითხებიან საკუთარ თავს: **„რას გავაკეთებდი, რომ ვიყო ამ კონკრეტულ სიტუაციაში?** ამ მეთოდით მუშაობისას მოსწავლე აკავშირებს თეორიას პრაქტიკასთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საკითხისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და მათში: კომუნიკაციის, აქტიური მოსმენის, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვე-ტილების მიღებისა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას (Popil, I. 2011).

მასწავლებლები ამა თუ იმ თემის შესწავლისას სასწავლო პრაქტიკაში იყენებენ სხვადასხვა ტიპის შემთხვევის ანალიზს:

1. სიტუაციური შემთხვევის ანალიზი;
2. პრობლემური სიტუაციის შემთხვევის ანალიზი;
3. პრობლემის გადაჭრის გზების ამსახველი შემთხვევის ანალიზი;
4. არასრულყოფილი ინფორმაციის შემცველი შემთხვევის ანალიზი.

დასახელება	აღწერა	რა არის მოსწავლის გამოწვევა?
სიტუაციური შემთხვევის ანალიზი	გადასაჭრელი პრობლემა შეფარვით არის მოცემული	შეძლოს შეფარულად მოცემული პრობლე-მების აღმოჩენა, გაანალიზება, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნა და მისი მართებულობის დასაბუთება.
პრობლემური სიტუაციის შემთხ-ვევის ანალიზი	პრობლემა უკვე მკაფიოდ არის წარმოჩენილი.	შემთხვევაში აღწერილ პრობლემაზე დაყრდნობით, მისი გადაჭრის ალტერნატი-ული გზების პოვნა, მათი მართებულობის დასაბუთება და გადაწყვეტილების მიღება.
პრობლემის გადაჭრის გზების ამსახველი შემთხ-ვევის ანალიზი	აღწერილ შემთხ-ვევაშივეა მოცემული პრობლემის გადაჭ-რის გზები.	მოცემული პრობლემის გადაჭრის თითოე-ული გზის კრიტიკული გააზრება, პრობლე-მის გადაჭრის საუკეთესო გზის პოვნა და მისი მართებულობის დასაბუთება.
არასრულყოფილი ინფორმაციის შემც-ველი შემთხვევის ანალიზი	ამ ვარიანტში შემთხ-ვევა არ მოიცავს პრობლემის ამო-საცნობად, გასა-ანალიზებლად და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო სრულყოფილ ინ-ფორმაციას.	ამ ვარიანტზე მუშაობისას, მოსწავლეებმა თავად უნდა ამოიცნონ, რა დამატებითი ინფორმაციის მოძიება დაეხმარება მათ ამოცანის გადაჭრაში.

როგორც ვხედავთ, მეოთხე შემთხვევა განსხვავდება წინა სამი ვარიანტისგან, სადაც შემთხვევა სრულყოფილად არის წარმოდგენილი და მოსწავლე ანალიზის დროს ეყრდნობა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც სიტუაციაშია აღწერილი. აქ მოსწავლეთა საქმიანობა, უმთავრესად, ინფორმაციის მოძიებისკენ არის მიმართული, რადგან ამ ვარიანტში შემთხვევა არ მოიცავს პრობლემის ამოსაცნობად, გასაანალიზებლად და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას. **ამ ვარიანტზე მუშაობისას, მოსწავლეებმა თავად უნდა ამოიცნონ, რა დამატებითი ინფორმაციის მოძიება დაეხმარება მათ ამოცანის გადაჭრაში** – ასეთი ტიპის შემთხვევაზე მუშაობა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, თუმცა იგი პრაქტიკასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ყველაზე ახლოს მდგომად განიხილება, რადგან მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესში რეალურად უხდებათ შეხება აღნიშნულ შემთხვევასთან/პრობლემასთან და, ამავდროულად, მასზე მუშაობა მოსწავლეებს აყალიბებს დამოუკიდებელ შემსწავლელებად.

გამოიყოფა შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ხუთი ეტაპი:

შემთხვევის ანალიზით მუშაობისას გადადგმული ხუთივე ნაბიჯის აღწერა ასეთია:

პირველი ნაბიჯი – მოსწავლეებისთვის შემთხვევის გაცნობა

ნაბიჯის აღწერა – მოსწავლეები ეცნობიან აღწერილ სიტუაციას.

მეორე ნაბიჯი – მუშაობა ინფორმაციაზე

ნაბიჯის აღწერა – მოსწავლეები აანალიზებენ სიტუაციას და/ან მოიპოვებენ დამატებით ინფორმაციას, პრობლემის უკეთ გადაჭრის მიზნით.

მესამე ნაბიჯი – დისკუსია ჯგუფში

ნაბიჯის აღწერა – მოსწავლეები შეიმუშავებენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, მსჯელობენ თითოეული გზის ძლიერ, სუსტ მხარეებზე და იმ შედეგებზე, რაც შეიძლება დადგეს ამა თუ იმ გადაწყვეტილებისას.

მეოთხე ნაბიჯი – შეთანხმება ჯგუფის შიგნით

ნაბიჯის აღწერა – ჯგუფში დისკუსიის შედეგად, მოსწავლეები შემოთავაზებული ალტერნატივებიდან აფასებენ თითოეულს, თანხმდებიან და ირჩევენ არსებული სიტუაციისთვის ყველაზე უფრო შესაფერისს.

მეხუთე ნაბიჯი – დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით

ნაბიჯის აღწერა – თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი მთელ კლასს აცნობს ჯგუფებში მიღებულ გადაწყვეტილებას. ასაბუთებს ამ გადაწყვეტილების მართებულობას. შემდეგ კი იმართება დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით. ამ დროს ჯგუფების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ადარებენ შემთხვევაში მოცემულ გადაწყვეტილებას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს – ამ ეტაპზე მოსწავლეებს უვითარდებათ რეფლექსიისა და შეფასების, არგუმენტირებულად მსჯელობის უნარები.

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართვის რამდენიმე სტრატეგია შემთხვევებით სწავლებისას და მოსწავლე-მასწავლებლის როლები

სტრატეგია	მოსწავლეების სარგებელი	მასწავლებლის როლი	მოსწავლის როლი
დებატები ან სასამართლო პროცესი	განივითარებენ კრიტიკული აზროვნების უნარებს და დებატების კულტურას.	აქტივობის სტრუქტურირება, ისე რომ ხელი შეუწყოს საპირისპირო შეხედულებებს შორის დებატებს.	მოემზადონ დებატებისთვის. იმუშაონ გუნდებში არგუმენტების შემუშავებისა და წარმოდგენისთვის. იმსჯელონ.
როლური თამაში ან საჯარო მოსმენა	სხვადასხვა თვალსაზრისის გაგება, შემოქმედებითი აზროვნება, თანაგრძნობა.	როლური თამაშის დაგეგმვა-ფასილიტაცია	შეასრულონ შესაბამისი როლი, გაიაზრონ სხვა მხარეების თვალსაზრისი.
ჯიგსოუ	თანატოლებისგან ისწავლოს და ასწავლოს.	დაგეგმოს ჯიგსოუს ჯგუფები, ჯგუფების სამუშაოები, ხელი შეუწყოს ბრიფინგს.	ჯგუფურ მუშაობაში და მონაცვლეობაში ჩართულობა, შეიმუშაოს მიდგომა პრობლემის ნაწილისთვის.

დილემებით სწავლება

დილემა (ბერძნ: იძულებითი მდგომარეობა) შეიცავს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია, რაც ხშირად მორალური ღირებულებების კონფლიქტების საბაბი ხდება. მორალური ღირებულებების კონფლიქტის მიზეზი კი ისაა, რომ არჩევანი ორი არასასურველი შესაძლებლობიდან უნდა გააკეთოს ადამიანმა.

დილემის განხილვის მეთოდი კოლბერგის თეორიის მიხედვით, პირველ რიგში, ფოკუსირებულია მორალური მსჯელობის განვითარებაზე.

დილემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებისგან მოითხოვს, დაფიქრდნენ საკუთარ ფასეულობებზე, იფიქრონ ლოგიკურად და შემოქმედებითად და თანაუგრძნობდნენ სხვებს, როდესაც ისინი მსჯელობენ და ხსნიან მასწავლებლის მიერ წამოყენებულ დილემას.

განვიხილოთ რამდენიმე დილემა და ამ დილემის ამოსახსნელად საჭირო კითხვები.

ირაკლის დილემა

ირაკლი მეცხრე კლასის მოსწავლეა. ის ორი წელია დადის ფეხბურთის კლუბში და, როგორც მეკარემ, სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია. ირაკლის დედა მშობელთა კრებიდან ძალიან უკმაყოფილო დაბრუნდა, რადგან დამრიგებელმა მიაწოდა ინფორმაცია მას, რომ ირაკლი რამდენიმე საგანში სისტემატურად იღებს დაბალ ქულებს ან არ ასრულებს მიცემულ დავალებებს. ირაკლის მშობლებმა ითათბირეს და განუცხადეს ირაკლის – თუ ის შესაბამის საგნებში არ გააუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს, ფეხბურთის კლუბში სიარულს არ დაუფინანსებენ. ირაკლიმ გადახედა შესაბამის საგნებში შესასრულებელ დავალებებს და მიხვდა, რომ საკმაოდ ბევრი მასალა დაუგროვდა შესასწავლი. ფიქრობს, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ხომ არ შეასრულოს დავალება, რადგან ორ კვირაში წარსადგენი აქვს დავალებები და თუ არ წარადგენს ფეხბურთის კლუბს დაემშვიდობება, არადა კლუბს საპასუხისმგებლო თამაშები აქვს ჩემპიონატზე და ის მეკარეა. როგორ მოიქცეს?

1. უნდა გამოიყენოს თუ არა ირაკლიმ ხელოვნური ინტელექტი? რატომ?
2. სწორია თუ არასწორი მასალის გაცნობის გარეშე ხელოვნური ინტელექტით შექმნილი დავალების მითვისება? რატომ?

3. აქვს თუ არა ირაკლის ვალდებულება, გუნდის წინაშე ჩემპიონატის თამაში არ გამოტოვოს? რატომ?
4. თუ ირაკლის უყვარს ფეხბურთი და მისი გუნდის წარმატება მნიშვნელოვანია, ამისთვის აუცილებელია იცრუოს და ხელოვნურ ინტელექტს შეასრულებინოს დავალება? რატომ?
5. ფეხბურთის სიყვარული არის თუ არა მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისთვის, რომ მიიღოს ჩეთბოტის გამოყენების გადაწყვეტილება? რატომ?
6. სხვისი ნაშრომის მითვისება პლაგიატია. ხელოვნური ინტელექტის ნამუშევრის საკუთარ ნამუშევრად გასაღება მორალურად სწორია თუ არასწორი? რატომ?
7. რამდენად მნიშვნელოვანია, დავალების შესრულებისას გავითვალისწინოთ პლაგიატი? რატომ?
8. დილემაზე ფიქრისას, რას იტყოდით ირაკლიზე, რა უფრო საპასუხისმგებლოა? რატომ?

გიორგის დილემა

მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი გიორგი თოთხმეტი წლის ბიჭია, რომელსაც ძალიან სურდა ბანაკში წასვლა. მამამისი მას დაჰპირდა, რომ წავიდოდა ბანაკში, თუ ფულს თავად დაზოგავდა. ასე რომ, გიორგიმ ბევრი იმუშავა და დაზოგა ორმოცი ლარი, რაც ბანაკში წასვლისთვის იყო საჭირო. თუმცა, შემდგომ მამამ გადაიფიქრა მისი ბანაკში გაშვება. გიორგის მამას მეგობრებთან სურდა შეხვედრა და დროის გატარება, მაგრამ ამისთვის 40 ლარი აკლდებოდა. მან ფულისთვის მიმართა გიორგის. გიორგის მხოლოდ ბანაკში წასასვლელად შეგროვებული თანხა ჰქონდა და რადგან ძალიან უნდა ბანაკში წასვლა, გადაწყვიტა, უარი უთხრას მამას ფულის მიცემაზე. თქვენ როგორ ფიქრობთ?

დამხმარე კითხვები:

1. გიორგიმ უარი უნდა უთხრას მამას ფულის მიცემაზე? რატომ?
2. აქვს თუ არა მამას უფლება, გიორგის ფული გამოართვას? რატომ?
3. მამისთვის ფულის მიცემას აქვს რაიმე კავშირი კარგი შვილის სტატუსთან? რატომ?
4. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გიორგიმ ფული თავად იშოვა? რატომ?

5. მამა გიორგის დაჰპირდა, ფულს თუ გამოიმუშავებდა, შეძლებდა ბანაკში წასვლას. არის ეს ფაქტი ამ სიტუაციაში ყველაზე მთავარი? რატომ?
6. ზოგადად, რატომ უნდა შესრულდეს დაპირება?
7. მნიშვნელოვანია თუ არა, შეასრულოთ იმ ადამიანისთვის მიცემული პირობა, რომელსაც კარგად არ იცნობთ და ალბათ აღარც ნახავთ მომავალში? რატომ?
8. როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მამას უნდა აინტერესებდეს შვილთან ურთიერთობაში? რატომ არის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი?
9. საერთოდ, როგორი უნდა იყოს მამის უფლებამოსილება შვილზე? რატომ?
10. როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შვილს უნდა აინტერესებდეს მამასთან ურთიერთობაში? რატომ არის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი?
11. დილემაზე ფიქრისას, რას იტყვით, რა იქნება ყველაზე სწორი საქციელი, რაც გიორგიმ უნდა მოიმოქმედოს ამ სიტუაციაში? რატომ?

ნინოს დილემა

ნინო თორმეტი წლის გოგონაა. დედა დაჰპირდა, რომ მას შეეძლო წასულიყო მისი საყვარელი მომღერლის კონცერტზე, თუ დაზოგავდა დასვენებისა და ხემსისთვის განკუთვნილ ფულს კონცერტის ბილეთის საყიდლად. მან მოახერხა ბილეთის ღირებულებაზე ხუთი ლარით მეტი თანხის შეგროვება. თუმცა დედამ პირობა დაარღვია და ნინოს უთხრა, რომ უმჯობესია, ფული სკოლისთვის ახალი ტანსაცმლის შეძენაში დახარჯოს. ნინო იმედგაცრუებული დარჩა, თუმცა კონცერტზე წასვლა მაინც გადაწყვიტა. მან იყიდა ბილეთი, დედას კი უთხრა, რომ მხოლოდ ხუთი ლარის დაზოგვა შეძლო. ნინო კონცერტზე წავიდა, დედა კი ისევ მოატყუა, რომ მეგობართან ერთად იყო. სიმართლე ნინომ თავის უფროს დას, ნათიას გაუმხილა. უთხრა, რომ კონცერტზე წავიდა და დედა მოატყუა.

ნათიას აინტერესებს, უთხრას თუ არა დედას, რაც ნინომ გააკეთა.

1. ნათიამ უნდა უთხრას დედას, რომ ნინომ დაზოგილი ფულის რაოდენობის დასახელებისას იცრუა, თუ გაჩუმდეს? რატომ?
2. ნათიას აფიქრებს ის, რომ ნინო მისი დაა. ეს ფაქტი უნდა ახდენდეს გავლენას მის გადაწყვეტილებაზე, უთხრას თუ არა დედას სიმართლე?

3. აქვს თუ არა ამ სიტუაციას რაიმე კავშირი „კარგი შვილის“ ფენომენთან? რატომ?
4. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნინომ ფული თავად გამოიმუშავა? რატომ?
5. დედა ნინოს დაჰპირდა, ფულის დაზოგვის შემთხვევაში ის კონცერტზე წასვლას შეძლებდა. დედის დაპირება გადამწყვეტია ამ სიტუაციაში? რატომ?
6. ზოგადად, რატომ უნდა შესრულდეს დაპირება?
7. მნიშვნელოვანია თუ არა შეასრულოთ პირობა, რომელიც მიეცით ადამიანს, რომელსაც კარგად არ იცნობთ და ალბათ აღარც შეხვდებით მომავალში? რატომ?
8. როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დედას უნდა აინტერესებდეს ქალიშვილთან ურთიერთობაში? რატომ?
9. საერთოდ, როგორი უნდა იყოს დედის ავტორიტეტი ქალიშვილისთვის? რატომ?
10. როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ქალიშვილს უნდა აინტერესებდეს დედასთან ურთიერთობაში? რატომ?
11. რას იტყვით, რა არის ყველაზე პასუხისმგებლიანი საქციელი, რაც ამ კონკრეტულ სიტუაციაში ნათიას შეუძლია მოიმოქმედოს? რატომ?

ნოდარის დილემა

ნოდარის მეუღლე, ელენე, ძალიან ავად იყო, ის სიმსივნეს ებრძოდა. წამალი, რომელიც, ექიმების აზრით, აუცილებელი იყო ავადმყოფისთვის, ძალიან ძვირი ღირდა. ნოდარმა დახმარებისთვის ყველას მიმართა და წამლის შესაძენად საჭირო თანხის ნახევარი შეაგროვა. მან ამ წამლის მის ქვეყანაში შემომტანს აუხსნა, რომ მისი ცოლი ძალიან ცუდად იყო და სთხოვა, უფრო იაფად მიეყიდა წამალი ან მოგვიანებით გადაუხდიდა მთლიან თანხას. მაგრამ უარი მიიღო. ნოდარმა ყველა ლეგალური გზით სცადა, ელენესთვის წამლის შოვნა, ის სასოწარკვეთას განიცდის და ფიქრობს, წამალი მოიპაროს.

1. უნდა მოიპაროს თუ არა ნოდარმა წამალი? რატომ?
2. ნოდარის მხრიდან გამართლებულია თუ არა წამლის მოპარვაზე ფიქრი? რატომ?

3. აქვს თუ არა ნოდარს მოვალეობა ან ვალდებულება, მოიპაროს პრეპარატი? რატომ?
4. თუ ნოდარს არ უყვარს მეუღლე, უნდა მოიპაროს მისთვის წამალი?
5. აქვს თუ არა მნიშვნელობა წამლის მოპარვის გადაწყვეტილების მიღებისთვის, უყვარს თუ არა მეუღლე ნოდარს? რატომ?
6. დავუშვათ, უცხო ადამიანისთვისაა საჭირო წამალი. უნდა მოიპაროს თუ არა ნოდარმა წამალი უცნობისთვის? რატომ?
7. დავუშვათ, რომ შინაური ცხოველისთვის სჭირდება წამალი. უნდა მოიპაროს წამალი მისი საყვარელი შინაური ცხოველის გადასარჩენად? რატომ?
8. მნიშვნელოვანია თუ არა, ადამიანებმა ყველაფერი გააკეთონ სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად? რატომ?
9. ქურდობა კანონით ისჯება. ეს მორალურად სწორია თუ არასწორია? რატომ?
10. რამდენად მნიშვნელოვანია, ვიყოთ კანონმორჩილები? რატომ?
11. რამდენად ეხება კანონმორჩილება ნოდარს, არის კანონის დაცვა მისი ვალდებულება და პასუხისმგებლობა? რატომ?
12. დილემაზე ფიქრისას, რას იტყოდით, ნოდარის შემთხვევაში, რა უფრო საპასუხისმგებლოა? რატომ?

კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს განსვლა მორალურ მსჯელობასა და მორალურ ქცევას შორის (McNamee, 1977, Blasi, 1980). სწორი მორალური მსჯელობა არ აუმჯობესებს მორალურ მოქმედებას – ადამიანები ავტომატურად არ იქცევიან თავიანთი განსჯის შესაბამისად. თუმცა, პირები, რომლებიც აღწევენ მორალური აზროვნების მაღალ საფეხურებს, უფრო ხშირად იქცევიან თავიანთი მსჯელობის მიხედვით, ვიდრე დაბალ საფეხურზე მყოფი პირები. (Kohlberg & Candee, 1984).

VaKE ღირებულებებისა და ცოდნის განათლების ერთობლიობაა. სწავლებაში დილემის განხილვა ისეთივე პროცესია, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება მორალურ განათლებაში (Blatt & Kohlberg, 1975), VaKE დილემის განხილვის სადისკუსიო სეგმენტს განიხილავს, როგორც ამოსავალ წერტილს კონსტრუქტივისტული ცოდნის შეძენისთვის. კვლევები და გამოცდილება აჩვენებს, რომ VaKE-ის გამოყენება მოიცავს კონსტრუქტივისტული სწავლების სხვადასხვა მიდგომას.

რა არის VaKE და რას ეფუძნება ის?

VaKE (ღირებულებებისა და ცოდნის განათლება Values and Knowledge Education) – არის სწავლა-სწავლების მეთოდი, რომელიც, საგნობრივი ცოდნის შეძენასთან ერთად, ორიენტირებულია მოსწავლეებში ღირებულებების განვითარებაზე და როგორც ამ სფეროს მკვლევრები აღიარებენ VaKE ეფუძნება:

1. კონსტრუქტივისტული თეორიით სწავლების მიდგომას;
2. კოლბერგის მორალური განვითარების თეორიას;
3. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლას;
4. დამოუკიდებელი სწავლის უნარის განვითარებას.

რა არის VaKE-ის მიზნები?

1. ღირებულებების გააზრება და ქცევაში ასახვა;
2. მიღებული ცოდნის გამოყენება;
3. პრობლემის გადაჭრის და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება;
4. დამოუკიდებელი სწავლის უნარის განვითარება და მოსწავლეთა თვითმართვად შემსწავლელად ჩამოყალიბება;
5. თანამშრომლობის უნარის განვითარება.

თითოეული მიზანი შემდეგნაირად შეგვიძლია აღვწეროთ:

VaKE-ის მიზნები	აღწერა
ღირებულებების გააზრება და ქცევაში ასახვა	დილემის განხილვისას, მოსწავლეები აფასებენ განსხვავებულ მოსაზრებებს ღირებულებებზე, რაც ხელს უწყობს მათ მიერ საკითხის სიღრმისეულ გააზრებას, მათთვის წარმმართველ ღირებულებაზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღებას და საკითხზე ცოდნის გაღრმავების შემდეგ ღირებულებების გადაფასებას.
მიღებული ცოდნის გამოყენება	მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიაზრონ, რას სწავლობენ და როგორ შეუძლიათ ნასწავლის გამოყენება. სასწავლო პროცესის მიზანი, ამ შემთხვევაში, არ არის მხოლოდ ფაქტების დამახსოვრება, აუცილებელია სასწავლო მასალის ინტენსიური განხილვა და საგან-თაშორისი ცოდნის აგება.
პრობლემის გადაჭრის და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება	მოსწავლეები პრობლემას სხვადასხვა კუთხით განიხილავენ, სწავლობენ მას სხვადასხვა პერსპექტივიდან, იაზრებენ პრობლემასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს, ახდენენ როგორც საკუთარი, ასევე სხვების გადაწყვეტილებების შეფასებას და მსჯელობენ არგუმენტირებულად.
დამოუკიდებელი სწავლის უნარის განვითარება და მოსწავლეთა თვითმართვად შემსწავლელად ჩამოყალიბება	მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დამოუკიდებლად მოიძიონ და მოამზადონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, სწორად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო პროცესი და შესწავლილი თეორიული კონცეფციები დააკავშირონ პრაქტიკასთან.
თანამშრომლობის უნარის განვითარება	უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემო მოსწავლეებს უვითარებს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას და მათ გუნდის სრულფასოვან წევრებად აგრძნობინებს თავს. მოსწავლეებს უყალიბდებათ ახალ იდეებზე ფიქრის და საკუთარი ცოდნის გუნდში წარდგენის უნარი, სწავლობენ სხვის მოსმენას, განსხვავებულ მოსაზრებებზე შეთანხმებას, კონფლიქტებზე მსჯელობას, სხვებზე ზრუნვას და მიღებული შედეგების სხვებისთვის გაზიარებას.

VaKE-გაკვეთილზე წარმოდგენილი ღირებულებითი კონფლიქტები და წინააღმდეგობრივი ისტორიები განსხვავდება კოლბერგისეული ტრადიციული დილემებისგან იმით, რომ **მათი შინაარსი შეესაბამება ერთი ან რამდენიმე საგნის სასწავლო მასალას**.

VaKE-ით მუშაობის მთავარი პრინციპია სასწავლო პროცესში დილემების შეტანა და მათი განხილვა. ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სრულყო-

ფილი ცოდნის მიღებასა და ამასთანავე, მათში ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს(მოსიაშვილი, შავერდაშვილი, 2018,).

VaKE-ით მუშაობის პირველ ნაბიჯზე მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე საკითხი/საკითხები და გაიაზროს, შესაძლებელია თუ არა ამ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებული დილემის შემუშავება. ამის შემდეგ, მასწავლებელი ქმნის ცალკეულ ან კომპლექსურ პრობლემას, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან და / ან მიიღონ გადაწყვეტილება.

დილემის სასწავლო პროცესში შეტანამდე საჭიროა, მასწავლებელმა კარგად გაიაზროს დილემის და VaKE-ის გამოყენების აუცილებლობა და ყველა ნაბიჯი კარგად დაგეგმოს. დილემის შერჩევისას კი აუცილებელია, მასწავლებელმა დილემის თემა დაუკავშიროს შესასწავლ საკითხსა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემას.

უნდა აღინიშნოს, რომ დილემების სასწავლო პროცესში შეტანა უკავშირდება:

1. კონსტრუქტივიზმს;
2. მორალური განვითარების თეორიას;
3. შემსწავლელის ავტონომიას;
4. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას.

ნაბიჯი	აქტივობის დასახელება	მთავარი კითხვა
პირველი ნაბიჯი	დილემის შეტანა	რომელი ღირებულებები დგას დისკუსიის ცენტრში?
მეორე ნაბიჯი	პირველი გადაწყვეტილება	რომელი მოსწავლე ეთანხმება და რომელი არ ეთანხმება დილემის გამომრიცხავ დებულებებს?
მესამე ნაბიჯი	პირველი არგუმენტირება	რომელი მოსწავლეა წინააღმდეგი ან მომხრე ამა თუ იმ გადაწყვეტილების? რომელი არგუმენტების მოყვანა შეუძლია მას საკუთარი აზრის დასაცავად?
მეოთხე ნაბიჯი	გამოცდილების გაზიარება და არსებული ინფორმაციის ახლით შევსებისათვის მზადება	როგორ შეუძლია მოსწავლეს საკუთარი არგუმენტების გამყარება? რომელი კითხვები რჩება პასუხგაუცემელი?

ნაბიჯი	აქტივობის დასახელება	მთავარი კითხვა
მეხუთე ნაბიჯი	ინფორმაციის მოძიება მოსწავლეების მიერ	რომელი ინფორმაციის / ინფორმაციების მოძიებაა საჭირო საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად?
მეექვსე ნაბიჯი	ერთმანეთთან ინფორმაციის გაცვლა	როგორია მიღებული შედეგები და საკმარისია თუ არა მოძიებული ინფორმაცია?
მეშვიდე ნაბიჯი	მეორადი არგუმენტირება დილემის შესახებ	რატომ არის მოსწავლე წინააღმდეგი და რატომ არ ეთანხმება წარმოდგენილ მოსაზრებას?
მერვე ნაბიჯი	ინფორმაციის სინთეზი (დისკუსია დილემის შესახებ) (შდრ. მე-4 ნაბიჯს)	რომელი არგუმენტები ეყრდნობა ახალმიღებულ ცოდნას?
მეცხრე ნაბიჯი	საჭიროების შემთხვევაში მე-4 და მე-8 ნაბიჯების გამეორება	დარჩა თუ არა დილემასთან დაკავშირებული კითხვები პასუხგაუცემელი?
მეათე ნაბიჯი	ბოლო პროდუქტი, სინთეზი (ინფორმაციების შეჯერება)	რა შედეგამდე მივიდა კლასი?
მეთერთმეტე ნაბიჯი	განზოგადება	როგორ განზოგადდება საკითხი და წარიმართება დისკუსიები სხვა თემებზე?

კონკრეტული მიზნიდან, სამიზნე ჯგუფიდან და მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია, მეტი ან ნაკლები დრო დაუთმოს სამუშაოს და მეტი ან ნაკლები ნაბიჯი გამოიყენოს მიზნის მისაღწევად. VaKE-ის სასწავლო პროცესში შეტანა შემდეგი 11 ნაბიჯით ხორციელდება:

ანის დილემა

ანი პატარა ლამაზ ქალაქში ცხოვრობს. მისი მშობლები წლებია ულამაზეს კაფეტერიას ფლობენ. კაფეტერია ამ ქალაქში ყველას საყვარელი ადგილია, განსაკუთრებით კი სკოლის მოსწავლეების, რადგან აქ მათთვის უამრავი ხრაშუნა ნუგბარი მზადდება და ფასებიც ხელმისაწვდომია. მშობლები სულ ცდილობენ ხელმისაწვდომი ფასების შენარჩუნებას, თუმცა ხშირად ეკონომიკური

კრიზიც აქვთ. ანიმ სასკოლო სახელმძღვანელოში წაიკითხა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზეთში საკვების შეწვის დროს მიმდინარეობს ჟანგვითი რეაქცია, გამოიყოფა მავნე ნივთიერებები და ზეთის მრავალჯერადად გამოყენება საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მას გაახსენდა, რომ მისი მშობლების კაფეტერიაში, ხრაშუნა ნუგბარის მოსამზადებლად, მზარეულები ზეთს მრავალჯერადად იყენებენ. ანის სურს, მშობლებს აუხსნას ზეთის მრავალჯერადად გამოყენების მავნებლობის შესახებ, თან ფიქრობს – თუ ყოველთვის ახალ ზეთს გამოიყენებენ, ეს გააძვირებს პროდუქტს და კაფეტერია შესაძლოა დაიხუროს.

როგორ მოიქცეს?

სადისკუსიო საკითხების შემუშავებისას მნიშვნელოვანია, დაფიქრდეს ორი მიმართულებით:

1. რომელი ღირებულებები დგას დისკუსიის ცენტრში?
2. რომელი ღირებულებები მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში?

პირველი ნაბიჯი – დილემის მომზადება და წარდგენა

მასწავლებელი ამზადებს სასწავლო მიზნის შესაბამის დილემას და წარუდგენს კლასს. დილემის მომზადება არის მეთოდით მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პროცესი, რადგან, ერთი მხრივ, ის უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო მიზანს და, მეორე მხრივ, დილემაში უნდა იყოს, მინიმუმ, ორი შეპირისპირებული ღირებულება, ან ღირებულების, სულ მცირე, ორი პერსპექტივა, რომელიც დაკავშირებულია ორ განსხვავებულ ქმედებასთან. ასევე, მასწავლებლის მიერ შემუშავებულ დილემაში ინფორმაცია სრულად არ უნდა იყოს მოცემული, მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ დამატებითი ცოდნა და გამოცდილება საკითხის შესახებ, რათა, შეძენილ ცოდნაზე დაფუძნებით, შეძლონ ძლიერი და დასაბუთებული არგუმენტების შემუშავება და მორალურ ღირებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება.

მეორე ნაბიჯი – ვალიდური ღირებულებების განსაზღვრა

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს დილემას, კლასს უსვამს კითხვას: დილემაში რომელი ღირებულებები დგას დისკუსიის ცენტრ-

ში? რომელი ღირებულებები მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში? მოსწავლეები ამოიცნობენ დილემაში მოცემულ წამყვან ღირებულებებს, რომლებიც მასწავლებელს ყოველგვარი რევიზიისა და დისკუსიის გარეშე გადააქვს დაფაზე/ფლიპჩარტზე.

მესამე ნაბიჯი – პირველი გადაწყვეტილების მიღება / ინდივიდუალური რეფლექსია

მასწავლებელი მოსწავლეებს აყენებს არჩევანის წინაშე – ვეთანხმები დილემაში მიღებულ გადაწყვეტილებას, არ ვეთანხმები, ან ვერ მივიღე გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე მოსწავლეები გადაწყვეტილებას იღებენ მათთვის წამყვან ღირებულებებზე დაფუძნებით. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ნაბიჯზე მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ინდივიდუალური არჩევანი.

მეოთხე ნაბიჯი – პოზიციის არგუმენტირება

ინდივიდუალური გადაწყვეტილების შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად, მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით. თითოეული ჯგუფი არგუმენტირებულად ასაბუთებს მიღებული გადაწყვეტილების მართებულობას.

მეხუთე ნაბიჯი – გამოცდილების გაზიარება / ჯგუფური პოზიციის პრეზენტაცია

თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარი პოზიციების/არჩევანის არგუმენტებს.

მეექვსე ნაბიჯი – საჭირო დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრა

თითოეული ჯგუფის მიერ ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების არგუმენტაციისა და დასაბუთების წარდგენის შემდეგ, მასწავლებლის ფასილიტაციით, მოსწავლეები იმ კითხვების/საკითხების იდენტიფიცირებას ახდენენ, რომლებიც პასუხგაუცემელი დარჩა. მსჯელობენ იმ დამატებითი ინფორმაციის შესახებ, რომელიც მათ დასჭირდებათ მიღებული გადაწყვეტილების განმტკიცებისთვის ან შეცვლისთვის.

მეშვიდე ნაბიჯი – დამატებითი ინფორმაციის მოძიება

ამ ეტაპზე მოსწავლეები დამოუკიდებლად აწარმოებენ უკვე იდენტიფიცირებული დეფიციტური ინფორმაციის მოძიებას, საკითხის შესახებ ცოდნისა

და გამოცდილების გაღრმავებას, საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად ან პოზიციის შესაცვლელად.

მერვე ნაბიჯი – ინფორმაციის გაცვლა

ერთმანეთს შორის მოპოვებული ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აკეთებენ თვითრეფლექსიას, საკმარისია თუ არა მოძიებული ინფორმაცია საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად? გაეცა თუ არა ყველა პასუხგაუცემელ კითხვას პასუხი?

მეცხრე ნაბიჯი – მეორადი გადაწყვეტილების მიღება/ინდივიდუალური რეფლექსია

დამატებით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მასწავლებელი მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გადააფასონ პირველადი გადაწყვეტილება/არჩევანი. მოსწავლეები თვითრეფლექსიით იღებენ ინდივიდუალურ მეორად გადაწყვეტილებას.

მეათე ნაბიჯი – პოზიციის მეორადი არგუმენტირება

კლასი ჯგუფდება მეორადად მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით. არგუმენტირებულად ასაბუთებენ ახალი გადაწყვეტილების მართებულობას და მსჯელობენ, თუ როგორ დაეხმარა მიღებული ცოდნა ამ გადაწყვეტილების მიღებაში. მეთერთმეტე ნაბიჯი – გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის სინთეზი პრეზენტაციისას, ჯგუფები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ იმაზე, თუ რომელი არგუმენტები ეფუძნება მიღებულ ახალ ცოდნას.

მეთორმეტე ნაბიჯი – გენერალიზაცია და ტრანსფერი

ამ ნაბიჯის მიზანია, მოსწავლეებმა განაზოგადონ საკითხი ფართო კონტექსტში. მასწავლებელმა, მსგავს თემებზე დისკუსიის პროვოცირებით, ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ კონკრეტული სიტუაციიდან მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი.

ამ საკითხის შეჯამებისას შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპზე დაფუძნებული სიტუაციის ანალიზით თუ დილემებით სწავლებისას მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, საგნის ცოდნის მიღებასთან ერთად, განივითაროს ეთიკური ფასეულობები და ღირებულებები. ამ ტიპის სწავლება მოსწავლისთვის ერთგვარი მორალური კომპასია, რომელიც მას შესაბამისი ღირებულებების ჩამოყალიბებაში ეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Andersen, E. and Schiano, B. (2014). *Teaching with Cases:* A Practical Guide. Harvard Business Press.
2. Bonney, K. M. (2015). Case Study Teaching Method Improves Student Performance and Perceptions of Learning Gains†. *Journal of Microbiology & Biology Education*, 16(1), 21–28. https://doi.org/10.1128/jmbe.v16i1.846
3. Davis, B.G. (2009). Chapter 24: Case Studies. In *Tools for Teaching*. Second Edition. Jossey-Bass.
4. Garvin, D.A. (2003). Making the Case: Professional Education for the world of practice. *Harvard Magazine*. September-October 2003, Volume 106, Number 1, 56-107.
5. Golich, V.L. (2000). The ABCs of Case Teaching. *International Studies Perspectives*. 1, 11-29.
6. Golich, V.L.; Boyer, M; Franko, P.; and Lamy, S. (2000). The ABCs of Case Teaching. Pew Case Studies in International Affairs. Institute for the Study of Diplomacy.
7. Heath, J. (2015). *Teaching & Writing Cases:* A Practical Guide. The Case Center, UK.
8. Herreid, C.F. (2011). Case Study Teaching. *New Directions for Teaching and Learning*. No. 128, Winder 2011, 31-40.
9. Herreid, C.F. (2007). *Start with a Story: The Case Study Method of Teaching College Science*. National Science Teachers Association. Available as an ebook through Columbia Libraries.
10. Herreid, C.F. (2006). "Clicker" Cases: Introducing Case Study Teaching Into Large Classrooms. *Journal of College Science Teaching.* Oct 2006, 36(2). https://search.proquest.com/docview/200323718?pq-origsite=gscholar
11. Krain, M. (2016). Putting the Learning in Case Learning? The Effects of Case-Based Approaches on Student Knowledge, Attitudes, and Engagement. *Journal on Excellence in College Teaching*. 27(2), 131-153.
12. Lundberg, K.O. (Ed.). (2011). *Our Digital Future: Boardrooms and Newsrooms*. Knight Case Studies Initiative.
13. Popil, I. (2011). Promotion of critical thinking by using case studies as teaching method. Nurse Education Today, 31(2), 204-207. https://doi.org/10.1016/j.nedt.2010.06.002
14. Schiano, B. and Andersen, E. (2017). Teaching with Cases Online. Harvard Business Publishing.
15. Thistlethwaite, JE; Davies, D.; Ekeocha, S.; Kidd, J.M.; MacDougall, C.; Matthews, P.; Purkis, J.; Clay D. (2012). The effectiveness of case-based learning in health professional education: A BEME systematic review. Medical Teacher. 2012; 34(6): e421-44.
16. Yadav, A.; Lundeberg, M.; DeSchryver, M.; Dirkin, K.; Schiller, N.A.; Maier, K. and Herreid, C.F. (2007). Teaching Science with Case Studies: A National Survey of Faculty Perceptions of the Benefits and Challenges of Using Cases. *Journal of College Science Teaching*; Sept/Oct 2007; 37(1).
17. Weimer, M. (2013). Learner-Centered Teaching: Five Key Changes to Practice. Second Edition. Jossey-Bass.
18. თ. მოსიაშვილი, ე. შავერდაშვილი (2017): ღირებულებისა და ცოდნისგანათლება. სამეცნიერო-კონფერენცია 1. "ღირებულებები და განათლება" თეზისების კრებული. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 20-23.
19. თ. მოსიაშვილი, ე. შავერდაშვილი (2018): ცოდნა და ღირებულებითი განათლება სასკოლო პრაქტიკაში. სამეცნიერო კონფერენცია 2. "ღირებულებები და განათლება" თეზისების კრებული. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულიცენტრი. საქართველოსგანათლებისადამეცნიერების სამინისტრო. 27-30
20. McNamee, S. 1977: Moral behavior, moral development and motivation. Journal of Moral Education, 7, 27-31
21. Kohlberg, L., & Candee, D. 1984: The relationship of moral judgment to moral action. Kohlberg, L. (Ed.): Essays on Moral Development. T. II: Psychology of moral development. The nature and validity of moral stages. San Francisco: Harper & Row, 498-581.

ნინო ლომიძე

1	ვაგონის დილემა	31
2	ლიტერატურა, როგორც გზამკვლევი კონფლიქტურ სიტუაციებში	37
3	ამბის მბობა – ცხოვრება და ლიტერატურა	41
4	მთავარი სათქმელი, მწერლის საზრისი და მკითხველის აღქმა	43
5	მხატვრული ნაწარმოების გააზრებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტები – დეტალი	48
6	რამდენად თავისუფალია მკითხველი ნაწარმოების ინტერპრეტირებისას?	51
7	თანამედროვეობა, მოსწავლე...	57

ვაგონის დილემა

რა იქნება თქვენი პასუხი კითხვაზე – შეძლებთ თუ არა ადამიანის მოკვლას ოდესმე? რას უპასუხებთ კითხვას – გადაარჩენდით თუ არა ადამიანის სიცოცხლეს, ეს რომ თქვენს ქმედებაზე იყოს დამოკიდებული?

რა მოხდება, თუ ეს ორი სიტუაცია ერთმანეთს გადაეჯაჭვება და რთული მორალური დილემის წინაშე დადგებით?

რამდენად რეალურია მორალური იმპერატივის არსებობა?

რის მიხედვით გვეცვლება მორალური ღირებულებები, პატერნები? საერთოდ, შეიძლება თუ არა არსებობდეს „პირადი მორალი“? თუ ის მუდამ საყოველთაო და ერთადერთია?

არსებობს ორი სიმართლე? თუ ორი არსებობს, ე. ი. უთვალავიც არსებობს?

რაც გაუმართლებელია ერთ შემთხვევაში, გამართლებულია მეორე შემთხვევაში?

რა ფაქტორები განაპირობებს მორალური ღირებულებების ამოტრიალებას?

არსებობს ზოგადსაკაცობრიო მორალური ფასეულობები?

არის თუ არა გამართლებული მცნებითმეტყველებითი სტილი სკოლებში?

თავბრუდამხვევია კითხვების ეს კასკადი. უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს და პასუხებიც სხვადასხვაგვარი გაეცეს.

ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად ისმის ხოლმე ასეთი კითხვები. პერსონაჟების ქმედებებისა და მათი ხასიათის შესახებ მსჯელობისას მოსწავლეები თანაგანიცდიან ამა თუ იმ მორალურ სიტუაციას, ცდილობენ არსის წვდომას, პასუხების მოძიებას.

ერთ-ერთ გაკვეთილზე საუბარი მორალზე ჩამოვარდა. რაოდენ ცვალებადი და მყიფეა გარკვეული მორალური ღირებულებები, რით არის განპირობებული და რა ცვლის მათ, ამასთან, არსებობს (უნდა არსებობდეს თუ არა) ზოგადსაკაცობრიო მორალი თუ ადამიანის თავისუფლება მორალური თვალსაზრისითაც შეუზღუდავი უნდა იყოს?

ეს კითხვები ბუნებრივია. საჭიროც.

მათზე ფიქრი, მოსაზრებების ან ვარაუდების გამოთქმა, „რთული“, ასე ვთქვათ, „მიუღებელი“ ან არაპოპულარული პასუხების ამოთქმა, ხმამაღლა გაჟღერება – მნიშვნელოვანია. როცა მოსწავლეები დარწმუნებულნი არიან „უსაფრთხოებაში“, იმაში, რომ მათ არავინ დაადანაშაულებს და არ მიაკრავს გარკვეულ იარლიყებს, ისინი ცდილობენ სხვადასხვა კუთხით, რაკურსით შეხედონ ამა თუ იმ პრობლემას.

ეს ფასდაუდებელი პროცესია. ამ პროცესს რაღაც აქვს საერთო არისტოტელესეულ კათარსისთან, როდესაც „შიშისა და თანაგრძნობის გზით“ ვცდილობთ „ამგვარ ვნებათაგან განწმენდას“ ან მათ პირისპირ მდგარი (ვნებებთან და შიშთან) ვცდილობთ ძიებას, პოვნას, პასუხის მორგებას ან უკუგდებას...

მასწავლებელს ამ პროცესში მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი – ერთი მხრივ, მან არ უნდა შეზღუდოს აზროვნების პროცესი, ყოველგვარ მოსაზრებას და ფიქრს უნდა ჰქონდეს გაცხადების უფლება, აქ საფრთხილოა ლოზუნგური და პლაკატური განსჯით არ დავაფრთხოთ ახალგაზრდები, ამავდროულად, არ გაგვიტაცოს „სწორი იდეური ორიენტირების ჩანერგვის“ ხიბლმა, მეორე მხრივ რთულია თავის შეკავება, როდესაც ჩვენთვის ძვირფას, გათავისებულ, გასაგებ, მისაღებ „სამყაროსეულ წესრიგს“ სხვაგვარად აღიქვამენ, უარყოფენ, არ ეთანხმებიან.

მაგრამ რამდენს ვსწავლობთ ამ ვითარებაში...

ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მოსმენას უფრო მეტი ძალა და მიზანი აქვს, შესაბამისად კი შედეგიც, ვიდრე ჭკუის სწავლებას, მცნებითმეტყველებას – ეს ცუდია, ეს კი კარგია. ასე უნდა მოიქცე, ასე კი – არა.

ზოგჯერ ისეც ხდება, ხისტ ქმედებას ან თქმას აქვს ოდენ შედეგი.

როგორი რთულია არჩევანის გაკეთება, სწორი მიმართულების შერჩევა, სიფრთხილის დაცვა...

ჩემი მიზანი არ არის რომელიმე მეთოდის ან სტრატეგიის მიმოხილვა, არც დასმულ კითხვებზე პასუხების მოძიების მცდელობა. შევეცადე, შესავალ ნაწილში ზოგადი კონტექსტი წარმომეჩინა, რაც ერთი საინტერესო მორალური დილემის, ამოცანის გასაცნობადაა ზედგამოჭრილი. ეს ფილოსოფიური ამოცანა კი იმის ილუსტრაციაა, თუ როგორ შეიძლება, გარკვეულმა ფაქტორებმა შეცვალონ ჩვენი ქმედებები ან იმოქმედონ გადაწყვეტილების სისწორისა თუ მცდარობის შეფასებაზე.

1960-იან წლებში ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფილიპა რუთ ფუტმა, რომელიც მორალისა და ეთიკის საკითხებს იკვლევდა, შექმნა საინტერესო წარმოსახვითი მორალური ამოცანა, რომელიც „ვაგონის პრობლემის“ (Trolley problem) სახელითაა ცნობილი.



ამოცანა:

მძიმე, უმართავი ვაგონი ლიანდაგზე მიქრის. ის დიდი სისწრაფით უახლოვდება 5 ადამიანს, რომლებიც ვერ გადაადგილდებიან ვერც მარცხნივ, ვერც მარჯვნივ, რათა თავი გადაირჩინონ. თქვენ დგახართ გადამრთველთან და საკმარისია, ვაგონს ლიანდაგზე მიმართულება შეუცვალოთ, რომ ხუთივე ადამიანი გადარჩება. საქმე ისაა, რომ შეცვლილი მიმართულებით მოძრავი ვაგონი უცილობლად გაიტანს ერთ ადამიანს, რომელიც ასევე ლიანდაგზეა და ვერც მას ასცდება ვაგონი.

გადამრთველთან მდგარი ადამიანი დილემის წინაშეა. მას რთული არჩევანი აქვს გასაკეთებელი – არ მოიმოქმედოს არაფერი და ამ შემთხვევაში ვაგონი ხუთ ადამიანს იმსხვერპლებს, გადართოს მიმართულება და ამ შემთხვევაში ვაგონი ერთ ადამიანს იმსხვერპლებს.

რომელია მორალურად უფრო სწორი გადაწყვეტილება?

„მსუქანი ადამიანი“

ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯუდით ჯარვის თომსონმა იმავე დილემის სახეცვლილი ვარიანტი წარმოადგინა – უწინდებურად, უმართავი ვაგონი მიქ-

რის ხუთი ადამიანისკენ. თქვენ დგახართ ხიდზე, რომლის ქვეშაც ლიანდაგია, ვაგონი სადაცაა ამ ხიდქვეშ გაივლის. თუ ლიანდაგზე რაიმე დიდსა და მძიმეს ჩააგდებთ, ვაგონი შეჩერდება. თქვენ გვერდით ძალიან მსუქანი ადამიანია. ერთადერთი საშუალება, შეაჩეროთ ვაგონი და გადაარჩინოთ 5 ადამიანი, მსუქანი ადამიანისთვის ხელის კვრა და ლიანდაგზე მისი ჩაგდებაა. ვაგონი მას გადაუვლის და გაჩერდება.

ამ შემთხვევაში ადამიანი პირდაპირი ქმედების არჩევანის წინაშე დგას – ცოცხალ ადამიანს უნდა ვკრათ ხელი.



„მსუქანი ავაზაკი“

ყველაფერი იგივეა, იცვლება მხოლოდ ის, რომ მსუქანი ადამიანი ბოროტი ავაზაკია, რომელმაც ეს ხუთი ადამიანი დააბა ლიანდაგზე.

არის ამოცანის სხვადასხვაგვარი სახეცვლილი ვარიანტებიც (იცნობთ ერთს და არ იცნობთ ხუთს, ხუთივე ადამიანი – თქვენი ოჯახის წევრია, ერთი კი უცნობი და პირიქით და ა. შ.).

„ვაგონის დილემის“ კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ამ არარეალისტური სიტუაციის წარმოდგენა ადამიანებისთვის რთულია და მათი ზეპირი პასუხიც შორს იქნება იმ ქმედებისგან, რასაც ისინი განახორციელებენ (განახორციელებდნენ) მსგავსი დილემის წინაშე რეალურად რომ წარმდგარიყვნენ. დახატულ სიტუაციებს გამოკითხულთა უმრავლესობა არ აღიქვამს სერიოზულად და დასკვნის ზნეობრიობაც, მათი აზრით, საკამათოა.

თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, რობოტებისა და თვითმართვადი ტექნიკური საშუალებების დახვეწის პირობებში, დილემა კვლავ იძენს აქტუალობას – ადრე თუ გვიან დღის წესრიგში დადგება ხელოვნური ინტელექტის ყოველდღიურ ყოფაში იმაზე მეტად ჩართვის საკითხი, ვიდრე ეს დღეს ხდება. მაგალითისთვის ავიღოთ მანქანა ან უპილოტო სატრანსპორტო საშუალებები – ვთქვათ, თვითმართვადი ავტომობილის წინ (ავტომობილი იცავს მოძრაობის ყველა წესს, არის გამართული) გადაირბინა ბავშვმა. მანქანას დამუხრუჭების დრო არ რჩება. მარჯვნივ მოხვევის შემთხვევაში ის ღრმად მოხუც ადამიანს დაეჯახება, შემდეგ კი გა-

ჩერდება, მარცხნივ მოხვევის შემთხვევაში საპირისპირო ზოლში გადავა და მგზავრებს შეუქმნის საფრთხეს – მოქმედების რა ვარიანტები უნდა დაუპროგრამდეს ასეთი შემთხვევებისთვის რობოტს? რა იქნება ამ შემთხვევაში ეთიკური, მორალურად გამართლებული? ვინ და როგორ უნდა გადაწყვიტოს ამგვარი საკითხები?

ასეა თუ ისე, საინტერესოა – არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთი, სწორი, უყოყმანო პასუხი აქვს ამ კითხვებზე?

ლიტერატურა, როგორც გზამკვლევი კონფლიქტურ სიტუაციებში

სასკოლო ლიტერატურის კურსში არის ტექსტები, რომლებშიც კონფლიქტური ან ძალადობის შემცველი სიტუაციებია ასახული.

ამგვარი სიტუაციების მონაწილე პერსონაჟთა ხასიათსა და ქცევაზე, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დამდგარ შედეგებზე დაკვირვება შეიძლება საინტერესო მსჯელობის საგნად იქცეს.

მასწავლებელმა განსახილველად შეიძლება შეარჩიოს მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაცია. თუ კონფლიქტი ჩხუბითა და აყალმაყალით, ძალადობით დასრულდა, ისმის კითხვა: როგორ შეიძლებოდა უსიამოვნო შედეგის თავიდან აცილება? რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა გმირს იმისთვის, რომ ფიზიკური შეხლა-შემოხლა აერიდებინა?

საკუთრივ შინაარსობრივი პლასტის გაგება-გააზრების დონის კითხვების დამუშავების შემდეგ სასურველია, წაკითხულის ტრანსფერს (ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენების სტიმულირებას) შევუწყოთ ხელი. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, თავიანთ ცხოვრებისეულ სიტუაციებს მოარგონ ნასწავლი და ამ გზაზე ძალიან დაეხმარებათ იმის გაცხადება, რას ფიქრობენ ამა თუ იმ მწვავე საკითხის შესახებ.

ტექსტის შინაარსის გაგებისა და გააზრების შემდეგ სამუშაო ნაბიჯები:

1. წარმოიდგინე, რომ მოცემული სიტუაცია შენ თვალწინ ხდება.
   - რა გზას გამონახავდი კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოსაგვარებლად? შენი აზრით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები?
   - რა სახიფათო შედეგები შეიძლება მივიღოთ ძალადობით კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების მცდელობისას?

ამ საკითხებზე მოსაზრების ჩამოყალიბებისა და გამოხატვისთვის მოსწავლეებს გარკვეული დრო უნდა მიეცეთ. ამ ეტაპზე სასურველია მათი დაწყვი-

ლება ან დაჯგუფება. ჯგუფში ან მეწყვილესთან მეტად მოსალოდნელია, რომ ისინი ღიად შეძლებენ მოსაზრების გამოხატვას.

ჯგუფსა და წყვილებს მოსაზრებების კლასისთვის გაზიარების საშუალებაც უნდა მიეცეთ. ამისთვის ერთ-ერთმა წევრმა უნდა შეაჯამოს განხილული და კლასის წინაშე წარმოადგინოს.

ამ პროცესს შემაჯამებელი მსჯელობა მოჰყვება.

სამსჯელო თემა (მოცემული თეზისი სანიმუშოა, მასწავლებელს შეუძლია, კლასში ჩატარებულ სამუშაოს მოარგოს სამსჯელო ციტატა):

„უტყვი და უმოქმედო მოწმეების თანხმობით ხდება ამქვეყნად ყველაზე მეტი ბოროტება“ .

- შენი აზრით, რა იგულისხმება ამ გამოთქმაში?
- შესწავლილთაგან რომელ ნაწარმოებს გაიხსენებდი მოსაზრების საილუსტრაციოდ?
- შენი პირადი ცხოვრებიდან, გამოცდილებიდან თუ შეგიძლია გაიხსენო რაიმე ფაქტი, როდესაც შეესწარი უსიამოვნებას, ძალადობას? რა განცდა დაგეუფლა? რა იფიქრე? რა მოიმოქმედე, თუ მოქმედება გადაწყვიტე?

შემაჯამებელი მსჯელობის წარმართვის პროცესში მასწავლებლის ამოცანაა, შექმნას კეთილგანწყობილი, ღია გარემო. არ არის რეკომენდებული, მან ღიად გამოხატოს საკუთარი პოზიცია, მაგრამ გამოთქმული თვალსაზრისების დამადასტურებელი არგუმენტების დამაჯერებლობის კომენტირება სასურველია. უნდა შეფასდეს არა პოზიცია და თვალსაზრისი, არამედ არგუმენტი, დასაბუთების მცდელობა. ეს მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დააკვირდეს და გააანალიზოს მოსწავლეთა აზროვნება, ხასიათი, ემოციების მართვის უნარი.

საკითხები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა დაამუშაოს:

- რას ფიქრობენ მოზარდები ძალადობის არაკონფლიქტური გზით მოგვარებაზე?
- რამდენად ფლობენ ინფორმაციას იმაზე, როგორ უნდა მოიქცნენ არაკონფლიქტურ სიტუაციაში?
- აღმოჩენილან თუ არა თავად მსგავს ვითარებაში?

მნიშვნელოვანი ორიენტირები მასწავლებლისთვის

თითოეულ ადამიანს აქვს ძალა და შესაძლებლობა, სასიკეთო გავლენა მოახდინოს კონკრეტულ სიტუაციაზე, შეცვალოს ის უკეთესობისკენ, დაეხმაროს იმას, ვისაც დახმარება სჭირდება.

ეს მნიშვნელოვანი უნარია.

ისეც ხდება, რომ ადამიანები თვალს ხუჭავენ და გარიდებას, გაცლას, ჩაურევლობას ამჯობინებენ, თუ ძალადობას ან უსიამოვნო სიტუაციას შეესწრნენ.

ჩვენს ყოველდღიურობაში არაერთხელ გავმხდარვართ ან გავხდებით უსიამოვნო ფაქტის შემსწრე. ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ადგილას – ქუჩაში, სკოლაში, ტრანსპორტში. ხშირია ვირტუალური ძალადობის ფაქტები სოციალურ ქსელში.

უტყვი და უმოქმედო მოწმე ისაა, ვინც ასეთ სიტუაციაში უმოქმედობას გადაწყვეტს, არც სიტყვით და არც ქმედებით არ ჩაერევა.

მოვლენების განვითარების ერთი შესაძლებლობაა თანამონაწილეობა.

თანამონაწილე ისაა, ვინც სიტყვით, კომენტარით, შემაგულიანებელი წამოძახილით ან ფიზიკურად მხარს დაუჭერს მოძალადეს და, შესაბამისად, მონაწილეობასაც მიიღებს ძალადობაში.

არიან ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტენ ძალადობის აღკვეთას და ხელს შეუშლიან მოძალადეს, მხარს დაუჭერენ იმას, ვისაც დახმარება სჭირდება.

როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია უსაფრთხოებაზე ზრუნვა. საკუთარი უსაფრთხოების დაცვა ნიშნავს კონკრეტულ სიტუაციაზე დაკვირვებით ისე მოქმედებას, რომ საფრთხე არ შეექმნას ჩვენს სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე ფიზიკურად ძლიერია, შეირაღებულია ან სახიფათოა, პირდაპირი ჩარევა არ ღირს. ასეთ დროს დასახმარებლად უნდა მივმართოთ შესაბამის სამსახურს (112, მასწავლებელი, უფროსი ადამიანი, პოლიციელი...).

ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სიტყვიერი ჩარევა. მოძალადისთვის იმის ხაზგასმით თქმა, რომ მისი საქციელი მიუღებელია (კონკრეტული

სახელდება იმისა, რასაც აკეთებს მოძალადე. მაგალითად, „შენ აწვალებ ძაღლს. ასე არ შეიძლება. დაანებე თავი!“. „მე ვხედავ, რასაც აკეთებ და ეს არ არის სწორი. ახლავე შეწყვიტე!“).

თუ ინტერნეტსივრცეში ვინმეს აბუჩად იგდებენ, აქაც მნიშვნელოვანია საკუთარი პოზიციის მტკიცედ, მკაფიოდ გამოხატვა, კომენტარის დატოვება, რომელშიც პირდაპირ იქნება ნათქვამი, რომ ვისიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება არ შეიძლება.

მოძალადე, რომელსაც მიუთითებენ, რომ მისი საქციელი მიუღებელია, არ გრძნობს გარემოცვის მხარდაჭერას და მეტად მოსალოდნელია, ძალადობა შეწყვიტოს.

ამბის მბობა – ცხოვრება და ლიტერატურა

მხატვრული ტექსტების კითხვისას ხშირად ვაიგივებთ საკუთარ თავს ამა თუ იმ პერსონაჟთან. ცოტა ხნის წინ მე-11 კლასელებს ვთხოვე, სპეციალური ჯილდო გადაეცათ „ვეფხისტყაოსნისთვის“, მოეფიქრებინათ ისეთი რამ, რისთვისაც ამ ტექსტს დააჯილდოებდნენ. საინტერესო პასუხები მივიღე. მათგან ორი კი სწორედ იმას გულისხმობდა, რაც შესავალში აღვნიშნე. ერთი მოსწავლე წერს, „გადაეცეს ჯილდო რუსთაველს იმისთვის, რომ მან შექმნა მრავალფეროვანი, არაერთგვაროვანი პერსონაჟები, რომელთაგან ერთში მაინც აღმოაჩენ საკუთარ თავს“.

ამბის თხრობა თერაპიაა. ამბის მოსმენაც თერაპიაა. ამ მძლავრ ინსტრუმენტს ხშირად იყენებენ ჯგუფური ფსიქოთერაპიის დროს. ადამიანები ეძებენ სიტყვებს, აქცევენ თავიანთ ემოციებს, განცდებს, ტკივილს, გამოცდილებას წინადადებებად, წინადადებებს კრავენ ამბებად, ამბების გაზიარება – შვებაა, მოსმენა – მაკურნებელია. სულ რომ არაფერი, ხედავ, გესმის, რომ მარტო არ ხარ, სხვასაც განუცდია იგივე, სხვის ცხოვრებაშიც მომხდარა მსგავსი. იმან დაძლია ან ვერ. ეს გვიტოვებს საფიქრალს, გვაპოვნინებს ახალ არხს ჩვენი ამბის გადასატანად, გადმოსაცემად ან გადასასხვაფერებლად.

ბავშვობაში ძალიან ვიყავი მიჯაჭვული დედას. მასთან დაშორებისას მდიდარი ფანტაზია თავისით ირთვებოდა და ათას ხიფათს წარმოვიდგენდი. დედას გზა აებნა, მატარებელში ჩაჯდა და შორს წავიდა, ვეღარ დაბრუნდება და უამრავი ასეთი შფოთვა. მახსოვს, როგორი შვება იყო ერთი მოთხრობის კითხვა, რომლის მთავარი პერსონაჟი, პატარა ბიჭი, ერთხელაც ეზოში მარტო დარჩენილი ელოდებოდა დედას, უკვე გვიანი იყო, ბნელდებოდა, ყველა ბავშვი შინ ავიდა, მხოლოდ მისი დედა არ ჩანდა და იჯდა ეს ბიჭი ეზოში, იგონებდა ათას რამეს, სად შეიძლებოდა ყოფილიყო დედა.

ასე მგონია – ჩვენს ცხოვრებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვიაზრებთ და ვიცხადებთ ამბების მეშვეობით. ყველაფრის დამახსოვრება, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება, შეუძლებელია, ჩვენი მეხსიერება ფოტოგრაფიული სიზუსტით ვერ ირეკლავს და იტოვებს გარემომცველ სამყაროს, ამიტომ თითოეული ჩვენგანი დღის განმავლობაში „თხზავს“ ამბებს, ამ ამბებს ერთ ლოგიკურ „ჯაჭვზე“ ავაცვამთ და შეგვიძლია ვუპასუხოთ კითხვას – რა მოხდა დღეს.

ეს ისეთი საინტერესო რამაა...შეგიძლიათ სცადოთ და საკუთარ თავს გაეთამაშოთ. დასვით კითხვა საღამოხანს – რა მოხდა დღეს – და თქვენი წარმოსახვა ამბების ჯაჭვად შემოგთავაზებთ დღის მთავარ მოვლენებს, განცდებს, შთაბეჭდილებებს. საინტერესო თამაშია. სახალისო, შემეცნებითი. რას გამოიხმობს გონება გარდასული დღის მოვლენებიდან? რა ამბავს შეთხზავს „შემოქმედი-მე“? რას მივიჩნევთ საინტერესოდ და მნიშვნელოვნად? საკუთარ დღიურშიც როცა ვწერთ, გულწრფელები და დარწმუნებულები, რომ არავინ წაიკითხავს, მაინც გვყავს წარმოსახვითი „მკითხველი“ ან „მსმენელი“. არის შინაგანი განცდა ან რწმენა იმისა, რომ სამყაროში ეს ნაწერი რაღაც კვალს დატოვებს. ამბავი იპოვის „მიმღებს“. ეს იქნება მომავალი მე? ვიღაც, ვინც დაუკითხავად მისწვდება დღიურს? ან სულაც, კონკრეტული ადამიანი...

ამბების შეთხზვა სახიფათო თამაშიცაა. ხშირად ისეთ ამბებს ვთხზავთ, რომლებიც კონკრეტულ რეალობას ქმნიან ან მოქმედებენ მასზე. თუ ხანგრძლივად შევთხზავ და მოვყვები ამბავს იმაზე, როგორი წარუმატებელი ან უხეირო ვარ, ამას თავადაც დავიჯერებ და სხვებსაც დავაჯერებ. ამიტომ ამბებში ჩაკეტვა არ შეიძლება. აქ ლიტერატურა გვევლინება მფარველ ანგელოზად და გვასწავლის, რომ ცხოვრებაში სულ მუდამ უხეირო, სულ მუდამ ცუდი და სულ მუდამ უარყოფითი არაფერია. რომ ხედვის კუთხე აუცილებლად უნდა იყოს სხვა და კიდევ სხვა. ზევით ჯილდო ვახსენე, მეორე მოსწავლემ „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ იმისთვის დააჯილდოვა, რომ ის „დუალისტური არ არის“ და რომ მასში გმირები ისეთები არიან, როგორებიც ადამიანები, იქცევიან, როგორც ადამიანები, ცდებიან, როგორც ადამიანები და არ ცხოვრობენ, როგორც „სუპერგმირები“.

მაშ, საკუთარი ამბის, ნარატივის შეცვლა, სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენა, ალტერნატიული ამბების მოფიქრება, პარალელური სიუჟეტური ხაზების ძიება საკუთარ ცხოვრებაში აუცილებელია – ლიტერატურა ამასაც გვასწავლის.

მჯერა – ერთი მხრივ, ჩვენ ვქმნით ნარატივს, ამბავს. თავის მხრივ კი ეს ამბავი ნარატივი ქმნის რეალობას ან ზემოქმედებს მასზე. ცვლის მოვლენების მიმდინარეობას, ცხოვრების „სიუჟეტურ ხაზს“.

რა მნიშვნელოვანია და როგორი საინტერესოა, ვიქცეთ ჩვენი ცხოვრების „მთავარი სიუჟეტური ხაზის“ და ყველა „პარალელური შენაკადის“ მთავარ შემოქმედად. ამისთვის კი სიფხიზლე, დაკვირვება, დაკვირვებების სიტყვიერად გადმოცემა, ამბებად შეკვრა და ახლა უკვე მათი კვლევაა საჭირო.

ეს გახლავთ ერთ-ერთი პასუხი იმ მუდამ აქტუალურ კითხვაზეც, რატომ უნდა ვიკითხოთ წიგნები. იმიტომაც, რომ ჩვენი მთავარი ამბის, ჩვენი ცხოვრების ავტორებად ვიქცეთ.

მთავარი სათქმელი, მწერლის საზრისი და მკითხველის აღქმა

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეებს წაკითხულის გააზრებას ვასწავლით. ამასთან, ვთხოვთ, იმსჯელონ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებზე, მათი ქცევის მოტივებზე, ამოიცნონ მწერლის სათქმელი, გმირების სულიერ-ემოციური მდგომარეობა, იკვლიონ კავშირები ტექსტებს შორის...

ტექსტისადმი მკითხველის დამოკიდებულება, ტექსტთან მისი ურთიერთობა უნიკალური გამოცდილებაა. ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა ემოციას, საფიქრალს აღძრავს. შესაძლებელია კი, საზოგადოდ, „მწერლის საზრისის“, ტექსტის „მთავარი სათქმელის“ ამოცნობა?

ჰერმან ჰესე „ტრამალის მგლის“ ბოლოთქმაში საინტერესოდ მსჯელობს მკითხველის აღქმის თავისუფლებასა და ავტორისეული ჩანაფიქრის მიმართებაზე:

„ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებზე მკითხველს შეიძლება სწორი აზრიც შეექმნას და უმართებულოც, მწერალს კი უმეტესწილად არ ძალუძს, წინასწარ განსაჯოს, მისი ჩანაფიქრი როდის გახდება ხელმისაწვდომი მკითხველისთვის და როდის – არა. ისეც ხდება, რომ ნაწარმოებში მკითხველი თვით ავტორზე მეტ აზრობრივ შრეებს აღმოაჩენს, მაგრამ საგულისხმოა, რომ მწერლის საზრისის ასეთი არაერთმნიშვნელოვანი აღქმა ზოგ შემთხვევაში სასარგებლოც კი გამოდგება ხოლმე. „ტრამალის მგელს“ ჩემს შემოქმედებაში ყოველთვის იმ ნაწარმოებთა რიცხვს მივაკუთვნებდი, უფრო ხშირად არასწორად რომ ესმოდათ. ამ წიგნით აღფრთოვანებულ ზოგ მკითხველს ჩემი თვალსაზრისის საწინააღმდეგო აზრიც კი გამოუთქვამს. ეს ამბავი ნაწილობრივ – დიახ, მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ – იმით შეიძლება აიხსნას, რომ ორმოცდაათი წლის კაცის ხელით დაწერილ ამ წიგნს, რომელიც, სახელდობრ, ამ ასაკთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება, უფრო ხშირად სრულიად ახალგაზრდა მკითხველები ეტანებოდნენ ხოლმე. მაგრამ ჩემი ხნის მკითხველთა შორისაც მინახავს ისეთები, რომლებზედაც ამ

წიგნს შთაბეჭდილება კი მოუხდენია, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მის არსს მხოლოდ მიახლოებით თუ ჩასწვდომიან. რატომღაც მგონია, ეს მკითხველები ტრამალის მგელში მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ თავს ხედავენ და მას საკუთარ „მესთან“ აიგივებენ, მის სატკივარს განიცდიან და აზრებსაც იზიარებენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ წიგნს ჰარი ჰალერის სიძნელეებთან ერთად სხვა საზრუნავიც გააჩნია და სათქმელი სხვაც ბევრი აქვს. ეს მკითხველები ვერ ხედავენ ტრამალის მგლისა და მისეული პრობლემებით აღსავსე ცხოვრების მიღმა აღმართულ ზეგარდმო, უჭკნობ სამყაროს, ვერ მიმხვდარან, რომ „ტრაქტატზე“, სულზე თუ ხელოვნებასა და „უკვდავთა დასზე“ მსჯელობისას ტრამალის მგლის დუხჭირ ცხოვრებას უპირისპირდება ზეპიროვნული და ზედროითი – ხალისიანი რწმენით გამსჭვალული ჭეშმარიტი სამყარო... და თუმცა წიგნი სულიერ ტანჯვაზე მოგვითხრობს, იგი მაინც სასოწარკვეთილი კი არა, რწმენასთან წილნაყარი კაცის ნაღვაწია. რა თქმა უნდა, არ შემიძლია და არც მსურს, მკითხველს საკუთარი ჩანაფიქრი წინასწარ მოვახვიო თავს. დაე, თითოეულმა მათგანმა თავის წარმოსახვაში შექმნას მისთვის ხელსაპყრობი და გამორჩეული სამყარო. მაგრამ მაინც დიდად მეამებოდა, თუ მკითხველთა უმრავლესობა გაითვალისწინებდა ჩემს შეგონებას და ირწმუნებდა, რომ მართალია, ტრამალის მგელზე დაწერილი ეს წიგნი მის სულიერ სენსა და შინაგან ხელმოცარულობას აღწერს, მაგრამ ეს ის სატკივარია, რომელიც სიკვდილს კი არა, განკურნებას ელტვის“.

საინტერესოა, არა?

მწერლები ყოველთვის არ გვთავაზობენ ხოლმე საკუთარი ხედვის, ჩანაფიქრის, საზრისის ამგვარ ახსნა-განმარტებას წიგნის ბოლოს. ამასთან, როგორი „ლმობიერი“ ავტორია ჰესე – დაე, თითოეულმა მკითხველმა თავის წარმოსახვაში შექმნას მისთვის ხელსაპყრობი და გამორჩეული სამყაროო...

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია იმის განსაზღვრა, სად იწყება ის, რასაც ჰესე „არაერთმნიშვნელოვან აღქმას“ უწოდებს და სადაა „მწერლის საზრისი“.

წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც ხშირად აბნევს მოსწავლესაც და მასწავლებელსაც, ესაა:

- **რამდენად თავისუფალია მკითხველი თავის ინტერპრეტაციაში?**
- **შეუძლია თუ არა მოსწავლეს, ისე გაიაზროს წაკითხული, როგორც მოესურვება?**

- **შეუძლია თუ არა, საკუთარი წარმოსახვის მეშვეობით გასცდეს მოცემულობას (მხატვრული ტექსტის რეალობას, მხატვრული ტექსტის მოცემულობას) და არაარგუმენტირებული, ე.წ. „არალეგიტიმური ინტერპრეტაცია“ შემოგვთავაზოს ანალიზისას?**
- **რას უნდა ეფუძნებოდეს მხატვრული ლიტერატურის გააზრებისას ჩვენი ინტერპრეტაცია? მკითხველის პირად დამოკიდებულებას, შეფასებას, ემოციასა და განწყობას თუ გარკვეულ წანამძღვრებს, ტექსტის მონაცემებს, ავტორისეულ მინიშნებებს?**

ნიმუში პირველი

პერსონაჟი: საფარ-ბეგი

სამსჯელო კითხვა: ინანიებს თუ არა გულწრფელად საფარი ჩადენილს? გაისიგრძეგანა თუ არა მან დანაშაული?

„გამზრდელის“ შესწავლისას მოსწავლე ასკვნის, რომ საფარ-ბეგი როგორი ავკაცი და ავხორციც იყო, ისეთივე დარჩა, იმ მცირე დროში შეუძლებელი იყო ტრანსფორმაცია, მას „არ სჯერა“ მისი სულიერი გარდასახვისა და სინანულის. სინამდვილეში საფარს არ მოუნანიებია საქციელი, რადგან დილით „მშვენივრად გამოიძინა“ და ბათუ თავად რომ არ მიმხვდარიყო, რაც მოხდა, არც აპირებდა შენანებას, არც აწუხებდა სინდისი.

ამ შემთხვევაში მოსწავლე პერსონაჟის უღირსი საქციელიდან გამომდინარე შექმნილი განწყობით ხელმძღვანელობს. მისთვის მიუღებელია ის, რაც საფარმა გააკეთა და არ არის დამაჯერებელი გმირის გარდასახვა, რომელშიც ავტორი გვარწმუნებს. არგუმენტი – დილით არც კი შეიმჩნია მომხდარი და ტკბილადაც გამოიძინა, სინდისსაც კი არ შეუწუხებია – აქ არარელევანტურია, რადგან წინარე მდგომარეობას აღწერს და არა იმ სულიერ მდგომარეობას, როცა „გარდასახვას“ ვაკვირდებით.

შესაბამისად, თუ კითხვა ასეა დასმული: – ვხედავთ თუ არა საფარის გარდასახვას, მის სინანულს? – პასუხი უნდა გამომდინარეობდეს იმ მოცემულობიდან, იმ წანამძღვრებიდან, რაც ტექსტში გვაქვს.

ტექსტი კი აშკარად „ირწმუნება“, რომ საფარმა შეინანა, გაისიგრძეგანა დანაშაული და რომ გმირი მომხდარს განიცდის.

1. მას შეეძლო გადაეხვია გზიდან და ბათუს ურთულესი დავალება არ შეესრულებინა;
2. მას შეეძლო მოეტყუებინა გამზრდელი, შეერბილებინა ან გადაესხვაფერებინა ამბავი, მაგრამ „ეუბნება ყოველიფერს“, თანაც „ცრემლები სდის და ეჩრება ბურთად ყელში მწარე სიტყვა“. ჩანს, როგორ განიცდის მომხდარს.
3. ის მზადაა, მიიღოს სასჯელი. პირველად მაშინ, როცა ბათუს ეუბნება: „მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე, მაზღვევინე, რაც შეგცოდე, სინიდისი გამიმრთელეო“ და მეორედ მაშინ, როცა გამზრდელის წინ მოიღეღავს მკერდს.

შესაბამისად, მკითხველი გმირის მონანიების, სულიერი გარდასახვის თვითმხილველია. სხვა საქმეა, რა განწყობა-დამოკიდებულებას აღძრავს გმირი მკითხველში, მოსწონს თუ არა ის. აქ მკითხველი, რასაკვირველია, თავისუფალია. მას ვერავინ განაწყობს პერსონაჟისადმი ემპათიით/სიმპათიით ან პირიქით... მაგრამ დასმულ სამსჯელო კითხვაზე პასუხი ვერ იქნება უარყოფითი, რადგან ტექსტის მოცემულობა საპირისპიროს აჩვენებს.

საზოგადოდ, ლიტერატურული ტექსტის ანალიზი დედუქციურ აზროვნებას უნდა ეფუძნებოდეს. დედუქციური აზროვნება ლოგიკური აზროვნების ის მეთოდია, რომელსაც მოცემულ წანამძღვრებზე, წინაპირობებზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა და მხატვრულ ტექსტში გაბნეული ასეთი წანამძღვრები, წინაპირობები აუცილებლად გასათვალისწინებელია განსაზღვრული დასკვნების გამოტანისას.

თუ ლიტერატურული ინტერპრეტაცია გასცდა ტექსტის „რეალობას“, ტექსტის მოცემულობას, იმ „წანამძღვრებს“, რომლებსაც მწერალი მინიშნებებივით გვიტოვებს ტექსტში, ის სუბიექტურ, დაუსაბუთებელ მოსაზრებად იქცევა ან ანალიზის ავტორს დიდი ოსტატობა დასჭირდება მსჯელობის წარსამართავად.

ნიმუში მეორე

პერსონაჟი: ლუარსაბ თათქარიძე

სამსჯელო კითხვა: რა მიზნით დახატა მწერალმა ეს პერსონაჟი? რა იყო მისი გზავნილი?

ტექსტის შესწავლის შემდეგ მოსწავლე ასკვნის: ლუარსაბი ბედნიერი, ცხოვრებით კმაყოფილი კაცია. მან უზრუნველი ცხოვრება განვლო და ადა-

მიანის არსებობის მთავარი საზრისიც ასეთი უზრუნველი ცხოვრების ბედნიერად გატარებაა. რა უფლება გვაქვს, განვსაჯოთ მისი ცხოვრების წესი? ისე იცხოვრა, როგორც უნდოდა. საკუთარი ცხოვრებისეული ფილოსოფია ჰქონდა. ადამიანი, მისი თქმით, ქვევრია, რომელიც ხორაგით უნდა აავსო. საჭმელსასმელზე ზრუნვა, ბუზების თვლა, უქმობა და მოჩვენებითი საქმიანობა ბედნიერი ცხოვრების გარანტია იყო მისთვის.

ამ „თავისუფალ ინტერპრეტაციაში“ უგულებელყოფილია ყველა ის წანამძღვარი, რასაც მწერალი უშურველად, პირდაპირ, დაუფარავად ან შეფარვითა და ირონიით გვაწვდის ტექსტში. ლუარსაბი ქონში ჩაძირული კაცია (გავიხსენოთ ავტორისეული გენიალური აღწერა, პროზაული პორტრეტის გასაოცარი ნიმუში). მთელი მისი ცხოვრება შემოიფარგლება მისი აყროლებული ეზო-კარით, ბუზების თვლით, საჭმელზე ფიქრით. ლუარსაბი „სკდება ჭამით“ (პირდაპირი მნიშვნელობით). მისი ცხოვრება ილუსტრაციაა იმისა, როგორ არ უნდა იცხოვროს ადამიანმა, „არაფრობაში“ განვლილი ცხოვრების აღწერაა. მისი არსებობა, ვაჟას სიტყვები რომ მოვიხმოთ, „ლეშის ლაღობაა“, „უქმად ცხოვრების ჩამოლევაა“ და არა ბედნიერება.

„მე ასე მესმის“...

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტირებისას, ანალიზისას ხშირად გვხვდება ფრაზები: „მე ასე გავიგე“, „მე ასე წავიკითხე“, „მე ასე მესმის“, „მაქვს უფლება, ისე ვიფიქრო, როგორც მინდა“. რასაკვირველია, მკითხველს აქვს უფლება (და მას ამ უფლებას არავინ ართმევს), იგრძნოს, განიცადოს, იფიქროს ისე, როგორც მას მოესურვება, როგორც შეუძლია. მაგრამ როდესაც საუბარია მსჯელობასა და საანალიზო კითხვებისთვის პასუხების მოძიებაზე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ინტერპრეტაციის ვალიდურობა.

ისევ დედუქციას ვახსენებ – მეთოდს, რომელსაც შერლოკ ჰოლმსი წარმატებით იყენებდა გამოძიებისას. ისე, საინტერესო იქნება ლიტერატურული ტექსტის ანალიზის გამოძიებად წარმოდგენა; მკითხველი, რომელიც მსჯელობისა და ანალიზისთვის ემზადება, სწორედ „გამომძიებლად“ უნდა იქცეს და ყურადღებით მოიძიოს „სამხილები“, რომლებიც მართებული დასკვნების გამოტანის საშუალებას მისცემს.

მხატვრული ნაწარმოების გააზრებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტები – დეტალი

საშინელი რამ არის დეტალი, განსაკუთრებით იმ მწერლებისთვის, ვისაც ჩემსავით უყვარს დეტალები. ყელსაბამი მარგალიტებისგან შედგება, მაგრამ ისინი ძაფზეა ასხმული. ხელოვნებაც ისაა, რომ მძივის აკინძვისას არც ერთი მარგალიტი არ დაგეკარგოს და არც ძაფი დაგისხლტეს“

გუსტავ ფლობერი

„შტრიხი“, „წვრილმანი“, „კადრი“, „ხაზი“, „მიკროელემენტი“, „სპეციფიკური მხატვრული წვრილმანი“, „მხატვრული აქსესუარი“, „მეტყველი წვრილმანი“ – ეს აღმნიშვნელები ხშირად გვხვდება ხოლმე სპეციალურ ლიტერატურაში და მათში, მეტწილად, სწორედ მხატვრული დეტალი მოიაზრება.

ავტორის მიერ გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების არსენალში დეტალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და გვარიანადაც გვეხმარება გმირის ხასიათის, მისი ქცევის მოტივის, ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მოცემულობის, მწერლის განწყობისა და დამოკიდებულების გაგებასა და გააზრებაში.

დეტალების მეშვეობით შემოქმედს სათანადო ატმოსფეროს შექმნაც შეუძლია და რაც უფრო მარჯვედ იყენებს ის დეტალებს, მით უფრო ცხადი და ფიზიკურად „ხელშესახებია“ იქ (ტექსტის რეალობაში) ყოფნის განცდა.

დეტალი, არსებული განმარტების თანახმად, ნაწარმოების მცირე, დაუშლელი სტრუქტურული ელემენტია, მხატვრული ქსოვილის, მთლიანის ნაწილი, ორიგინალური წვრილმანი. ის გარკვეულ ემოციურ ელფერს სძენს ნათქვამს, აღწერილს, მოთხრობილს და როგორც წესი, ახასიათებს, აკონკრეტებს ან სათანადო განწყობას უქმნის მკითხველს. დეტალის შემთხვევითობასა ან კანონზომიერებაზე, განზოგადებასა და კონკრეტიზებაზე დაკვირვება ტექსტის კვლევის პროცესში მეტად საინტერესოა და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებასაც აძლევს მკითხველს.

მხატვრული დეტალი და სინამდვილის დეტალიზება, რეალისტურად აღწერა სხვადასხვა რამაა და ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. დეტალის მიზანი ასოციაციების წარმოქმნა-წარმოშობაა, ის წარმოდგენათა ჯაჭვის ერთგვარი

რგოლია, სინამდვილის დეტალიზებას, რეალისტურად ასახვას კი სხვა დანიშ-ნულება აქვს.

დეტალის მეშვეობით მწერალი ხშირად გამოხატავს ხოლმე საკუთარ და-მოკიდებულებას პერსონაჟის, მისი ხასიათის ან ქცევის მიმართ.

მხატვრული ნაწარმოების კითხვისა და დამუშავების დროს კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს დეტალებზე დაკვირვებას, მათ მონიშვნას და მათზე მსჯე-ლობას ვთხოვთ. კითხვის დროს გახაზული დეტალების დამუშავება ნაწარმო-ების სრულად წაკითხვის შემდეგ სჯობს.

ერთ-ერთ კლასში კლასგარეშე საკითხავ მასალად რიჩარდ ბახის „თო-ლია ჯონათან ლივინგსტონი“ შევარჩიეთ. კითხვის დროს დაკვირვებისა და კვლევის საგანი სწორედ დეტალების შემჩნევა და მათზე მსჯელობა გახლ-დათ – მოსწავლეებს სათანადო ადგილები უნდა მოენიშნათ და კომენტარები დაერთოთ.

კომენტირებული კითხვის მეთოდი ეხმარება მოსწავლეს ტექსტის ლიტე-რატურული ანალიზის პროცესში.

კლასში მათ შინ დამუშავებული მასალა წარმოადგინეს. საინტერესოა, რომ ზოგიერთი მოსწავლე დეტალების კლასიფიცირებასაც შეეცადა. ერთ-ერთმა, მაგალითად, ტექსტის ენობრივი თავისებურებები იკვლია და საკმაოდ საინტერესო დასკვნებიც გააკეთა:

„მთავარი მოქმედი პირი ავტორს პირველივე გვერდზე შემოჰყავს. თავი-დან აღწერილია ასეულობით თოლიის ჭიდილი საჭმლის ნარჩენების მოსა-პოვებლად, ამას მოსდევს ახალი აბზაცი, რომელიც იწყება სიტყვით „მაგრამ“ (შედარებულია დედანთან – იქაც გამოყენებულია სიტყვა BUT) – “მაგრამ გე-მისა და ნაპირისგან მოშორებული ჯონათან ლივინგსტონი განმარტოებით ვარჯიშობდა“...მეორედ ხსენების დროსაც იმავე ხერხს იყენებს ავტორი „მაგ-რამ თოლია ჯონათან ლივინგსტონი, რომელმაც ყოველგვარი დარცხვენის გარეშე ისევ გაშალა ფრთები... – ჩვეულებრივი თოლია არ გახლდათ“.

ამ შემთხვევებში, სიტყვა „მაგრამ“ ის დეტალია, რომელიც მკითხველს მიახვედრებს, რომ თოლია რაღაც ნიშნით გამიჯნულია იმ სოციუმისგან, რო-მელსაც მწერალი „საუზმის გუნდს“ უწოდებს და ეს მოსწავლესაც მართებუ-ლად აქვს მონიშნული და გააზრებული.

ძალიან საინტერესოა დეტალებზე დაკვირვება ისეთი საპროგრამო ნაწარ-მოებების კითხვისა და ანალიზისას, როგორებიცაა „ჯაყოს ხიზნები“ და „სამა-ნიშვილის დედინაცვალი“.

ორივე ქართველი ავტორისთვის დეტალების ხელოვნება კარგად ნაცნობი მხატვრული საშუალებაა და მათი მხატვრული სამყარო სავსეა „მარგალიტებით“, რომლებსაც ფლობერი თავის ეპიგრაფად წამძღვარებულ გამოთქმაში ახსენებს.

ზოგადად, სასკოლო ენისა და ლიტერატურის კურსის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება მოსწავლეების გამოცდილ მკითხველებად ჩამოყალიბება და სააზროვნო მოქმედებათა განვითარებაა.

დეტალებზე დაკვირვებითა და კრიტიკული კომენტირებით მოსწავლეები თავიდანვე ივითარებენ ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარებს.

ტექსტის შემადგენელი ნაწილების ანალიზის, შედარების, განზოგადების გზით კი შემოქმედებით დამოკიდებულებას გამოიმუშავებენ.

რამდენად თავისუფალია მკითხველი ნაწარმოების ინტერპრეტირებისას?

„იკითხეთ არა იმისთვის, რომ შეეწინააღმდეგოთ ან უარყოთ, არა იმისთვის, რომ ირწმუნოთ ან შეუვალ ჭეშმარიტებად მიიღოთ წაკითხული, იკითხეთ არა სასაუბრო ან საკამათო საკითხების საძიებლად, არამედ ასაწონ-დასაწონად და განსახილველად. ზოგიერთი წიგნი ნელა უნდა დააგემოვნოთ, ზოგიერთი – სწრაფად გადაყლაპოთ, ზოგიც – გულდასმით გაღეჭოთ და გადაამუშაოთ“...

ფრენსის ბეკონი

რამდენად თავისუფალია მკითხველი მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტირებისას?

ხომ შეიძლება ერთმა თავისებურად გაიგოს ტექსტი, მეორემ კი სრულიად სხვაგვარად? რომელი იქნება ამათგან სწორი? არსებობს კი ერთი და სწორი ინტერპრეტაცია?

ეს გახლავთ კითხვები, რომლებიც ხშირად უჩნდებათ მოსწავლეებს, როდესაც სასკოლო ლიტერატურის კურსის შეთავაზებით მათ ჯერ ტექსტებს ვაცნობთ, შემდეგ კი სახელმძღვანელოებში თანდართული კითხვებისა თუ კრიტიკული წერილებიდან ამონარიდების მეშვეობით გარკვეულ დასკვნებამდე მიგვყავს ისინი.

იგივე კითხვები ჩნდება მეტაფორების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებისა თუ მხატვრული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ენობრივი გარდასახვების „გაშიფვრისას“.

სწორედ აქაა მნიშვნელოვანი სიფრთხილე მასწავლებლების მხრიდან. სწორედ აქაა მკაფიოდ განსასაზღვრი, რა არის ჩვენი მიზანი, როდესაც ლიტერატურულ ტექსტს ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ თ და ვ ა მ უ შ ა ვ ე ბ თ მოსწავლეებთან ერთად.

სასკოლო ლიტერატურის კურსისთვის შექმნილ მეთოდურ მასალებსა და სტატიებში ხშირად შევხვედრივარ მტკიცებითი ტონით დაწერილ დასკვნებს, ანალიზს, ინტერპრეტაციას, სადაც ავტორები ლიტერატურულ ნაწარმოებებს

განიხილავენ და საკუთარ ხედვას გვთავაზობენ. ამგვარ მასალებში ხშირად მეხამუშება ტოლობის ნიშანი, რომელსაც ავტორები ნაწარმოებსა და საკუთარ ინტერპრეტაციას შორის სვამენ. მაგალითად, მეტაფორებს, რომლებიც, თვისებრივად, გამოცანებია, „ეძებნება“ ერთი კონკრეტული მნიშვნელობა, პროზაული ტექსტები რელიგიურ-პატრიოტული შაბლონების თანახმად „იხსნება“ , პერსონაჟის ქცევის მოტივზე მსჯელობისას „დიაგნოზი“ ან „ვერდიქტი“ ისმება და ა.შ.

არადა მხატვრული ტექსტის გააზრების დროს მნიშვნელოვანია, მკითხველს არ შეექმნას წინასწარი მოლოდინი ან წინასწარი განმარტება წასაკითხის შესახებ. მაგალითად, თუ ჩვენ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობას „შელოცვა რადიოთი“ ალეგორიულ ტექსტად გავაცნობთ მოსწავლეებს, ელის საქართველოს გამოხატულებად მივიჩნევთ, დანარჩენ პერსონაჟებს კი სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის განსახიერებებად – მოსწავლეს ინტერპრეტირების თავისუფლებას შევუზღუდავთ.

თუ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას ნესტანსა და ტარიელს ღვთაებებად, შეუმცდარ წმინდანებად და ენიგმატურ წყვილად მივიჩნევთ და ამის ჩაგონებას შევეცდებით მოსწავლეებისთვის, პოემას ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას დავუკარგავთ და უამრავ საინტერესო მოსაზრებას ჩანასახშივე ჩავუხშობთ მათ.

მხატვრული ტექსტის „თავისუფლების შემზღუდველი“ ყველა ეს თეორია მასწავლებლებისთვის, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამგვარი მეთოდური მასალებით, მზა „ფორმულებად“ იქცევა, მოსწავლეებს პირდაპირ, „დაღეჭილი ლუკმის“ მსგავსად მიეწოდება და...მიზნები, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის სწავლა-სწავლების პროცესში უმნიშვნელოვანესია, პროცესის მიღმა რჩება.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);

გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;

განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;

ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;

შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;

გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

რა მშვენიერი მიზნებია, რაოდენ მნიშვნელოვანი ამოცანები...

თუმცა...

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი ეს მიზნები და ამოცანები სრულ შეუსაბამობაშია ლიტერატურის სწავლების იმ მეთოდთან, რომელიც ამჟამადაა დანერგილი ჩვენს სკოლებში.

საპროგრამო მასალების გადატვირთულობასა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შერჩეული ტექსტების შესახებ, ასევე ლიტერატურის სწავლების თანმდევი სხვა პრობლემების შესახებ არაერთხელ გვისაუბრია. ამჯერად ამ მიმართულებით საკითხს აღარ ჩავუღრმავდებით.

რა პასუხი უნდა გავცეთ მოსწავლეების დასმულ იმ კითხვებს, რომლებიც აქ არის თავმოყრილი? შესაძლებელია კი მათზე ამომწურავი, ერთმნიშვნელოვანი პასუხის მოძიება? სწორედ ამ მიმართულებით მინდა მსჯელობა წარვმართო და საკუთარი გამოცდილება გაგიზიაროთ.

ცოტა ხნის წინ მეათეკლასელები პოეტიკის საკითხებს ჩაუღრმავდნენ.

ისინი იკვლევდნენ ლიტერატურულ გვარებს, ჟანრებს, ჟანრობრივ განსხვავებებს, ვერსიფიკაციულ საკითხებს, ტროპულ მეტყველებას, სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას. აკვირდებოდნენ ლექსებსა და პროზაულ ტექსტებს, „მარტივ მამრავლებად“ შლიდნენ მხატვრულ სახეებს.

ამას ხუმრობით „ანატომიური კვეთა“ ვუწოდეთ. ლექსები მარცვლებად, მუხლებად, რითმებად და რიტმის ელემენტებად დავშალეთ, პროზაული ტექსტები დეტალურად მიმოვიხილეთ, ტროპის სახეები „გავშიფრეთ“ და „ავხსენით“...

სამუშაო შრომატევადი, თუმცა სახალისო და სასარგებლო გამოდგა. სწორედ ამ პროცესში გამოიკვეთა ის, რომ მხატვრული ტექსტი, სინამდვილეში, ერთგვარი „ლიტერატურული პერპენტუუმ მობილეა“, რომელიც შეუზღუდავად „გადაადგილდება“ (და უნდა გადაადგილდებოდეს კიდეც) მკითხველების წარმოსახვაში და უსასრულო რაოდენობის იმპულსის, განწყობის, პასუხის, საფიქრალის აღმძვრელი ხდება.

ამ უსაზღვრო მოგზაურობაში დაბრკოლებად არ და ვერ უნდა იქცეს ვინმეს მიერ უწინ უკვე ნაფიქრი ან ნათქვამი, ვინმეს ინტერპრეტაცია, სხვისი ანალიზი.

იმის მიუხედავადაც კი, რომ მხატვრული ტექსტი გარკვეულ თეორიულ მოცემულობას ითვალისწინებს და ამა თუ იმ ყალიბს „ირგებს“, სათქმელის გამოხატვის ფორმა და შინაარსი ამოუწურავია. შესაბამისად ამოუწურავი უნდა იყოს ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც.

მზა შაბლონი და ერთი პასუხი არ არსებობს და კითხვის ერთ-ერთი მთავარი ხიბლიც სწორედ ისაა, რაც შეიძლება მეტი სხვადასხვაგვარი ემოცია აღძრას.

სხვადასხვა ვერსიფიკაციული თეორიული მასალის ახსნის შემდეგ მოსწავლეებს რამდენიმე ლექსი შევთავაზე წასაკითხად.

სამუშაო ფურცელზე წინასწარ ამოვბეჭდე თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები ან ამონარიდები ლექსებიდან. ასე ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ ოთარ ჭილაძე, ლია სტურუა, თეა თოფურია, ზვიად რატიანი.

საშინაო დავალებად რამდენიმე კითხვაზე პასუხის წერილობით გაცემა ვთხოვე.

კითხვები დაფაზე ჩამოვწერე:

საშუალება რომ გქონდეთ, რომელ პოეტს გაესაუბრებოდით და რას ჰკითხავდით?

რომელი ლექსის ილუსტრაციას შექმნიდით და რას დახატავდით (აღწერეთ სიტყვიერად)?

რომელმა ლექსმა დაგაფიქრათ, რომელი მოგეწონათ, რომელი ლექსის სათქმელი ვერ გაიგეთ?

მეორე დღეს საშინაო დავალების გაცნობას ჩვეულებრივზე მეტი დრო დავუთმეთ და სწორედ აქ გავხდით თვითმხილველები იმისა, თუ როგორ შეიძლება ტექსტი იყოს ერთი, ინტერპრეტაცია კი ბევრნაირი და სხვადასხვანაირი.

მაგალითად, თეა თოფურიას ერთმა ლექსმა („ეს ყველაფერი უბრალოდ მიდებ-მოდებაა...“) რამდენიმე მოსწავლე დააფიქრა იმაზე, თუ რას ნიშნავს ღმერთის რწმენა და როგორ ვავლენთ ამ რწმენას ყოველდღიურობაში. ერთმა ჩათვალა, რომ ლექსის ლირიკული გმირი ნიჰილისტი და გულგრილია ყველაფრის მიმართ, მეორემ კი მიიჩნია, რომ ის, სინამდვილეში, გულისტკივილით და რწმენით სავსე წერდა ამ ლექსებს. იყო კიდევ ერთი მოსაზრება,

ადამიანს შარვლის ყიდვა სჭირდებოდა, ეტყობა, ვერ მოძებნა, რაც უნდოდა და გაბრაზებულმა ლექსი დაწერაო... ამ კომენტარს, ცხადია, სიცილი და მხიარულება მოჰყვა.

სხვათა შორის, პოეტთან გასაუბრება ორივე მოსწავლემ მოინდომა და მისთვის კითხვებიც გამზადებული ჰქონდათ.

ასევე საინტერესო იყო ზვიად რატიანის პატარა ლექსის შესახებ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებები:

ეგრე სადაა:
რაც გარეთაა, ყველაფერი სიმართლე იყოს,
და რაც ჩემში – თითქმის არასდროს.
შევინიღბე.
არ იყო სხვა გზა.
ჩემს თავს შიგნიდან ვეღარ ვცნობდი,
სხვები – გარედან.
სიმართლე თითქოს გათანაბრდა.
საწყენია, ლექსები გაქრნენ

ერთმა, მაგალითად, მიიჩნია, რომ პოეტი დაბნეულია და ვერ გაუგია ვერც სხვებისა და ვერც საკუთარი თავისა, სხვამ კი ლექსის ლირიკული გმირი რაციონალისტურად მოაზროვნე ადამიანად ჩათვალა და დაასკვნა, მეც ასე მემართება, ხშირად მიწევს ნიღბის მორგება, რომ ადეკვატურად გამოვიყურებოდე საზოგადოებისთვისო.

ეს მაგალითები მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა შეუზღუდავი ინტერპრეტაციის ხიბლიცა და...ნაკლიც.

ცხადია, მოსწავლეებს წაკითხულის გააზრება, წაკითხულიდან აზრის გამოტანა, ატმოსფეროს შეგრძნება, დასაბუთებულად საკუთარი მოსაზრებების გადმოცემა, გმირის ან მწერლის ემოციური მდგომარეობის ამოცნობა უნდა შეეძლოთ. უნდა შეეძლოთ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების დასახელება, მიმოხილვა, თუმცა ინტერპრეტაციის მცდელობისას მათ მხოლოდ ერთი და სწორი პასუხის მოლოდინი არ უნდა გაუჩნდეთ.

ვირჯინია ვულფი თავის ესეში „როგორ უნდა ვიკითხოთ წიგნები“ საინტერესოდ პასუხობს წერილში დასმულ კითხვებს. სწორედ ამ ციტატით დავასრულებ:

„ერთადერთი რჩევა, რაც ერთმა ადამიანმა მეორეს წიგნის კითხვასთან დაკავშირებით შეიძლება მისცეს, არის ის, რომ ყური არ ათხოვოს საერთოდ

არანაირ რჩევას. მისდიეთ საკუთარ ინსტინქტს, მიდით საკუთარ დასკვნებამდე. თუ ამაზე შევთანხმდებით, მაშინ გავკადნიერდები და რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებთ, იმ პირობით, რომ ეს მოსაზრებები არც რაიმე წინაპირობას შეგიქმნიან და არც თქვენს ინტერპრეტაციებში არ შემოიჭრებიან. თქვენი, როგორც მკითხველის თავისუფლება, ხელშეუვალია.

მაშ, რა კანონები შეიძლება შევიმუშაოთ წიგნებთან დაკავშირებით? ვატერლოოს ბრძოლა მოხდა და ამაში არაფერია სადავო, მაგრამ „ჰამლეტი“ უკეთესი პიესაა თუ „მეფე ლირი“? არავის შეუძლია ამის გადაწყვეტა! თითოეული ამ საკითხს თავისებურად წყვეტს. თუ დავუშვებთ, რომ არსებობენ ავტორიტეტები, რომლებიც წარმართავენ ჩვენს მოსაზრებებს, თუ დავუშვებთ, რომ ბიბლიოთეკებში ვინმემ მიგვითითოს, რა წავიკითხოთ, როგორ წავიკითხოთ, რა ღირებულება აქვს იმას, რასაც წავიკითხავთ, მაშინ ვანადგურებთ იმ უმაღლეს თავისუფლებას, რასაც წიგნების მეშვეობით უნდა ვიღებდეთ და ამ სიწმინდეს ვბღალავთ. ნებისმიერ სხვა სფეროში შეიძლება შეგვზღუდოს კანონებმა ან გარკვეულმა შეთანხმებებმა, მაგრამ არა აქ!“.

თანამედროვეობა, მოსწავლე...

სამი სურათი „ცოდნის გემის“ კიჩოდან

ტილმან კიზერი ჰიბერნიის ვალდორფის სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი და დურგალია. ის ბავშვებს სასკოლო საგნებთან ერთად ხეზე მუშაობასაც ასწავლის. ხელობის გაკვეთილებზე ერთ-ერთი დავალება ხის გემის შექმნაა. გვიზიარებდა გერმანელი მასწავლებელი თავის გამოცდილებას და ასეთი რამ ახსენა:

„გემის გაზუმფარების პროცესი მონოტონური, ერთფეროვანია. საჭირო საქმეა, ოღონდ პროცესში შეიძლება დაგავიწყდეს, რას აკეთებ და რატომ. ასეთ დროს ობიექტისგან აბსტრაჰირება, შორიდან შეხედვა და დაფიქრებაა საჭირო: რას ვაკეთებ? რისთვის? ხომ არ დამავიწყდა მიზანი? სად ვარ? საით მივდივარ? რა გეზი მაქვს? რას მივიღებ, როდესაც ამას დავასრულებ?“

ამ სურათხატოვანი ჩანართის შემდეგ მომხსენებელმა თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა. რა არის დღეს სკოლის მიზანი და ფუნქცია? რა უნარებითა და ცოდნით უნდა აღვჭურვოთ მოსწავლე, რომ ის დამოუკიდებელ, ძლიერ, შემოქმედ, მოქმედ ადამიანად იქცეს?

აი, ის კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას მონოტონური სასწავლო პროცესის დროს. ყოველდღიურ საზრუნავში ჩაფლულ მასწავლებელს, დღის, სემესტრისა და წლიური გეგმების, ათასგვარი ანალიზის, საწერის, ბიუროკრატიული ტვირთის წნეხქვეშ, პერიოდულად სჭირდება აბსტრაჰირება, „ცოდნის გემისთვის“ გვერდიდან შეხედვა. კითხვების დასმა. მიზნების გამოკვეთა. ირგვლივ მიმოხედვა. რეალობის შეფასება. მოსწავლეებთან დაახლოება. მათი ხმის გაგონება. არა მარტო გაგონება, გააზრებაც: რას ამბობენ ისინი? რას უმკლავდებიან? რა ემოციურ მდგომარეობაში არიან?

გადავდგათ ერთი ნაბიჯი უკან. შევხედოთ ჩვენი „ცოდნის გემს“. რას ვთავაზობთ მოსწავლეებს?

სურათი 1. გაკვეთილების „კალეიდოსკოპი“

დილის ცხრა საათიდან, 5-10-წუთიანი შესვენებებისა და დიდი შესვენების ჩათვლით, მოსწავლეები ესწრებიან რამდენიმე 45-წუთიან გაკვეთილს.

პირობითად, ავიღოთ საშუალო საფეხურის გაკვეთილების ცხრილი.

გაკვეთილების წყება დაიწყო ქართულით.

45 წუთში დასრულდა.

დასვენება.

მერე – 45 წუთი მათემატიკა.

დასრულდა.

+ რომელიმე საბუნებისმეტყველო საგანი (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია...).

დასრულდა.

რომელიმე უცხო ენა.

სამოქალაქო.

დასრულდა.

თუ გაუმართლათ – სულ ესაა. თუმცა, უმეტესად, 6 ან 7 გაკვეთილი ტარდება. თვალსაჩინოებისთვის საძიებო სისტემაში სიტყვების „გაკვეთილების ცხრილი საშუალო საფეხურზე“ შეყვანისას მოძიებულ პირველივე ცხრილს დავურთავ:

საქართველოს ისტორიის შემდეგ – ფიზიკური აღზრდა, ქიმია, მათემატიკა, ინგლისური, მეექვსე გაკვეთილად – ქართული და შემდეგ – ბიოლოგია.

კითხვა: რა რჩება სამუშაო დღის ბოლოს მოსწავლეს სხვადასხვა დარგის შემსწავლელი ამ შვიდი გაკვეთილიდან? ამ თანმიმდევრობით 45 წუთით საკლასო ოთახში შესვლა-გამოსვლის შედეგად რას იძენს ის? გასაგებია, რომ სასწავლო გეგმა, მიზნები და ამოცანები წლიურია, შედეგებსაც წლის (სემესტრების, შემაჯამებელი სამუშაოების) განმავლობაში ვიმკით, მაგრამ ასე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფექტიანია? თანადროულია? შედეგიანია? საკუთარი თავი რომ წარმოიდგინოთ: ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის შემდეგ – ქიმიაზე, მერე კი ქართულზე, რომელსაც ბიოლოგია მოსდევს, – რა განცდა დაგეუფლებოდათ? რამდენად ახერხებს მოსწავლე ასე ფრაგმენტულად მიღებული ცოდნის გამთლიანებას? და თუ ახერხებს, როდის? როგორ? სამყაროს რა სურათს იღებს ხანმოკლე ინტერვალებით გამოყოფილ გაკვეთილებზე დასწრებისას?

ინტეგრირებული სწავლება ერთ-ერთია იმ მეთოდთაგან, რომლებიც ამ პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ რამდენად ხშირად ახერხებენ მასწავლებლები თანამშრომლობას? რა საგნები მიეწოდებათ მოსწავლეებს ისე, რომ მათ ინტერდისციპლინური კავშირების დახმარებით შეძლონ ცოდნის კონსტრუირება?

ვფიქრობ, ეს გაფანტული, ფრაგმენტული სურათი საგულისხმო ფაქტორია განათლების ხარისხზე მსჯელობისას. ეს მიდგომა – გაკვეთილების უთავბოლო წყება – რაღაცით კალეიდოსკოპში შემთხვევით შექმნილ ფორმას მაგონებს.

„დღეს სკოლების უმეტესობა ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ მოსწავლეებმა ინფორმაცია დაიზუთხონ. წინათ ასეთი მეთოდი მართებულად

მიიჩნეოდა, რადგან ხელმისაწვდომი ინფორმაცია ცოტა იყო... XXI საუკუნეში კი, პირიქით, უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციამ ლამისაა წაგვლეკოს. ასეთ სამყაროში ერთი რამ, რასაც მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს, მოსწავლეებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაა. ბავშვებს ეს ისედაც არ აკლიათ. ამის მაგივრად ადამიანებს ინფორმაციის გააზრება, მნიშვნელოვნისა და უმნიშვნელოს ერთმანეთისგან გარჩევა და, რაც მთავარია, სხვადასხვა ცნობის ურთიერთშერწყმით მსოფლიოს ზოგადი სურათის დანახვა უნდა ასწავლონ", – წერს იუვალ ნოა ჰარარი წიგნში „21 გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის". ამ წიგნში მკვლევარი თანამედროვეობის მწვავე და მნიშვნელოვან საკითხებს მიმოიხილავს. განათლების, აზროვნების განვითარებისა და ადამიანის წინაშე დღეს არსებული სირთულეების გადასალახად საჭირო უნარების მიმოხილვას ის საგანგებო „გაკვეთილს" უთმობს. წიგნი საინტერესო საკითხავი იქნება მასწავლებლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. ეს მნიშვნელოვანი „გაკვეთილები" გასააზრებელი და დამაფიქრებელია.

სურათი 2. მიესაჯოს მერხთან ჯდომა!

მერხებთან დღის უმეტესი ნაწილის გატარება მართლა მოსახდელ სასჯელს ჰგავს. ეს შედარება შემზარავი კია, მაგრამ მოზარდების მთელი დღის განმავლობაში მერხებთან დასმა კიდევ უფრო შემზარავია. ფიზიკური აღზრდის კვირაში რამდენიმე საათი სურათს დიდად ვერ ცვლის.

მერხებთან უძრავად ჯდომა! ერთ კლასში. ერთ სივრცეში (ნიავდება მაინც?)!

სმენა! გაგონება! დაფას მიშტერება!

პარაგრაფიდან პარაგრაფამდე დამუშავება!

დაზუთხვა!

მოკლე შინაარსი!

პარაგრაფის შინაარსი – წერით!

კითხვებზე პასუხი – წერით!

უტრირებულია?

მაინც რამდენად უტრირებულია სასკოლო პროცესის ეს აღწერილობა?

მოსწავლეები სხედან და სხედან.

„აბა, რა უნდა ქნან?" – ისმის შემხვედრი კითხვა.

მოზარდმა უნდა იმოძრაოს.

მოზარდმა უნდა ისწავლოს საკუთარი სხეულის მართვა. გაუმჯობესება. უნდა შეიმეცნოს საკუთარი თავი. გამოცადოს ის სხვადასხვა სიტუაციაში. შემოქმედებით, ჩარჩოებს მიღმა აზროვნებას უნდა დაეუფლოს. ფიზიკური

ვარჯიში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. 45-წუთიანი გაკვეთილების წყება (შვიდჯერ ორმოცდახუთი!) მტანჯველია სხეულისთვის. რა თქმა უნდა, ამ სხეულში დაგროვდება ენერგია, რომელიც გამოთავისუფლებას მოითხოვს.

რატომ სხედან ჩვენი მოსწავლეები უძრავად 45 წუთის განმავლობაში?

„აბა, რა უნდა ქნან?“

უნდა იმოძრაონ.

შექმნან გაკვეთილზე ჯგუფები – გადაადგილდნენ ერთმანეთისკენ, დაჯგუფდნენ.

წყვილებს მიეცეთ დავალება: მოძებნეთ სკოლის შენობაში ან გარეთ (თუ უსაფრთხოა) სივრცე, აიღეთ 10 წუთი, იფიქრეთ მოცემულ დავალებაზე. დაბრუნდით და ნაფიქრი გაგვიზიარეთ.

ყოველი ნახევარი საათის შემდეგ ავდგეთ, ხელები ზევით. გაჭიმვა. კუნთების დაძაბვა. მოშვება. ადგილზე ხტუნვა. ხელ-ფეხის ქნევა.

სახალისოა.

დავსხედით – გავაგრძელეთ.

„გაკვეთილი არ არის გასართობი! გაკვეთილზე სმენა და გაგონებაა საჭირო!“

შესაბამისად, თითოეულს მიესაჯოს მერხთან ჯდომა.

აღსრულდეს დაუყოვნებლივ. ამიერიდან 12 წლის განმავლობაში.

როდის იკვლიონ გარემო? რამდენი სკოლა უზრუნველყოფს სკოლის შემოგარენში გასვლა-გასეირნებას? გასვლითი ღონისძიებები უმეტესად ექსკურსიებია ეკლესიებში, ტაძრებში, ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულება. მერე – სუფრა.

და ირგვლივ რა ხდება? რა ლანდშაფტია? რა არქიტექტურული სურათი? ფეხით სავალ ადგილზე საინტერესოს რას ვნახავთ? ერთი მასწავლებელი, ჩვენი ინტერნეტგაზეთის ავტორი, „ამბების შეგროვებას“ უწოდებს ამ აქტივობას. დადის მოსწავლეებთან ერთად. აკვირდებიან მოსწავლეები. შეიმეცნებენ. ემოციების ამოცნობას სწავლობენ. მოძრაობენ.

მეც...

საუკეთესო ხარისხის დავალებები მივიღე, არაჩვეულებრივი ნაწერები, როდესაც ვთხოვე:

ადექით, ჩადით ეზოში. იპოვეთ კენჭი. ამობრუნდით კენჭიანად.

როგორ გაცვივდნენ.

რა სწრაფად ამოვიდნენ, გაფაციცებულები: რა იქნება ახლა? რას მოიფიქრებს?

დაიდეთ კენჭი წინ და დაწერეთ მისი პირით:

რა მოხდა? როგორ აღმოვჩნდი ეზოდან მერხზე?

აღწერეთ საინტერესოდ. პირველ პირში.

ნაწერები ისეთია, კრებულად გამოცემა შეიძლება. კენჭების ამბები. ზოგი კენჭი შეშინებულია. ზოგი – აღტაცებული. ზოგი ჯერაც ჩანთაში ცხოვრობს. სხვებს ეზოში დარჩენილი მეგობრები ენატრებათ. ზოგი წარსულს იხსენებს სადღაც ზღვისპირას.

ფერადი, განსხვავებული ამბები.

მოიფიქრეს, ნაფიქრი მოაწესრიგეს, სტრუქტურასა და ფორმაზე იფიქრეს, აბზაცებად დაალაგეს სათქმელი. გადმოსცეს. მეც ეს მინდოდა.

- კიდევ ერთი სურათი, რაც „ცოდნის გემის“ შეთვალიერებისას ჩნდება, სწორედ ესაა – მერხთან უძრავად მჯდომი მოზარდი სხეული. მიწოლილი, გაწოლილი, თავჩარგული, მოგრეხილი, წელში გამართული (თუ მასწავ-ლებელი მკაცრია, ხელები მერხზე!)

არადა... „მოძრაობა და მარტო მოძრაობაა... სიცოცხლის მიმცემი“...

სურათი 3. მოსწავლის ხმა და ხმაური – ვის დაკრულზე ვმღერი და ვცეკვავ?

ხმაურში გამოთავისუფლებული ენერგია არ იგულისხმება.

დღევანდელ ჩვენს სკოლაში რას გეგმავს მოსწავლე სათავისოდ? სად ის-მის მისი ხმა? რას ირჩევს? როგორ ვეცნობით მის საჭიროებებს?

მოსწავლე უფროსების დაგეგმილი პროცესის უტყვი და უმოქმედო „მიმღე-ბია“. მოსწავლეთა თვითმმართველობა შესაძლოა არსებობს, მაგრამ რეალურად რა პროცესებში მონაწილეობენ ბავშვები? რას გეგმავენ? რას ახორციელებენ?

სულ მრჩება განცდა, რომ ბევრს „ვაძალებთ“.

უნდა ისწავლო, იმიტომ რომ საჭიროა!

დიახ, ასე და არა სხვაგვარად, იმიტომ რომ ოდითგანვე ასე იყო!

მოისმინე! დაისწავლე! მომიყევი! ზეპირად! თხრობით! მოკლე შინაარსი! ახლა მათემატიკა გაქვს! ახლა იმღერე – მუსიკაა. იმღერე, რასაც გამღერებენ!

იმღერე, რასაც გამღერებენ და იცეკვე დაკრულზე.

ასე შეიძლება ადაპტაციის კარგი უნარი გამოვუმუშაოთ მოზარდს. „გადა-სარჩენად“ უმნიშვნელოვანესი უნარია. ისმის გონივრული შეგონებები:

„მათ ხომ კონკურენტულ გარემოში მოუწევთ გასვლა. უნდა იცოდნენ ბევ-რი რამ. მათ შორის – შეგუება“.

ძნელია, შეეკამათო. ნამდვილად, გარკვეულ გარემოსა და კულტურაში „გადასარჩენად“ შეგუება, ადაპტაცია მნიშვნელოვანია. მაგრამ იქვე კიაფობს

კითხვები. ეს შემაწუხებელი კითხვები: კი, მაგრამ ვინ იცის, როგორია მომავალი, ვინ იცის, რა უნარები და ცოდნა იქნება საჭირო ათი წლის შემდეგ...

ჰარარის ამაზეც უფიქრია:

„მაშ, რას უნდა ვასწავლიდეთ ბავშვებს? პედაგოგიკის ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ სკოლები ე.წ. ოთხი კ-ს სწავლებაზე უნდა გადავიდნენ:

კრიტიკული აზროვნება

კომუნიკაცია

კოლაბორაცია

კრეატიულობა“.

ცვლილებებთან გამკლავება, ახალი საგნების შესწავლისა და უჩვეულო, მოულოდნელ გარემოებებში ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნების უნარი მომავალში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.

იქვე: „ადამიანი დროს რომ არ ჩამორჩეს, მას არა მხოლოდ ახალი იდეების მოფიქრება და პროდუქტების გამოგონება უნდა შეეძლოს, არამედ (რაც მთავარია) არასდროს უნდა შეწყვიტოს საკუთარი თავის განახლება“.

რადგან... „ცვლილება ერთადერთი მუდმივაა“, პრეადაპტაციის უნარიც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. განსხვავებული, ახლებური ფუნქციის მინიჭება, ახალ გარემოში სწრაფი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრეადაპტაცია „კარგ გამგონეს და კარგ შემსრულებელს“ ნაკლებად განუვითარდება.

შემოქმედებითი მიდგომა, ახლებური გააზრება, ჩარჩოებს მიღმა ფიქრი და ქმედება – რამდენ დროს ვუთმობთ ამ ყველაფერს სკოლებში?

კარლ სეიგანი თავის „კოსმოსში“ წერს:

„ევოლუციამ განაპირობა, რომ ჩვენ ახალი მოვლენის შეცნობა გვსიამოვნებს, რადგან მას, ვისაც ამგვარი გააზრების უნარი გააჩნია, გადარჩენის მეტი შესაძლებლობა ეძლევა“.

ახალი მოვლენების შეცნობას, აღქმა-გაგებას, გააზრებას ადაპტაციურთან ერთად პრეადაპტაციური უნარების გამომუშავებაც სჭირდება.

მთავარი კითხვა ესაა:

შინაარსების გადამუშავებითა და დამახსოვრებით, მერხთან უძრავად, „წესიერად“ ჯდომით, უინიციატივოდ პროცესის მიყოლით რამდენად შეიძლება, თანამედროვე სამყაროში მცხოვრები მოზარდი სათანადო უნარებით აღიჭურვოს?

სკოლებში შეცნობის, შემეცნების სიამოვნებასა და სიხარულს, ქმედებას, შემოქმედებას რამდენი დრო ეთმობა?

გურამ მეგრელიშვილი

1 მხატვრული წერის გაკვეთილები 65

მხატვრული წერის გაკვეთილები

მწერალი სრულიად შემთხვევით გავხდი. ეს გრძელი, მოსაწყენი ამბავია, მე მინდა, სხვა რამ მოგიყვეთ:

რაც უფრო იზრდება ადამიანი, მით მეტად შორდება თავის ამ უნიკალურობას და ემსგავსება სხვას, რომელიც, თავის მხრივ, ვიღაც სხვის ანარეკლია.

ჩემი გამოცდილება ვფიქრობ, გამოადგება ყველას, ვისაც საკუთარი მხატვრული ტექსტის შექმნაზე უფიქრია. გამოადგებათ პედაგოგებსაც, რადგან დაეხმარებიან პატარებს, თავიანთი უნიკალური და საინტერესო სამყარო შექმნან.

გამოადგებათ მშობლებსაც, რათა დაინახონ, რას ფიქრობენ, რას გრძნობენ და რა აწუხებთ ან უხარიათ მათ შვილებს.

ტექსტის ინსტრუქცია მარტივია: მოზარდი იღებს კონკრეტულ დავალებას, რომლის შესრულებაც გაკვეთილიდან გაკვეთილამდე ევალება. პედაგოგი ამოწმებს ამ ნაწერს და ცალკეული სავარჯიშოების პარალელურად დამატებით დავალებასაც არ იშურებს მოსწავლისთვის.

ტექსტში მეტი სიცხადის შესატანად გადავწყვიტე, დავალებების ნაწილი ჩემი 10 წლის შვილისთვის, მათესთვის მიმეცა. შინაარსობრივ და მხატვრულ მხარეში არ ჩავრეულვარ, მხოლოდ მცირედი კორექტურა გავაკეთეთ ერთად (ეს ცალკე სავარჯიშოა, როდესაც მისივე შექმნილ „ნაწარმოებზე“ ასწავლი ბავშვს გრამატიკის ძირითად წესებს).

პირველი გაკვეთილი

სავარჯიშო პირველი

მოდი, მოვიფიქროთ ნამდვილი პერსონაჟი

იმისთვის, რომ დავწეროთ ჩვენი წიგნი, უპირველესად საჭიროა, გამოვიგონოთ პერსონაჟი, რომელიც ძალიან დასამახსოვრებელი იქნება.

როგორ შევქმნათ ასეთი გმირი?

საამისოდ საჭიროა, თვითონ ვიცნობდეთ მას, ვისზეც დავწერთ. გასაცნობად რამდენიმე კითხვას უნდა ვუპასუხოთ გუნებაში, მერე კი ამ კითხვებზე პასუხების მიხედვით დავწეროთ პირველი სავარჯიშო, რომელიც მოგვიანებით ძალიან, ძალიან გამოგვადგება.

რა ჰქვია და რა გვარია თქვენი გმირი? მეტსახელი თუ აქვს?

რა ასაკისაა?

როგორი გარეგნობა აქვს (დეტალურად აღწერეთ გარეგნობა)?

რა მიზნები აქვს?

რა სურვილები?

რაზე ოცნებობს?

რა უყვარს, რას ვერ იტანს?

რისი ეშინია (ამ კითხვას ბევრი გაურბის, მაგრამ აუცილებელია, რადგან თუ გვეცოდინება, რისი ეშინია გმირს, ადვილად მოვუფიქრებთ განსაცდელებსაც, რაც თავგადასავლისთვის მნიშვნელოვანი მომენტია)?

რა საიდუმლოს მალავს?

დაწერეთ ერთი მნიშვნელოვანი (დიახ, მნიშვნელოვანი და არა უბრალო) ამბავი თქვენი გმირის ცხოვრებიდან.

მაგალითი (ამ და ყველა სხვა მაგალითის ავტორია მათე მეგრელიშვილი, 10 წლის):

იყო ერთი 12 წლის ბიჭი, სახელად ბუსი, რომელსაც შავი, ტალღოვანი თმა, წაბლისფერი თვალები, გარუჯული კანი, ღონიერი ხელ-ფეხი და ოდნავ წვრილი, სასაცილოდ წვრილი ხმა ჰქონდა.

ბუსის გველების ეშინოდა. არასოდეს ენახა, მაგრამ წარმოდგენაზეც კი აკანკალებდა, ამიტომ ისეთ ადგილებს უფრთხოდა, სადაც ქვეწარმავლები ბუდობენ ხოლმე. სიმართლე რომ ვთქვათ, ლომების, ზვიგენების და სხვა მტაცებლებისაც ეშინოდა, მაგრამ ისე არა, როგორც გველების, რომელთა ხსენებაზეც ენაზე იკბენდა ხოლმე.

ბუსის საყვარელი საქმიანობა ვარჯიში, ვიდეოთამაშები და კითხვა იყო. ოცნებობდა გამხდარიყო მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი და მერე სხვებს დახმარებოდა, ამისთვის კი ცდილობდა, კარგად ესწავლა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ მოსწონდა სწავლის პროცესი.

ბუსი ვერ იტანდა, როდესაც რამეს უსამართლოდ აბრალებდნენ. ამ დროს ძალიან ბრაზდებოდა და თავის მართლებას იწყებდა, რაც არც თვითონ და არც მის მეგობრებს არ მოსწონდათ.

ბუსის ერთი საიდუმლო ჰქონდა, რომელსაც ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც არ უზიარებდა, მაგრამ ამაზე სხვა თავებში მოგიყვებით.

მანამდე კი მინდა მოგითხროთ ერთი საინტერესო ისტორია, რაც ბუსის გადახდა თავს: როდესაც ის 10 წლის იყო, ბიძაშვილებთან ერთად აგარაკის უკან მდებარე უღრან ტყეში სოკოს მოსაგროვებლად წავიდა. მოულოდნელად ცა მოიქუფრა, გაწვიმდა და ბავშვებს გზა აებნათ. რამდენიმე საათი ტყეში გაატარეს, გაცივებას კი გადაურჩნენ. იკითხავთ, როგორ? ტანზე გაიხადეს და ტანსაცმელი დიდი ქვის ქვეშ დაალაგეს, რადგან ბუსის სადღაც წაეკითხა, რომ წვიმის დროს ტანსაცმელს თუ დამალავ, სხეული მალე გაშრება და მშრალ სამოსში აღარ გაცივდები. როდესაც წვიმამ გადაიღო, მზემ გამოანათა, მაგრამ სახლისკენ მიმავალი ბილიკი დაკარგეს. ბავშვებს შეეშინდათ და ის-ის იყო, ტირილი უნდა მოერთოთ, რომ ბუსიმ აქაც იმარჯვა და სიხარულით თქვა: მოდი, ნაკადული ვიპოვოთ. რაკი წყალი თავდაღმართზე მიდის, სოფლამდე ჩავალთ და იქ უფროსები სახლის მოძებნაში დაგვეხმარებიანო. მართლაც, მოძებნეს პატარა მდინარე და გაუყვნენ გზას. ჩავიდნენ მეზობელ სოფელში და მერე სახლამდეც მშვიდობით მივიდნენ.

შეავსეთ თქვენი სურვილისა და ფანტაზიის მიხედვით, სულ ბოლოს კი შეაჯერეთ ინფორმაცია და მიეცით თხრობითი ფორმა, როგორც მაგალითშია ნაჩვენები.

რა ჰქვია და რა გვარია თქვენი გმირი?

რა ასაკისაა?
როგორი გარეგნობა აქვს? (დეტალურად აღწერეთ გარეგნობა)
რა მიზნები აქვს?
რა სურვილები?
რაზე ოცნებობს?
რა უყვარს, რას ვერ იტანს?
რისი ეშინია? (ამ კითხვას ბევრი გაურბის, მაგრამ აუცილებელია, რადგან თუ გვეცოდინება, რისი ეშინია გმირს, ადვილად მოვუფიქრებთ განსაცდელებსაც, რაც თავგადასავლისთვის მნიშვნელოვანი მომენტია)
რა საიდუმლოს მალავს? (ყველა ჩვენგანს აქვს რაღაც საიდუმლო. ეს საიდუმლო უნდა ჰქონდეს თქვენს გმირსაც, რომელიც იცის მან, თქვენ და მალე ჩვენც, მკითხველებიც გავიგებთ. თუ ეს საიდუმლო კიდევ ვინმეს მოეხსენება, ესეც აღნიშნეთ, ამასაც გამოვიყენებთ ქვევით, როდესაც წიგნის წერას შევუდგებით).

დაწერეთ ერთი მნიშვნელოვანი (დიახ, მნიშვნელოვანი და არა უბრალო) ამბავი თქვენი გმირის ცხოვრებიდან.

მეორე გაკვეთილი

პერსონაჟის შექმნა ვასწავლეთ ბავშვებს. ახლა ცოტა უფრო მეტი ინფორმაცია შევქმნათ პროტაგონისტსა და მის გარემოცვაზე

სავარჯიშო მეორე
გმირის დაბადება

ყველა იბადება. ყველა არ იბადება ორიგინალურად, მაგრამ, მოდი, თქვენი გმირის დაბადებაც კი საინტერესო გავხადოთ. მოიფიქრეთ, სად, როგორ, რა ვითარებაში დაიბადა ის, ხომ არ მოხდა ამ დროს რაიმე მნიშვნელოვანი მსოფლიოში, იქნებ რთული კლიმატური ვითარება იყო, ან იმ წელს გაფრინდა ადამიანი მარსზე; იქნებ თითქოს უმნიშვნელო იყო დაბადების დღე, მაგრამ გაჩნდა თქვენი გმირი და დამჭკნარმა ყვავილებმაც კი იყვავილეს სიხარულით?

მაგალითი:

ბუსი 2009 წლის 18 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე დაიბადა. იმ ღამეს კოკისპირულად წვიმდა და საშინელი ჭექა-ქუხილი იყო. ახალშობილის ტირილი ჭექას ერწყმოდა. მამამ უთხრა თოთო ბუსის: ჩემო პატარავ, ასეთ ჭექა-ქუხილში რომ დაიბადე, ძლიერი ბიჭი გაიზრდებიო. დედა იღიმოდა და საყვარელ შვილს ნაზად უსვამდა თავზე ხელს.

ცოტა ხანში ყველაფერი დადუმდა და ამ მდუმარებას მხოლოდ წვიმის წყნარი წვეთების წკაპუნი არღვევდა.

ახლა კი მოიფიქრეთ საკუთარი გმირის დაბადების თქვენეული ვერსია.

სავარჯიშო მესამე

გაგვაცანით თქვენი გმირის ოჯახის წევრები, მეგობრები და ისინიც, ვისთანაც თქვენს გმირს არცთუ ისე კარგი ურთიერთობა აქვს. მოდი, ვიცოდეთ, ვინ ვინ არის თქვენი გამოგონილი პერსონაჟის ირგვლივ.

მაგალითი:

ბუსის ოჯახში ხუთნი იყვნენ: დედა პაიპი – 42 წლის, დაბადებული 10 აპრილს, მამა ჰენრი – 44 წლის, დაბადებული 29 თებერვალს (მაგრამ 28-ში აღნიშნავდა), შუათანა დაიკო ალისა – 13 წლის და 13 დეკემბერს ჰქონდა დაბადების დღე, უფროსი ძმა მაქსი – 17 წლის, რომელიც 15 ივლისს ზეიმობდა იუბილეს.

დედა ძალიან ლამაზი იყო, შავი, შეკრული თმით, უცნაურად მოყვითალო ფერის თვალებით, რომელზეც ძვლისგან დამზადებული მრგვალი სათვალე ეკეთა.

მამას ქერა თმა და ლურჯი თვალები ჰქონდა და ალისაც მას ჰგავდა, როგორც ხშირად გოგოები ჰგვანან მამებს. მაქსს ქერა თმა კი ჰქონდა, მაგრამ თვალები – დედასავით მოყვითალო.

პაიპს კითხვა უყვარდა და შვილებსაც ხშირად სთხოვდა ხოლმე, ეკითხათ წიგნები. ჰენრის მუშაობა მოსწონდა და ვერ იტანდა უსაქმურებს. შვებულების დროსაც კი სულ სახლის საქმეებს აკეთებდა, ფუსფუსებდა. ალისა გიჟდებოდა სიმღერაზე და „პრანჭიაობაზე“, ვერ იტანდა, როცა პატარა ბუსი ოინებს უწყობდა ხოლმე მაინცდამაინც მუსიკის გაკვეთილზე და კიდევ ის არ მოსწონდა, ვინმეს მასზე უკეთესი კაბა ან ტელეფონი რომ ჰქონდა.

მაქსს მეგობრებთან ერთად გართობა უყვარდა და ვერ იტანდა ოჯახურ დღესასწაულებს. ასეთ დროს რამეს მოიმიზეზებდა და სახლიდან მიდიოდა.

პაიპს ქვეწარმავლების ეშინოდა, ჰენრის – ბაბუის (ჰენრის ბაბუის ბუსისაც ეშინოდა). ალისას ეშინოდა, რომ სკოლაში პოპულარობას დაკარგავდა, მაქსი „მარიაჟი“ იყო და ამბობდა, რომ არაფრის ეშინია, მაგრამ სინამდვილეში მასაც ეშინოდა... გაგეცინებათ და მწერების.

ბუსის 13 წლის მეგობარს ბილი ერქვა, რომელიც ქერა, გრძელ თმას ატარებდა. მას ნახშირივით შავი თვალები ჰქონდა და ძალიან მაღალი იყო. ბილის ბუსისთან გართობა და თამაში და კიდევ მისი დაიკო ალისა უყვარდა. ვერ იტანდა ცინიკურ ადამიანებს. ეშინოდა მონსტრების და სიბნელის. ბილის საიდუმლო სწორედ ის იყო, რომ საუკეთესო მეგობრის და უყვარდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ამბავი ბუსიმაც იცოდა.

ბუსის 12 წლის ანტაგონისტიც ჰყავდა და მას ბენი ერქვა, რომელსაც ყავისფერი თვალები და შავი თმა ჰქონდა. ბენს ძალიან უყვარდა ჩხუბი და საშინლად არ უყვარდა ბუსისთან წაგება. ეშინოდა ერთი-ერთზე დამარცხების (რაც ჯერ არასოდეს მომხდარიყო).

1. აღწერეთ პერსონაჟის ოჯახის წევრები. გამოიყენეთ იგივე მეთოდი და უპასუხეთ იმავე კითხვებს, რომლებიც პერსონაჟის შექმნისას გამოგადგათ.

2. გაგვაცანით თქვენი პერსონაჟის მეგობრები. დეტალურად მოიფიქრეთ და დაწერეთ, სად, რა ვითარებაში გაიცნეს მათ ერთმანეთი; როგორ დამეგობრდნენ; რა საერთო აქვთ და რა განასხვავებთ ერთმანეთისგან.
3. აღწერეთ თქვენი პერსონაჟის ანტაგონისტი (სხვანაირად რომ ვთქვათ, ის, ვინც მას არ უყვარს). ესეც მნიშვნელოვანი პერსონაჟია, ვინც თქვენს გმირს მიზნის მიღწევაში უშლის ხელს. რა არის ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ორი პერსონაჟი ვერ მეგობრობს? სად იკვეთება მათი ინტერესები და სად უშლიან ერთმანეთს ხელს?

სავარჯიშო მეოთხე

გმირის საცხოვრებელი სივრცე

ყველა პერსონაჟზე შეგვიძლია შთაბეჭდილება შევიქმნათ, თუ გავარკვევთ, როგორ გარემოში ცხოვრობს. ადვილი მისახვედრია, რომ ის, ვის ოთახშიც ფეხბურთელების პლაკატებია გაკრული, კუთხეში ბურთი გდია და რამდენიმე ცნობილი კლუბის მაისურია სკამზე გადაკიდებული, ფეხბურთელია ან ფეხბურთის გულშემატკივარი.

თუ ოთახი არ აქვს თქვენს გმირს და ქუჩაში სძინავს, ამაზეც მოგვიყევით. რატომ მოხდა ასე? ვისი ბრალია? რა შეემთხვა თქვენს გმირს ან მის ოჯახს ისეთი, რომ ახლა მას ჭერიც კი არ აქვს თავზე?

მაგალითი:

ბუსი ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, მისი ოთახი მეორე სართულზე, კიბიდან ხელმარცხნივ იყო და ტყის მხარეს იყურებოდა.

ოთახში იდგა წიგნების დიდი და ტანსაცმლის პატარა კარადა, კაც-ნახევრიანი საწოლი, დიდი ტელევიზორი თავისი ფლეისთეიშენით, საწერი მაგიდა, ლეგოების და სათამაშოების ყუთები და კომპიუტერის მაგიდა, რომელზეც მამის ნაჩუქარი ძველი კომპიუტერი ედო.

მესამე გაკვეთილი

რადგან უკვე პროტაგონისტისა და ანტაგონისტის შექმნა ვისწავლეთ, დავწერეთ სხვადასხვა დავალება, რაც ჩვენი გმირის უკეთ გაცნობაში დაგვეხმარებოდა ჩვენც და ჩვენ მკითხველსაც, მოდი, ახლა უფრო მეტი გავიგოთ გარემოცვაზე, რადგან ამის გარეშე ცოტა პერსონაჟს თუ იპოვით წიგნებში.

სავარჯიშო მეხუთე

მენტორი

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია გვასწავლის, რომ გმირის თავგადასავალი ხშირად მენტორთან შეხვედრის შემდეგ იწყება. ვინაა მენტორი? როგორც წესი, ეს ასაკით უფროსი ადამიანია, ვინც ჩვენ პერსონაჟს შემთხვევით გაიცნობს და რაღაც ისეთს ეტყვის, რომ მასში მოგზაურობის სურვილს აღძრავს. ამ მოგზაურობაში, ამ თავგადასავალში იზრდება კიდეც ჩვენი პერსონაჟი და ხდება ისეთი, როგორიც ის წიგნის ბოლოს გვხვდება ხოლმე.

მენტორის მოსაფიქრებლად, ჯერ გაიხსენეთ, რა ინტერესები აქვს თქვენს პერსონაჟს, რაზე ოცნებობს, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა კი უჭირს, ეშინია, ერიდება, ან სულაც ეზარება. ამის შემდეგ, ზუსტად ისე, როგორც პერსონაჟის შექმნისას, აღწერეთ მენტორის სრული პორტრეტი, აგერ ნახავთ, ჩვენ მას მოგვიანებით ოსტატურად გამოვიყენებთ.

რა ჰქვია და რა გვარია მენტორი?

რა ასაკისაა?

როგორი გარეგნობა აქვს? (დეტალურად აღწერეთ გარეგნობა)

როგორი ხასიათისაა?

რა მიზანი აქვს ჩვენ გმირთან მიმართებით?

რა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს?

სად და როგორ გაიცნო მენტორმა ჩვენი გმირი?

რა ურჩია მენტორმა პროტაგონისტს?

დაწერეთ ერთი მნიშვნელოვანი (დიახ, მნიშვნელოვანი და არა უბრალოდ) ამბავი მენტორის ცხოვრებიდან.

მაგალითი:

ბუსი და ბილი კომპიუტერული თამაშების ჩემპიონატზე აპირებდნენ გასვლას, მაგრამ მშობლებმა არ გაუშვეს.

ამ ამბის შემდეგ, ბიჭები ძალიან მოწყენილები იყვნენ და მშობლებმა ორივეს სუფთა ჰაერზე გაყვანა გადაწყვიტეს.

პარკში ბუსი და ბილი ვერაფრით ერთობოდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს ჯარისკაცის ფორმაში ჩაცმულ ბიჭთან მისულიყვნენ და მისი ამბები მოესმინათ. ის მართლაც ჯარისკაცი აღმოჩნდა, ჯერემი ერქვა და 33 წლისა იყო. ჯე-

რემს შავი, კუპრივით შავი თმა და მუქი ლურჯი თვალები ჰქონდა. ნავარჯიშევი, დაკუნთული სხეული სიგამხდრის მიუხედავად მაინც ეტყობოდა.

ჯერემი მხიარული იყო, მაგრამ გამოხედვაში სევდა მაინც ემჩნეოდა. ყველა მისი ისტორია საინტერესო იყო: ტანკებისგან გაქცევა, სამასი ჯარისკაცი სამიათასის წინააღმდეგ, დიქტატორის მოკვლა, კოშკში შეპარვა, ავღანეთიდან ხალხის გამოყვანა და ერთი პატარა ქვეყნის, საქართველოს ჯართან ერთად ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. თუმცა მისი ყველაზე საინტერესო ისტორია შემდეგი იყო:

როდესაც სამასკაციანი ჯარით სამიათასიან ბატალიონს ებრძოდნენ, ამერიკელებმა ჰარტიელებს (უცნობი, გამოგონილი ქვეყანა) მოუგეს. მიუხედავად იმისა, რომ ათჯერ ნაკლებნი იყვნენ. სულ ოცდაათი კაცი გადარჩა, მათგან ერთ-ერთი ჯერემი იყო, ის დაჭრეს.

ამ დროს მათ ასკაციანი ბატალიონი წამოეწიათ, კიდევ ათი კაცი მოკლეს, გადარჩენილები კი დაატყვევეს. დაცული ციხიდან გაქცევა მაინც მოახერხა ჯერემმა. ეს ასე მოხდა: ტყვეობისას, ბევრჯერ აწამეს სამხედრო, მაგრამ ინფორმაცია კი ვერ დასტყუეს. ერთ-ერთი წამების შემდეგ, როდესაც ის საკანში მიჰყავდათ, დაჭრილმა ჯერემმა მცველს ის დანა წაართვა, რომლითაც დანა ტანი დაუსერეს და სამივე მცველი დახოცა. გადაიცვა ერთ-ერთის ფორმა და საკნის მცველი გათიშა, გასაღებების აცმა წაართვა და მეგობრებიც დაიხსნა. ისინი სამხედრო ჯიპით გაიპარნენ.

ახლა ჯერემი ქვეყნისგან დაუფასებელი ვეტერანი იყო და საღამოებს, აქ, საზოგადოებრივ პარკში ხეტიალში ატარებდა. ბუსიზე ისე იმოქმედა ამბავმა, რომ გადაწყვიტა, თავადაც ჩაედინა გმირობა.

სავარჯიშო მეექვსე

ალბათ დავკვირვებივართ, რომ წიგნებში ხშირია დიალოგები. ესაა ადგილი, როდესაც ორი პერსონაჟი ერთმანეთში ლაპარაკობს. ასეთი საუბრის დროს, გამოცდილი ავტორი დიალოგში პერსონაჟებს კიდევ უკეთესად გვაცნობს.

ამ სავარჯიშოს მიზანია მოვიფიქროთ ისეთი დიალოგი, სადაც არ ვიცით, რა წინაპირობა აქვთ მოსაუბრეებს. სად არიან, ვინ არიან და რა მიზანი ამოძრავებთ, მაგრამ წაკითხვის შემდგომ, მკითხველი მაინც მიხვდება რა ხდება.

მაგალითი:

ლუკა – ზეგ ჩემს ანთმენს გაჩუქებ.

საბა: – არ მჭირდება შენი ცალხელა ანთმენი.

ლუკა: – ხელი, აი, ასე უნდა დააწებო და ახალივითაა.

საბა – ვერ ვიტან ანთმენებს.

ლუკა – სპაიდერმენებს ჯობიან.

საბა – ეგენი, ეს ერთი, ნამდვილი მამა და დედა არ არიან და პაკომ თქვა კიდე, ფულს უხდიან მაგათ რომ ავადმყოფი...

ლუკა – პაკო ბოროტია.

საბა – ...

ლუკა – პულტიან კაცსაც, ზანგსაც, ბუცებსაც და კიკისაც გაჩუქებ.

საბა – კიკი, შენი არაა.

ლუკა – ჩემიცაა.

საბა – ძაღლს ხომ არ დაჭრი? ძაღლი მთლიანია და ისედაც აქ დარჩება.

ლუკა – ...

საბა – ჯერ ეს ერთი, თურმე მშობლები აძალებენ ხახვების ჭამას.

ლუკა – ტყუილია. დედები ყველაფერს პატიობენ შვილებს.

საბა –

ლუკა –

საბა – მამაჩემი ყველაზე კეთილი იქნება.

ლუკა – ჩემი მამა ისედაც უკვე ძალიან კეთილია.

საბა – და დედაჩემი კიდევ ძალიან ლამაზი იქნება, ყველაზე ლამაზი. დედაშენზე ლამაზიც.

ლუკა – გშურს!

საბა – ღმერთს გეფიცები, არ მშურს. მე თვითონვე არ მინდა არსად წასვლა.

ლუკა – გშურს და ბოროტი ხარ. მეჯავრები.

(ანთმენს მეორე ხელსაც მოატეხავს, ფეხებთან დაუგდებს საბას და ოთახიდან გარბის)

აბა თუ გამოიცნობთ, სად ხდება მოქმედება, ვინ არიან გმირები და რა სიტუაციაა აღწერილი?

ავტორის პასუხს ცოტა ქვევით წაიკითხავთ:

მოქმედება ვითარდება მიუსაფარ ბავშვთა სახლში. ორი მეგობარი (7-8 წლისები) საუბრობენ. ლუკა ოჯახმა იშვილა, საბა ეჭვიანობს და ლუკას წასვლის წინ ბრაზს ამგვარად გამოხატავს.

სავარჯიშო მეშვიდე

ამ თავის სავარჯიშო ასეთია: მოდი, ვნახოთ, რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ გმირს. ვინც თვითონ არ იცნობს ბოლომდე პერსონაჟს, რომელზეც წიგნის დაწერას აპირებს, ის სხვასაც ვერ დააჯერებს სიმართლეში, ლიტერატურა ხომ სხვა არაფერია თუ არა სიმართლის დამაჯერებლად თქმის ხელოვნება.

მაშ ასე, კარგად გაიხსენეთ თქვენი შექმნილი გმირი და ასევე პერსონაჟი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონდათ წაკითხული წიგნებიდან. ახლა ისინი ერთმანეთს შევახვედროთ და დავაკვირდეთ, როგორ მოიქცევიან, როგორ ილაპარაკებენ.

მოიფიქრეთ ადგილი, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.

მოიფიქრეთ, რა საერთო ინტერესი აქვს თქვენს პერსონაჟს და გმირს, საყვარელი წიგნიდან.

მოიფიქრეთ თავგადასავალიც, რომელიც მათ გადახდათ თავს.

მაგალითი:

ერთ დღეს, ბუსი თავის ბიძაშვილთან ჯეიმსთან სარი სთრიტზე წავიდა ღამისთევით. იქვე მეზობლად ერთი ცელქი ბიჭი, გრეგ ჰეფლი ცხოვრობდა. ბუსისას და გრეგსაც მოსწონდათ ვიდეო თამაშები, ასე რომ, ბუსიმ სიამოვნებით დაპატიჟა გრეგი ბიძაშვილის სახლში. მათ შეთანხმება დადეს, რომ გრეგი თავის „მრუდე ჯადოქარ 2-ს“ წამოიღებდა, ხოლო ჯეიმსი და ბუსი მას Star War-ს დაახვედრებდნენ, რომლის თამაში რამდენიმე ადამიანის ერთდროული მონაწილეობით ურიგო არ არის.

თამაშის შემდეგ, „ვარსკვლავური ომების“ ორი სერიის ნახვაც დაგეგმეს, მაგრამ რად გინდა? შაბათი იყო და გრეგის დედამ „არანაირი ვიდეო თამაშებიო!“ თქვა და „მრუდე ჯადოქარის“ დისკიც არ გაატანა შვილს, თუმცა გრეგმა მშობელს დაუმალა, რომ ბიჭებს სხვა დისკიც ჰქონდათ მომარაგებული, ამიტომ სევდიანი სახე მიიღო და სინამდვილეში კი გახარებული წავიდა სტუმრად.

თან ისიც უნდა ვთქვათ, რომ გრეგს გულის ჯიბეში სხვა თამაშის დისკი მაინც ედო (ეს წინა თვეში ნაჩუქარი ფულით ჩუმად შეიძინა და არავის ეუბნებოდა) და ბიჭებმაც იდეალური დრო გაატარეს ჯეიმსთან.

(ვინც არ იცით, გრეგი „წრიპა ბიჭის“ პერსონაჟია)

მეოთხე გაკვეთილი

ახლა წერაში გასაწაფად პატარა სავარჯიშოები დაგვჭირდება, რომელიც მასწავლებლის დახმარებით შეგვიძლია რამდენიმე შეხვედრაზე გადავანაწილოთ.

თავი მეორე

ამ თავში ბევრი პრაქტიკული, ოდნავ მოსაწყენი სავარჯიშო შეგხვდებათ, მაგრამ თქვენი დაოსტატებისთვის აუცილებელია ეს Level-იც გაიაროთ, რათა ნამდვილი მწერლებისთვის მისაცემ დავალებას ადვილად გაუმკლავდეთ.

სავარჯიშო პირველი

აღწერეთ თქვენი გმირის საყვარელი ამინდი, რაც შეიძლება დეტალურად.

სავარჯიშო მეორე

გადმოეცით, რას გრძნობს თქვენი გმირი, როდესაც საყვარელ მუსიკას უსმენს, უყურებს ფილმს, რომელიც ათასჯერ უნახავს, მაგრამ არ ჰბეზრდება, მიირთმევს ყველაზე მაგარ კერძს და ასე შემდეგ.

სავარჯიშო მესამე

მოიფიქრეთ 5 განსხვავებული სიტუაცია, სადაც თქვენი გმირი იქნება აღწერილი. აუცილებელი პირობაა, რომ ხუთივე ამბავში ხუთი მთავარი გრძნობა მონაწილეობდეს: ყნოსვა, გემო, შეხება, სმენა, ვიზუალი.

სავარჯიშო მეოთხე

პერსონაჟი კრიზისის დროს. როგორ იქცევა ის? მოიფიქრეთ პატარა ამბავი, სადაც რომელიმე ბუნებრივი კატაკლიზმა იქნება აღწერილი: გრიგალი, ცუნამი, მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა თუ სხვა. ახლა, როგორც ნამდვილ

მწერლებს შეუძლიათ, ლოგიკურად, სწორედ აქ, ამ ვითარებაში თქვენი პერსონაჟი შემოიყვანეთ და ვნახოთ, როგორ მოიქცევა ის ძალიან რთულ ვითარებაში.

სავარჯიშო მეხუთე

მოიფიქრეთ და დეტალურად აღწერეთ დღე, რომელიც თქვენმა გმირმა საუკეთესოდ გაატარა.

მაგალითი:

ერთ დღეს ბუსი ალისას დაბადების დღისთვის საყიდლებზე წავიდა. წასვლამდე კარგად გამოეწყო, რადგან ალისას თქმით, დაბადების დღეზე ადამიანს სადღესასწაულოდ უნდა ეცვას, ჩაიცვა ლამაზი პიჯაკი, ჰალსტუხი, ასევე ძვირადღირებული სუნამო იპკურა და საათიც გაიკეთა. ჯინსის შარვალი ვერ ნახა და ნაჭრისა ჩაიცვა. 30 კილომეტრის გავლა მოუწია და შარვალმა ცოტა დაღალა, მაგრამ რას იზამდა?

სამაგიეროდ, ალისას ლამაზი კაბა და მზის სათვალე უყიდა (მიუხედავად იმისა, რომ სულ ჩხუბობდნენ, ბუსის თავისი ცელქი და მსოფლიოში ყველაზე მეტად უყვარდა). საბოლოო ჯამში 203 დოლარი დახარჯა მარტო ალისას საჩუქრებში, მთლიანობაში კი იმ დღეს, 607 დოლარი შემოეხარჯა. რა ექნა, რამდენი გასართობიც ნახა, ყველგან გაუწია გულმა.

ალისას ძალიან გაუხარდა საჩუქრები და თქვა, რომ ეს მის ცხოვრებაში საუკეთესო საჩუქრების მიღების დღე იყო, რამაც ბუსის გული აუჩუყა და კინაღამ თავიდან წავიდა საყიდლებზე.

დაბადების დღეზე ბილიც მოიწვიეს და ბუსიც ალისასთან დაახლოებაში დაეხმარა საუკეთესო მეგობარს.

ალისასთან ერთად, სტუმრებმა საჩუქრები ბუსისაც მოუტანეს. ბიჭი ისე გაახარა ამ ამბავმა, გადაწყვიტა მეორე დღეს სკოლაში ასე სადღესასწაულოდ გამოწყობილი წასულიყო და ცოტა ემაიმუნა კიდეც ჰალსტუხიანს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რაც მას სასაცილო ეგონა, კლასელებისთვის და მასწავლებლებისთვის "Wow" ამბავი იყო და ბუსის პოპულარობა ერთ დღეში უცბად გაიზარდა.

„რა კარგი ყოფილა ჩემი დის დაბადების დღე!" გაიფიქრა ბუსიმ, „ნეტავ ყოველ დღე იყოს! იდეალურად ვიცხოვრებდი!"

სავარჯიშო მეექვსე

მოიფიქრეთ და აღწერეთ დღე, რომელიც ყველაზე უსიამოვნო და მძიმე იყო თქვენი გმირის შემთხვევაში

მაგალითი:

ერთ დღეს ბუსი და მამამისი ჰენრის ბაბუის დაბადების დღეზე წავიდნენ. როგორც გახსოვთ, ამ კაცის ორივეს მაგრად ეშინოდა, რადგან სულ წესრიგს და კარგად მოქცევას ითხოვდა შვილიშვილისა და შვილთაშვილისგან. ახლა კი მისი იუბილე იყო (90 წლისა გახდა) და ჰენრიმაც მკაცრად გააფრთხილა შვილი, იცოდე, თოჯინასავით იჯექი სანამ იქ ვიქნებით, თორემ ორივეს გამოგვაპანღურებენო.

დიდი ბაბუა იუბილეს სახლში აღნიშნავდა. სტუმრად თანამშრომლები , მეგობრები, შვილები და მათი ოჯახები ჰყავდა და ძალიან ბედნიერი იყო ამ დღით.

„იცოდე, ჰენრი, არ დააგვიანო! ოთხზე ვსხდებით!“ – გააფრთხილა ბაბუამ ბუსის მამიკო, ამიტომაც, შეშინებულმა კაცმა სახლიდან ორი საათით ადრე გასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბედი არ გინდა? ისეთ საცობში მოყვნენ, სამი საათი კუსავით მიღოღავდნენ.

სახლში ტარაკნებივით შეიპარნენ მამა და შვილი. ბაბუამ ორივე შენიშნა, მაგრამ საყვედურის ნაცვლად ხმამაღლა წარუდგინა მეგობრებს, ჩემი საამაყო და ცელქი შვილიშვილი და მისი ჭკვიანი ბიჭუნა მესტუმრნენ როგორც იქნაო.

ბუსი სუფრასთან გასუსული იჯდა. ათასნაირი საჭმელი ელაგა და ყველას ჭამა უნდოდა, მაგრამ სად ჰქონდა შენიშვნების თავი, ამიტომ მხოლოდ ის მიირთვა, რაც ნათესავმა ქალმა თეფშზე დაუდო.

სტუმრები 9 საათისთვის წავიდნენ. ჰენრიმ ბაბუას უთხრა, რომ ისინიც აპირებდნენ წასვლას, რომ შინ დროულად მისულიყვნენ. დაემშვიდობნენ ყველას და უკანა გზაზე ისევ უზარმაზარ საცობში აღმოჩნდნენ. ამჯერად, 2 საათის მანძილზე 12 კილომეტრი ძლივს გაიარეს. ამაზე სწრაფად ადამიანი ფეხით დადის მგონი, ამიტომ ბუსიმ ძალიან მოიწყინა. 3 საათი ერთი გზა, სამიც მეორე და მანქანაში არაფერი ხდება საინტერესო!

ხომ არ გავაჩეროთ სადმე და ბაბუასთან მივბრუნდეთ იქ დავრჩეთ? შესთავაზა მამამ ბუსის, მაგრამ ბიჭი წინააღმდეგი იყო. ვერ იტანდა იმ სახლს და კედლის საათიდან გამომხტარ კოდალას.

ბუსის სახლამდე კიდევ 82 კილომეტრი იყო. ბიჭი გუნებაში ითვლიდა, თუ ორ საათში 12 კილომეტრი გავიარეთ, ესე იგი...

მაგრამ მალე საცობი გაიხსნა. მართალია, უკვე ღამის პირველი საათი იყო, მაგრამ ცოტაც და სახლში მივიდოდნენ. ჰენრიმ გაზის პედალს ფეხი დააჭირა და... მანქანაც გაფუჭდა. გზაში ბუსი მამის ტელეფონით თამაშობდა, თავისი სახლში დატოვა, ახლა კი დახმარების გამოძახებაც არ შეეძლოთ. 37 კილომეტრი იარეს ფეხით. ყველაფერთან ერთად თქეში წვიმაც წამოვიდა და სულ დასველდნენ. აქამდე თუ ამდენი მანქანა დადიოდა, თითქოს ბედად ახლა ერთმა გამვლელმაც კი აღარ გამოიარა. სახლში გამთენიისას მივიდნენ და ერთმანეთს გაბუტულებივით დაემშვიდობნენ, სანამ დაიძინებდნენ.

ბუსისთვის ეს ყველაზე საშინელი დღე იყო ცხოვრებაში.

სავარჯიშო მეშვიდე

შეცვალეთ რამე ან ვინმე. მაგალითად, გვანახეთ, როგორ ეცვლება ხასიათი თქვენს გმირს, როგორ იცვლება ბუნება სეზონის მიხედვით, როგორ იცვლება ერთი მოვლენა მეორით და ასე შემდეგ. მთავარია, კარგად დაგვანახვეთ უშუალოდ ცვლილების მომენტი.

სავარჯიშო მერვე

წერილი წარსულს და მომავალს. ამ სავარჯიშოში, თქვენმა გმირმა (გააჩნია, რა ასაკისაა) მისწეროს წერილი საკუთარ „მე“-ს წარსულში ან მომავალში. ამ წერილში უნდა ჩანდეს სხვაობა, როგორი იყო ის ადრე და როგორია ახლა.

მაგალითი:

გამარჯობა ჩემო თავო 20 წლის შემდეგ!

ეს მე ვარ, ბუსი, შენი თავი, ოღონდ 12 წლისა. ვიცი, ახლა მდიდარი და ცნობილი ხარ, ანუ ვარ. ალბათ ახლა გემრიელობებს მიირთმევს, უფრო ზუსტად, მივირთმევ და Playstation-ს თამაშობ, ბოდიში, ვთამაშობ.

ცოლ-შვილი მყავს? ვარსკვლავური ომები ისევ მიყვარს? ბურგერი? ჩემი საყვარელი წიგნი ახლა რომელია? ალისა და ბილი დაქორწინდნენ? ანიმეების ყურება ისევ მომწონს?

კითხვები გამითავდა და დაგემშვიდობები.

პ.ს. ამ წერილს ისეთ ადგილას შევინახავ, რომ 20 წლის მერე უსაფრთხოდ გავხსნა.

7/03/2021

ბუსისგან ჩემს თავს!

სავარჯიშო მეცხრე

გადააკეთეთ თქვენი გმირი რამდენიმე საათით. შეცვალეთ თქვენი გმირი ანტიგმირად. როგორი იქნებოდა ის, ცუდი ტიპაჟი რომ ყოფილიყო. როგორი იქნება ბოროტი „სუპერმენი“ ან ნარუტო თუ ბოროტების მხარეს დადგება, ბევრის გაფუჭებას მოახერხებს? როგორ? მოიფიქრეთ მისი საწინააღმდეგო მოქმედებებიც.

მაგალითი:

ამ თავში ბუსის პარალელური სამყაროს რეალობას წარმოგიდგენთ:

როდესაც ბუსიმ სკოლის ზარი გააფუჭა და ბილს გადააბრალა, ბილიმ ბუსისთან ჩხუბი გადაწყვიტა. ამის შემდეგ, ბუსიმ ისე სცემა ბილი, თავ-ყბა გაუერთიანა და ცხვირიც გაუტეხა. ორი დღის შემდეგ კი სულაც კატა მოკლა და მაქსს პაემანი ჩაუშალა. თავის ბიძაშვილს ფლეისთეიშენი დაუმტვრია და ბებოს ყვავილები ამოჩიჩქნა, მერე ბიო ტუალეტში ნიღბით შეუვარდა უცნობ კაცს და ტუალეტის ქაღალდი გამოსტაცა ჩაცუცქულ, გაოგნებულ კაცს, მერე ქაღალდი დაკუწა, ქუჩაში დაყარა და ბუნება დაანაგვიანა.

მეხუთე გაკვეთილი

სავარჯიშო მეათე

მეათე გვერდის სავარჯიშო. აიღეთ ნებისმიერი წიგნი თქვენი თაროდან, გადაშალეთ მეათე გვერდზე და მეათე წინადადება გააგრძელეთ თქვენებურად ისე, რომ დაწეროთ მინიმუმ 10 ახალი ლოგიკური წინადადება.

მაგალითი: (ნაწყვეტი აღებულია წიგნიდან „ტომ სოიერი“)

„მოხუცმა ხელი შეახო ტომის პერანგს და თქვა: ასე რამ დაგასველა?“ (ციტატა წიგნიდან)

ტომმა უპასუხა: აქვე, მდინარეში ჩავხტი და...

- **და რა, გახიე?**
- **არა, მაგრამ, დავასველე!**
- **მდინარეში რა გინდოდა?**
- **გაგრილება!**
- **ტანზე რომ გაგეხადა და ისე ჩამხტარიყავი, არ სჯობდა? – ჰკითხა დეიდამ.**
- **ვერ მოვასწრებდი, გოგო იხრჩობოდა.**
- **აკი გაგრილებაო? რატომ მატყუებ, ტომ?**

სავარჯიშო მეთერთმეტე

ჰკითხეთ საკუთარ პერსონაჟს თერთმეტი „რატომ?“, რომელზეც მისი პასუხები ამომწურავი იქნება.

მაგალითი:

შეკითხვა 1: ბუსი, რატომაა შენი საყვარელი ფილმი Star Wars?
პასუხი: იმიტომ, რომ ყველაზე საინტერესო სიუჟეტი აქვს.

შეკითხვა 2: რატომ ემეგობრები ბილს?
პასუხი: ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს.

შეკითხვა 3: რატომ გიყვარს შენი და უფრო მეტად, ვიდრე ძმა?
პასუხი: ბუნებრივია, ასე რომ არის. ჩემი ძმა საერთოდ არ მეკონტაქტება.

შეკითხვა 4: რატომ ცდილობ, ძმა მის მეგობრებთან შეარცხვინო?
პასუხი: ზედმეტად ტრაბახაა და იმიტომ.

შეკითხვა 5: რატომ მოგწონს კომპიუტერული თამაშები?
პასუხი: იმიტომ, რომ ძალიან სახალისოა.

შეკითხვა 6: რატომ გიყვარს ანიმეები?
პასუხი: ძალიან მაგარი სიუჟეტი აქვს და სულ ბრძოლებია.

შეკითხვა 7: რატომ მოგწონს ჭადრაკი?
პასუხი: ტვინს მირთობს.

შეკითხვა 8: რატომ ვარჯიშობ?
პასუხი: რომ გავძლიერდე.

შეკითხვა 9: რატომაა შენი საყვარელი კომპიუტერული თამაში Blood Born?
პასუხი: საუკეთესო „ბოსებთან“ ბრძოლებია.

შეკითხვა 10: რატომ გირჩევნია ნარუტო ბორუტოს?
პასუხი: ბორუტო უინტერესოა.

შეკითხვა 11: რატომ გიყვარს ბურგერი?
პასუხი: მმმ, გემრიელია!

სავარჯიშო მეთორმეტე

დაწერეთ ერთი და იგივე ამბავი თქვენი გმირის მონაწილეობით მინიმუმ 5 სხვადასხვა ჟანრში.

სავარჯიშო მეცამეტე

განათლების მინისტრის მიმართვა მშობლებს: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ საკუთარი ქვეყნის განათლების მინისტრი ხართ და ოფიციალური, სატელევიზიო გამოსვლისთვის წერთ მიმართვის ტექსტს, სადაც უნდა ილაპარაკოთ, რა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის ნაყინი, კომპიუტერული თამაშები, გართობა და თამაში. გამოიყენეთ რაც შეიძლება ოფიციალური და შაბლონური სიტყვები.

სავარჯიშო მეთოთხმეტე

თქვენი პერსონაჟი ელაპარაკება უსინათლოს, რომელიც სთხოვს მას, აღუწეროს: ცისფერი, ატამი, ხე, ზღვა, მარტორქა და ტელევიზორი. აღწერეთ ჩამოთვლილი ისე, რომ უსინათლომ გაიგოს.

მაგალითი:
ბუსი: წყალს შეეხე და ჰაერი ჩაისუნთქე, ახლა წარმოიდგინე ფერი. როგორია?

უსინათლო: არ ვიცი. მაგას ვერ აღვწერ. ვერ ვხედავ.

ბუსი: ღიაა?

უსინათლო: ანუ?

ბუსი: როგორსაც ხედავ, სიბნელეს, იმისგან განსხვავებულია?

უსინათლო: კი.

ბუსი: სისუფთავეს მოგაგონებს?

უსინათლო: დიახ!

ბუსი: აი, ეს არის ცისფერი. კარგი, ახლა ატამს აღგიწერ! ოდესმე ატამი გიჭამია?

უსინათლო: რა თქმა უნდა, კი.

ბუსი: ახლა შენს ლოყას შეეხე და ატმის გემო გაიხსენე! გამოვიდა?

უსინათლო: მრგვალია?

ბუსი: სწორად გამოიცანი. ალბათ, მარტო დაჭრილი ატამი გიჭამია, არა?

უსინათლო: დიახ.

ბუსი: ჰოო, მთელი მეც არ მომწონს.

უსინათლო: მშობლები მიჭრიან.

ბუსი: მოდი, ხეს შეეხე. მუქია?

უსინათლო: მე მხოლოდ ერთ ფერს ვხედავ.

ბუსი: წარმოსახვაში ცოტა გააღიავე. გამოვიდა?

უსინათლო: მგონი, კი.

ბუსი: ეს არის ყავისფერი. ამ ფერის ტოტები და ღერო აქვს ხეს, როგორც ჩვენ გვაქვს ხელები და ფეხები. ფოთლები მწვანეა, მაგრამ ამ ფერს ვერ აღვწერ, მწვანილს რომ ჭამ, რა გემოც აქვს მას, ისეთი ფერია ფოთოლი. სასიამოვნო შრიალი ხომ მოგისმენია ფოთლის?

უსინათლო: მომისმენია.

ბუსი: ასეთია ხე. ზოგ ხეს წიწვები აქვს, როგორც ადამიანს თმა, ოღონდ უხეში, დაუბანელი თმა. ზოგს კი ფოთლები აქვს.

უსინათლო: ეგ ვიცი.

ბუსი: წარმოიდგინე?

უსინათლო: კი.

ბუსი: ახლა წამოდი ისევ წყალთან, შევეხოთ. ცისფერი რომაა, ხომ წარმოიდგინე უკვე?

უსინათლო: რატომაა წყალი ცისფერი?

ბუსი: ცას ირეკლავს და ცის ფერს იღებს.

უსინათლო: ყველა წყალი?

ბუსი: არა, ბევრი წყალი, მაგალითად, ზღვა.

უსინათლო: წარმოვიდგინე.

ბუსი: ახლა გეტყვი, რომ ზღვა ძალიან ბეეევრი მლაშე წყალია.

უსინათლო: მზადაა!

ბუსი: ახლა მარტორქა. ის დიდია, ნაოჭებიანი, სქელი ტყავი აქვს და გრძელი რქა ცხვირის ნაცვლად. წარმოიდგინე?

უსინათლო: კი.

ბუსი: ახლა ტელევიზორს აგიხსნი. ტელევიზორი... მმ, ეს ყუთია, სადაც ადამიანები და ცხოველები ჩანან, მაგრამ სინამდვილეში, ისინი იმ წუთას იქ კი არ არიან, სხვაგან არიან და ამ ყუთში კი ვუყურებთ.

უსინათლო: უღრმესი მადლობა.

ბუსი: შეხვედრამდე!

უსინათლო: შეხვედრამდე!

სავარჯიშო მეთხუთმეტე

ერთი სრული დღით წაიყვანეთ საკუთარი პერსონაჟი სრულიად უცხო ქვეყანაში, ქალაქში და მიეცით დავალება.

მაგალითი:

ერთ დღეს ბუსი ბილთან და მის ოჯახთან ერთად თურქეთში გაფრინდა დასასვენებლად. იქ უზარმაზარ აკვაპარკში წავიდნენ და ბუსიც წაიყვანეს.

ცურვის შემდეგ ცოტა მოშივდათ და გადაწყვიტეს ბურგერი ეჭამათ. ბილს ადგილის მოძებნა სთხოვეს გარეთ, სადაც ყველანი დასხდებოდნენ ბილის მამა და უმცროსი ძმა კი შენობაში ეძებდნენ თავისუფალ სივრცეს. სამწუხაროდ, ყველაფერი დაკავებული აღმოჩნდა, ამიტომ ბუსი და ბილის დედიკო ქუჩაში საჭმლის საყიდლად წავიდნენ.

თურქული საჭმელი რომ იყიდეს და უკან ბრუნდებოდნენ, ბილის დედას ფეხი აუცურდა და მარჯვენა კოჭი მოიტეხა. ბუსი არ დაიბნა, აკვაპარკის ექიმთან გავარდა, მაგრამ ახლა მას შეემთხვა ცუდი რამ – სხვას შეეჯახა და ხელი გადაიტყავა. ამასობაში ხალხმა სასწრაფო გამოიძახა, თუმცა გაირკვა, რომ ექიმები 20 წუთი ვერ მოვიდოდნენ.

ბუსიმ მოიფიქრა ასეთი რამ: ხმამაღლა ინგლისურად დაიყვირა: ვინმე ექიმი ხომ არაა აქვეო (ასე ენახა, რომ თვითმფრინავში გააკეთეს ერთხელ)

და მართლაც, იქვე კაცი მოვარდა და ბილის დედას რჩევები მისცა, როგორ დამჯდარიყო.

ამასობაში ექიმებიც მოვიდნენ, ბილი, მამამისი და უმცროსი ძმაც იქვე გაჩნდნენ და ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ბუსის კი ხელი შეუხვიეს. მერე მთელი კვირა ყველა ცურავდა, ბუსისა და ბილის დედიკოს გარდა.

მეექვსე გაკვეთილი

სავარჯიშო მეთექვსმეტე

დაურეკეთ მეგობარს ან ნაცნობს და სთხოვეთ, დაგისახელოთ საყვარელი წიგნი. თუ ეს წიგნი ნაცნობია, დაურეკეთ სხვას, თუ უცნობი – სათაურის მიხედვით მოიფიქრეთ საკუთარი ამბავი, რომელიც 71 სიტყვისგან უნდა შედგებოდეს.

სავარჯიშო მეჩვიდმეტე

სარეკლამო განცხადება: თქვენს გმირს ძალიან, ძალიან, ძალიან სჭირდება ფული, მაგრამ ამ წუთას არაფერი აქვს გასაყიდი, გარდა უკბილო ალიგატორისა. გამოაქვეყნეთ განცხადება ისეთი სარეკლამო ტექსტით, რომ მკითხველი გამოჩნდეს.

სავარჯიშო მეთვრამეტე

დაწერეთ ჰამბურგერის ან ლიმონათის ანტირეკლამა.

სავარჯიშო მეცხრამეტე

უცნობმა დააკაკუნა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი გმირი სახლშია, უსმენს მუსიკას და ისვენებს, კარზე კაკუნია, გმირი აღებს კარს და მოულოდნელად... მოიფიქრეთ გაგრძელება არასტანდარტული დასასრულით.

სავარჯიშო მეოცე

წაიკითხეთ წიგნი და სცადეთ, წერის სტილით მიბაძოთ მწერალს ისე, რომ ყველას გაუჭირდეს გაარჩიოს, რომელია ნამდვილი ავტორი.

სავარჯიშო ოცდამეერთე

ახლა საკუთარ თავს მიბაძეთ.

სავარჯიშო ოცდამეორე

ყველა ახალბედა მწერალს აქვს ხოლმე შიში, რომ ერთხელაც, ის უბრალოდ ვეღარაფერს დაწერს. მოდი, ეს სავარჯიშო მთელი ცხოვრება გამოიყენეთ: როგორც კი შეატყობთ, რომ წერა გიჭირთ, დაისახეთ მიზანი: მე დავწერ ას სიტყვას და მერე შევხედავ, რა იქნება. დაწერეთ ასსიტყვიანი ტექსტი და ყველაფერი კარგად იქნება.

მესამე თავი

მოდი, თავიდან გავიაზროთ გმირი, რომელიც თქვენი შექმნილია. შეავსე კითხვარი და კიდევ ერთხელ გაიაზრე, ვინაა ის გმირი, შენ რომ გამოიგონე:

პერსონაჟის სახელი, გვარი, მეტსახელი;

პერსონაჟის ასაკი;

როგორი ხასიათი აქვს?

რა მდგომარეობაშია ახლა, ამ წუთას (ბედნიერი, უბედური, მოწყენილი, მხიარული და სხვა)?

სხვა პერსონაჟები, ვინც თქვენს გმირს იცნობენ, მოკლედ აღწერეთ ისინიც;

ა)

ბ)

გ)

დ)

ე)

ვ)

ანტაგონისტი (ვინაა ის, ვინც თქვენს პერსონაჟთან კონფლიქტშია, რა მიზეზით);

სად ხდება მოქმედება?

აღწერეთ გარემო, სადაც მოქმედება ხდება;

ორი ზედსართავი, რომელიც თქვენ პერსონაჟს ზუსტად აღწერდა;

ორი ზედსართავი, რომელიც მოსაფიქრებელ ამბავს ზუსტად აღწერდა;

ოთხი ზედსართავი, რომელიც ოთხ მთავარ პერსონაჟს ერთი სიტყვით აღწერდა;

თქვენი პერსონაჟის საყვარელი საჭმელი, სასმელი, გასართობი და ასე შემდეგ;

რომელ ცხოველს ჰგავს თქვენი პერსონაჟი. დაასაბუთეთ რატომ?

ჰყავს თუ არა ცხოველი თქვენს პერსონაჟს. რომელი? აღწერეთ.

გამოკვეთეთ გმირის ცხოვრების მთავარი მიზანი, რომლის გარეშეც მას ძალიან გაუჭირდებოდა.

რა გამოსდის საუკეთესოდ თქვენს გმირს, რა არ გამოსდის?

მეშვიდე გაკვეთილი

მეოთხე თავი

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრი თავგადასავალია მოთხრობილი, ზოგი მათგანი ძალიან მაგარია, ზოგი – ნაკლებად. ამბობენ, რომ რამდენი თავგადასავალიც არ უნდა მოხდეს, გმირი მაინც ერთ გზას გადის, რომელსაც, ზოგიერთმა ლიტერატურის მკვლევარმა ასეთი სახელი „გმირის მოგზაურობა“ დაარქვა. მოდი, ჩვენმა გმირმაც გაიაროს ეს ეტაპები, სანამ ნამდვილი წიგნის შექმნას მოვახერხებთ.

სავარჯიშო პირველი

გმირის ყოველდღიურობა

ამ სავარჯიშოში თქვენ უნდა აღწეროთ თქვენი გმირის საქმიანობა და ყოველდღიურობა.

მაგალითი: ჰარი პოტერი ცხოვრობს ნათესავების ოჯახში, სადაც მისი ყოველდღიურობა ერთფეროვანია.

მაგალითი:

ერთ დღეს ბუსის ოჯახმა კალიფორნიაში წასვლა გადაწყვიტა. იქ საზაფხულო სკოლაში დიდი ფასდაკლება იყო და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ სურდათ, თან ზაფხულში ზღვის სანაპიროზე კარგად გაერთობოდნენ.

ეს სკოლა 20 ივნისს, ანუ 18 დღეში იწყებოდა. ბუსი თვითმფრინავში მეორედ იჯდა. პირველად რომ ჩაჯდა, ორი წლის იყო და ამჯერად ძალიან ისიამოვნა. პირველი დღე კალიფორნიაში ძალიან რთული იყო. ჰენრიმ სახლი კი იყიდა, მაგრამ რაღაც საბუთები მაინც უნდა შეევსო. სანამ ის ამ საბუთებს ავსებდა, პაიპმა ბავშვებს სახლი დაათვალიერებინა. სახლი დიდი იყო. ბუსის უზარმაზარი ოთახი მეორე სართულზე გახლდათ.

- დე, დე! – შეჰყვირა აღტაცებულმა ბუსიმ, – ტელევიზორი მალე შევაერთოთ და Playstation ჩავრთოთ.
- მამა მოვა და მერე!
- აუუ! – თქვა ბუსიმ.
- მაგარი სახლია! – საუბარში ჩაერია ალისა.

მაქსს რეაქცია არ ჰქონია.

ბუსის უჭირდა ბილთან განშორება, მაგრამ კალიფორნიაში იმ იმედით ჩამოვიდა, რომ თავგადასავალს იპოვიდა.

სავარჯიშო მეორე

თავგადასავალი გიხმობს

ესაა სავარჯიშო, სადაც ჩვენს გმირს მისი მენტორი ან სულაც შემთხვევითობა რაღაც ახალი გამოწვევის წინაშე დააყენებს. მას აქვს არჩევანის საშუალება – წავიდეს ან დარჩეს იქ, სადაც ახლაა.

მაგალითი: ჰარი პოტერი მიიღებს წერილს, სადაც წერია, რომ მას ჰოგვარდში იწვევენ. გაბედავს კი ის წასვლას თუ ვერა?

მაგალითი:

სკოლა დაიწყო.

ბუსის კლასში ყველას ჰყავდა მეგობარი. ჰენრი მასწავლებელს ელაპარაკებოდა, რომელმაც ბუსი ლეონის გვერდით დასვა.

პირველი გაკვეთილი მათემატიკა იყო. ცხრილი ჩაიწერეს და საქმეს შეუდგნენ. გაკვეთილი რომ დასრულდა, ყველა სადღაც გავიდა. ბუსი ლეონს გაჰყვა და გამოელაპარაკა. გაირკვა, რომ ლეონს ზვიგენების ეშინოდა და ამიტომ ოკეანეში არასოდეს ეცურავა. ვერ იტანდა მოწყენილობას და სულ საინტერესო თავგადასავლებს იგონებდა, რის გამოც, ხშირად სჯიდნენ კიდეც.

ლეონი საინტერესო ბიჭი ჩანდა. ვარჯიშობდა და ბუსიც დააინტერესა ამ საქმით, შეთანხმდნენ, რომ სავარჯიშო დარბაზში, რომელიც მათ უბანში იყო, ერთად ივლიდნენ.

მალე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაკვეთილი დაიწყო, სადაც ბუსიმ თავი გამოიჩინა და მასწავლებლის შექებაც დაიმსახურა, რაც ერთ-ერთ კლასელს, ნიკს ძალიან არ მოეწონა, რადგან კლასის ყოჩი იყო და ცოტა შეშურდა. ნიკმა რაღაც უთხრა აგდებით ბუსის და სწავლის დასრულების შემდეგ, სკოლის ეზოში საჩხუბრად დაიბარა.

ბუსის კონფლიქტი არ სურდა და სცადა, თავიდან აერიდებინა ეს გაწევ-გამოწევა, მაგრამ ნიკი არ ეშვებოდა:

- **ლაჩარო, ლაჩარო! გეშინია არა ჩხუბის?!**
  ბუსიმ ყურადღება არ მიაქცია.
- **ვერავინ გაბედავს ჩემს დაიგნორებას! – დაიღრიალა ნიკმა და „თავის ბიჭებთან“ ერთად გამოეკიდა ახალ კლასელს.**

ბუსიმ გაქცევა გადაწყვიტა, რა დროსაც ლეონმა დაიყვირა „თუ ადამიანს ჩხუბი არ უნდა, არ ნიშნავს, რომ ლაჩარია! გაანებეთ თავი!“.

ბიჭებმა ლეონს გახედეს და ხმა არ გასცეს, რადგან, აღმოჩნდა, რომ ბიჭის ზურგს უკან დირექტორი იდგა!

ჩხუბი არ შედგა, ლეონი და ბუსი კი ამ დღის შემდეგ დამეგობრდნენ.

სავარჯიშო მესამე
თავგადასავლის შიში

ამ სავარჯიშოში უნდა მოვიფიქროთ, რა მიზეზებით შეიძლება უარყოფდეს გმირი თავგადასავლის ძიებას. შეიძლება იყოს ეს შიში, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, შესაძლოა, მეგობრები უკიჟინებდნენ, რომ არ გაბედოს, იქნებ ვინმე უკრძალავს კიდეც ახალ გამოწვევასთან შეჭიდებას?

სავარჯიშო მეოთხე
მენტორის, თანამგზავრის პოვნა

ამ სავარჯიშოში უნდა მოიფიქროთ პერსონაჟი, ვინც თქვენს გმირს მთელი თავგადასავლის ან გამარჯვებამდე მისასვლელ გზაზე მაინც თან გაჰყვება. ის შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე – ღია ან ფარული, – გააჩნია თქვენს გემოვნებას.

სავარჯიშო მეხუთე

პარმაღის გადალახვა. პირველი მცირე წარმატება, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის შექმნა.

ამ სავარჯიშოში თქვენი პერსონაჟი გაბედავს და იწყებს თავგადასავალს, რომელიც მისი, როგორც გმირის ჩამოყალიბებას განაპირობებს კიდეც. ეს შეიძლება იძულებითაც კი მოხდეს, როგორც ნაცარქექიას შემთხვევაში, როდესაც ის თავგადასავლისკენ „გააგდეს“, ან შესაძლოა, ეს „ასფურცელა“ იყოს, ვისაც საკუთარი წარმომავლობის გაგების სურვილმა, მამის დანატოვარი ხმლის აღება გააბედვინა.

მაგალითი:

შაბათს ბუსის ოჯახი სანაპიროზე გასვლას აპირებდა. მათ ლეონიც დაპატიჟეს. ამ დროს, ბავშვებმა ხელბურთის ჩემპიონატი მოაწყვეს. მთელი სანაპიროს ბავშვები მონაწილეობდნენ. პირველი ხელი ალისას და მისი კლასელის, ლეონის დის, ემბერის, ნიკისა და მისი მეგობრის, ჯონის წინააღმდეგ იყო.

ლეონსა და ბუსის იმედები გაუცრუვდათ, როცა მათმა დებმა წააგეს. მეოთხე ხელი – ბუსი და ლეონი, მათი კლასელების, ქენდისა და მორგანის წინააღმდეგ თამაშობდნენ. მათ მოიგეს. ნახევარფინალში, ბუსი, ლეონი, მაქსი, მარკო, ჯონი, ნიკი და დენი და ალექსი იყვნენ.

ბუსი და ლეონი მაქსსა და მარკოს შეხვდნენ. გაუჭირდათ, მაგრამ მაინც მოიგეს. ფინალის ჯერიც რომ მოვიდა, ისინი ჯონსა და ნიკს ხვდებოდნენ. ბუსიმ და ლეონმა ნიკსა და ჯონს 10–9 მოუგეს. ამ ამბით განრისხებულმა ნიკმა, ბუსის ცემა გადაწყვიტა. ის, ჯონი და ალექსი მათ გაეკიდნენ. ამ დროს, ბუსი შემოტრიალდა და ალექსს, რომელიც მას დაეწია, სახეში სთხლიშა. ალექსი წაიქცა. ბუსი და ლეონი კი გაიქცნენ. ამ დროს ბუსის ფეხი დაუცურდა და წაიქცა. ის სამმა ბიჭმა ალყაში მოაქცია. უცებ ლეონი ჯონს ეცა და წააქცია. ალექსს კი ფეხი ჩააზილა. ბუსი წამოდგა, ნიკს ეცა და ძიძგილაობა დაიწყეს. 10 წუთი ჩხუბობდნენ, იქვე არავინ უფროსთაგანი არ იყო და საბოლოოდ ბუსიმ და ლეონმა გაიმარჯვეს.

ბუსის ეს გამარჯვება თავში აუვარდა, ჯერ ლეონს უთხრა, რომ მასზე ბევრად ძლიერი იყო და სუსტებთან არ მეგობრობდა, მერე სკოლაში ნიკის დაჩაგვრა დაიწყო, ბოლოს კი მშობლებს უსაყვედურა, ამ სკოლაში რატომ გადმომიყვანეთ, უკეთესს ვიმსახურებდიო. ამ დროს ნიკი გეგმებს აწყობდა და ხალხს კრებდა, რომ ბუსიზე შური ეძია.

სავარჯიშო მეექვსე

განსაცდელები, მტრები

ამ სავარჯიშოში, თქვენი გმირი მცირე განსაცდელებს გაივლის, გამოიკვეთება ვინაა მისი ანტაგონისტიც, რატომ უშლის ხელს თქვენს გმირს მიზნის მიღწევაში.

მაგალითი:

ერთ დღეს, ნიკმა ბუსი ძველი წყენის დასავიწყებლად ნავით სასეირნოდ დაპატიჟა. ბუსი დათანხმდა. შორი გზით უნდა ეცურათ. ნიკმა უთანხმოებაზე სიტყვა ჩამოაგდო. ბუსიმ რაღაც იეჭვა და შეკითხვები დაუსვა კლასელს, რამეს ხომ არ უპირებდა, მაგრამ ნიკი მშვიდად პასუხობდა, რომ ძველი წყენა აღარ ჰქონდა გულში ჩარჩენილი. ნავი საკმაოდ დიდი იყო, პატარა კაიუტით. შუა დღეს, როდესაც დაცხა, ბუსი და ნიკი კაიუტაში შევიდნენ და ბუტერბროდების ჭამა დაიწყეს, როცა ნავს რაღაც შეეჯახა. ეს ნიკის რაზმის ბიჭები იყვნენ. ისინი ნიკის ნიშანს ელოდნენ და როგორც კი მიიღეს, მათ ნავს თავს დაესხნენ. ბუსის მუშტები დაუშინეს. შეშინებული ბიჭი ნავიდან გადახტა, თუმცა ესეც ნიკის გეგმის ნაწილი ყოფილა – მან თავის ხალხს უბრძანა გაეცურათ და წყალში მიეტოვებინათ ბუსი, რომელიც შეშინებული უსვამდა ხელ-ფეხს.

ცოტა ხანში, როდესაც ბიჭები შორიდან დასცინოდნენ ბუსის, ამ უკანასკნელმა ოკეანის ზედაპირზე რაღაც ფარფლისმაგვარს მოკრა თვალი, რომელიც დიდი სისწრაფით მოემართებოდა მათკენ.

„– ზვიგენი! ო, არა, ზვიგენი! ნიკ, ამომიყვანე, აქ ზვიგენია!“ – დაიყვირა ბუსიმ.

„– ჰო, ჰო, დაგიჯერე, აბა რა! ზვიგენები ასე ახლოს არ შემოდიან!“ – დამცინავად ჩაილაპარაკა ნიკმა.

„– ნიკ, აქ მართლაა ზვიგენი!“

„– ნიკ, იქნებ მართლაა აქ ზვიგენი, თითქოს მეც მოვკარი თვალი!“ – თქვა ნიკის ერთმა მეგობარმა და წყალი შეათვალიერა.

„– ნუ სულელობ, თორემ შენც გადაგისვრი წყალში. ზვიგენები ასე ახლოს არ შემოდიან!“ – დაიყვირა ნიკმა.

„– კი, მაგრამ რომც არ იყვნენ, ასე ხომ არ დავტოვებთ?“ – თქვა მეორე, ტანმაღალმა ბიჭმა.

„– ცურვა იცის. უშველოს თავს!“ – ნიკი შეუვალი იყო.

„– კი, მაგრამ, ამდენს როგორ გამოცურავს? ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრით ვართ შორს“, – მაღალი ბიჭი თავისას ამბობდა.

„– გაჩუმდი, თორემ შენც გადაგისვრით ახლავე!“ – დაიყვირა ნიკმა.

ბიჭებმა ნავის ნიჩბებს მოუსვეს. ბუსი კი შუა ოკეანეში დარჩა მარტოდმარტო.

სავარჯიშო მეშვიდე

დიდი განსაცდელი, დამარცხება

მცირე წარმატებას დიდი განსაცდელი მოსდევს ხოლმე, რაც მკითხველში აჩენს განცდას, რომ ეს გამოუვალი მდგომარეობაა. აი, ტომ სოიერი აღმოჩნდა გამოქვაბულში, საიდანაც ის, შესაძლოა, ვეღარასოდეს გამოვიდეს. იონა ვეშაპმა გადაყლაპა, რაღა იხსნის ამ სიტუაციიდან?

დახატეთ რაც შეიძლება მძიმე განსაცდელი, რომელიც თქვენს გმირს ელოდება წინ.

მაგალითი:

ზვიგენი შემზარავი სანახავი იყო.

ჯერ დიდ წრეებს ურტყამდა ბუსის, შემდეგ რკალი დაავიწროვა და დაახლოებით ორი მეტრის რადიუსში ჩაუარა მომავალ მსხვერპლს. ზვიგენი უცნაურად იქცეოდა. ბიჭს თავს არ ესხმოდა და მხოლოდ წრეებს ურტყამდა. ბუსიმ ისიც კი იფიქრა, იქნებ ეს ნამდვილი ზვიგენი არცაა და ნიკის მორიგი ოინიაო. ჯიბეში ჩარჩენილი სახლის გასაღები ამოიღო და მოძრავი ობიექტისკენ გაისროლა. გასაღები ფარფლს მოხვდა და წყალიც შედგაფუნდა. რამდენიმე წამით წყლის ზედაპირზე აღარაფერი ჩანდა, მაგრამ მოულოდნელად, ბუსის თვალწინ უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ამოხტა და საშიში, დანასავით ბასრი კბილებიც გამოჩნდა. ბუსიმ ყველანაირი იმედი დაკარგა.

აქამდე ეგონა, რომ ცურვით დაღლილი დაიხრჩობოდა, მაგრამ ახლა, ისეთი პირი უჩანდა, რომ ზვიგენის ლუკმა უნდა გამხდარიყო.

კუნთები დაეღალა. წყალს ფსკერი არ უჩანდა, ასე რომ, უეჭველ სიკვდილს მოელოდა. ამ დროს, ზვიგენი ჯერ სადღაც გაქრა, მერე კი ბუსისკენ საშინელი სისწრაფით გაემართა. ბუსის თვალთ დაუბნელდა. რაღაც ხმაური ესმოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რა ხმაურობდა. მოტორის ხმა მოესმა, მაგრამ ნავი კი არსად ჩანდა.

მისკენ მიმავალ ზვიგენს რაღაც შეერჭო ფერდში. ეს ზვიგენებზე მონადირის შუბი იყო. შუბს თოკი ჰქონდა მობმული.

„მოქაჩე!“ – გაისმა კაცის ხმა.

„ახლავე!“ – უპასუხეს. ეს პატარა ბიჭი იყო, რომლის ხმაც ძალიან ეცნო ბუსის.

„– ჰეჰ, დროულად მოვასწარით!“ – წამოიყვირა კაცმა. „თევზი დაჭრილია, ახლა კატერზე უნდა ამოვათრიოთ რამენაირად. მგონი დაეტევა ჩვენს პატარა კატერზე. მეორე შუბი და ელექტრო გორგოლაჭი მომიტანე!“.

„მზად მაქვს, მამა!“.

„ახლა თოკით კარგი ყულფი გააკეთე და შუბი მომაწოდე. დროზე, ვეღარ ვაკავებ ამ ოხერს!“.

სავარჯიშო მერვე

ახალი ძალა. წვრთნა მიზნისკენ სავალ გზაზე. ბარიერების გადალახვა.

სავარჯიშო მეცხრე

მთავარ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა. გამოსავლის მოძებნა, მისი დამარცხება.

ჯილდო

არ არსებობს სიტუაცია, საიდანაც გამოსავლის მოძებნა არ ხერხდება. თქვენი გმირის ბედი თქვენს ხელშია, მოიფიქრეთ დამაჯერებელი სიტუაცია, საიდანაც გმირი თავს დააღწევს და მიიღებს ჯილდოს, ჯილდო კი ის მიზანია, რისთვისაც იბრძოდა.

სავარჯიშო მეათე

შინისკენ

თავგადასავლების შემდეგ, თქვენი გმირი შინ ბრუნდება, მაგრამ ეს დაბრუნებაც არაა ხოლმე ყოველთვის ადვილი. „ასფურცელამ“ უფსკრულიდან რომ ამოაღწიოს, ფასკუნჯს საკუთარი სხეულის ნაწილი უნდა მისცეს.

სავარჯიშო მეთერთმეტე

გმირის გარდასახვა

ეს საინტერესო ნაწილია. აი, თითქოს ყველაფერი უკან მოიტოვა გმირმა, მაგრამ ხშირად მას კიდევ ერთი და ბოლო განსაცდელი ელოდება. ჰარი პო-

ტერისთვის ეს ჯადოსნური ქვის გამოყენებაა. წიგნში „ჯაფარა“ კეიტლინისთვის ეს კათარსისის მომენტს ემთხვევა. ყველა გმირი საბოლოო გარდასახვამდე ერთ ბოლო ეტაპს გადის, ეს შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური ან სოციალური ცვლილება.

ამდენი განსაცდელის, დამარცხებებისა და გამარჯვებების შემდეგ, გმირი შეიცვალა. ის სრულიად სხვა ადამიანია, ბევრი რამ იცის და უკან რომ იხედება, სასაცილოდაც არ ჰყოფნის საკუთარი შიშები, აზრები და მოლოდინები. ის იცვლება როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად და ხშირად, მას ძალიან ახლობლებიც კი ვეღარ ცნობენ. „კონკია“ იქცევა დედოფლად, ურჩხული – პრინცად.

სავარჯიშო მეთორმეტე
ისევ სახლი. გმირი თვითონ ცვლის იმ რეალობას,
რაც მანამდე მასზე ზემოქმედებდა.

თქვენი გმირი სახლშია, ანუ იქ, საიდანაც მისი მოგზაურობა დაიწყო. ყველაფერი ისევ ძველებურადაა თითქოს, მაგრამ რაღაც მაინც შეიცვალა, ეს თქვენი გმირია, რომელიც სულაც აღარაა ის პატარა ბიჭუნა, ამ სახლის კარიდან რომ გავიდა რაღაც დროის წინ.

მერვე გაკვეთილი

მეხუთე თავი

ახლა დროა, საკუთარი სიუჟეტის მოფიქრება ვისწავლოთ.

ამისთვის, მოდი, ჯერ რამდენიმე სავარჯიშო კიდევ გავაკეთოთ, მალე რჩევები აღარ დაგჭირდება, შენ ფინალურ ტურამდე ხარ მისული.

სავარჯიშო პირველი

მოიფიქრეთ მთავარი პერსონაჟი;
მეორეხარისხოვანი პერსონაჟი;
როგორ იწყება ამბავი;

სიტუაცია;
ნაწარმოების თემა.

მაგალითი:

ბუსი კამპუსის ეზოში ზის სკამზე. მის გვერდით 12 წლის გოგონა ჩამომჯდარა, გოგონას ძაღლი ჰყავს. ამბავი იწყება სისხამ დილით. ბუსი სავარჯიშოდ გავიდა და ფეხი გადაუბრუნდა, ამიტომ სკამზე ჩამოჯდა.

კამპუსის ეზოში პოლიციის მანქანები დგანან. რაღაც დანაშაულია მომხდარი. სიჩუმეს ჰაერში გასროლის ხმა არღვევს. ბუსი და გოგონა, თავისდაუნებურად, დანაშაულის მომსწრენი და გამოძიების მონაწილეები გახდებიან.

სავარჯიშო მეორე

მოიფიქრეთ ამბავი, რომელზეც საკუთარი წიგნის დაწერას აპირებთ.

ა) ჩაატიეთ ეს ამბავი 1 წინადადებაში;
ბ) 3 აბზაცში;
გ) 1-2 გვერდში.

მაგალითი:

ა) უდედმამო გოგონას ცხოვრება კეთილი ფერიას გამოჩენის შემდეგ რადიკალურად იცვლება.
ბ) ერთ პატარა გოგონას მშობლები გარდაეცვალა. ის დედინაცვალთან იზრდებოდა, რომელიც გერს ძალიან ცუდად ექცეოდა, მეტსახელად კი „კონკიას“ ეძახდა.

გოგონას ყველანაირ რთულ დავალებას აძლევდნენ და გართობის საშუალება არასოდეს ჰქონდა. კონკია სახლში იყო გამოკეტილი და მეფის მიერ გამართულ მეჯლისებზე წასვლაზე ოცნებობდა, მაგრამ დედინაცვალი და მისი ორი ქალიშვილი ამის უფლებას არასოდეს აძლევდნენ, მაგრამ ერთხელაც, როდესაც კონკია ბრინჯისა და მუხუდოს მარცვლებს ერთმანეთისგან არჩევდა, მასთან კეთილი ფერია მივიდა, დაკონკილი ტანსაცმელი ძვირფას სამოსად გადაუქცია, გოგრა ეტლად, თაგვები მსახურად და მეჯლისზე გააგზავნა, სადაც მან ფურორი მოახდინა.

მაგრამ დათქმისამებრ, ღამის 12 საათზე ყველაფერი გაქრა, კონკია ისევ ძველ მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა სასახლეში მას ქოში დარჩა, რომლის პატრონის ძიებამ, უფლისწული კონკიას სახლამდეც მოიყვანა. შემთხვე-

ვითობის წყალობით, კონკია იმ ადამიანებში აღმოჩნდა, ვისაც ქოში მოაზომეს და ჰოი, საოცრებავ – მას ფეხსაცმელი მოერგო. გოგონა ღატაკი მოსამსახურიდან უფლისწულის მეუღლედ და პრინცესად გადაიქცა.

გ) ამბავი იწყება ერთ ოჯახში, სადაც ბოროტი დედინაცვალი, მისი ორი ქალიშვილი და გერი, მეტსახელად „კონკია“ ცხოვრობენ.

გოგონას ჯერ დედა გარდაეცვალა, მამამ ახალი ცოლი მოიყვანა და მალე-ვე თავადაც წავიდა იმქვეყნად, რის შემდეგაც, დედინაცვალმა გერი აითვალწუნა და მოსამსახურედ დაიყენა.

კონკიას ნახევარდები და დედინაცვალი ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ. ხშირად აშიმშილებდნენ, ამუშავებდნენ მძიმედ და არასოდეს აძლევდნენ ნორმალურ ტანსაცმელს, რის გამოც, მას მეტსახელი „კონკია“ შეარქვეს.

„კონკია“ მდუმარედ იტანდა განსაცდელს, მაგრამ კარგ ცხოვრებაზე ფიქრს კი არასოდეს ეშვებოდა, ყოველთვის სჯეროდა, რომ ერთხელაც, ის ნამდვილ მეჯლისზე, ნამდვილი სამეჯლისო კაბით აღმოჩნდებოდა და იცეკვებდა ისე, როგორც არასოდეს არავის უცეკვია.

და აი, ეს დღეც დადგა, სამეფო კარმა გამოაცხადა, რომ უფლისწულისთვის საცოლეს ეძებს და უზარმაზარ მეჯლისზე იწვევს ყველა გოგონას, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა.

კონკიას იმედის სხივი ჩაესახა გულში. მერე რა, რომ კაბა არ აქვს, იქნებ გამოუვიდეს? მაგრამ აქაც ბოროტი დედინაცვალი გადაეღობა: გოგონას სახლში დარჩენა და ბრინჯისა და მუხუდოს, ქერისა და სიმინდის მარცვლების ერთმანეთისგან გარჩევა დაავალა. ყველაფერი ეს კი, რა ძნელი გამოსაცნობია, შეგნებულად აურია ერთმანეთში. თუ ამას გაარჩევ, მეჯლისზეც წაგიყვანთო, იყო პირობა.

მაგრამ როგორი გასარჩევია ოთხი სხვადასხვა კულტურა ერთმანეთისგან? კონკიამ იმედი დაკარგა, საქმეს კი მაინც შეუდგა.

და აი, გამოჩნდა კეთილი ფერია, ვინც კონკიას აღუთქვა, რომ სამეფო მეჯლისზე დასწრებას შეძლებდა. როგორ? მისი ჯადოსნური ჯოხის მეშვეობით, გოგრა ძვირფას ეტლად, თაგვები პირისფარეშებად, დაძონძილი კაბა კი ულამაზეს სამოსად გადაიქცეოდა. და ასე მხოლოდ ღამის 12 საათამდე იქნებოდა, ამის შემდეგ კი, ყველაფერი თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა და თუ კონკია სახლში დაბრუნებას ვერ მოასწრებდა, ყველა დაინახავდა, სინამდვილეში ვინაა ის.

კონკიას სიხარულისგან ენა ჩაუვარდა, მაგრამ უცბად მოიწყინა: კი, მაგრამ ამ მარცვლეულს ვინ გაარჩევს ერთმანეთისგან? თუ დავალება არ შეასრულა, ბოროტი დედინაცვალი სასტიკად დასჯიდა გოგოს.

კეთილი ფერიასთვის არც ეს დავალება იყო რთული. სანამ კონკია მეჯ-ლისზე იქნებოდა, ფრინველთა მთელ ჯარს მოუხმობდა კეთილი ჯადოქარი და მარცვლებს ისე კოხტად დააბინავებინებდა ტომრებში, როგორც დაგიბა-რებია.

მართლაც, კონკიას დაფლეთილი კაბა სადღესასწაულოდ გადაიქცა, გოგ-რა – ეტლად, თაგვები კი – პირისფარეშებად.

კონკია მეჯლისზე დაგვიანებით მივიდა, მაგრამ ნამდვილი ფურორი კი მოახდინა. ყველა მას უყურებდა და მასთან ცეკვას ლამობდა, თუმცა გოგო-ნამ საღამო დღის მთავარ გმირთან, პრინცთან ცეკვაში გაატარა. მეფეც და დედოფალიც კმაყოფილი იყვნენ, აი, მათ შვილს მგონი ვიღაც მოეწონა და ეს „ვიღაც“ ნამდვილი დედოფალია.

მაგრამ საათმა ზარი შემოჰკრა. რამდენიმე წამიც და კონკია ისევ დაძონ-ძილტანსაცმლიან ქალიშვილად გადაიქცევა. რას იფიქრებენ მასზე სხვები? საჯაროდ შერცხვება ამდენ ხალხში და პრინცსაც შესძულდეს იქნებ?

კონკია სასწრაფოდ გარბის დარბაზიდან, ჯდება ეტლში და სახლისკენ მიისწრაფვის, მაგრამ სიჩქარეში, მას ძვირფასი ქოში გასძვრება ფეხიდან, რომელსაც უფლისწული იპოვის და გამოაცხადებს, რომ ვისაც ეს ქოში მოერ-გება, ცოლადაც იმას მოიყვანს.

დედინაცვალი და მისი ბოროტი შვილები შინ უხასიათოდ ბრუნდებიან. მეჯლისზე პრინცი სულ ვიღაც უცნობ გოგონასთან ცეკვავდა და მათთვის ყუ-რადღება არ მიუქცევია. რაღაცით მათ კონკიასაც კი ჰგავდა ის გოგონა, მხო-ლოდ ძვირფას სამოსში იყო.

კონკიას დავალება შესრულებული აქვს, მარცვლეული დახარისხებულია, გოგონებისა და მათი დედის დაცინვა გულზე აღარ ხვდება და გასულ ღამეს იხსენებს, როდესაც მათ კარზეც დააკაკუნებენ. ეს მეფისწული და მისი მსახუ-რები არიან. ისინი საპატარძლოს ეძებენ, მაგრამ აი, აქაც ბოროტი დედინაც-ვალი – კონკიას, ყოველი შემთხვევისთვის, სკივრში ჩაკეტავენ, რომ ქოში მას არ მოერგოს. ერთი ქალიშვილი მოიზომებს და პატარა აქვს, მეორე უფრო ვირეშმაკა აღმოჩნდება, თითებს წაიჭრის, მაგრამ არც მას ერგება, ქოში ჯა-დოსნურია და ფეხის ზომაზე არაა დამოკიდებული.

არის აქ სხვა გოგონა? – კითხულობს უფლისწული, მაგრამ ყველა უარზეა. ის-ისაა, მეფის ხალხი უნდა წავიდეს დამწუხრებული, რომ პატარა ცუგა, კონ-კიას მამის გაზრდილი ძაღლი პირს ჩაავლებს პრინცს და სკივრთან მიიყვანს. სკივრს გახსნიან და იქ გოგონას იპოვიან, მოაზომებენ ფეხზე და ჰოი, საოც-რებავ – მისი ქოშია.

კონკია ღატაკი გოგონადან ნამდვილ დედოფლად გადაიქცევა. მისი ყველა ოცნება ერთ წამში ახდება, ახლა თავადაა ძვირფასი მეჯლისების მასპინძელი.

სავარჯიშო მესამე

თქვენ უკვე მოფიქრებული გაქვთ საკუთარი ისტორია, ახლა საჭიროა ყველა მომენტი, სადაც მოქმედებაა აღწერილი, დეტალურად გაშალოთ და ამ დეტალიზაციას, სულ მცირე 3 გვერდი მაინც დაუთმოთ.

სავარჯიშო მეოთხე

იმისათვის, რომ ნამდვილი მოთხრობა გამოგვივიდეს, ჩვენ პროტაგონისტს ისეთი ამბავი უნდა გადახდეს თავს, სადაც ის შეიცვლება, ამასთანავე, აუცილებელი პირობაა, გმირის ცხოვრების კონკრეტული მონაკვეთები მუდმივად მერყეობდეს ბედნიერებიდან უბედურებისკენ, წარმატებიდან – წარუმატებლობისკენ და პირიქით.

მაია ფირჩხაძე

1 დილემა – ფოკუსირება ინდივიდის გამოცდილებაზე, თავისუფლებასა და არჩევანზე 101

2 სიტუაციური ამოცანების გამოყენება დისკუსიისას და პრობლემათა ანალიზი 110

3 მოგზაურობა წარსულში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად – კოგნიტური თამაში 114

დილემა – ფოკუსირება ინდივიდის გამოცდილებაზე, თავისუფლებასა და არჩევანზე

სწავლების პროცესში მასწავლებლებს უამრავი სირთულის გადაჭრა უწევთ. მათ შორისაა მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში. ეს აუცილებელია, რადგან სასკოლო ასაკში მოსწავლემ უნდა დააგროვოს სოციალურად სასარგებლო ქცევის გამოცდილება.

მიზნის მისაღწევად მასწავლებლები ხშირად მიმართავენ დილემებით სწავლებას. ის მოსწავლეს ეგზისტენციალური სფეროს განვითარებაში ეხმარება, უბიძგებს, აირჩიოს ორიენტაცია, რომლითაც დაამყარებს ურთიერთობას გარე სამყაროსთან: უყვარდეს თუ სძულდეს, კონკურენცია გაუწიოს თუ ითანამშრომლოს, პატივისცემა გამოიჩინოს თუ უგულებელყოს და ა.შ. ანუ შეძლოს ქაოსურ სიტუაციაში გარკვევა და დილემიდან გამოსვლა, მტყუანისა და მართლის, მისაღებისა და დასაგმობის გარჩევა. მსგავსი პრობლემების ანუ დილემების დაძლევა სწავლებას შემოქმედებით, საინტერესო ხასიათს სძენს და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასთან ერთად მათ სოციალურ განვითარებასაც უწყობს ხელს.

დილემის ზოგადი ტიპებია: კლასიკური, ეთიკური და მორალური დილემები:

- **კლასიკური დილემების** დაძლევისას მოსწავლეს უწევს არჩევანი ორ ან მეტ ალტერნატივას შორის, რომელთა შედეგებიც თანაბრად არასასურველი ან თანაბრად ხელსაყრელია. ასეთი დილემა არ შეიცავს მორალურ ან ეთიკურ კრიზისს, მაგრამ მოქმედებს პიროვნების /პერსონაჟის ბედზე, რადგან მიღებულმა გადაწყვეტილებამ, არჩევანმა, შეიძლება შეცვალოს მისი ცხოვრება. ამ ტიპის დილემაა, როდესაც მოსწავლე დგება არჩევანის წინაშე, მაგალითად, „რომელ სკოლაში /ქალაქში../რეგიონში იცხოვროს?.. რომელ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს სწავლა?.. რომელ სპეციალობას დაეუფლოს?.. და ა.შ.“ კლასიკური დილემები გადაწყვეტილების გრძელვადიან შედეგებზე დაფიქრებისკენ უბიძგებს მოსწავლეს და პიროვნულ და სოციალურ განვითარებაშიც ეხმარება;

- **ეთიკური დილემისას** ადამიანი იძულებულია არჩევანი გააკეთოს ორ მორალურად გამართლებულ ვარიანტს შორის. ის ძირითადად წესების დაცვას ეხება და არა სინდისს, თუმცა სინდისმა, რა თქმა უნდა, შეიძლება უბიძგოს ადამიანს წესების დარღვევაზე. მაგალითად, ეთიკური დილემისას, გაჭირვებული ადამიანის თანაგრძნობის ნაცვლად, პიროვნება შეიძლება წესების დაცვის მხარეს დადგეს;
- **მორალური დილემისას** ადამიანი იხლიჩება სწორსა და არასწორს შორის, რადგან, ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება დანაშაულის განცდა დარჩეს. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების გაკვეთილზე ხშირად შევხვდებით მორალურ დილემებს, როგორიცაა პიროვნების იდენტობის პრობლემა.. უნდა არსებობდეს თუ არა სიკვდილით დასჯა... უნდა არსებობდეს თუ არა სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური... უნდა დაისაჯოს თუ არა ნარკოტიკების მომხმარებელი... და ა.შ.

დილემით სწავლებისას მთავარი რამდენიმე პრინციპის დაცვაა. სასწავლო ამოცანებს:

- **კავშირი უნდა ჰქონდეს რეალურ ცხოვრებასთან:** მორალი, ზნეობრიობა, ყალიბდება არა სიტყვიერი განმარტებებით, არამედ ყოველდღიური ურთიერთობებით, ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევით, ქმედების განხილვით, რომლის დროსაც მოსწავლე დგება არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, რეალური მოქმედების განხორციელების წინაშე;
- **აღსაქმელად უნდა იყოს მარტივი:** მოსწავლის ცხოვრებისეული გამოცდილება, ცოდნა და უნარი უნდა შეესაბამებოდეს დავალების პირობას;
- **უნდა შეიცავდეს დაუმთავრებელ აზრს** (არ უნდა იყოს დასრულებული) და ორი/ან მეტი არჩევითი ხასიათის შეკითხვას: ასეთ დროს მოსწავლეს რჩება სივრცე საფიქრალად, საოცნებოდ, საკუთარი არგუმენტირებისთვის მტკიცებულების მოსაძებნად;
- **აქცენტირებული უნდა იყოს შემდეგი ტიპის შეკითხვებზე:** „მოცემულ, კონკრეტულ პრობლემურ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს პერსონაჟი... ისტორიული პიროვნება... ხალხი... საზოგადოება?“

მორალურ დილემებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ საუკუნეების წინაც. XII საუკუნის გრაციანის დეკრეტში ვკითხულობთ, რომ თუ ადამიანი წააწყდება მორალურ დილემას, მან არჩევანი „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით

უნდა გააკეთოს (M. V. Dougherty. Moral Dilemmas in Medieval Thought: From Gratian to Aquinas. – Cambridge University Press, 2011). საინტერესო შედეგს იძლევა „კრიტიკული ინციდენტის“ მიდგომის გამოყენებაც დილემების გადაწყვეტის კომპეტენციისთვის (Reader in INTERCULTURAL EDUCATION – PEDAGOGICAL APROACHES. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://eprints.iliauni.edu.ge/2632/1/Pedagogical%20approaches.pdf

მორალური დილემების გადაჭრის ზოგადი გზები:

- დილემის დეკონსტრუქცია – სიტუაციის განსაზღვრა როგორც „მორალური სიცრუე, ტყუილი“
- მორალური პრინციპის „შესუსტება“
- ნაკისრი ვალდებულებების „აღრიცხვა“ (წინასწარი პრიორიტეტი);
- შეფასების სკალის შექმნა („ნაკლებ ბოროტებაზე“ – როგორც ეთიკურ კონცეფციაზე – დაყრდნობით, რომლის დროსაც ორ ალტერნატივას შორის, რომელთაგან არცერთი არ გამოიყურება მიმზიდველად, ირჩევ რომელიმეს);
- დილემის აღმოფხვრაზე მიმართული „კოდის“, „სიმბოლოს“ შექმნა;
- სამყაროს გაუმჯობესებაზე მიმართული გადაწყვეტილება.

მორალური დილემის გამოყენება კლასში მასწავლებლისგან მოითხოვს ადამიანური ქცევის მორალური ბუნების ღრმა ცოდნას, მორალური პრინციპების გამოყენების უნარს როგორც ინდივიდების, ისე სოციალური ჯგუფების გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შესაფასებლად და, რა თქმა უნდა, ტაქტისა და მოთმინების უნარს, პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, რომლებიც ცდილობენ დაეუფლონ მორალური გადაწყვეტილებების მიღების ცოდნასა და უნარებს, ჩამოუყალიბდეთ ღირებულებები და გამოხატონ დამოკიდებულებები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დილემები ყოველთვის იწვევს კლასში დებატებს, რადგან არჩევანის გაკეთება არასოდეს არაა მარტივი. მოსწავლეები წამოაყენებენ საკუთარ არგუმენტებს, მოიყვანენ მტკიცებულებებს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში სწორი არჩევანის გაკეთების გამოცდილებას შეიძენენ. ზოგადად, კონკრეტული პიროვნებისა თუ საზოგადოების წინაშე მდგარი მორალური და ეთიკური დილემების განხილვა ხელს უწყობს გაკვეთილებზე ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, უბიძგებს მოსწავლეს პიროვნული არჩევანისკენ, სოციალურად სასარგებლო ქცევის განხორციელებისკენ.

დილემის შექმნა ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერ საგანში და სწავლის ნებისმიერ საფეხურზე. მაგალითად, დღეს ხშირად გავიგონებთ ფრაზას: „საზოგადოების ისტორია ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის ისტორიაა“. ეკოლოგიური დილემების სწავლებით, მოსწავლეს მნიშვნელოვან გამოცდილებას შევძენთ, თუ რა ტიპის ქცევა განახორციელოს რთულ სიტუაციებში. ამ მიმართულებით:

- **სწავლის დაწყებით საფეხურზე** შეგვიძლია მარტივი ამოცანების შეთავაზება. მაგალითად, **დავალების პირობაა:** „თქვენი ოჯახი ცხოვრობს დიდ ქალაქში და თქვენ ერთ-ერთი მშობელი ხართ. წინასაახალწლოდ არჩევანის წინაშე დადექით – ხელოვნური ნაძვის ხე უყიდოთ ბავშვებს, თუ ცოცხალი ნაძვი? ხელოვნური ნაძვის ხე ძალიან ძვირია, მაგრამ შეიძლება რამდენიმე წელი გამოგადეთ, ცოცხალი – გაცილებით იაფი, თუმცა იცით, რომ ნაძვის ხე ნელა იზრდება და 1 მ. სიმაღლემდე გაზრდას 5-6 წელი მაინც სჭირდება“.

  მოიფიქრეთ, როგორ გადაწყვეტთ პრობლემას. ამისთვის თქვენი სამუშაო დაყავით ეტაპებად: 1) გააანალიზეთ სიტუაცია; 2) მოიყვანეთ არგუმენტები და მტკიცებულებები; 3) განიხილეთ პერსპექტივები; 4) გააცნობიერეთ გადაწყვეტილებები; 6) შეაფასეთ საკუთარი პოზიცია;
- **საბაზო და საშუალო საფეხურზე: დავალების პირობა შეიძლება იყოს ასეთი:** „ქვეყანაში არ კმარა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია. ავაშენოთ თუ არა ახალი ჰიდროელექტროსადგურები, რომელიც გამოიწვევს ასობით ჰექტარის დატბორვას, მოსახლეობის გადასახლებას, მხარის ისტორიული მემკვიდრეობაც წყლის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს. თუ ატომური ელექტროსადგურები ავაშენოთ, რომელიც მსგავსი დაზიანებისაგან დაიცავს გარემოს, მაგრამ პერსპექტივაში შეიძლება გაცილებით მძიმე შედეგები გამოიწვიოს?“ **და ა.შ.**

დილემები ხშირად გვხვდება ისტორიის გაკვეთილზეც, საყრდენი ისტორიული თემების სწავლების დროს – ძველი მსოფლიოს ისტორიაში, შუა საუკუნეების ეპოქასა თუ თანამედროვე ისტორიაში. ეს ბუნებრივია, რადგან ისტორიული დილემების დაძლევას ხშირად მოსდევს რეალური ცვლილებები საზოგადოებასა და კაცობრიობის ისტორიაში.

დილემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას/ან ხელოვნურად შექმნას მასწავლებელმა ისტორიის გაკვეთილზე:

1. **ისტორიული მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაცია:** ისტორიაში ხშირად გვხვდება მოვლენების განსხვავებული თვალსაზრისი და ინტერპრეტაცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დილემები სწავლებაში და მოსწავლეები დადგნენ განსხვავებულ პოზიციაზე. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ეს სიტუაცია (ან ხელოვნურად შექმნას, მიზნობრივად აღნიშნული სიტუაცია) და გამართოს დისკუსია კლასში ისტორიული მოვლენების განვითარების სხვადასხვა პერსპექტივის, პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების (და ა.შ.) შესახებ, რომელიც მოსწავლეებს მსგავს სიტუაციაში სასარგებლო ქცევის განხორციელებაში დაეხმარება;
2. **წყაროს სანდოობის საკითხი:** ისტორიის საგნის სწავლება ემყარება ისტორიული წყაროების კვლევას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია წყაროების ანალიზი და მათი სანდოობის ხარისხი. მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ სანდო წყაროების ამოცნობა და მათი ღირებულებითი მნიშვნელობის დადგენა. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ეს მომენტი და დაგეგმოს კვლევითი საქმიანობა მოსწავლეთა შორის ღირებულებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისთვის;
3. **მასალის მოცულობა:** ისტორიული დილემები ხშირად დაკავშირებულია რთულ არჩევანთან ან სიტუაციასთან, როდესაც ცალკეულ ისტორიულ პიროვნებებს, ჯგუფებს, ერებს, ეთნიკურ ჯგუფებს სჭირდებათ რთული გადაწყვეტილებების მიღება, რისთვისაც საკმაოდ დიდი მოცულობის მასალის გაცნობაა საჭირო. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი და რა მოცულობის მასალა გამოიყენოს კონკრეტული საკითხის შესწავლისთვის. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მასწავლებელს შეუძლია ისე დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რომ პრობლემა მოსწავლეთა კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებისთვისაც გამოიყენოს და ფართოდ ჩართოს სწავლებაში „თავისუფალი არჩევანის“ პრინციპიც. ეს მათ არჩევანის გაკეთებისას სწორი გადაწყვეტილებების მიღების გამოცდილებას შესძენს;
4. **ცნებები და ტერმინები:** ისტორიაში ხშირად გვხვდება ისეთი ცნებები და ტერმინები, რომელთა გააზრება და დამახსოვრება ადვილი არაა მოსწავლეებისთვის. მასწავლებელმა, ერთი მხრივ, ცხადია, უნდა გამოიყენოს მეთოდური რეკომენდაციები და მიდგომები ასეთი სირთულეების დასაძლე-

ვად, მეორე მხრივ, პრობლემური სიტუაციების, ცხოვრებისეული კონტექსტის შემცველი ამოცანების შეთავაზებით ის ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ფართო სოციალური გამოცდილების მიღებაში;

5. **სენსიტიური თემები:** ისტორიის გაკვეთილები შეიძლება მოიცავდეს ისეთ სენსიტიურ თემებს, როგორიცაა ომები, გენოციდები, მონობა, სოციალური დაპირისპირებები და ა.შ. მასწავლებლები მზად უნდა იყვნენ განიხილონ ეს თემები ისე, რომ პატივი სცენ მოსწავლეთა გრძნობებსა და აზრებს;
6. **მულტიკულტურული ისტორია:** თანამედროვე ისტორიის გაკვეთილები სულ უფრო მეტად მოიცავს მულტიკულტურულ პერსპექტივებს. მრავალი კულტურის, ერის, ეთნოსის წვლილის გათვალისწინებამ ისტორიაში შეიძლება გაკვეთილებზე შექმნას დილემები, რომელთა განხილვის დროს მასწავლებელს შეუძლია აქტიურად განავითაროს მოსწავლეთა ღირებულებითი დამოკიდებულებები და სოციალურად სასარგებლო ქცევის ჩამოყალიბებაში დაეხმაროს.

კონკრეტული დილემების მაგალითები ისტორიის სწავლებისას:

- **კარიბის კრიზისი:** ცივი ომის დროს, 1962 წელს, კუბაზე საბჭოთა კავშირმა განალაგა ატომურქობინიანი წყალქვეშა რაკეტები. აშშ-ს სასწრაფოდ უნდა მოეფიქრებინა, როგორ აეცილებინა თავიდან ფართომასშტაბიანი ატომური ომი და მისგან გამოწვეული შედეგები.
- **ატომური ბომბების ჩამოგდება 1945 წელს იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში:** აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, გამოეყენებინა თუ არა ატომური ბომბები მეორე მსოფლიო ომის დასრულებისათვის. ეს იყო მორალური და სტრატეგიული დილემა, რომელსაც სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა;
- **ჰოლოკოსტი და მოწმეთა დილემები:** ფაშისტური ოკუპაციის დროს ევროპის ბევრი ქვეყანა და ცალკეული პირები მორალური დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ უნდა გადაეწყვიტათ, ებრაელების და ცალკეული უმცირესობების გენოციდის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ თუ უბრალო მოწმედ დარჩენილიყვნენ;
- **ბრძოლა სეგრეგაციის წინააღმდეგ 1950-1960-იანი წლების აშშ-ში:** მოქალაქეები, ცალკეული პიროვნებები და ადამიანთა ჯგუფები დადგნენ დილემის წინაშე – მხარი დაეჭირათ თუ არა აფროამერიკელების სამოქალაქო უფლებებისთვის და დაესრულებინათ რასობრივი დისკრიმინაცია,

მიუხედავად იმისა, რომ მოუწევდათ ბრძოლა ღრმად გამჯდარ ტრადიციებთან;

- **ინდოეთის გაყოფა 1947 წელს:** ბრიტანეთის კოლონიური მმართველობისა და ისტორიული პერიპეტიების განვითარების შედეგად შეიქმნა დილემა, როგორ გაეყოთ ინდოეთი ორ სხვადასხვა ქვეყნად: ინდოეთად და პაკისტანად. გადაწყვეტილება იმოქმედებდა მილიონობით ადამიანის ბედზე და შეიძლება გამოეწვია ფართომასშტაბიანი ძალადობაც კი;
- **ვიეტნამის ომი 1955-1975 წლებში:** ვიეტნამის ომის დროს აშშ წააწყდა დილემას, როდესაც უნდა გადაეწყვიტა – გაემწვავებინა თუ არა კონფლიქტი, თუ დაესრულებინა ის ფაქტობრივი გამარჯვების გარეშე;
- **მეორე მსოფლიო ომი:** 1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ფაშისტების შესაჩერებლად საჭირო იყო მეორე ფრონტის გახსნა. 1942 წლის მაისში სსრ კავშირს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის მოლაპარაკებისას მიაღწიეს „სრულ შეთანხმებას“ ევროპაში მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნის შესახებ. აშშ-ის და ბრიტანეთის მთავრობა დილემის წინაშე აღმოჩნდა. ან პირობა უნდა შეესრულებინათ, ან ეღიარებინათ, რომ 1944 წლამდე საკმარისი ძალები არ ეყოლებოდათ.
- **იგივე შეიძლება ითქვას კორეის ომზე და ცივი ომის პერიოდის ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაზე, მათ შორის – გაყინულ კონფლიქტებზეც;**
- **და ა.შ.**

ისტორიულ დილემებთან გამკლავება მოითხოვს გააზრებულ და ანალიტიკურ მიდგომას წარსული მოვლენებისა და გადაწყვეტილებების სირთულის გასაგებად. **ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდიკის მიხედვით ისტორიულ დილემებზე მუშაობის ზოგადი ინსტრუქცია:**

ნაბიჯი 1 – იმ ეპოქის შეფასება, რაზედაც არის აქცენტი: მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა ისტორიკოსების მოსაზრებას, მათ შორის თანამედროვეების თვალთახედვითაც, რომლის საფუძველზეც აღადგენენ კონკრეტულ ეპოქას, რომელშიც წარმოიშვა დილემა; ეცნობიან იმ დროს არსებულ ურთიერთობებს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, კულტურულს, ურთიერთობებს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, რადგან კონტექსტი გადამწყვეტია ხალხის წინაშე არსებული არჩევანის გასაგებად. სრული კონტექსტის გასაგებად იყენებენ პირველად და მეორად წყაროებს.

ნაბიჯი 2 – ისტორიული მიზეზობრიობა: მოსწავლეები გამოიკვლევენ მიზეზობრივ ფაქტორებს, რამაც გამოიწვია დილემა. რა მოვლენებმა, გადაწყვეტილებებმა ან გარემოებებმა შეუწყო ხელი ადამიანებს რთული არჩევანის გაკეთებას?

ნაბიჯი 3 – ისტორიოგრაფია: მოსწავლეები ეცნობიან იმ პერიოდის ან მოვლენის ისტორიოგრაფიას. როგორ განმარტეს ისტორიკოსებმა ეს დილემა დროთა განმავლობაში? ისტორიული ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ახალი ფაქტების აღმოჩენის და შეხედულებების განვითარებასთან ერთად.

ნაბიჯი 4 – მრავალი პერსპექტივა – ისტორიულ დილემებს ხშირად აქვთ მრავალი თვალსაზრისი. წარსულში ადამიანებს განსხვავებული მოტივაცია, პრიორიტეტები და მსოფლმხედველობა ჰქონდათ. მოსწავლეებმა უნდა გამოიკვლიონ ეს განსხვავებული პერსპექტივები, რომ წარსული უფრო ღრმად გაიგონ;

ნაბიჯი 5 – კონტრაფაქტორები: ფიქრი იმაზე, „რა იქნებოდა, თუ“.. ეხმარება მოსწავლეებს, შეაფასონ ისტორიული გადაწყვეტილების მიღების სირთულე, პოტენციური შედეგები;

ნაბიჯი 6 – დიალოგში ჩართულობა: მოსწავლეები განიხილავენ ისტორიულ დილემებს სხვა ადამიანებთან, განსაკუთრებით მათთან, ვისაც განსხვავებული თვალსაზრისი აქვს და ამისთვის ეფექტურად იყენებენ როლურ თამაშებს, დისკუსია-დებატებს;

ნაბიჯი 7 – მოსწავლეები გამოყოფენ იმ ძირითად ეთიკურ, მორალურ შეხედულებებს, რომელსაც იზიარებდა იმდროინდელი საზოგადოება: რას თვლიდნენ სიმართლედ, სიკეთედ, ადამიანის მოვალეობად..

ნაბიჯი 8 – სუბიექტივიზმისგან თავის არიდება – მოსწავლეები ცდილობენ, იყვნენ ობიექტურები და ეპოქის შესწავლისთვისაც შეადარონ წყაროები და ობიექტურ მოსაზრებებს დაეყრდნონ. სიფრთხილით უნდა მოეკიდონ თანამედროვე ღირებულებების, რწმენისა და განსჯის დაწესებას განვლილ ეპოქებთან მიმართებაში.

ნაბიჯი 9 – ცდილობენ, უპასუხონ კითხვას: ვინ არის „ისტორიული პიროვნება?“ „შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ისტორიული პიროვნება არის ადამიანი, რომლის მოღვაწეობა ბიძგს აძლევს ისტორიულ მოვლენებს, გავლენას ახდენს ისტორიული პროცესის მსვლელობაზე?“ უნდა გვახსოვდეს, რომ „პატივისცემის გამოხატვა“, როდესაც საქმე ეხება სენსიტიურ ისტორიულ მოვლენებს, პიროვნებებს, ძალიან მნიშვნელოვანია.

ნაბიჯი 10 – შეფასება – ეს არის მტკიცებულების საფუძველზე ჩამოყალიბებული აზრი, გრძნობა, დამოკიდებულება, რომელსაც ადამიანი გამოხატავს რაიმეს /ვინმეს მიმართ: მოსწონს თუ არ მოსწონს, კარგია თუ ცუდი და ა.შ.

ნაბიჯი 11 – შეფასების უნარის გამომუშავება: მოსწავლის შედეგი (ათვისება) გამოჩნდება მოსწავლის მიერ დამოკიდებულად, გაცნობიერებულად გაკეთებულ შეფასებაში.

რეფლექსიის ეტაპზე მოსწავლე აჯამებს საკუთარ საქმიანობას ბარათებით, რომელზედაც მასწავლებელს წინასწარ აქვს დატანილი საწყისი ფრაზები:

- „დღეს მე ვისწავლე... გავეცანი... საინტერესო იყო ჩემთვის... რთული აღმოჩნდა... მე გავიგე, რომ... მე ვიგრძენი, რომ... მე შევიძინე... მე მივაღწიე... მე გამაოცა... გაკვეთილზე მე შევიძინე ჩემი ცხოვრებისთვის... მე ვისურვებდი, რომ...“

სწავლის აქტიური ტექნოლოგიებიდან დილემებით სწავლებისას ეფექტურ შედეგებს გვაძლევს: კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე მიმართული სტრატეგიების გამოყენება; ისტორიული სასამართლოები, დისკუსია-დებატები; მორალური დილემების შექმნა; სათამაშო სიტუაციები; პროექტული და კვლევითი საქმიანობის წარმართვა; ისტორიული რეკონსტრუქციის ტექნოლოგია – კომპიუტერული მოდელირება და ა.შ.

დილემების დაძლევა, ღირებულებებზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთება, ლოგიკური და არგუმენტირებული დასაბუთება, რომლისთვისაც მოსწავლე კრიტიკული აზროვნების და ანალიზისა და არგუმენტირების უნარებს გამოიყენებს, გამოიკვლევს, ახალ ცოდნას ააგებს – თანამედროვე სასწავლო პროცესს პროდუქტიულობას, ხალისსა და მოტივაციას სძენს, ეხმარება მოსწავლეს ცხოვრების სავალი გზების განსაზღვრაში.

სიტუაციური ამოცანების გამოყენება დისკუსიისას და პრობლემათა ანალიზი

დისკუსია, რომლის უამრავი ფორმაც არსებობს, გაკვეთილის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სახალისო ნაწილია. დისკუსიური მუშაობის ძირითადი ფორმები, როგორიცაა გონებრივი იერიში, დებატები, მრგვალი მაგიდა, სიტუაციური ამოცანები, ფორუმი, სასამართლო სხდომა, აკვარიუმი, ქეისტექნოლოგია და სხვა. ხელს უწყობს ინდივიდუალურ და თანამშრომლობით მოღვაწეობას, ზეპირი და წერილობითი მეტყველების, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური ოპერაციების, სემიოტიკური კომპეტენციებისა და ზოგადად შემეცნებითი და კომუნიკაციური ხასიათის თვისებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

პრობლემური საკითხების გაანალიზებისთვის ძალიან ეფექტურია საგაკვეთილო დისკუსია, რომლის დროსაც სასურველია, მოსწავლეს ისეთი ამოცანები შევთავაზოთ, რითაც ის სიტუაციას სხვადასხვა კუთხით წარმოიდგენს. მსგავსი ამოცანები მასწავლებელმა გაკვეთილის მიზნის შესაბამისად უნდა შეარჩიოს და შეადგინოს. მაგალითად: როდესაც მასწავლებლის მიზანია, პრობლემური საკითხის გაანალიზება და მიიჩნევს, რომ ამისთვის მოსწავლეს სჭირდება, ცხადად წარმოიდგინოს ეპოქის სულისკვეთება; ეფექტურია დისკუსია-დიალოგის ფორმატი და ისტორიული პერიოდის მოდელირება სიტუაციური ამოცანის შეთავაზებით, რომლითაც მასწავლებელი ყველაზე სასურველ გარემოს შექმნის პრობლემის მთლიანობაში აღსაქმელად.

განვიხილოთ მსგავსი დილემები სიტუაციური ამოცანებით:

1) ამოცანა დაფუძნებულია მოვლენათა თანამედროვის, ისტორიული სუბიექტის პოზიციაზე:

მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპის რელიგიური ვითარების ანალიზისთვის მოცემულია სიტუაცია: ერთმანეთს ხვდებიან მარტინ ლუთერი, თომას მიუნცერი და ინგლისის მეფე ჰაინრიხ VIII. ამოცანა: წარმოიდგინეთ მათ შორის შემდგარი შესაძლო დიალოგი, საუბარი, რომელშიც თითოეული შეეცდებოდა თავისი ეკლესიის უპირატესობის დამტკიცებას (ლუთერანულის, კალ-

ვინისტურის, ანგლიკანურის) და მოიფიქრეთ, რა საკითხებზე არ იკამათებდნენ ისინი, რა არ გახდებოდა მათ შორის საკამათო?!

2) ამოცანა, რომელიც ეყრდნობა უბრალოდ თანამედროვის პოზიციას:

მაგალითად, სიტუაცია: შენ, როგორც XXI საუკუნის ადამიანი, აღმოჩნდი 1095 წელს პაპ ურბან II-ის მიერ კლერმონში გამართულ კრებაზე, სადაც მან წმინდა მიწის გასათავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება გამოაცხადა. ამოცანა: შენ უკვე იცი ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები. დაუჭერდი თუ არა მხარს პაპის მოწოდებას, თუ შეეცდებოდი, დაგერწმუნებინა ის, უარი ეთქვა ლაშქრობებზე?! რომელ არგუმენტებს გამოიყენებდი შენი მიზნის მისაღწევად?!

3) ამოცანები, რომელიც დაფუძნებულია მხატვრული ტილოს ანალიზზე:

მაგალითად, აღწერე სიტუაცია და გააკეთე ჩანაწერი „სასახლის კარის დღიურში“ იმ მოვლენის მიხედვით, რასაც ხედავ სურათზე „რუქნ-ად-დინის წერილი“ (სურ.1); შეეცადე გადმოსცე თამარ მეფის დარბაზის წევრთა გრძნობები რუმის სულთნის ელჩის მიერ წაკითხულ წერილთან დაკავშირებით; მოიფიქრე, გაამართლებდა თუ არა თავის ქმედებას ზაქარია მხარგრძელი და რით ახსნიდა ამას?!

სურათი 1.
რუქნ-ად-დინის წერილი
(ლ. გუდიაშვილი „საკადრისი პასუხი“)

სურათი 2.
მთიული ლტოლვილები
(პეტრე გრუზინსკი)

4) ამოცანები, რომლებიც დაფუძნებულია ისტორიული წყაროს – დოკუმენტების ანალიზზე.

ქშწკგ საზოგადოების სოხუმის განყოფილების თავმჯდომარის მარიამ ანჩაბაძის წერილი თბილისის ცენტრალური გამგეობის სახელზე



გააანალიზე წყარო და მისწერე წერილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შენი დამოკიდებულების შესახებ აფხაზეთში ამ საზოგადოების მუშაობის პერსპექტივაზე

5) სიტუაციის მოდელირება: რა მოხდებოდა, თუ... მაგალითად, რუსეთი ვერ შეიერთებდა კავკასიას?! და ა.შ.

პასუხებისთვის მოსწავლეს შეუძლია ასეთი „ფორმულა“ გამოიყენოს:

ა) დააფიქსირე პოზიცია (ანუ – „რას ემყარება შენი მოსაზრება?“) – მე ვთვლი, რომ...

ბ) ახსნა-განმარტება (ანუ – „როგორ დაამტკიცებ შენს პოზიციას, რა შედეგებით?“) – იმიტომ, რომ..

გ) მაგალითი (ანუ – „დაასახელე ფაქტები შენი მოსაზრების ილუსტრირებისათვის“) – მაგალითად...

დ) გამომდინარე აქედან, ამიტომ, ამის შესაბამისად (ანუ – „დასკვნა: რა უნდა გაკეთდეს?!“ „ანდა, ეს შეიძლება იყოს მოწოდება, შენი პოზიციის აღიარებისკენ“) – ასე რომ...

ნებისმიერ სიტუაციაში, არ უნდა დაგვავიწყდეს: ჯგუფების წინასწარი ორგანიზება; დებატების მონაწილეთა შერჩევა; ჯგუფების დაყოფა ორ ნაწილად: მტკიცებითი და უარყოფითი; მოსამართლის დასახელება, რომელიც გადაწყვეტს, რომელმა ჯგუფმა უკეთესად დაიცვა თავისი პოზიცია და სპიკერის არჩევა, რომელიც თვალყურს ადევნებს რეგლამენტის და თამაშის წესებს.

და, რაც მთავარია, აუცილებელია დებატების პრინციპის დაცვა:

- სხვისი აზრის პატივისცემა;
- მკაფიო არგუმენტები;
- წაგებული არავინაა.

პრობლემური საკითხების ანალიზისთვის დისკუსიური მუშაობის ფორმები და ამ მიზნით სიტუაციური ამოცანების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციური, დინამიკური და ტრანსფერული ცოდნის განვითარებას და სრულყოფას, ამიტომ მისი გამოყენება გაკვეთილზე სასურველი და ეფექტურია.

მოგზაურობა წარსულში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად – კოგნიტური თამაში

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე გამოირჩევა გაკვეთილების მრავალფეროვნებით. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ისეთ გაკვეთილებს, რომელიც პიროვნების ჰარმონიული და ინტელექტუალური განვითარების, საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვის საშუალებას იძლევა. კიდევ უფრო სახალისო და საინტერესოა ასეთი გაკვეთილები, როდესაც ისინი კოგნიტური თამაშის ელემენტებითაა გაჯერებული. ასეთი გაკვეთილები სასიამოვნოა და მოსწავლეთა ჩართულობაც – მაღალი.

მაგალითად, განვიხილოთ თემა VII კლასის ისტორიის და მათემატიკის კურსიდან **„მოგზაურობა წარსულში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად“** (ისტ. VII. 1,2,10; მათ. VII, 4,5).

მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებს გააცნოს კაცობრიობის კულტურული წარსულის საინტერესო დეტალები; დაანახოს მოსწავლეებს მათემატიკური ცოდნის მნიშვნელობა ცივილიზაციის განვითარებისათვის; შეისწავლოს მოსწავლეთა ტრანსფერული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები გაკვეთილი-თამაშის დროს და სთავაზობს კოგნიტურ თამაშს პრაქტიკული ცოდნის გამოყენებაზე.

მოსწავლეები გაეცნობიან:

- საგნობრივი ინტეგრაციისა და ტრანსფერული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს;
- კაცობრიობის კულტურული წარსულის საინტერესო დეტალებს და მათემატიკის როლს ცივილიზაციის განვითარებაში;
- შეაჯამებენ მასალას თემაზე: „მოგზაურობა წარსულში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად“.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაეცნონ კაცობრიობის კულტურული წარსულის საინტერესო დეტალებს; იმსჯელონ მათემატიკის წვლილზე უძვე-

ლესი ცივილიზაციების განვითარებაში; განუვითარდეთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

გაკვეთილის მიმდინარეობა:

აქტივობა N1 – კლასის და რესურსების ორგანიზება.

აქტივობა N2 – გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი გამოაცხადებს გაკვეთილის თემას – „მოგზაურობა წარსულში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად“ და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, რა ცოდნის შესაძენად შეიძლება იმოგზაუროს ადამიანმა წარსულში?

მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები ჩამოიწერება დაფაზე:

- კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების გასაცნობად;
- იმ ცოდნის შესაძენად, რომელიც საფუძვლად დაედო კაცობრიობის კულტურული წინსვლის უმნიშვნელოვანეს გამოგონებებს;
- სხვადასხვა საგნის სწავლების გასაცნობად, განსაკუთრებით მათემატიკის, რომლის კულტურულ ღირებულებას ნათლად წარმოაჩენს მისი დანიშნულება სივრცითი და დროითი სტრუქტურების უკეთ გააზრებაში, რომელზეც მთელი სამყაროს შემეცნებაა დამოკიდებული.

აქტივობა N3 – მასწავლებელი აჯამებს მიღებულ შედეგებს და **აწვდის** დამატებით ინფორმაციას:

საწყისი აზრით, „კულტურა არის შედეგი ადამიანის შრომითი ზემოქმედებისა როგორც გარე სამყაროზე, ასევე თვით ადამიანზე“. თავდაპირველად ის დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან, ცხოველთა და მცენარეთა მოვლა-პატრონობასთან, ე. ი. ფაქტობრივად სოფლის მეურნეობასთან, მოგვიანებით – აღზრდასთან, განათლებასთან, რომლის საფუძველზეც ადამიანმა გამოიგონა დამწერლობა, სატრანსპორტო საშუალებები, ააგო ურთულესი ნაგებობები, დაამუშავა ლითონი, განავითარა ვაჭრობა და ხელოსნობა და დიდ წარმატებებს მიაღწია ზოგადად გამოთვლითი ოპერაციების შესრულებაში.

მასწავლებლის შეკითხვა: კონკრეტულად რომელი საგნის ცოდნა შეიძლება გამხდარიყო ამ დიდი მიღწევების საფუძველი?

მოსწავლეთა სავარაუდო პასუხი:

მიწათმოქმედებას, ცხოველთა და მცენარეთა მოვლა-პატრონობას, დამწერლობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ურთულეს ნაგებობებს, ლითონის დამუშავებას, სავაჭრო-სახელოსნო წარმოებას საბოლოო ჯამში საფუძვლად უდევს მათემატიკური გაანგარიშებები, ამიტომ მათემატიკის ცოდნა ცივილიზაციის მიღწევების საფუძველი შეიძლება იყოს.

მასწავლებელი განმარტავს საზოგადოების განვითარებაში ანგარიშისა და მათემატიკური მოქმედებების მნიშვნელობას და იმისათვის, რომ მოსწავლეები ახლოს გაეცნონ მათემატიკის როლს კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში და დაინახონ ამ ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა, სთავაზობს კოგნიტურ თამაშს – **„მოგზაურობას წარსულში პრაქტიკული ცოდნის შესაძენად“.**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თამაშის შინაარსს:

„აღმოსავლეთის ხელმწიფემ გაითვალისწინა ელამელების ძველი დიდება და სახელი, მათი კეთილგანწყობა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ და შემოგთავაზათ, დაეხმაროთ მათ: გამოგიგზავნათ ორი წერილი და ორი რუკა, რომელზეც აღნიშნულია მოგზაურობის მარშრუტები. თუ თქვენ შეასრულებთ პირველ წერილში მითითებულ დავალებას და გამოავლენთ „ბაბილონეთის“ მათემატიკის საფუძვლების კარგ ცოდნას, უფლებას მიიღებთ, გააგრძელოთ გზა და მიხვიდეთ შემდეგ პუნქტში, სადაც „კარგი რკინა“ მოიპოვება. იქ გადმოგეცემათ მეორე წერილი.

ინფორმაციას ურუქზე და „კარგი რკინის“ ქვეყანაზე გაგაცნობთ ისტორიის მასწავლებელი, ხოლო წერილებში მითითებულ დავალებებს – მათემატიკის მასწავლებელი. დავალებების წარმატებით შესრულებისთვის მიიღებთ განკუთვნილ ჯილდოს, რითაც შეძლებთ „კარგი რკინის“ შეძენას და დაეხმარებით ელამელებს მეურნეობის განვითარებაში და ცივილიზაციის გზის გაგრძელებაში“.

აქტივობა N4: ბაბილონეთის რუკა

სურათი 1

პირობის თანახმად ისტორიის მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას ბაბილონეთზე და იქ მცხოვრებ ხალხზე, შუმერებზე, მათ მიწათმოქმედებაზე, ლურსმულ დამწერლობაზე, თიხის ფირფიტებზე, სკოლებზე, ბორბლის გამოგონებაზე, ზიქურატებზე; საუბრობს ბაბილონის დაკიდებულ ბაღებზე, ბაბილონის გოდოლზე, აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებზე მეზობელ ქვეყნებთან, რომელიც ეკონომიკურად ამდიდრებდა ბაბილონეთს და ხელს უწყობდა მის კულტურულ განვითარებას.

საუბრის დასრულების შემდეგ **მათემატიკის მასწავლებელი** ხსნის პირველ წერილს და მოსწავლეებს აცნობს იქ მოთავსებულ ინფორმაციას:

„ბაბილონელების წარმატება დიდად იყო დამოკიდებული მათ მიერ დროის სწორად გამოყენებასთან, რადგან ისინი დიდ პატივს სცემდნენ დროს და ცდილობდნენ, ის უქმად არ გაეფლანგათ. ბაბილონელები სარგებლობდნენ დათვლის ექვსათეულიანი (60) სისტემით, რომელიც შუმერებიდან მოდიოდა. საათისა და კუთხური გრადუსის 60 წუთად დაყოფაც აქედან მოდის: საათში 60 წუთია, წუთში – 60 წამი, გარშემოწერილობა – 360 გრადუსია,1 გრადუსში 60 მინუტია.

დავალება N1: ბაბილონური დროის აღრიცხვის მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეასრულონ დავალება:

- გამოსახეთ წუთებში 2/5სთ;11/12სთ.
- რამდენი საათია 15 წთ? 12 წამი?

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას (2/5სთ = 24 წთ; 11/12 სთ = 55 წთ.; 15 წთ = 1/4სთ; 12 წმ = 1/300 სთ).

დავალება N2: „ბაბილონელები **ფულისა და წონის ერთეულსაც** 60-ს უკავშირებდნენ. დროის ფასი ხომ მათთან არანაკლებ დიდი იყო. ისინი **ფულისა და წონის ერთეულს** 60-ის ტოლ ნაწილად ყოფდნენ შუმერული ტრადიციის მიხედვით. 60 გამყოფების დიდი რაოდენობითაც გამოირჩევა. ის უნაშთოდ იყოფა 2, 3, 4, 5, 6, 10, 20-ზე და შესაბამისად ხურდის მიცემა მოსახერხებელი იყო. მათ ფულის ერთეულს მინა ეწოდებოდა და ვერცხლის იყო. მას ორ ნაწილად ყოფდნენ. თითოეული ნახევარი, თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფოდა და შესაბამისად შუმერებს შორის მეექვსედი მინის შესაბამისი ვერცხლის ულუფები მიმოიქცეოდა. მინა 1 ტალანტის მესამოცედი ნაწილი იყო. შუმერების მეზობელი აქადელების ფულს კი **შეკელი** ეწოდებოდა. სწორი ანგარიშით

და წარმატებული გაცვლა-გამოცვლით ბაბილონელები მეზობელ ქვეყნებთან აქტიურად ურთიერთობდნენ“.

ამოხსენით ამოცანა:

ა) რამდენ შეკელში გაიცვლებოდა შუმერული მეექვსედი მინა?
ბ) რას უდრიდა 1 შუმერული მინა?
გ) რამდენ მინას და რამდენ შეკელს უტოლდებოდა 1 ტალანტი?

პასუხები: ა) 10 შეკელში; ბ) 60 შეკელს; გ) 60მინას და 3600 შეკელს. მოსწავლეებმა სწორად გასცეს პასუხი დავალებებს და გააგრძელეს გზა.

აქტივობა N5: რუკის მიხედვით მოგზაურობის შემდეგი პუნქტია ხეთების სამეფო (სურ.2).

სურათი 2

პირობის თანახმად, ისტორიის მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას ხეთებზე:

„ისინი ცხოვრობდნენ მთიან მხარეში და მდიდრები იყვნენ ლითონის საბადოებით. განსაკუთრებით ცნობილები იყვნენ „კარგი რკინის“ დამზადებით, რაც საშუალებას აძლევდათ წარმატებით ევაჭრათ მეზობელ ქვეყნებთან. საინტერესოა, რომ ხეთები რკინას საიუველირო მასალადაც იყენებდნენ. ისინი ცდილობდნენ თავიანთი ცოდნა გამოეყენებინათ სამხედრო უპირატესობისთვის და სხვებს არ აძლევდნენ გათანაბრების საშუალებას. ამიტომ იყო, რომ რკინის ნაწარმმა ფართო გამოყენება ჰპოვა მხოლოდ ტროას ომისა და ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, როდესაც ბერძნების

სავაჭრო ურთიერთობების გამო რკინის ტექნოლოგია ბევრისათვის გახდა ცნობილი. ასე შეცვალა ბრინჯაოს ხანა რკინის ხანამ“.

საუბრის დასრულების შემდეგ **მათემატიკის მასწავლებელი** ხსნის მეორე წერილს და მოსწავლეებს აცნობს იქ მოთავსებულ ინფორმაციას:

„სავაჭრო ურთიერთობაში ხეთებს ეხმარებოდა დათვლის სისტემის არსებობა (დათვლის სამოცათეულიანი სისტემა მათთვისაც ცნობილი იყო) და მათემატიკის საფუძვლების, მაგალითად, პროპორციების ცოდნა. ეს კარგად ჩანს ერთ ხეთურ წარწერაში (ძვ.წ. XIV ს.), სადაც ლითონის ფასზეა საუბარი: „სპილენძის 240 წონის ერთეული = 4 მინა სპილენძს = 1 შეკელ ვერცხლს“.

დავალება N3: მოცემული ინფორმაციის საფუძველზე წარმოიდგინეთ, როგორ გაცვლიდნენ ხეთი ვაჭრები მათთვის ძვირფას რკინას სხვა ლითონებში და **იპოვეთ შეფარდება:**

რკინა: ვერცხლი: სპილენძი = 1: ? : ?

პასუხი: 1: 4: 960.

დავალება N4: გამოთვალეთ: 2/3 მინა = ... შეკელს; 15 შეკელი = ... მინას; 70 შეკელი =..... ტალანტს.

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას.

დავალება N5: მათემატიკის მასწავლებელი: თქვენ კარგად შეასრულეთ ზემოთ მოტანილი დავალებები. ახლა კი გამოთვალეთ, „რამდენ ხანს გასტანს თქვენი მოგზაურობა უკან, ელამში, თუ გზის 1/3 ნაწილი დაიძლევა 10 დღეში, ხოლო შემდეგი 1/3 იმაზე 2/5-ით ნაკლებ დროში, ვიდრე პირველი ნაწილი, ხოლო ბოლო 1/3 ნაწილი 2-ჯერ მეტ დროში, ვიდრე მეორე ნაწილი”.

სავარაუდო პასუხი: 10+6+12=28 დღე.

პირობის მიხედვით მოსწავლეები მიიღებენ აღმოსავლეთის ხელმწიფის მიერ დაწესებულ ჯილდოს: 1 ტალანტს თითო მოსწავლე. სულ დაგროვდა 20 ტალანტი.

მათემატიკის მასწავლებელი:

- გამოთვალეთ, რა რაოდენობის „კარგი რკინის“ შეძენას შეძლებთ ამ თანხით?

პასუხი: 20 ტალანტი =20 60 მინა = 1200 მინა=72000 შეკელი რკინა.

ისტორიის მასწავლებელი: რაში გამოიყენებდით თქვენს შენაძენს?

სავარაუდო პასუხი:

ა) გადავცლიდით ბაბილონეთში და მიღებული მონაგებით განვავითარებდით მათემატიკის სწავლებას ელამში, რაც ხელს შეუწყობდა ელამს ტექნიკურ გამოგონებებში, საკუთარი ტექნოლოგიების განვითარებაში და კულტურულ წინსვლაში.

აქტივობა N5: რეფლექსია: – შეავსეთ სქემა:

მოსწავლეები პასუხებით ივსება სქემა

ასეთი გაკვეთილები ავითარებს მოსწავლეთა შედარებისა და განზოგადების უნარს, შემოქმედებით და ანალიტიკურ აზროვნებას, ხელს უწყობს დინამიკური და ტრანსფერული ცოდნის გააქტიურებას და სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებელს წარმოდგენა ექმნება მოსწავლეთა მოტივატორებზე, მათ ცოდნაზე და პრაქტიკულ უნარებზე და ეხმარება მომავალი გაკვეთილების დაგეგმვაში.

მაია ბლიაძე

1 დილემებით სწავლება გეოგრაფიის გაკვეთილზე 123

დილემებით სწავლება გეოგრაფიის გაკვეთილზე

გეოგრაფიის სწავლების თავისებურება ის გახლავთ, რომ იგი მრავალი ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე მოქმედი ფაქტორის კომ-პლექსს წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ეს ფაქტორები მეცნიერების სხვა-დასხვა დარგს მიეკუთვნება, რაც მასალას განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს, სასწავლო პროცესს კი უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის.

თითოეულ ჩვენგანს ხშირად გვიწევს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება ანუ დილემის წინაშე ვდგავართ. ამ დროს ჩვენ ვაწყდებით იმ პრინციპებსა და მიზნებს შორის კონფლიქტს, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

დილემა თავს იჩენს როგორც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ანუ ლო-კალურად, ასევე უფრო ფართოდ ანუ მასშტაბურად, როცა ჩვენმა გადაწყვე-ტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს და შეცვალოს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ სხვისი ცხოვრებაც. ასე მაგალითად, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხშირად უკავშირდება დილემას – ნებისმიერი არჩევანის შემთხვევაში შორს მიმავალი შედეგებით.

ცხადია, რომ დილემიდან გამოსავალი არის პრიორიტეტების განსაზღვ-რა – ერთ მიზანზე ორიენტირება, მეორის დათმობა. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია კომპრომისების გამოძებნაც.

გეოგრაფიის გაკვეთილზე ხშირად გვიწევს ისეთი საკითხების განხილვა, როდესაც ჩვენი მოსწავლეები დილემის ანუ ორი ალტერნატიული არჩევანის წინაშე დგანან და მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც არგუმენ-ტებით იქნება დასაბუთებული. სწავლების ასეთი სტრატეგიის, როგორც სას-წავლო სტრატეგიის გამოყენება შესაძლებელია როგორც ცალკე გეოგრაფიის გაკვეთილზე, ასევე ინტეგრირებულ გაკვეთილებზეც.

დილემის შედგენისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს შესასწავლ საკითხსა და იმ აქტუალურ თემას, რომელიც მოსწავლისთვის საინტერესოა და სასკოლო საზოგადოებას აღელვებს.

დილემის თემა შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც გლობალური მნიშვნელობის რომელიმე საკითხს, ასევე საქართველოსთვის ან მხოლოდ ადგილობრივი თუ სასკოლო თემის რომელიმე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას.

გთავაზობთ დილემებით სწავლების რამდენიმე მაგალითს:

მაგალითი N1

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ისტორიული შეთანხმება, რომლის მიზანია, უზრუნველყოს საზღვაო ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება ეროვნული იურისდიქციის მიღმა არსებული ტერიტორიებისა, რომლებიც ოკეანის ორ მესამედს მოიცავს. ამის შესახებ ინფორმაცია გაეროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

გაეროს გენერალური მდივანი შეთანხმების დამტკიცებას მიესალმა და მას მულტილატერალიზმის სიძლიერის დემონსტრირება უწოდა.

„ჩვენი პლანეტის საფრთხის წინააღმდეგ მოქმედებით, რომელიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს, თქვენ აჩვენებთ, რომ გლობალური საფრთხეები იმსახურებს გლობალურ მოქმედებას“, – განაცხადა ანტონიო გუტერეშმა და აღნიშნა, რომ ქვეყნებს შეუძლიათ, გაერთიანდნენ საერთო სიკეთისთვის.

ეს ინოვაციური შეთანხმება საკანონმდებლო ბაზას მნიშვნელოვნად აძლიერებს. შეთანხმება უზრუნველყოფს არსებით ჩარჩოს თანამშრომლობისთვის სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა ოკეანისა და მისი რესურსების მდგრად განვითარებას შეუწყოს ხელი.

ამ შეთანხმების ეფექტიანი და დროული განხორციელება 2030 წლის დღის წესრიგისთვის გადამწყვეტ წვლილს შეიტანს.

გენერალურმა მდივანმა მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, არ დაიშურონ ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ შეთანხმების ძალაში შესვლა და მოუწოდა მათ, დაუყოვნებლად იმოქმედონ მის ხელმოწერასა და რატიფიცირებაზე.

თუმცა ბევრი საზღვაო ქვეყანა თავს იკავებს შეთანხმებაზე ხელმოწერისგან, რადგან მათი ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის ცხოვრება და საქმიანობა მთლიანად თუ ნაწილობრივ ოკეანეს უკავშირდება. ისინი მსოფლიო ოკეანის რესურსების მოპოვებას და ექსპორტს ეწევიან, რაც ხშირად გადაჭარბებულია, ზოგჯერ კი არაკანონიერიც. თუმცა საზღვაო ქვეყნების, განსაკუთრებით პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოების მთავრობები, თვალს

ხუჭავენ მსგავს შემთხვევებზე. შესაბამისად, გაეროს ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ შესაძლოა ამ ქვეყნებში მოსახლეობის უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვიოს.

კითხვა:

 რა უნდა მოიმოქმედოს საზღვაო ქვეყნების მთავრობებმა – უნდა მოაწერონ თუ არა ხელი გაეროს შეთანხმებას?

მაგალითი N2

მდგრადი განვითარების მე-11 მიზანია ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება, რაც ისეთი მოდელის შექმნას გულისხმობს, რომლის მიხედვითაც ქალაქები იდეების, კომერციის, კულტურის, მეცნიერებისა და სოციალური განვითარების საკვანძო ადგილი იქნება, ქალაქები ხალხს სოციალური და ეკონომიკური წინსვლის საშუალებას მისცემს. ურბანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად მეტად მნიშვნელოვანია ეფექტური ურბანული დაგეგმარებისა და მენეჯმენტის არსებობა.

მდგრადობა ქალაქგანვითარებაში ისეთ მიდგომას ნიშნავს, რომლის უმთავრესი ამოსავალი წერტილი ადამიანია და თითოეული მოქალაქისა და სტუმრისთვის თანაბრად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს, ღირსეული საცხოვრისისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ კონტექსტში ვითარდება „ინკლუზიური ქალაქის“ შექმნის კონცეფცია და ინერგება პრაქტიკა, როდესაც ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ყველა საქალაქო რესურსით, მიიღოს მონაწილეობა ქალაქის დაგეგმარებასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. ასევე, წინ გამოდის „მწვანე ქალაქის“, „კრეატიული ქალაქისა“ და „გონიერი ქალაქის“ იდეები, რაც ენერგორესურსების დაზოგვაზე, გამწვანებული და ბუნებრივად/ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, მოსახლეობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, მათ შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული.

მდინარე მტკვარს თბილისის ფარგლებში თითქმის ყველგან დაკარგული აქვს ბუნებრივი იერსახე და საავტომობილო ტრასებითა და ბეტონის ჯებირებით ერთგვარ ავტოსატრანსპორტო დერეფანს წარმოადგენს, ხოლო მისი სანაპიროები დედაქალაქის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალებია და უმ-

ნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ განსაკუთრებით გადატვირთული მოძრაობისა და საცობების დროს.

ქალაქის მცირე მდინარეები სრულად ან ნაწილობრივ მოქცეულნი არიან გვირაბებში, იზოლირებულნი არიან საზოგადოებრივი სივრცეებისგან და მხოლოდ მიწასაყრელებად და ნაგავსაყრელებად გამოიყენებიან; თბილისის განვითარების კონცეფცია კი მდინარეებისთვის რეკრეაციული ფუნქციის დაბრუნებას ითვალისწინებს. კერძოდ, გათვალისწინებულია მტკვრის მარცხენა სანაპიროს გამოთავისუფლება ავტოტრანსპორტისგან, რათა შეიქმნას ურბანული სარეკრეაციო სივრცეები, რომლებიც ქალაქის ერთიან გამწვანებულ სისტემაში იქნებიან ჩართულნი. მტკვრის სანაპიროები მისაწვდომი გახდება მოქალაქეებისთვის და რეკრეაციისა და კომუნიკაციის ფართო ურბანულ სივრცეებად იქცევა.

ბუნებრივად შენარჩუნებული სანაპიროები ჩამოყალიბდება სარეკრეაციო სივრცეებად – მდინარისპირა ბუნების პარკებად: დიღმის ჭალები – რეგიონული მნიშვნელობის ტყე-პარკი, გარემოსდაცვითი და სარეკრეაციო ფუნქციებით: დაახლოებით 350ჰა-ს, რაიონული მნიშვნელობის მდინარისპირა პარკები დირსი-ჭალა და ფონიჭალა – 230 ჰა, ორთაჭალის ბაღები – 20 ჰა.

კონცეფციის თანახმად ქალაქის ისტორიული ნაწილი, ორთაჭალა, რიყე, მშრალი ხიდის არეალი, საქანელას ქუჩა, მუშთაიდის ბაღისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორიები შექმნიან ერთიან სარეკრეაციო სისტემას, საფეხმავლო კავშირებითა და ღია სივრცეების ერთიანობით, დედაენის პარკისა და რიყის ტერიტორიაზე მტკვარი გათავისუფლდება ჯებირებისაგან, შესაძლებელი გახდება უშუალოდ მდინარის ნაპირთან მისვლა.

მტკვრის სანაპირო ჩამოყალიბდება ერთიან საფეხმავლო ქსელად, განივი ხიდებითა და სანაპიროს გასწვრივ ველო და საფეხმავლო უწყვეტი ბილიკებით. მდინარეზე განთავსებული საფეხმავლო კავშირები, მტკვრის ორ, ერთმანეთისგან იზოლირებულ ნაწილს ერთიან, სარეკრეაციო სივრცედ აქცევს.

რაც შეეხება მდინარე ვერეს, კონცეფციის თანახმად, მის გასწვრივ, განვითარდება სარეკრეაციო სივრცეების ქსელი, რომელიც დასრულდება მზიურისა და ამჟამინდელი ზოოპარკის ერთიანი სარეკრეაციო სისტემით.

თემქისხევის, გლდანისხევისა და ხევძმარას დამაკავშირებელი სივრცე, მდინარეთა გასწვრივ, ასევე, ვაზისუბნისხევი, კრწანისისხევი, დიღმისხევი, წოწორასხევი, დუქნისხევი, ორხევი, გლდანულა – ჩამოყალიბდება საუბნო ან სარაიონო მნიშვნელობის სარეკრეაციო სივრცეებად, რომლებიც საფეხმავ-

ლო ველობილიკებით დაუკავშირდებიან მდინარე მტკვარს. მთლიანობაში, მცირე მდინარეთა კალაპოტების გასწვრივ, გარემოსდაცვით-სარეკრეაციო სივრცეებად, მდინარისპირა პარკების სახით, ჩამოყალიბდება 250 ჰა ტერიტორია.



საქართველო არ არის პირველი ქვეყანა ამ გამოცდილებით. მსგავსი პროექტები განხორციელებულა როგორც ევროპის, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

პარიზი

მადრიდი

კითხვა:

მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა თბილისის განვითარების კონცეფცია, რომელიც მდინარეებისთვის რეკრეაციული ფუნქციის დაბრუნებას ითვალისწინებს? პასუხი დაასაბუთეთ.

მაგალითი N3

„ჩვენ ვცვლით სამყაროს, ჩვენი პლანეტის სიკვდილისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ! ჩვენ ბავშვთა სასკოლო აჯანყების მონაწილეები ვართ და არასოდეს შევწყვეტთ ბრძოლას მომავლის გადასარჩენად!“ – ასე მიმართა გრეტა ტუნბერგმა ჯერ კიდევ 2018 წელს ლონდონელ აქტივისტებს და პროტესტის ისეთი ფორმების გამოყენებისაკენ მოუწოდა, როგორსაც თავად მიმართა. იგი შვედეთის პარლამენტის წინ აქციებს აწყობდა ტრანსპარანტით: „სასკოლო გაფიცვა კლიმატისათვის“. მაშინ გრეტამ, პროტესტის ნიშნად, პარასკევობით სკოლაში სიარული შეწყვიტა. გრეტას წამოწყებას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოზარდი შეუერთდა და კლიმატის დამცველთა მოძრაობაში 500 ათასზე მეტი აქტივისტია.

სავარაუდო კითხვები:

ა) სწორად იქცევა თუ არა გრეტა, როცა ბრძოლის მეთოდად აქციებს და პარასკევობით სკოლის გაცდენისკენ მოუწოდებს თანატოლებს?

ბ) თქვენი აზრით, რატომ აირჩია გრეტამ ბრძოლის ეს მეთოდი და კიდევ რა მეთოდით შეეძლო გოგონას ბრძოლა?

მაგალითი N4

ნავთობის შორ მანძილზე გადატანის ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და იაფი ხერხი მათი საზღვაო გზით გადაზიდვებია. ნავთობით დატვირთული ტანკერები ათასობით კილომეტრს სერავენ მსოფლიო ოკეანეში, ასეთ დროს არც თუ იშვიათია კატასტროფები, რაც ეკოლოგიას დიდ ზიანს აყენებს, ამ დროს ოკეანეებში დიდი რაოდენობით იღვრება ნავთობი, რაც ოკეანის ფლორას და ფაუნას საგრძნობლად აზიანებს. ნავთობი აპკის სახით წყლის ზედაპირს ეკვრის, ფარავს მის გარკვეულ ნაწილს, კლავს ყოველივე ცოცხალს და ზიანს აყენებს სანაპირო ზოლს. 1978 წელს ატლანტის ოკეანეში, საფრანგეთის სანაპიროებთან, კლდეს შეეჯახა და შუაზე გაიპო ტანკერი „ამოკო კადისი“, რის შედეგად ზღვაში 230 000 ტონა ნავთობი ჩაიღვარა და 2000 კმ2-ზე გიგანტური აპკი წარმოიქმნა. ამ მოვლენამ ევროპის ისტორიაში უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია.

მსგავსი ეკოლოგიური კატასტროფები მოხდა სპარსეთისა და მექსიკის ყურეებში, კალიფორნიის სანაპიროებთან და ა.შ.

გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა და ეკოაქტივისტებმა ოკეანის ბიომრავალფეროვნების გადასარჩენად აქციები მოაწყვეს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოსთხოვეს, აუკრძალონ ნავთობექსპორტიორ ქვეყნებს და მსხვილ ნავთობმომპოვებელ კომპანიებს „შავი ოქროს“ ტანკერებით გადაზიდვა, წინააღმდეგ შემთხვევაში რადიკალური ზომებით იმუქრებიან.

კითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს საერთაშორისო ორგანიზაციები და ნავთობექსპორტიორი ქვეყნები და მსხვილი ნავთობმომპოვებელი კომპანიები?

მაგალითი N5

მდგრადი ინოვაციები – კაცობრიობის მომავალი

მსოფლიო გამოწვევებმა წინა პლანზე წამოწია მდგრადი ინოვაცია. მდგრადი ინოვაცია არის პროცესი, რომლის დროსაც გარემოსდაცვითი, სოციალური, ფინანსური მოსაზრებები ინტეგრირებულია კომპანიის სისტემებში იდეის წარმოქმნიდან კომერციალიზაციამდე. ეს ეხება პროდუქტებს, მომსახურებებსა და ტექნოლოგიებს, ასევე, ახალ ბიზნესებსა და ორგანიზაციის მოდელებს. მდგრადი ინოვაცია არის ინოვაციის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადმზარდი და საინტერესო მიმართულება.

გარემოს გაუმჯობესების კონტექსტში შეიძლება ინოვაციის ოთხი ძირითადი დონე განისაზღვროს:

თანდათანობითი	რედიზაინი	ფუნქციური ან პროდუქტის ალტერნატივები	სისტემური
ამ დონეს ახასიათებს არსებული პროდუქციის მცირე, პროგრესირებადი გაუმჯობესება;	არსებული პროდუქციის ახალი დიზაინის შექმნას გულისხმობს. გაუმჯობესების ტექნიკურად მისაღებ ვარიანტს.	ახალი პროდუქტის ან მომსახურების კონცეფციები, იგივე, ფუნქციური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მაგ. ტელეკონფერენცია, როგორც მოგზაურობის ალტერნატივა.	ეს არის ინოვაციის დონე, რომელიც მაქსიმალურადაა მორგებული მდგრადი საზოგადოების გემოვნებას.

მდგრადი ინოვაციების დანერგვის მაგალითებია:

N1. ცნობილია, რომ ნარჩენების მართვის ტრადიციული მეთოდით დიდი რაოდენობის ნარჩენები მიემართება ნაგავსაყრელში. 3D წარმოების შემთხვევაში კი პროდუქტი „დაბეჭდილია“ თითქმის ნულოვანი ნარჩენებით. ასევე, უფრო მდგრადია 3D ბეჭდვის დროს გამოყენებული თერმოპლასტიკა. მაგალითად, პოლილაქტური მჟავა (PLA) არის შაქრისგან წარმოქმნილი პოლიმერი, რომელიც ყველაზე ხშირად მზადდება სიმინდისგან. თერმოპლასტიკის გადამუშავება, ასევე, რამდენჯერმეა შესაძლებელი.



N2. ოკეანეების უსაფრთხო დასუფთავების ჭკვიანი მოწყობილობა „Seabin“ სერფერებმა ენდრიუ ტურტონიმ და პიტ ჩეგლინსკიმ გამოიგონეს, რომელთაც სურდათ, გაეწმინდათ ოკეანე. Seabin-ს შეუძლია შეაგროვოს პლასტმასები, სარეცხი საშუალებები და ზეთი. ყუთის შიგნით არის ტომარა, რომელიც „ხაფანგში აქცევს“ ნარჩენებს. წყალქვეშა წყლის ტუმბო ახდენს მასში წყლის ცირკულაციას. შემდეგ წყალი გადაედინება სათავსოში, სადაც ტოვებს ნაგავსა და ნამსხვრევებს სპეციალურ სათავსო ტომარაში. ამ მოწყობილობას შეუძლია შეაგროვოს 3.9 კგ მცურავი ნარჩენები დღეში, ანუ 1.4 ტონა – წელიწადში.



N3. „Rocketbook Everlast“ 36 გვერდიანი რვეულია, რომლის გვერდებზე წარწერების წაშლა შესაძლებელია ნესტიანი ქსოვილით. ამ დაუსრულებელ რვეულს შეუძლია მრავალი ხის გადარჩენა. ამას ემატება ისიც, რომ ამ პროდუქტის შეძენისას კლიენტის სახელზე რგავენ 1 ხეს.

N4. ახალ ან ძველ შენობებზე დამონტაჟებული დიდი პანელები (16,2 x 7 მეტრი) ქუჩიდან დაბინძურებულ ჰაერს იწოვენ, რომელიც შემდეგ პანელებისა და მცენარეების საშუალებით იფილტრება. წყალმცენარეები შთანთქავენ CO_2-ს და სხვა დამაბინძურებლებს და გამოყოფენ ფოტოსინთეზირებულ ჟანგბადს ქუჩაში ან შენობის ინტერიერში. შემდგომში, ამ „გამოყენებულ“ წყალმცენარეებს სასუქების, ბიოპლასტმასის, კოსმეტიკური საშუალებების და სხვათა წარმოებისთვის იყენებენ. კომპანია ირწმუნება, რომ PhotoSynthetica პანელების 2 m^2-მა შეიძლება იმდენივე CO_2 აითვისოს, რამდენსაც 1 ხე შთანთქავს.



სავარაუდო კითხვები:

ა) შეასრულებს თუ არა გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს მდგრადი ინოვაციების დანერგვა? პასუხი დაასაბუთე.

მაგალითი N6

კლიმატის ცვლილება – მითი თუ რეალობა?

ის, რომ დედამიწაზე გლობალურ კლიმატცვლილებას აქვს ადგილი, ბევრს არ სჯერა. არადა, კლიმატის ცვლილება რომ ნამდვილად არის და ის ადამიანის საქმიანობით გამოწვეული კრიზისია, ეს საკამათო საკითხი არ არის. შესაძლოა, თქვენმა შორეულმა ნათესავმა, ოჯახურ ვახშამზე, ამის საწინააღმდეგო გიმტკიცოთ, მაგრამ მსოფლიოს კლიმატის ექსპერტთა 97%-ზე მეტი თანხმდება: კლიმატის ცვლილება რეალურია და მას ადამიანის საქმიანობა იწვევს.

კლიმატის ცვლილების მიზეზი ატმოსფერული სათბურის აირების, უმთავრესად ნახშირორჟანგის, ზრდაა.

საიდან ვიცით ეს?

ჩვენ ვიცით, რომ წიაღისეული საწვავის (როგორებიცაა ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი) წვა გამოყოფს დიდი რაოდენობის ნახშირორჟანგს. ასევე, ვიცით, რომ ნახშირორჟანგი სათბურის აირია და ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ატმოსფეროში ისეთივე ეფექტს იწვევს, როგორსაც მინები სათბურში – „ისრუტავს“ სითბოს და უკან აღარ აბრუნებს მას.

საყურადღებოა ისიც, რომ ნახშირორჟანგის კონცენტრაცია ატმოსფეროში დრამატულად გაიზარდა. გამოთვლებით დადგინდა, რომ მისმა დონემ უკანასკნელი 800 000 წლის რეკორდი მოხსნა!

ვინ ყოფილა ამ ყველაფერში დამნაშავე?

რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენ – ადამიანთა მოდგმა.

თვალებში უნდა ჩავხედოთ იმ სიმართლეს, რომ ახლა დედამიწაზე ნახშირორჟანგის ემისიების სრული შეჩერებაც კი პრობლემას მარტივად ვერ მოაგვარებს. ჩვენ ისევ მოვიმკით ჩვენივე შექმნილი პრობლემის შედეგებს. უკვე გამოყოფილი სათბურის აირები ატმოსფეროში ათი და ასწლეულების განმავლობაში დარჩება.

ამის მიუხედავად, ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, ყველაფერი გავაკეთოთ უარესის თავიდან ასარიდებლად. კარგი ისაა, რომ უკვე არსებობს სუფთა ენერგიისა და მდგრადი პოლიტიკის გატარების პრაქტიკული მცდელობები.

სანამ გვიან არ არის, საჭიროა:

- ინკლუზიურ და კლიმატის მხრივ მდგრად ეკონომიკაზე გადასვლა, რომელიც მილიონობით კარგად ანაზღაურებად და უსაფრთხო სამუშაო ადგილს შექმნის, იმის პარალელურად, რომ გაიზრდება მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოება.
- ძირეული ცვლილებები სატრანსპორტო სექტორში, მაგალითად, ელექტროფიკაცია.
- დამაბინძურებელ ობიექტებთან მცხოვრებმა მოსახლეობამ პირველმა უნდა იგრძნოს გამონაბოლქვზე და წყლის ხარისხზე გაფართოებული რეგულაციების შედეგი.
- კლიმატის ცვლილების კუთხით ჭკვიანი, ენერგოეფექტიანი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი სამყაროს უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და გრძელვადიან გადარჩენას.
- დავიწყოთ მოქმედება დღესვე!

კითხვა:

კლიმატის ცვლილების შერბილების საქმეში ერთი ადამიანის ნებაყოფლობითი ქმედება უფრო მნიშვნელოვანია თუ მსოფლიოს ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები და მთავრობების მიერ მიღებული მკაცრი გადაწყვეტილებების იძულებითი შესრულება?

მაგალითი N7

რას ნიშნავს ცხოვრების მწვანე წესი?

ადამიანებმა თანდათან დაიწყეს პროდუქტებისა და რესურსების დაუფიქრებელი მოხმარების უარყოფითი მხარეების გაცნობიერება, როგორც თავად ადამიანებისთვის, ასევე ბუნების მიმართ. თანამედროვე ცხოვრებაში უკვე შეინიშნება ე.წ. „მწვანე“ ცხოვრების წესზე გადასვლის ტენდენცია. გაიზარდა მოთხოვნა „მწვანე“ პროდუქტებზე, „მწვანე“ ტექნოლოგიებზე, „მწვანე“ ავტომობილებზე, „მწვანე მოდაზე“ და სხვა მწვანე პროდუქტსა თუ სერვისზე.

სამწუხაროდ, კაცობრიობა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა ბუნების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობის გაგებისგან. ჩვენი დედამიწის უზარმაზარ სივრცეში ადამიანს უჭირს რესურსების ამოწურვადობისა და სასრულობის გაცნობიერება. რთულია ხვალინდელ დღეზე ფიქრის დაწყება, რად-

გან ჩვენ უფრო ორიენტირებულები დღევანდელი დღით ცხოვრებაზე ვართ. თუმცა, რა თქმა უნდა, ხვალინდელი დღე მაინც დადგება და აუცილებელია, ვიფიქროთ ცხოვრების წესის შეცვლის აუცილებლობაზე, რათა არ დავუშვათ, რომ ჩვენი უზარმაზარი პლანეტა უზარმაზარ ნაგავსაყრელად გადაიქცეს.

რა უნდა გაკეთდეს ამისთვის? სინამდვილეში, სწორედ ცხოვრების „მწვანე“ წესია ის რეცეპტი, რომელსაც იმ გარემოსდაცვითი პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა შეუძლია, რომლებიც საფრთხეს უქმნის დედამიწაზე ცოცხალ არსებებს. ამასთან, ცხოვრების ეს წესი სულაც არ ნიშნავს ქცევის მნიშვნელოვან ცვლილებებს. როცა ადამიანი ფიქრს იწყებს იმაზე, თუ როგორ დატოვოს ნაკლები ნარჩენი და ნაკლებად დააბინძუროს გარემო, ის ავტომატურად ცვლის ქცევის წესებს, რადგან ბევრად უფრო ყურადღებიანი ხდება შეძენილი პროდუქტების მიმართ, ცდილობს, ნაკლები არასაჭირო ნივთი შეიძინოს და ა.შ.

თანდათან პოპულარობას იძენს ცნება „მწვანე“. სიტყვა „მწვანე“ ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში გამოიყენება, იქნება ეს ავტომობილები თუ მანქანა/დანადგარები, სამშენებლო კონსტრუქციები, დეკორი, სათამაშოები, ბატარეები, ტელეფონები, ტანსაცმელი, აქსესუარები, საკვები, საყოფაცხოვრებო საქონელი, მოგზაურობა და ა.შ.

რა თქმა უნდა, ყველა კეთილსინდისიერად არ იყენებს ამ კონცეფციას. გაჩნდა ისეთი ფენომენი, როგორიცაა „იმიჯის გამწვანება“ – პროცესი, როდესაც კომპანიას მომხმარებელი მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში და საკუთარ საქმიანობას წარმოაჩენს ეკოლოგიურად სუფთად, მაშინ, როცა ეს სინამდვილეში ასე არ არის.

მთლიანობაში, მწვანე ცხოვრება არის გზა, ისე ვიცხოვროთ, რომ მინიმალური უარყოფითი გავლენა ვიქონიოთ გარემოზე. ის მოგვიწოდებს, ჩვენი ცხოვრების წესით ვეცადოთ, შევამციროთ ჩვენი ეკოლოგიური ნაკვალევი. ამავე დროს, გვეხმარება, ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრებით ჩვენივე ჯანსაღი არჩევანის საშუალებით. ასეთი ცხოვრების წესი ხელს არ გვიშლის, მხარი დავუჭიროთ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას და ხელი შევუწყოთ საზოგადოების სოციალურ განვითარებას.

ცხადია, დაუყოვნებლივ „მწვანედ“ გარდაქმნა ადამიანისთვის თითქმის შეუძლებელი ამოცანაა. ამიტომ უმჯობესია ეს გადასვლა, ანუ ჩვენი „გამწვანება“ თანდათან, ეტაპობრივად მოხდეს.

„მწვანე“ ცხოვრების წესის დასანერგად 4 ძირითადი პრინციპის შესრულებაა აუცილებელი. ეს პრინციპებია:

- გონივრული მოხმარება;
- ხელახალი გამოყენება;
- მოხმარების შემცირება;
- გადამუშავება.

გონივრულად მოხმარება: ამ პრინციპის შესრულების შესაძლებლობა ხშირად ინდივიდის ცნობიერებაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი პროდუქტის შეძენამდე, ყურადღებით გააანალიზეთ მისი პოტენციური გავლენა თქვენსა და თქვენი ახლობლების ჯანმრთელობასა და გარემოზე. როდესაც ადამიანები შეწყვეტენ რომელიმე სახის პროდუქტის ყიდვას, მწარმოებლებიც შეწყვეტენ ამ პროდუქტის წარმოებას. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია, გარკვეულწილად, გავლენა მოვახდინოთ ჯანმრთელობისთვის სახიფათო პროდუქტების წარმოებაზე.

ხელახლა გამოყენება: სანამ რაიმეს გადააგდებ, ჯერ დაფიქრდი, კიდევ როგორ შეიძლება ამ ნივთის გამოყენება. ხელახლა გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ნაგავსაყრელების ზრდის ტემპები. მაგალითად, შეგიძლიათ ხელახლა გამოიყენოთ პლასტმასის კონტეინერები, განაახლოთ პრინტერის კარტრიჯები, დაარღვიოთ ნაქსოვი სამოსი და ა. შ. გახსოვდეთ: ნებისმიერმა მცირე ცვლილებამ ინდივიდის ცხოვრების წესში, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გლობალურ გარემოზე.

შეამცირეთ მოხმარება: შეამცირეთ წყლის, ელექტროენერგიის და გაზის მოხმარება. მოერიდეთ შეუცვლელი რესურსების დაკარგვას. შეეცადეთ გამოიყენოთ განახლებადი ენერგიის წყაროები.

გადამუშავება: და ბოლოს, გადაამუშავეთ რაც შეიძლება მეტი ნარჩენი. გადამუშავება საშუალებას გაძლევთ, დაზოგოთ ბუნებრივი მასალები და ენერგია, რომელსაც მწარმოებელი დახარჯავს არარეციკლირებული მასალისგან პროდუქტის დამზადებაზე. გადამუშავება საშუალებას გაძლევთ, შეამციროთ ნარჩენების რაოდენობა და დაბინძურება, რომელსაც ისინი ნაგავსაყრელზე წარმოქმნიან. გადამუშავების შედეგად შესაძლებელია პლასტმასის და მინის ნარჩენების სიიდან ამოღება. პლასტმასსა და მინას ცუდი ბიოდეგრადობა ახასიათებთ. მაგალითად, პლასტმასის დაშლას 400 წელზე მეტი დრო სჭირდება, ხოლო მინის დაშლას შეიძლება მილიონი წელიც კი დასჭირდეს.

მწვანე ცხოვრების წესი, გარემოსდაცვითი ცნობიერებით განპირობებული შეგნებული ქცევით, გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შემცირებაა, რაც საუკეთესო გზაა ჩვენი პლანეტის გადასარჩენად. დიახ, მწვანე ცხოვრების წესი, ჩვენი მხრიდან, მოითხოვს გარკვეულ მსხვერპლს და გარკვეულ მოქმედებებს, მაგრამ მის გარეშე, ჩვენ და ჩვენს შვილებს, შესაძლოა არც თუ სასიამოვნო მომავალი გველოდეს. ამიტომაც მწვანე ცხოვრება დღეს უკვე აუცილებლობით განპირობებული მოცემულობაა.

კითხვა:

არის თუ არა კაცობრიობის გადარჩენის გზა „ცხოვრების მწვანე წესი“?

გამოყენებული ლიტერატურა

1. 50 simple ways to make your life greener
https://www.theguardian.com/environment/2020/feb/29/50-ways-to-green-up-your-life-save-the-planet
2. The Essential Guide to Sustainable Living
https://www.rd.com/article/sustainable-living/

თამარ მურუსიძე

1 დილემებით სწავლება მათემატიკის გაკვეთილზე 141

2 საინტერესო პროექტი, ანუ „ფარული“ მათემატიკა 149

დილემებით სწავლება მათემატიკის გაკვეთილზე

ღირებულებებით სწავლება არის სტრატეგია, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ფასეულობების ამოცნობაში, გამოკვლევასა და გარკვევაში. ღირებულებითი განათლება შეიძლება ჩავრთოთ მათემატიკის სწავლების მიდგომებში, რაც მოსწავლეებისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და გრძელვადიანია, ვიდრე უბრალოდ იმის მითითება, თუ რა უნდა დააფასონ ან როგორ მოიქცნენ კონკრეტულ შემთხვევებში. ღირებულებითი სწავლების დროს მოსწავლეებს ვთავაზობთ დილემას, რომელიც აღწერს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციას და პრობლემის გადასაჭრელად რამდენიმე ვარიანტს შორის მოითხოვს არჩევანს შორის. დილემებით სწავლება პრაქტიკული ხასიათისაა და მნიშვნელოვანია მსჯელობის უნარის განვითარებისათვის. სწორედ ნაცნობი კონტექსტის დილემების გადაჭრით, მათზე მსჯელობით ხდება ღირებულებების შეთვისება, მისი სწავლება ქადაგებებითა და შეგონებებით შეუძლებელია.

გთავაზობთ ღირებულებების გარკვევის სტრატეგიებით დაგეგმილ აქტივობებს თემისთვის – რიცხვები, რიცხვითი სიმრავლეები, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, გახდნენ „ცოდნის მწარმოებლები და არა უბრალოდ მომხმარებლები“. გაითვალისწინეთ თქვენი მოსწავლეების მზაობა და თითოეული აქტივობა მოარგეთ თქვენს სასწავლო სიტუაციას.

კლასი: მე-7

თემატური არეალი: რიცხვები და მათი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში;

სამიზნე ცნება:

მათემატიკური მოდელი

რაციონალური რიცხვი. პროცენტი;

კანონზომიერება

მოქმედებები რიცხვებზე; პროცენტული ცვლილება;

ლოგიკა

კვლევა, მსჯელობა, დასაბუთება.

მკვიდრი წარმოდგენები:

- მათემატიკური ოპერაციების, პროცენტისა და მასთან დაკავშირებული მოქმედებების ცოდნა გვეხმარება ფინანსური და ყოველდღიური საკითხების გადაჭრაში.

დრო: 2-3 გაკვეთილი

რესურსები: ინტერნეტში ჩართული გაჯეტები.

ჯგუფს დასჭირდება თითო კომპიუტერი პრეზენტაციის მოსამზადებლად. პროექტორი.

მიზანი: რიცხვებზე მოქმედებების გამოყენება დილემის გადაჭრისას ადამიანური ღირებულებების გასაძლიერებლად (კერძოდ, ფულის ცნების, როგორც ღირებულებს გააზრება და არა როგორც ნივთების ყიდვა-გაყიდვის საშუალება).

აქტივობა 1. სიტუაციური ამოცანა:

4 ჯგუფად დაყოფილ მოსწავლეებს ვურიგებ სიტუაციური ამოცანის ბარათს.

დავეხმაროთ ანას	
ანა თქვენი თანატოლია, მისი დაბადების დღე ახლოვდება. მან ვერ დაარწმუნა მშობლები, რომ დაბადების დღეზე საჩუქრად უყიდონ ძვირადღირებული iPhone ფირმის ტელეფონი (ბოლო მოდელი). ანას ჰგონია, რომ მშობლები მას კარგად არ ეპყრობიან და გული სწყდება მათზე, გამოხატავს კიდეც. მშობლებიც ნერვიულობენ, როცა ანას ასეთ გულდაწყვეტილს უყურებენ. თან წუხან, ანას გული ვერ გაახარეს, რადგან ოჯახის ფინანსური მდგომარეობა ძვირადღირებული ტელეფონის შეძენის საშუალებას არ იძლევა. მშობლებმა გადაწყვიტეს, სესხი აიღონ ძვირადღირებული ტელეფონის შესაძენად, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას.	

დაეხმარეთ ანას, ურჩიეთ, როგორ მოიქცეს, დაივიწყოს ძვირადღირებულ ტელეფონზე ოცნება, თუ აიძულოს მშობლები, აიღონ სესხი და შეუძინონ მას ძვირადღირებული ტელეფონი.

კლასს ვთავაზობ რამდენიმე აქტივობას, რომლებზე მუშაობა ამ დილემის გადაჭრაში დაეხმარებათ.

აქტივობა 2. დავთვალოთ ხარჯი

მშობლებმა ჰკითხეს ანას, იცოდა თუ არა, რამდენი ფული იხარჯებოდა მის საჭიროებებზე მთელი წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, ანამ მაშინვე ვერ გასცა პასუხი.

თქვენი დავალებაა, მოძებნოთ პასუხები შემდეგ პრობლემებზე:

- დაახლოებით რამდენ ლარს ხარჯავენ მშობლები შენზე წელიწადში?
- დაახლოებით რამდენი ლარი დახარჯეს მშობლებმა შენზე ამ ასაკამდე?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოგადგებათ ქვემოთ მოცემული ცხრილი. ცხრილი შეავსეთ ჯგუფის წევრების მონაცემების მიხედვით, თუ რა თანხას ხარჯავს შენი ოჯახი თითოეულ ჩამონათვალზე. მაგალითად, თუ სკოლაში მისასვლელად ტრანსპორტით გიწევთ მგზავრობა, დღეში თქვენ გესაჭიროებათ 1,2 ლარი, კვირაში 1,2x5= 6 ლარი, თვეში 6x4= 24 ლარი, ხოლო წელიწადში დაახლოებით 24x9= 216 ლარი. ამ ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი

ჩამონათვალი	კვირაში თანხის ოდენობა	თვეში თანხის ოდენობა	წელიწადში თანხის ოდენობა
სასწავლო ნივთები			
მგზავრობის თანხა			
სწრაფი კვების თანხა (ბუფეტი)			
ჩასაცმელი			

ჩამონათვალი	კვირაში თანხის ოდენობა	თვეში თანხის ოდენობა	წელიწადში თანხის ოდენობა
სხვადასხვა საჭირო აქსესუარები (ტელეფონი, ყურსასმენი...)			
სკოლის გარეთ საგანმანათლებ-ლო წრეები			
სხვა... (გასართობი პარკი, კინო-თეატრი...)			

ეს ცხრილი ერთობლივად შეავსეთ ჯგუფში, მიახლოებით გავიგებთ, თქვენი თანატოლისთვის რა თანხას ხარჯავს ოჯახი (კვებაზე, ჯანმრთელობაზე და ყოველდღიურ წვრილმანებზე დახარჯული თანხების გარდა).

აქტივობა 3: პრეზენტაციები

მოსწავლეებმა შეასრულეს რიცხვებზე მოქმედებები, გააკეთეს პრეზენტაციები. მსჯელობისას გამოკვეთეს, რომ შესაძლებელია, მათ თანატოლებს განსხვავებული ხარჯები ჰქონდეთ, თუმცა ძირითადი საჭიროებები, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი და მგზავრობის საფასური, სასწავლო ნივთები... ყოველთვიურად დიდ თანხებს უკავშირდება. ამით მათ უკეთ გააცნობიერეს მშობლის ტვირთი.

აქტივობა 4: აიფონის ფასი

4 ჯგუფად დაყოფილ მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები პრობლემითა და კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტილების აღწერით.

2007 წლის ივნისში სტივ ჯობსმა წარმოადგინა iPhone-ის პირველი ვერსია, 449 დოლარად. პირველი სმარტფონი, რომელიც გამოუშვა Apple-მა. 2023 წელს რომელია iPhone-ის უახლესი მოდელი და მისი ფასი (დოლარში, ლარში) რამდენი პროცენტით გაიზარდა iPhone-ის ფასი მის პირველ ვერსიასთან შედარებით?

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ პრობლემის გააზრებაში, გაეცით პასუხი შემდეგი სახის კითხვებს:

- რამდენი %-ით გაიზარდა ფასი?
- რეალურად, რას ნიშნავს iPhone-ის ...%-იანი ზრდა?
- როგორ ფიქრობთ ეს სამართლიანია?
- რა შეიძლება იყოს ფასის ზრდის ზოგიერთი მიზეზი? (გამოთქვით ვარაუდი)
- იყიდით თუ არა ამ პროდუქტს? რატომ ან რატომ არა?
- როცა გაიგებთ ფასის ცვლილებას, ურჩევდით ამ პროდუქტს სხვებს? რატომ ან რატომ არა?

სამი პოტენციური ინტერპრეტაცია მოიცავს:

- **ინფლაცია:** ფულის ღირებულება ნაკლებია, ვიდრე იყო წარსულში, ამიტომ ახლა უფრო მეტი ფული გჭირდებათ იგივე ნივთების შესაძენად.
- **Apple-ის მარკირება:** Apple-მა გააცნობიერა, რომ მათ აქვთ მართლაც პოპულარული პროდუქტი, ასე რომ, მათ შეუძლიათ მეტი თანხის გამომუშავება. მაგრამ ეს სამართლიანია? განიხილეთ, რატომ ან რატომ არა?
- **უკეთესი პროდუქტი:** შესაძლოა, დღევანდელი iPhone რეალურად ...%-ით უკეთესი იყოს, ვიდრე 15 წლის წინ იყო (მაგ., უფრო სწრაფი, მეტი ვარიანტი, მეტი საცავი, მეტად დაცული...).

იმსჯელეთ, რომელი მიგაჩნიათ მართებულად და რატომ? მსჯელობა დაასაბუთეთ

კითხვებზე პასუხის გასაცემად და არგუმენტების გასამყარებლად დაგეხმარებათ მითითებულ ბმულებზე არსებული ინფორმაცია:

https://www.apple.com/ge/iphone-14-pro/
https://www.samsung.com/us/mobile/
https://www.geostat.ge/ka/single-news/2888/inflatsia-sakartveloshi-2023-tslis-ivnisi
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi

შეაგროვეთ მონაცემები და იმსჯელეთ იმ გზებზე, რომელიც გამოიყენეთ საკითხის შესაფასებლად (მაგ. დიაგრამები).

აქტივობა 5: პრეზენტაცია

მოსწავლეებმა მოძიებული ინფორმაციების საფუძველზე მონაცემების გასააზრებლად საჭირო მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, საინტერესო პრეზენტაციები წარადგინეს: გადაწყვეტილების აღწერა კონკრეტული სცენარისთვის, საკუთარი გამოცდილებიდან, მოძიებული ინფორმაციებიდან, სიუჟეტიდან, სატელევიზიო შოუდან ან ფილმიდან. იმსჯელეს თავიანთ გადაწ-

ყვეტილებაზე ამ პრობლემასთან დაკავშირებით. შემდეგ შეაფასეს, დაახარისხეს გადაწყვეტილებები და აღწერეს მათი მნიშვნელობა, რომელიც აისახა მათ მთავარ არჩევანში.

აქტივობა 6. ტელეფონი განვადებით

ცნობილია, რომ ნივთის შეძენის დროს, ვინც ვერ იხდის ნაღდი ანგარიშსწორებით, უწევს ფულის სესხება. ფულის სესხება კი უფასო არ არის და სხვადასხვა ბანკსა თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში სხვადასხვა თანხებს იხდიან, დარიცხული პროცენტების შესაბამისად.

გამოვიკვლიოთ 2 წლიანი განვადების პირობებისთვის 800 ლარიანი, 1200 ლარიანი, 1500 ლარიანი, 2000 ლარიანი, 3000 ლარიანი ტელეფონის ფასები სხვადასხვა ბანკების პირობებით.

ტელეფონის ღირებულება	#1 ბანკის პირობები	#2 ბანკის პირობები	#3 ბანკის პირობები	სხვა
800 ლარი				
1200 ლარი				
1500 ლარი				
2000 ლარი				
3000 ლარი				

- გამოთვალე, ანას მშობლებს რა თანხის გადახდა მოუწევთ ყოველთვიურად, 800 ლარიანი ტელეფონის შეძენის შემთხვევაში სხვადასხვა ბანკების პირობებით (ან 1200₾-ის... სესხების შემთხვევაში).
- იპოვე, რამდენით აღემატება ბანკში (სხვადასხვა ბანკში) გადახდილი თანხა ტელეფონის ღირებულებას?
- შეადარე შემოთავაზებული სესხის პირობები, გაითვალისწინე დამატებითი მომსახურების ხარჯები (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი...).
- რა მოხდება თუ სესხის ვადებს შეცვლით?
- რას ურჩევთ ანას მშობლებს?

კითხვებზე პასუხის გასაცემად დაგეხმარებათ აქ მითითებულ ბმულებზე არსებული ინფორმაცია:

https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/installments
https://bankofgeorgia.ge/ka/retail/loans/installment
https://libertybank.ge/ka/produqtebi/chemtvis/liberti-ganvadeba/ganvadeba-fizikuri-pirebistvis

აქტივობა 7. პრეზენტაცია

მოსწავლეთა ჯგუფებმა დიდი ინტერესით იმუშავეს, შეასრულეს გამოთვლები რიცხვებზე, გააანალიზეს ბანკის მიერ შემოთავაზებული პირობები, იმსჯელეს არგუმენტირებულად და მიიღეს ოპტიმალური გადაწყვეტილებები. დაინახეს პროცენტების ფინანსურ დაგეგმარებაში გამოყენების მნიშვნელობა.

აქტივობა 8. დილემის გადაჭრა

დაეხმარეთ ანას, როგორ მოიქცეს:

- დაივიწყოს ძვირადღირებული ტელეფონი,

თუ

- დაარწმუნოს მშობლები, აიღონ სესხი და შეუძინონ მას ძვირადღირებული ტელეფონი?

თქვენი დავალებაა:

შეაჯამეთ გამოთვლების და ინფორმაციის ანალიზისას მიღებული გადაწყვეტილებების სია. ასევე შეგიძლიათ გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია ყველაზე ეფექტურიდან ყველაზე ნაკლებად ეფექტურამდე, ყველაზე ეკონომიურიდან ყველაზე ნაკლებად ეკონომიურამდე, ყველაზე თანამგრძნობიდან ყველაზე ნაკლებად თანამგრძნობამდე, ყველაზე სასიამოვნოდან ყველაზე ნაკლებად სასიამოვნომდე და ა.შ. იმსჯელეთ ღირებულებებზე, ღირებულებათა შეფასებით, გადაფასებით /...ურჩიეთ ანას

აქტივობა 9. გადაწყვეტილების დასაბუთება-დისკუსია

მოსწავლეებმა გამართეს საინტერესო დისკუსია, იყო აზრთა სხვადასხვაობა. განსხვავებული გადაწყვეტილებები და არგუმენტირებული მსჯელობა. მოსწავლეები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, როგორ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება, მაგრამ არ ასწორებდნენ, არ აფასებდნენ და არ ადასტურებდნენ

ერთმანეთის მსჯელობას, რადგან თავადაც გააანალიზეს, რომ დილემას არა აქვს სწორი პასუხი, სწორედ ღირებულების შეფასებით ხდება გადაწყვეტილების მიღება. ანალიზი იყო ობიექტური, რაც გამოიხატებოდა მოსწავლეთა დასკვნებში და მიუკერძოებელ მსჯელობაში.

აქტივობა 10. გაკვეთილის შეჯამება/ შეფასება

შეჯამება ხდება კითხვა-პასუხის რეჟიმით:

რა გავიგე ახალი? რა ვისწავლე და სად შეიძლება გამოვიყენოთ მიღებული ცოდნა და უნარები? ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული ჩვენი შედეგებით?

მოსწავლეებმა ხალისით იმუშავეს ყოფითი ცხოვრებისეული დილემის გადაჭრაზე, ჰქონდათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, ითვალისწინებდნენ ერთმანეთის შეხედულებებსა და იდეებს. იდეების გასააზრებლად მართავდნენ დისკუსიებს, მსჯელობდნენ თავიანთი გადაწყვეტილების დადებით და უარყოფით შედეგებზე.

ღირებულებითი განათლების პრინციპების დანერგვა, ძირითადი მიზნებისა და დასაბუთებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათემატიკის სწავლებისა და სწავლის პროცესში. მათემატიკის როლის გააზრებით მოსწავლეებში ფუნდამენტური ღირებულებები ვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
   http://ncp.ge/ge/curriculum?subject=36&subchild=198
2. მათემატიკის საიტი, შედგენილი ქეთი ცერცვაძის მიერ, ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. https://math.ge/
3. https://www.mathgoodies.com/articles/teaching_values
4. https://ggie.berkeley.edu/practice/finishing-math-word-problems/#tab__2

საინტერესო პროექტი, ანუ „ფარული“ მათემატიკა

სიამოვნებით გაგიზიარებთ გამოცდილებას, როგორ გახადეს პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა სკოლის დერეფნები ყველასათვის მიმზიდველი და კომფორტული, როგორ დაგეგმეს სხვადასხვა თამაში გაკვეთილებს შორის აქტიური დასვენებისათვის.

ყველაფერი ასე დაიწყო: პროექტის მოდერატორებმა (სკოლის მათემატიკის, ფრანგული ენის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა) შევკრიბეთ მოსწავლეები და ვაჩვენეთ ფილმი https://clck.ru/SkPas, გერმანული გამოცდილებით. ფილმში ბაღის აღსაზრდელები თავიანთი სურვილების და იდეების მიხედვით სასიკეთოდ ცვლიან არსებულ გარემოს. ამ ფილმით ბავშვებს ვუთხარით, რომ თუ მათ ექნებათ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ცვლილებებში, ცვლილებები მოხდება!

დაინტერესება მყისიერი იყო. ბავშვებმა დაიწყეს სკოლაში არსებული პრობლემების გამოკვეთა (ჩამონათვალი მცირე არ იყო). ამ პრობლემებიდან აირჩიეს ისეთი, რომლის გადაჭრაც შესაძლებელი იქნებოდა და სკოლაში არსებულ სასკოლო ცხოვრებას გაამრავალფეროვნებდა.

როგორც ბევრ სხვა სკოლაში, ჩვენს სკოლაშიც სასკოლო ცხოვრება და არაფორმალური განათლება გააქტიურებას საჭიროებს. მოსწავლეებს არა აქვთ არაფორმალური განათლებისათვის „კომფორტული სივრცეები“. სასკოლო ცხოვრება რუტინულია. სამწუხაროდ, არავინ ცდილობს კლასის გარეთ იზრუნოს სკოლაზე, გარემოსა და ერთმანეთზე. არავინ ცდილობს, დაგეგმოს საინტერესო და სახალისო აქტივობები, გახადოს სასკოლო ცხოვრება ლამაზი, შემოქმედებითად გააცოცხლოს და აამეტყველოს სკოლის დერეფნები.

საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვიტა სკოლის მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების, შემოქმედებითობისა და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებისათვის დერეფნებში კომფორტული სივრცეების მოწყობა. გადაწყვიტეს, დერეფნის კუთხეებში დადგან რბილი კომფორტული ფერადი ავეჯი, სადაც დასვენებებს შორის გამართავენ სხვადასხვა სახალისო აქტივობას. ბავშვები

ფიქრობენ, რომ ამ სივრცეებში მასწავლებლებსაც შეეძლებათ საგაკვეთილო პროცესის საინტერესო გარემოში გადმოტანა.

ბავშვებმა შეიმუშავეს და დაწერეს გეგმა. დაიწყეს ფიქრი, როგორ შეფუთონ იდეა ისე, რომ დაფინანსდეს – ერთდროულად მომხიბვლელი აღმოჩნდეს როგორც სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის, ასევე სამეურვეო საბჭოსა და დირექციისთვის.

ბავშვებმა მეტი თვალსაჩინოებისა და ეფექტისთვის სკოლის დერეფნის მაკეტის შექმნა გადაწყვიტეს. ასე ფარულად შემოვიდა პროცესში მათემატიკა.

მოსწავლეებმა დაიწყეს აზომვითი სამუშაოები. სახაზავი ლენტის საშუალებით გაზომეს დერეფნის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე. დერეფნის „შეჭრილი“ ნაწილებიც მთელი სიზუსტით გაიზომა. გაზომეს საკლასო ოთახების ფანჯრებსა და კარებს შორის მანძილები, ასევე კარებისა და ფანჯრების განზომილებები. მონაცემები, რა თქმა უნდა, ჩაინიშნეს. შეიმუშავეს მასშტაბი 1:20. რეალური ზომები მასშტაბის მიხედვით გადაიყვანეს შესაბამის ზომებში და შექმნეს დერეფნის იატაკისა და კედლების ნახაზები. კედლებზე, ცხადია, დახაზეს კარები და ფანჯრები შესაბამის პროპორციულ ზომებში.

საქმე მარტივი ეგონათ, თუმცა მიხვდნენ, რომ თუ ყველა ზომა სიზუსტით არ იქნებოდა აღებული და მასშტაბის მიხედვით სწორად გადაყვანილი, ნახაზები არაზუსტი გამოვიდოდა, პროპორცია დაირღვეოდა და მაკეტიც ვერ აიგებოდა. კიდევ უფრო მონდომებით შეუდგნენ სამუშაოების შესრულებას, არაერთხელ მოუწიათ ერთი და იმავე სიგრძის გაზომვა ცდომილების აღმოსაფხვრელად.

ჯერი მაკეტის შექმნაზე მიდგა. რა მასალით უნდა გააკეთონ მაკეტი? მოიძიეს დიდი ზომის მუყაოს ყუთები, დაშალეს, გადაიტანეს ზედ ნახაზები, გამოჭრეს და შეკრეს მაკეტი. მაგრამ მაკეტის შექმნის მიზანი ხომ ეფექტის მოხდენა იყო, მუყაოს მაკეტს კი სილამაზე აკლდა. გადაწყვიტეს მუყაოს მასალა პენოპლასტის ფილებით შეეცვალათ. იგივე სამუშაოები პენოპლასტზე ჩაატარეს და შექმნეს დერეფნის ლამაზი მაკეტი, მათემატიკური სიზუსტისა და პროპორციების დაცვით.

მაკეტში ავეჯიც ხომ უნდა ჩაედგათ? ბავშვებმა გადაწყვიტეს, რომ მაღაზიებში ნაყიდი ავეჯი არ გამოდგებოდა, რადგან ზუსტად უნდა მორგებოდა დერეფნის კუთხეებსა და ბავშვების ჩანაფიქრს. დაიწყო ავეჯის დიზაინზე ფიქრი. ბევრი ვერსიის შემდეგ დაადგინეს, რომ ერთ ნაწილში დადგან კუთხის დივანი, წინ მართკუთხედის ფორმის მაგიდითა და პატარა რბილი სკამებით (პუფები), ხოლო მეორე ნაწილში – მრგვალი მაგიდა, ირგვლივ ფერადი პუ-

ფებით. ცხადია, ავეჯის ესკიზი უნდა შექმნილიყო, ზუსტი ზომების დაცვით ისე, რომ სივრცეში განლაგება ჰარმონიული ყოფილიყო. ბავშვებმა ესეც გააკეთეს – ისევ გაზომვები, ისევ მასშტაბი, ისევ პროპორცია... უნდა აღვნიშნო, როგორ მოხაზეს ერთ-ერთ შეკრებაზე დერეფნის იატაკზე წრე, სივრცის აღქმისა და მრგვალი მაგიდის რადიუსის დასადგენად. პროცესი შემოქმედებითი იყო, მათემატიკური ცოდნითა და უნარებით გაჯერებული. შეიქმნა ავეჯის ესკიზიც და მაკეტიც, რომელიც მოსწავლეებმა დერეფნის მაკეტში განათავსეს და ასე მიიღო მაკეტმა სრულყოფილი სახე.

მაკეტი მზადაა წარსადგენად, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მოსწავ-ლეები ახალი გამოწვევის წინაშე დადგნენ – რა ჯდება ავეჯის დამზადება და სად უნდა შევუკვეთოთ ის? მომდევნო ნაბიჯი ხარჯთაღრიცხვაა. ბავშვებმა მე-დიატორთან ერთად დაიწყეს ავეჯის საამქროებში სიარული. აკვირდებოდნენ ფასებს, ხარისხს, მომსახურებას. შეარჩიეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი და ხარჯთაღრიცხვაც შეადგინეს.

ბიუჯეტი

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	კუთხის დივანი	1	1830	1830 ლარი
2	მრგვალი მაგიდა	1	350	350 ლარი
3	ოთხკუთხედი მაგიდა ლამინატის	1	290	290 ლარი
4	პუფი	16	35	560 ლარი
	სულ			3030 ლარი

მაკეტი თავისი ბიუჯეტით საინიციატივო ჯგუფმა ჯერ მოსწავლეთა თვითმ-მართველობას წარუდგინა, შემდეგ მოსწავლეთა თვითმმართველობის თავ-მჯდომარემ წარადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოსთან. დირექციამ პროექ-ტი დააფინანსა. ასე შეცვალეს ბავშვებმა არსებული გარემო. გააცოცხლეს დერეფნები. დასვენებებზე მართავდნენ შემეცნებით თამაშებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. სხვათა შორის, ისეთი ლამაზი და მომხიბვლელი გარემო შეიქმნა, რომ სკოლის საპატიო სტუმრებსაც აქ მასპინძლობდნენ. მა-გალითად, სკოლას სტუმრობდა საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება დიეგო კოლასი და ბავშვებმა ის სიამაყით მიიწვიეს მათ მიერ შექმნილ „თავისუფალ ზონაში“ კითხვებზე საპასუხოდ.



ახლა მათემატიკას მივუბრუნდეთ და მონაწილეობით პროექტში მის წვლილზე ვისაუბროთ. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ რთული იქნებოდა ვერბალურად აღეწერათ თავიანთი იდეები. მათემატიკის დახმარებით ეს თვალსაჩინო და ნათელი იყო. მაკეტი ყველა შეკითხვას პასუხობდა.

მაკეტზე მუშაობისას მოსწავლეებმა გაიაზრეს:

- ჩვენ გარშემო არსებულ უამრავ საგანს გეომეტრიული ფიგურების ფორმა აქვს;
- რეალურ ცხოვრებაში მოვლენები აღიწერება გეომეტრიული ობიექტების ან ფიგურის მეშვეობით. კარგი მოდელი გვეხმარება მიმდინარე პროცესების გაგებაში;
- სიბრტყესა და სივრცეში გეომეტრიული ფიგურების ზომის გამოთვლა ხდება შესაბამისი წესით, გაზომვა ხდება შესაბამისი სტანდარტული ერთეულით;
- ფარდობა ადგენს შესაბამისობას ორ რაოდენობას (სიდიდეს) შორის;
- პროპორციული დამოკიდებულება გვიჩვენებს, როგორ იცვლება რაოდენობები ერთმანეთთან მიმართებაში/დამოკიდებულებაში;
- საკვლევი თემის განსაზღვრისა და მონაცემების შეგროვების შემდეგ, მონაცემების უკეთ აღქმისა და გაანალიზების მიზნით მათი მოწესრიგება, ორგანიზება და შესაბამისი ფორმით წარმოდგენაა საჭირო.

არაფორმალურ გარემოში მათემატიკური ცოდნისა და პროცედურების გამოყენებით ბავშვებმა დაინახეს მათემატიკის როლი და მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მათემატიკის გზამკვლევი კურიკულუმის შედგენისათვის. დამხმარე რესურსი მასწავლებლებისათვის (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). ქეთი ცერცვაძე.
2. https://clck.ru/SkNrc

თინათინ ზარდიაშვილი

1 დილემებით სწავლება ბიოლოგიაში 155

2 მაგალითებით სწავლების უპირატესობა 165

3 „მოდური სიგამხდრე“ – სადამრიგებლო საათისთვის საშუალო საფეხურზე 170

დილემებით სწავლება ბიოლოგიაში

მოსწავლეებს და ზოგადად ადამიანებს უჭირთ დილემების სხვადასხვა კუთხიდან განხილვა. ამიტომ საკითხზე მუშაობა მნიშვნელოვანია სკოლის პერიოდიდან. აქ განხილული დილემების მაგალითები მხოლოდ საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი, თუმცა ამავე მეთოდით დაწყებით და საბაზო საფეხურზეც შეიძლება აქტივობის განხორციელება.

მოსწავლეები ეთიკურ დილემებს განიხილავენ ჯგუფებში. პირველ ეტაპზე მოსწავლეების გამოკითხვა უნდა ჩატარდეს, რათა დადგინდეს მათი დამოკიდებულება საკითხისადმი (ბიოეთკა). მომდევნო ეტაპზე მათ მოუწევს იმ პოზიციის დაცვა, რომელსაც არ ემხრობოდა. მასწავლებელს შეუძლია შექმნას პარლამენტის კომიტეტის სხდომის მოდელი. როლური სიმულაცია მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მოიძიოს არგუმენტები და კონტრარგუმენტები. საკითხს შეხედოს როგორც მომხრის, ისე მოწინააღმდეგის პოზიციიდან. შეაფასოს ბიოლოგიური კვლევის ეთიკური შედეგები და პოზიციის დასაცავად გამოიყენოს ბიოლოგიაში მიღებული ცოდნა.

როცა მოსწავლეებს ვთხოვთ, დაწერონ ნაშრომი, რომლითაც შეისწავლიან ბიოეთიკის საკითხს, დილემას, ისინი მხოლოდ იმ კონტექსტზე მუშაობენ, რომელსაც ისედაც იზიარებენ და მათთვის მისაღებია. მცირე ყურადღებას აქცევენ ან იგნორირებას უკეთებენ მათი მოსაზრების საპირისპირო ხედვებს. დილემებით სწავლების მეთოდი კი „აიძულებს“ მათ მოწინააღმდეგის პოზიცია ისეთ დონეზე შეისწავლონ, რომ მოახერხონ კომიტეტის სხდომაზე საკუთარი პოზიციის დაცვა.

როლური თამაში „ექსპერტი – მოწმე“ მოსწავლეს საშუალებას აძლევს არგუმენტირებულად დაამოწმოს საპირისპირო პოზიცია. ის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის მოწოდება. მოსწავლემ უნდა იფიქროს როგორც „სხვამ“, რადგან საკუთარი შეხედულებები გვერდზე უნდა გადადოს და არგუმენტები სხვა კუთხით მოიტანოს. მეთოდს რამდენიმე ძირითადი მიზანი აქვს: კომუნიკაციური შესაძლებლობების გაძლიერება და მიკროეთიკის შესახებ მოსწავლეთა პერსპექტივების გაფართოება.

პროფესორებმა დორნმა და კროსენმა მეთოდი გამოიყენეს ინჟინერიის ეთიკის სწავლების პროცესში.

პირველი – წინარე დავალება:

მოსწავლეს ინდივიდუალურად გადაეცემა რამდენიმე ეთიკური დილემა.

სიტუაციური ამოცანები

ღეროვანი უჯრედები

ღეროვანი უჯრედები არადიფერენცირებული უჯრედებია. პოტენციალი აქვთ გარდაიქმნან მრავალი სახის უჯრედად. სხვადასხვა ტიპის ღეროვან უჯრედებს დიფერენცირების განსხვავებული პოტენციალი აქვთ. ემბრიონული ღეროვანი უჯრედები პლურიპოტენტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ტიპის უჯრედად შეიძლება გარდაიქმნას. თუ უჯრედმა დიფერენცირების პროცესი დაიწყო, პროცესი აღარ შებრუნდება უჯრედის დაზიანების გარეშე. მაგალითად, სიმსივნური უჯრედები. 1995 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა ფედერალური თანხების იმ კვლევებისთვის გამოყენების ნებართვა გასცა, სადაც ადამიანის ღეროვანი უჯრედებია გამოყენებული. იმ შეზღუდვით, რომ ეს უჯრედები არ უნდა იყოს ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად დარჩენილი. ამავე წელს ამერიკის კონგრესმა გააუქმა ნებართვა, რომელიც საშუალებას იძლეოდა გაენადგურებინათ ნებისმიერი ემბრიონი, თუნდაც ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად გამოუყენებელი. 2001 წელს პრეზიდენტმა ბუშმა ნებართვა გასცა ფედერალურ კვლევებში გამოიყენონ ემბრიონული ღეროვანი უჯრედები. უცნობია, რამდენ ხანს ინარჩუნებს თვისებებს ემბრიონული ღეროვანი უჯრედები. შესაძლებელია ემბრიონის დონაციაც.

- ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად გადარჩენილი ჩანასახები რა დანიშნულებით შეიძლება იქნას გამოყენებული?
- რამდენ ხანს უნდა შეინახონ ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად დარჩენილი ემბრიონები და ვინ უნდა გადაიხადოს შენახვის თანხა?
- როგორ ფიქრობ, უნდა დაუჭირო თუ არა მხარი ემბრიონული ღეროვანი უჯრედების კვლევებში გამოყენებას?

- რა უნდა იყოს ღეროვანი უჯრედების წყარო?
- როგორ ფიქრობ, უნდა შეიქმნას ახალი ღეროვანი უჯრედები?
- საიდან უნდა მიიღონ ისინი?
- რა სახის ინფორმაციაა საჭირო დასკვნის გასაკეთებლად?

ადამიანის გენომი

ადამიანის გენომის პროექტი 2003 წელს დასრულდა. პროექტი დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი დაჯდა და მის გაშიფვრას 13 წელი დასჭირდა. პროექტში ხარვეზების გასასწორებლად მუშაობა მისი დასრულების შემდეგაც მიმდინარეობდა. ტექნოლოგიების წყალობით დღეს გენომის გაშიფვრა 1000 დოლარი ღირს. გენომის გაშიფვრა იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვლინდეს გენის ექსპრესიის დონეები. ერთი ნუკლეოტიდის ცვლილებაც კი, რომელიც მიუთითებს დაავადების განვითარების ალბათობაზე.

- ვის უნდა ჰქონდეს წვდომა ადამიანის გენომზე?
- როგორ უნდა შეინახონ ინფორმაცია?
- რაში უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია?
- დამზღვევისათვის ან პაციენტის დამსაქმებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გენეტიკური ინფორმაცია?
- რა პასუხისმგებლობა დაეკისრება დამქირავებელს ან დაზღვეულს?
- სავალდებულო უნდა იყოს თუ არა ინ ვიტრო განაყოფიერების გზით მიღებული ემბრიონის სკრინინგი?
- ვინ უნდა გადაწყვიტოს, მოხდეს თუ არა ინ ვიტრო ემბრიონის უჯრედების სკრინინგი?
- რა დროს შეიძლება ჩატარდეს ამნიონური სითხის გამოკვლევა?
- გენეტიკური ტესტის შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე? (მაგალითად, ძალადობრივი ქცევის გამომწვევი ალელები);
- პოლიციას უნდა ჰქონდეს თუ არა უფლება, შეინახოს დაკავებულის გენეტიკური ინფორმაცია?
- რა სახის ინფორმაცია გჭირდება დასკვნის გასაკეთებლად?

გენმოდიფიცირებული ორგანიზმები

გენმოდიფიცირებული მარცვლეული გამოიყენება პირუტყვის გამოსაკვებად. ეს კულტურები მოდიფიცირებული ჰერბიციდების, პათოგენების ან სხვა სახის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. ამ გზით მიიღეს გლიპოსატის მიმართ რეზისტენტული მარცვლეული. გლიპოსატი ჰერბიციდ რაუნდაფის მოქმედი ნივთიერებაა. ისევ სვამენ შეკითხვას, რა გავლენას მოახდენს გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ადამიანის ჯანმრთელობაზე. ალელების გადაადგილებისას ცვლილება ხდება გენოფონდში. გენმოდიფიცირებული თამბაქო და ბანანი ვაქცინების მიღების გზაა.

- ვინ არის პასუხისმგებელი გენმოდიფიცირებულ მცენარეებსა და მასთან დაკავშირებული ქიმიკატების გრძელვადიან გავლენაზე ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს სისუფთავეზე?
- ვინ არის პასუხისმგებელი დაბინძურების პრევენციაზე და რა უნდა გაკეთდეს დაბინძურების შემთხვევაში?
- რა სამართლებრივი საშუალება უნდა ჰქონდეთ ფერმერებსა და თესლის მწარმოებელ კომპანიებს?
- ვინ უნდა აკონტროლოს ვაქცინების მისაღებად გამოყენებული კულტურების ზრდა?
- რა სახის ინფორმაციაა საჭირო დასკვნის გასაკეთებლად?

H5N1 არის A გრიპის ერთ-ერთი ქვეტიპი. ის ფრინველის პათოგენია, ხასიათდება მუტაციის მაღალი სიჩქარით. ფრინველის გრიპს უწოდებენ. ამცირებს ფრინველების პოპულაციას. ასევე გადადის ადამიანზე ინფიცირებულ ფრინველთან კონტაქტის გზით. მეცნიერები გენის ფუნქციის შესასწავლად ხშირად მის მუტაციას იყენებენ. ზოგჯერ ხელოვნურად ხდება დაავადების გამოწვევა. როტერდამის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ბოლო წლებში გამოიწვიეს ხუთი სხვადასხვა მუტაცია. 2012 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 60 დღიანი მორატორიუმი გამოაცხადა მსგავს კვლევებზე. თებერვალში კი შეიკრიბნენ და შეთანხმდნენ სამომავლო საქმიანობაზე.

- რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ვისთვის?
- უნდა იყოს თუ არა შტამი ხელმისაწვდომი?

- რა ცოდნა არსებობს ზემოთ ხსენებულ 5 მუტაციაზე?
- უნდა გამოქვეყნდეს თუ არა სტატიები საკითხთან დაკავშირებით?
- ვინ უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში?
- რა სახის ინფორმაციაა საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად?

მცირე ჯგუფებში 15 წუთის განმავლობაში განიხილავენ შეკითხვებს. იმსჯელებენ, რა სახის ინფორმაციაა საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად.

დილემების განხილვის შემდეგ მოხდება მოსწავლეების გამოკითხვა. კითხვარის შეკითხვებით დგინდება მოსწავლის დამოკიდებულება.

გამოკითხვის ინსტრუმენტი

ემბრიონული ღეროვანი უჯრედები

1. ემბრიონული ღეროვანი უჯრედები უნდა გამოიყენებოდეს:
   ა) ბაზისურ კვლევებში;
   ბ) კლინიკურ კვლევებში;
   გ) მკურნალობის პროცესში;
   დ) არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ სიტუაციაში.
2. ემბრიონული ღეროვანი უჯრედები უნდა მიიღონ:
   ა) გამოუსადეგარი გაყინული ემბრიონული მასალიდან, რომელიც დარჩა ინ ვიტრო განაყოფიერების შემდეგ;
   ბ) აბორტის შედეგად დარჩენილი ქსოვილებისგან;
   გ) ძველი უჯრედული ხაზებიდან;
   დ) არცერთი ჩამოთვლილი პასუხი არაა მისაღები.
3. მეცნიერებმა უნდა:
   ა) შეამოწმონ ზოგიერთი ემბრიონი, რათა დაადგინონ გაყინვის შემდეგ რამდენად გამოსადეგი იქნება;
   ბ) აღწერონ ემბრიონი გარკვეული დროის შემდეგ;
   გ) მიმართონ არასასურველი ემბრიონის იმპლანტაციას იმ ქალებში, რომლებსაც სურვილი აქვთ დაორსულდნენ, თუმცა არ შეუძლიათ;
   დ) გაყინონ ემბრიონები განუსაზღვრელი ვადით;
   ე) არცერთი ჩამოთვლილი.

ადამიანის პერსონალური გენომი

1. სადაზღვეო კომპანიებს ლეგალურად უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა:
   ა) პაციენტები დააჯგუფონ გენეტიკური ტესტის საფუძველზე;
   ბ) ჰკითხონ ადამიანს, დაშავებამდე თუ ჰქონდა გაკეთებული გენეტიკური ტესტი;
   გ) მოითხოვონ გენეტიკური სკრინინგის შედეგები და კონსულტაცია;
   დ) შეუწყვიტონ დაზღვეულს მომსახურება, თუ არ გაუზიარებს გენეტიკური ტესტის შედეგებს;
   ე) არცერთი ჩამოთვლილი.
2. ინ ვიტრო განაყოფიერების დროს პაციენტებმა ნებართვა უნდა გასცენ ემბრიონის სკრინინგზე, რათა:
   ა) პაციენტმა იცოდეს სავარაუდო დაავადების გამომწვევი ალელური წყვილები;
   ბ) პაციენტმა იცოდეს ქცევების განმსაზღვრელი ალელების შესახებ (მაგალითად ალკოჰოლიზმი);
   გ) არცერთი ჩამოთვლილი.
3. ქალმა იცის, რომ ის დაავადების მატარებელია და ორსულადაა, არ უნდა ემბრიონის სკრინინგის ჩატარება. მამას უნდა შვილის გენომის განსაზღვრა. შენი აზრით, ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება?
   ა) დედამ;
   ბ) მამამ;
   გ) ექიმმა;
   დ) სადაზღვეო კომპანიამ.
4. თუ ადამიანს ალელების ისეთი კომბინაცია აქვს, რომელიც იწვევს კრიმინალურ აქტივობას (აგრესიული ქცევა), ის უნდა მკურნალობდეს სხვადასხვა დაავადების გამომწვევ მიზეზებს:
   ა) დიახ;
   ბ) არა.
5. მოქალაქემ დნმ-ის ნიმუში უნდა მიაბას პოლიციის ბაზას, თუ:
   ა) დამნაშავედ ცნეს სამოქალაქო დანაშაულში;
   ბ) დამნაშავედ ცნეს კრიმინალში;
   გ) დააკავეს სამოქალაქო დანაშაულისთვის;
   დ) დააკავეს ყაჩაღობისთვის;
   ე) არცერთი ჩამოთვლილი.

6. მოქალაქემ საკუთარი გენომი უნდა ატვირთოს პოლიციის ბაზაში:
   ა) დიახ;
   ბ) არა.

გენმოდიფიცირებული მარცვლეული

1. მრავალი კვლევა უნდა განხორციელდეს და განისაზღვროს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გავლენა:
   ა) მცენარეებზე;
   ბ) ცხოველებზე;
   გ) არცერთ ჩამოთვლილზე.
2. ვინ უნდა გადაიხადოს ფული გენმოდიფიცირებული მარცვლეულის შესასწავლად კვლევების ჩატარებისთვის?
   ა) მთავრობამ;
   ბ) იმ კომპანიამ, რომელიც ყიდის მარცვლეულს;
   გ) კერძო დამფუძნებელმა;
   დ) ასეთი კვლევები საერთოდ არ უნდა ჩატარდეს.
3. უნდა ხდებოდეს თუ არა გენმოდიფიცირებული მარცვლეულის გამოყენება ცხოველების საკვებად?
   ა) დიახ;
   ბ) არა.

როლის მინიჭება – კითხვარის ანალიზის შემდეგ მოსწავლეებს მიენიჭებათ როლები – ექსპერტი, მოწმე. თითოეული მინიჭებული პოზიცია უნიკალური უნდა იყოს. წინასწარ მათ არ უნდა იცოდნენ, რომ მოუწევთ საპირისპირო პოზიციის დაცვა.

მოსწავლემ უნდა წარუდგინოს სამეცნიერო ეთიკის ქვეკომიტეტს მტკიცებულებები. ოთხ კვირაში უნდა მოამზადონ 6 წუთიანი პრეზენტაცია პოზიციის დასაცავად.

პრეზენტაციის დღეს ინსტრუქტორი თამაშობს ქვეკომიტეტის თავმჯდომარის როლს, კიდევ ერთი ან ორი ადამიანი ასრულებს ქვეკომიტეტის წევრების როლს. მანდატურის როლშიც არის მასწავლებელი. აუცილებელია დრესკოდის დაცვა. ჩასაცმელი უნდა შეესაბამებოდეს პარლამენტის მოთხოვნებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თამაში არის ნებაყოფლობითი.

მოწმეები (პრეზენტატორები) სხედან ერთ მაგიდასთან, ისე რომ პირდაპირ უყურებენ აუდიტორიას. კომიტეტის წევრები სხედან მეორე მაგიდასთან. ის უნდა იდგეს მოწმეების მაგიდის პირისპირ. მანდატური გამოიძახებს მოწმეს ჩვენების მისაცემად. ერთდროულად შემოდის 2-3 მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფი. ერთი ჯგუფი წარადგენს ერთსა და იმავე დილემას სხვადასხვა პოზიციიდან. სამივე მათგანი სათითაოდ წარდგება, კომიტეტის წევრები უსვამენ შეკითხვებს. კითხვის დასმა შეუძლია აუდიტორიასაც. აუდიტორიის წევრებს ევალებათ, შეაფასონ პრეზენტატორები სპეციალური რუბრიკის გამოყენებით. ბოლოს, მონაწილეები შეაფასებენ აქტივობის მნიშვნელობას. როგორ იმოქმედა მათზე დავალებამ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ეთიკური დილემების განხილვას. შეფასება შესაძლებელია შეფასების რუბრიკის გამოყენებით.

შეფასების რუბრიკა

1. თეზისი არის ნათელი და ლაკონიური; --- /10 ქულა;
2. თეზისის დამადასტურებელი არგუმენტები არის ლაკონიური, მარტივად გასაგები; ---/10 ქულა;
3. თითოეული თეზისის მტკიცებულება არის ვალიდური; ---/20 ქულა;
4. პრეზენტატორი ადეკვატურად იყენებს შესაბამის სამეცნიერო ტერმინებს; ---/10 ქულა;
5. შეუძლია კონტრარგუმენტების მოტანა; ---/20 ქულა;
6. ასახელებს პრეზენტაციის წყაროებს; ---/10 ქულა;
7. მოხსენების დროს იცავს 6 წუთიან რეგლამენტს; ---/10 ქულა;
8. მოხსენებას აკეთებს ძირითადად ზეპირად. ---/10 ქულა;

დასკვნა: ზემოთ აღწერილი როლური თამაში მოსწავლეებს აცნობს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების სირთულეებს და ამავდროულად, აძლევს მოტივაციას იმისთვის, რომ დაამტკიცოს საკუთარი მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრება ისეთივე ოსტატობით, როგორც საკუთარ აზრს დაასაბუთებდა. მასწავლებელს შეუძლია დილემები სხვა მიმართულებითაც გადაამუშაოს. მაგალითად:

1. აბორტი – მთავარი შეკითხვა უკავშირდება ნაყოფის, დაუბადებელი ბავშვის მორალურ სტატუსსა და მნიშვნელობას. მისი სიცოცხლის შეწყვეტა ხდება მისივე ნებართვის გარეშე;

2. სუროგაცია – საინტერესოა ბავშვის იდენტიფიკაცია. ითვლებიან თუ არა ბიოლოგიური მშობლები ნამდვილ მშობლებად;
3. ადამიანის გენომის გაშიფვრა – საკითხი სადავოა, რადგან გენომის გაშიფვრის დროს არ არსებობს ბავშვის თანხმობა;
4. კლონირება – ბაქტერიებში, მცენარეებსა და ცხოველებში უკვე განხორციელებულია. ადამიანის შემთხვევაში, რისკია დედისთვისაც და ბავშვისთვისაც. არც ამ შემთხვევაში იარსებებს ბავშვის ნებართვა;
5. ღეროვანი უჯრედები – ჰგავს კლონებს. ბიოეთიკის მხარდამჭერები თვლიან, რომ ღეროვანი უჯრედების საკვლევად გამოყენება არღვევს სიცოცხლის პატივისცემის უფლებას, რადგან ამ დროს ნადგურდება წყარო – ემბრიონი. ღეროვანი უჯრედები ზრდიან ადამიანის გამოჯანმრთელების შანსს, თუმცა შესაძლოა, მოხდეს უჯრედებისა და სიცოცხლის უკონტროლო კომოდიფიკაცია.
6. ევგენიკა (eugenes ((eu-საწყისი. genes-დაბადება.) – ადოლფ ჰიტლერის ბრძანებით, გენის სისუფთავის შესანარჩუნებლად, ხოცავდნენ ადამიანებს, რომელთაც რაიმე ტიპის ფიზიკური შეზღუდვა ჰქონდათ, მათ შორის სრულიად ჯანმრთელ ებრაელებს, ასევე საქმე ეხებოდა სქესობრივ უთანასწორობასაც.
7. გენმოდიფიცირებული ორგანიზმები – აქ მუშაობა მიმდინარეობს გენეტიკის დონეზე. მეთოდი გამოიყენება მარცვლეულის მისაღებად. ჯერ არ არის მათი მოქმედების ხანგრძლივი ეფექტი შესწავლილი.
8. ჯანდაცვა – რადგან ჯანდაცვაზე ადამიანების ხელმისაწვდომობა არათანაბარია და ეს დამოკიდებულია ფინანსურ მდგომარეობაზე, ითვლება, რომ მომსახურება ბიოლოგიურ დილემებს მიეკუთვნება;
9. ხანდაზმულთა დახმარება – ვინ უნდა იყოს დამხმარე, როგორი უნდა იყოს მათი ცხოვრების წესი. ისმება კითხვები ბალანსის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების შესახებ;
10. ევთანაზია – ლიტერატურულად ნიშნავს „კარგ სიკვდილს“. ამავე დროს უწოდებენ ექიმის დახმარებით მკვლელობას. ამ გზით ადამიანები თავიდან იცილებენ ტკივილებს, ტანჯვას. ბევრ ქვეყანაში არალეგალურია. ევთანაზია ეჭვქვეშ აყენებს რწმენას სიცოცხლის ყველა ფორმის სიწმინდისა და თანასწორობის შესახებ. ევთანაზია არღვევს სამედიცინო პრაქტიკას და ძირს უთხრის თვითმკვლელობის პრევენციულ ღონისძიებებს.
11. ორგანოების დონაცია – აქ რამდენიმე შეუსაბამობა ჩნდება: ორგანოების დეფიციტი მათთვის, ვისაც სჭირდება; ორგანოებზე არათანაბარი ხელ-

მისაწვდომობა. მაგალითად, მწეველები, ნარკოტიკების მომხმარებლები ვერ ინაცვლებენ დონაციის სიაში წინ. ასევე ორგანოების უკანონოდ მოპოვება – ადამიანით ვაჭრობა მისი თანხმობის გარეშე;

12. გაყინვა – ახალგარდაცვლილის გაყინვა, რომ მოგვიანებით გააცოცხლონ. აქ მთავარი პრობლემა უკვდავებაა. პლანეტაზე საკვები შეზღუდულია და უკვდავება დაარღვევს ბალანსს;
13. ძვლების გამტარობა – ყურის ძვლების ჩანაცვლება ბგერის გამტარით;
14. ხელოვნური გარეგანი ჩონჩხი – იყენებენ მოხუცებისთვის. ბიოეთიკური საზრუნავი ის არის, რომ მან უნდა იმუშაოს საპენსიო ასაკამდე და მას შემდეგაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://triasi.ge/upload/10-2-moswavle-biologia.pdf ღეროვანი უჯრედები – ნანა ზაალიშვილი 2022 წელი, გამომცემლობა ტრიასი;
2. https://triasi.ge/upload/10-2-maswavlebeli-biologia.pdf კომპლექსური დავალება ღეროვანი უჯრედები – ნ. ზაალიშვილი, თ. ზარდიაშვილი 2022 წელი, გამომცემლობა ტრიასი;
3. http://mastsavlebeli.ge/?p=33701

მაგალითებით სწავლების უპირატესობა

შემთხვევებით სწავლების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს რთული პრობლემის გადაჭრაში. მეთოდი საშუალებას იძლევა საკითხი დაუკავშიროს რეალურ სიტუაციას და დაანახოს მოსწავლეს კონკრეტული საკითხის სწავლის საჭიროება.

შემთხვევებით სწავლებაგარკვეულ წილად ჰგავს დილემებით სწავლებას, რადგან მოსწავლეს მაგალითის განხილვის დროს ხშირად უწევს იმ პოზიციის დაცვა, რომელსაც არ ეთანხმება, ან უბრალოდ სხვაგვარად წარმოედგინა. დილემის შინაარსი დამოკიდებულია მოსწავლის ასაკზე, საგანზე/საგნობრივ ჯგუფზე. ის მთავარია ეხებოდეს აქტუალურ თემას. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ერთი საგნის ფარგლებში, ასევე ინტეგრირებული სწავლების დროსაც.

მასწავლებელი აყალიბებს დილემას და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს „შეებრძოლონ“ მას, რითაც ეხმარება სოციალური, ემოციური და სააზროვნო უნარების განვითარებაში. დილემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეებს აქვთ ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, ძალიან რთულია „კარგი დასკვნის“ არჩევა, რომელიც ყველასთვის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება. დილემებისთვის საინტერესო ის არის, რომ არ არსებობს ერთი სწორი პასუხი.

დილემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლისგან ითხოვს დაფიქრებას საკუთარ ფასეულობებზე, იფიქრონ ლოგიკურად და შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს. თანაუგრძნონ სხვებს.

განსახილველი საკითხები ეხება საკვების შემადგენელ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ აგებულებას, ფუნქციასა და როლს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. ასაკობრივად გათვლილია მეათე კლასის მოსწავლეებზე:

შემთხვევა გათვლილია შემდეგი სამიზნე ცნებების დამუშავებაზე:

ჯანმრთელობა და დაავადება: (სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები)

- ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა;

- ავადობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც მას დარღვეული აქვს ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას;

სასიცოცხლო თვისება: (სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები)

- სასიცოცხლო თვისებებია: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაბოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გაღიზიანებადობა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა.

მოსწავლეები გაეცნობიან შემთხვევას: **„დიეტის დილემა“**

ლუკა კოლეჯის სტუდენტია. მის მამას უკვე რამდენიმე წელია მეორე ტიპის დიაბეტი დაუდასტურდა. ასეთი ტიპის დიაბეტის შემთხვევაში შესაბამისი რეცეპტორი ვერ რეაგირებს ჰორმონ ინსულინის ზემოქმედებაზე. ორგანიზმში შაქრის დონის რეგულაცია არ ხდება, გლუკოზა სისხლიდან უჯრედებში არ გადადის, შედეგად უჯრედები შესაძლოა დაზიანდეს.

დიაბეტის მკურნალობა შესაძლებელია ინსულინის ინიექციის გზით, რასაც თან უნდა ახლდეს საკვები რაციონის ზუსტი და სწორი შერჩევა. დიაბეტი ბოლომდე არ იკურნება. ლუკას მამას ტერფის ნერვები აქვს დაზიანებული (ნეიროპათია), რის გამოც ფეხები უბუჟდება და ვერ გრძნობს, როგორ უზიანდებოდა კანი, შედეგად რამდენჯერმე სერიოზული ინფექციაც კი დაემართა.

ლუკას აქვს ჭარბი წონა და იცის, რომ ეს ზრდის დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის რისკს, მას უნდა, რომ რამენაირად თავიდან აიცილოს დაავადება, რომლითაც მამამისი ასე იტანჯება. ამიტომ დაიწყო ფეხით სიარული და ყოველდღიური ვარჯიში. რამდენიმე ხანში წონაც დაიკლო. ასევე უნდა, შეიმუშაოს ისეთი დიეტა, რომ მეტი წონა დაკარგოს და დიაბეტის განვითარების რისკი მინიმუმამდე დაიყვანოს. თუმცა იმდენი ინფორმაცია მიიღო ინტერნეტიდან და ადამიანებისგან, რომ თავგზა აებნა და არ იცის, რა გააკეთოს.

ლუკას მამა ურჩევს, რომ შეზღუდოს ნახშირწყლები, მაგალითად, თეთრი პური და ბრინჯი, ამ გზით შეძლებს სისხლში შაქრის დონის შენარჩუნებას...

ლუკას მეგობრები ურჩევენ, რომ წონის დაკლებისთვის კარგია ცხიმების შეზღუდვა და ნახშირწყლების მიღება... ინტერნეტში წაიკითხა, რომ დაუმუშავებელი

საკვების მიღება და ქიმიური ნაერთებისგან სუფთა საკვების მიღება წონის დაკლებაში დაეხმარება. ერთი, რაზეც ყველა თანხმდება, ის არის, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საჭიროა საკმარისი რაოდენობით წყლის მიღება.

ეს რჩევები შესაძლოა ცოტა მოსაბეზრებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, კარგად გაიგო და გაიაზრო, როგორია დიაბეტთან ერთად ცხოვრება და რა მნიშვნელობა აქვს კვების რაციონს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ამის გასაგებად კი საკვების ქიმიური შემადგენლობის ცოდნაა აუცილებელი. ქიმია გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ქიმიური რეაქციები, რომლებიც სინჯარებში ტარდება ხოლმე – ის ატომები, მოლეკულები და რეაქციები, რომლის საშუალებითაც ორგანიზმი ცოცხალია და შეუძლია გარკვეული ფუნქციების შესრულება. საკვები მთავარი ნედლეულია ორგანიზმის ასაშენებლად და ენერგიის მისაღებად.

თავის მიმოხილვა: სიცოცხლის ქიმია

თუ ინფორმაციას ყურადღებით გაეცნობი, დაადგენ კავშირს საკვების ქიმიურ შემადგენლობასა და მის როლს შორის ჯანმრთელობის შენარჩუნების პროცესში. კერძოდ კი:

- რა თვისებები აქვს ქიმიურ ნივთიერებებს, მის შემადგენლობაში შემავალ ატომებსა და მოლეკულებს;
- როგორია ბიოქიმიური ნაერთების სტრუქტურა და ფუნქცია, მათ შორის ნახშირწყლების, ლიპიდების, ცილებისა და ნუკლეინის მჟავებისა (დნმ და რნმ);
- რა არის ქიმიური რეაქცია, რა როლს ასრულებს ენერგია ქიმიური რეაქციების წარმართვის პროცესში, როგორ აჩქარებს ფერმენტი ქიმიურ რეაქციას, რა სახის ბიოქიმიური გარდაქმნები მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმში;
- რა თვისებები აქვს წყალს და რა მნიშვნელობა აქვს მას ბიოქიმიურ პროცესებში;
- რა არის pH და რა მნიშვნელობა აქვს მის მუდმივობას, რომელი ბიოქიმიური პროცესები მონაწილეობს pH-ის ჰომეოსტაზში.

ინფორმაციის დამუშავებისას იფიქრე ლუკას მდგომარეობაზე. იმსჯელე, როგორ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ქიმიას. ეცადე, პასუხი გასცე შემდეგ შეკითხვებს:

1. რატომ ფიქრობს ლუკა, რომ მამის დიაბეტი მისთვის დაავადების ჩამოყალიბების რისკფაქტორს წარმოადგენს?
2. რა განსხვავებაა მარტივ და რთულ ნახშირწყლებს შორის? რა საფრთხეს უქმნის რაფინირებული ნახშირწყლები დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს?
3. ინსულინი პეპტიდური ჰორმონია. ბიოქიმიური კომპონენტების კლასიფიკაციისას რომელ კატეგორიაში გააერთიანებდი მას? რატომ?
4. რატომ არის წყლის მიღება მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად? საკმარის წყალს სვამ დღის განმავლობაში?
5. რატომ თვლიან, რომ საკვები ქიმიურ ნივთიერებებს არ უნდა შეიცავდეს? შენი აზრით, ასეთი საკვები არსებობს?

დაამუშავებენ შესაბამის საკითხებს.

შემთხვევის ანალიზი: „დიეტის დილემა“

პარაგრაფებში მოცემული საკითხების დამუშავებისას მეტ კავშირს დაინახავდი ქიმიას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შორის. ლუკას სიტუაციაში მამის დიაბეტის, ლუკას რისკჯგუფში ყოფნა, ცხოვრების ხარისხის გაუარესების მიზეზი ქიმიური ნივთიერებების ცვლილებებია.

ტიპი 2 დიაბეტის მიზეზია ის, რომ ორგანიზმი არ რეაგირებს ჰორმონ ინსულინზე, რის გამოც სისხლში გლუკოზის დონის რეგულაცია არ ხდება. ინსულინი პეპტიდია. ის ამინომჟავების ჯაჭვს წარმოადგენს, ამიტომ ცილებს მიეკუთვნება. ლუკას დიაბეტით დაავადების რისკი მაღალია, რადგან აქ მემკვიდრული ფაქტორებია ჩართული. დნმ ქიმიური ნივთიერებაა, რომელსაც ნუკლეინის მჟავა ეწოდება. დნმ-ს შვილები მშობლებისგან იღებენ, ის შეიცავს ინფორმაციას ცილების პირველადი სტრუქტურის შესახებ. გენი ნუკლეოტიდების თანმიმდევრობაა, გენის ცვლილება დაავადების განვითარების მიზეზი ხდება. მაგალითად, მეორე ტიპის დიაბეტი ან მემკვიდრეობით გადაეცემა, ან დაავადების ჩამოყალიბების რისკია გაზრდილი.

მაგრამ გენეტიკა არის ლუკას დიაბეტის რისკის გაზრდის მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი. თავად სიმსუქნე უკვე რისკფაქტორია და

ცხოვრების სტილთან არის დაკავშირებული. სიმსუქნის გამომწვევია არასრულფასოვანი კვება და ნაკლები ფიზიკური აქტივობა. ჩამოთვლილმა ფაქტორებმა შესაძლოა პროვოცირება გაუკეთოს დიაბეტს. ალბათ იცი, რომ მარტივი ნახშირწყლები უფრო ადვილად და სწრაფად იშლება მომნელებელ სისტემაში, ვიდრე რთული მოლეკულები, რომლებიც შედის მარცვლეულისა და ბოსტნეულის შემადგენლობაში. შედეგი განსაკუთრებით დრამატულია დიაბეტით დაავადებულ ადამიანებში, რადგან მათი ორგანიზმისთვის შაქრის დონის კონტროლი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ახლა ალბათ ხვდები, რატომ არ იღებს ლუკას მამა რაფინირებულ ნახშირწყლებს. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მარტივი ნახშირწყლების შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამცირებს დაავადების გამწვავების რისკს.

ლუკას მეგობარმა ურჩია, რომ წონის დასაკლებად ნაკლები ცხიმი და მეტი ნახშირწყალი მიეღო, მაგრამ რომელი ნახშირწყალი, მარტივი თუ რთული, ეს არის მსჯელობის საგანი. თეთრი პურისა და ბრინჯის გამოყენება ვერ დაეხმარება ლუკას დიაბეტის ჩამოყალიბების რისკის შემცირებაში. ჯანსაღი კვება კი დაეხმარება როგორც წონის დაკლებაში, ასევე დიაბეტის განვითარების რისკის შემცირებაში. რომელი ტიპის კვება უფრო ეფექტური იქნება, ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, მის აგებულებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ცხოვრების სტილსა და მიღებული საკვების შემადგენლობაზე. მან უნდა გაიაროს ექიმის კონსულტაცია საკვებისა და ფიზიკური აქტივობის გეგმის შესახებ, ნებისმიერი სპეციფიკური სიტუაცია უნდა იქნას გათვალისწინებული და მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

საკმარისი რაოდენობის წყლის მიღება ნებისმიერი ადამიანისთვის კარგია, განსაკუთრებით კი, თუ წყლით ჩანაცვლდება შაქრიანი და გაზიანი სასმელები. წყალი მნიშვნელოვანია ორგანიზმში მიმდინარე მრავალი ქიმიური რეაქციისთვის. თუმცა ზედმეტი წყალი მორბენალებში დაავადების ჩამოყალიბების რისკს ზრდის. ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობა, ანუ ჰომეოსტაზი ძალიან მნიშვნელოვანია ცოცხალი ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის.

ყველა ქიმიური ნივთიერება არ არის საშიში, ტოქსიკური. ყველა სხეული ნივთიერებისგან შედგება. მაგალითად, ადამიანის სხეული, თევზი და ბოსტნეული წყალს შეიცავს. როცა ადამიანები მხარს უჭერენ ქიმიური ნაერთებისგან „სუფთა საკვებს“, ისინი სინთეზურად მიღებულ ქიმიურ ნაერთებს გულისხმობენ, მაგალითად კონსერვანტებს. ყველაფერი მოლეკულებისგან, ატომებისგან ან იონებისგან შედგება, მათი თვისებები კი დამოკიდებულია ნაწილაკების ურთიერთგანლაგებაზე და ატომებს შორის ქიმიურ ბმებზე.

„მოდური სიგამხდრე“ – სადამრიგებლო საათისთვის საშუალო საფეხურზე

„მასწავლებელო, იცით, მე პური ავკრძალე და მარტო „ხლებცებს“ ვჭამ, არ მინდა, გავსუქდე, მაგრამ სიმაღლეში მინდა გავიზარდო, ამიტომ ფიტნესზე შევედი“, – ამბობს მერვეკლასელი ნიკა.

„ჩემი შვილი საერთოდ არ ჭამს, მხოლოდ ლობიანი და გაზიანი სასმელია მისი სადილის ულუფა“, – ჩივის შეწუხებული მშობელი, რომელმაც შვილის პედიატრთან მიყვანა გადაწყვიტა.

ენდოკრინოლოგთან ბავშვების გრძელი რიგია. ზოგს ჭარბი წონა აწუხებს, ზოგს – წონის დეფიციტი.

თვრამეტსაათიანი შიმშილი...

მარის რეჟიმი...

დიეტების ჩამონათვალი ძალიან გრძელია. „გამარჯობის“ შემდეგ პირველი გვესმის: „დაიკელი?“ „მოიმატე?“ – და ა. შ.

პირადად მე ყველაზე მეტად ჭარბწონიანი გოგოები და ბიჭები მეცოდებიან გარშემო მყოფების რეპლიკების, რეაქციების გამო. ამას მოჰყვება საკვების აკრძალვა, მთელი დღე საღეჭი რეზინის ღეჭვა და... ბოლოს – გასტრიტი.

ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის გაკვეთილები საშუალებას მაძლევს, ნებისმიერ თემას დავუკავშირო საკვების სწორად მიღების მნიშვნელობა და რაც შეიძლება მეტი ვესაუბრო მოსწავლეებს, თუმცა დამრიგებლის ჩართულობა მნიშვნელოვანია, პრობლემა საკმაოდ მასშტაბურია. თანაც, სადამრიგებლო საათის ფარგლებში საინტერესო იქნება „გაუთავებელ მტანჯველ დიეტებზე“ მსჯელობა.

რა ახდენს გავლენას დიეტების პოპულარობაზე და როგორ მოგვიყვანა ისტორიამ დღევანდელ ვითარებამდე. ის დილემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი მაგალითია.

სიტყვა „დიეტა“ ინგლისურენოვან ლიტერატურაში უბრალოდ სწორ კვებას აღნიშნავს, ჩვენ კი რომელიმე სახის საკვების შეზღუდვის აღსანიშნავად ვიყენებთ. წიგნის მაღაზიებში დიეტებთან დაკავშირებული ლიტერატურისთვის ცალკე განყოფილებაც კი არსებობს.

ამ წიგნების ავტორებს მიაჩნიათ, რომ მარტივი პრობლემიდან მარტივ გამოსავალს გვთავაზობენ. დიეტები პოპულარულია. არსებობს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შეზღუდვაზე დაფუძნებული დიეტები. მიიჩნევა, რომ ყველა დიეტა აკეთებს თავის საქმეს და ადამიანი აღწევს მიზანს. საინტერესოა, როგორ ხდება ეს, როგორ შეიძლება, ყველა მიდგომა წარმატებული იყოს?

მთავარი მიზეზი ის არის, რომ ნებისმიერი დიეტა ზღუდავს საკვებს – ცოტას ჭამ, მეორე კი ის, რომ თითოეული მათგანი განსაზღვრული კატეგორიის ხალხზეა გათვლილი. დიდი ხნით საკვების შეზღუდვა ძნელია. შიმშილი ცვლის ადამიანის ემოციურ ფონს, ზრდის აგრესიის ხარისხს.

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გენეტიკით, კულტურით, ქცევით, ფიზიოლოგიითა და სოციალური შესაძლებლობებით. ამას ემატება ასაკი, გენდერი, ნაწლავების მიკროფლორა, საცხოვრებელი გარემო და ნათელი ხდება, რომ წონის კონტროლი ადამიანის პერსონალური საქმეა.

სიმსუქნე არ არის ერთი დაავადება, მას უამრავი ქვეტიპი აქვს. მაგალითად, ზოგიერთს ენერგიის ბალანსი აქვს დარღვეული, ზოგი გემრიელ, მაცდურ საკვებზე ვერ ამბობს უარს. არსებობს ტერმინი „წონის ჰომეოსტაზი“, რომელიც წონის ავტომატურად მაკონტროლებელ სისტემას გულისხმობს. სიტყვა „ჰომეოსტაზი“ ბერძნული წარმოშობისაა და მუდმივობას ნიშნავს. სხეულის ნებისმიერი პარამეტრის ჰომეოსტაზი ნებისმიერი ცოცხალი სისტემისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

წონის დისბალანსის დროს ჰომეოსტაზის დარღვევის ორ სახეს განასხვავებენ. ადამიანების ერთი ჯგუფი ასაკის მატებასთან ერთად წონის მატებას იწყებს. ცვლილება კარგად ჩანს სარკეშიც, სასწორზეც და ექიმის კაბინეტშიც. მეორე შემთხვევაში წონა პერმანენტულად ერთნაირია, თუმცა ის არასასურველია და არაჯანსაღი გზით არის მიღწეული.

პირველ შემთხვევაში ჰომეოსტაზი არ მუშაობს, მეორეში კონტროლი ირთვება უფრო დიდი წონის მიღწევისას, რომელიც აღარ იცვლება. ჰომეოსტაზის გზით ნარჩუნდება სხეულის ტემპერატურა, სისხლის წნევა, სისხლში შაქრის რაოდენობა და სხვა მაჩვენებლები. გლუკოზის რეგულაციის დარღვევის შედეგად დიაბეტი ყალიბდება. შედეგი ხშირად წონის მატებაა. თავის მხრივ, სიმსუქნე დიაბეტის რისკფაქტორია.

სამწუხაროდ, საქართველოში ჭარბ წონასა და წონის დეფიციტთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევა არ მოიძებნა, ამერიკული კვლევის მიხედვით

კი ზრდასრული მოსახლეობის 68% ჭარბწონიანია, მათ შორის 35% – მსუქანი. 1960 წლამდე მოსახლეობის მხოლოდ 13% იყო ჭარბწონიანი, 2010 წლის მონაცემებით კი – 35%.

სიმსუქნის სიხშირის მატება მრავალმა ფაქტორმა გამოიწვია, მათ შორის – ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და ისტორიულმა ცვლილებებმა.

ცვლილება N1: ინდუსტრიამდელ ამერიკაში სიმსუქნის მაჩვენებელი მხოლოდ 4% იყო. იმ დროს არ არსებობდა სუპერმარკეტები, კაფეები, რესტორნები, სწრაფი კვების ობიექტები, გაყინული საკვები.

ცვლილება N2: შეიცვალა საკვების შემადგენლობა. მაგალითად, ზეთებში გაიზარდა ცხიმოვანი მჟავა ომეგა-6-ის შემცველობა. ვიღებთ 3-ჯერ მეტი ცხიმის შემცველ პროდუქტს, ვიდრე 1900 წელს. სიტკბოს რაოდენობა 5-ჯერ არის გაზრდილი.

ცვლილება N3: შეიცვალა საკვების წარმოების წესი. წინათ ადამიანი საჭმელს მხოლოდ სახლში ამზადებდა, დღეს მზა საკვები ყოველ ნაბიჯზე იყიდება, თანაც ძალიან მიმზიდველად არის შეფუთული. მომატებულია კალორიების დღიური რაოდენობა. ერთ სულ მოსახლეზე 20%-ით მეტი საკვები იხარჯება, ვიდრე 45 წლის წინ.

საკვების მატებას წონის მატება რომ არ გამოეწვია, უნდა გაზრდილიყო მეტაბოლიზმის სიჩქარე და ფიზიკური აქტივობის ხანგრძლივობა.

ცხიმოვანი უჯრედები ამზადებენ სიგნალს, რომ ორგანიზმმა საკმარისი საკვები მიიღო. კუჭი აღარ გზავნის სიგნალს შიმშილის შესახებ. ტვინმა ამ დროს უნდა დაძლიოს საკვების მიღების ცდუნება და გადარჩეს. როცა საჭიროზე 20%-ით მეტ საკვებს ვიღებთ, ის ცხიმოვან უჯრედებში გადადის. როცა წონას ვიმატებთ, უფრო მეტი საკვები გვჭირდება, რადგან მთელი დღის განმავლობაში უფრო მეტი წონა უნდა ვატაროთ. დღეში 425 კალორია, როგორც ოდესღაც, აღარ არის საკმარისი. გარდა ამისა, უფრო და უფრო იშვიათად დავდივართ ფეხით, რაც სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებამ და პროცესების მექანიზაციამ გამოიწვია. გაზრდილია სამაგიდო სამუშაოების წილი. დღევანდელი სმარტფონები უკვე ითვლიან ნაბიჯებს და ადამიანს შეუძლია, აკონტროლოს დახარჯული კალორიების რაოდენობა. თანამედროვე ადამიანს უფრო ნაკლები სძინავს. ძილი უმნიშვნელოვანესია მეტაბოლიზმის რეგულაციისთვის. უძილობა შიმშილს იწვევს და შედეგად უფრო მეტს ვჭამთ. ცისფერი სინათლე მზის ჩასვლის შემდეგ არღვევს ძილის სინქრონულობას. ტელევიზორიდან, კომპიუტერიდან, ტელეფონიდან მომავალი ბევრი ლურჯი

შუქი ძილს ართულებს. თეთრი პიქსელების სინათლის მიღება ლურჯი სინათლის გარეშე შეუძლებელია.

ამასთან, არსებობს საკვები, რომელიც მიჯაჭვულობას იწვევს. მას ადიქციურ საკვებს უწოდებენ. ასეთია სიმინდისა და ჭარხლის შაქარი, ხორბლის ფქვილი. ორგანიზმში მათი ტრანსპორტირება ადვილია და ბევრი ენერგიაც არ იხარჯება.

შიმშილისა და სიმაძღრის შეგრძნებები კონტროლდება ნერვული ქსელით, რომელსაც უკუკავშირის სისტემას უწოდებენ. ქსელის შემადგენლობაში შედის ე.წ. ლიმბური სისტემა, შიმშილისა და სიმაძღრის ცენტრები, რომლებიც ჰიპოთალამუსში მდებარეობს.

ჭარბწონიანობის მიზეზია ისიც, რომ ადამიანი ემოციურად არის დამოკიდებული საკვებზე. **ადამიანი ჭამს სიამოვნებისთვის და ბოლოს იტანჯება შიმშილის გრძნობით.** შაქრისა და ხორბლის ფქვილის მიღების შემდეგ სიგნალი დანაყრების შესახებ არ მოდის, შესაბამისად, ვერ ვგრძნობთ დანაყრებას, ამიტომ ადამიანი კიდევ უფრო მეტს მიირთმევს. ამ საკვებს არ სჭირდება დაღეჭვა, პირში დნება, აქვს სასიამოვნო არომატი, სურნელი. სხვა ადიქციური ნივთიერებების მსგავსად, ისიც ხელმისაწვდომია.

კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ ბევრი შინ არ ამზადებს საკვებს, მომარაგებული აქვს კარადაში, მაცივარში. ნაყინი საყინულეშია და გველოდება. როგორც ალკოჰოლსა და ნიკოტინს ეჩვევა ადამიანი, ისევე ეჩვევა შაქრიან პროდუქტებსა და გაზიან სასმელებსაც. ოფისებში, სადაც ადამიანებს ემსახურებიან, ლოდინის პერიოდში ხშირად სთავაზობენ ტკბილეულს. სავარჯიშო დარბაზებში ენერგიის წყაროს სახით წარმოდგენილია შოკოლადი და ცილოვანი პროდუქტები კანფეტის სახით. მიმზიდველი საკვები ზემოქმედებს მეზოკორტიკოლიმბურ წრეზე. ტვინის მიჯაჭვულობას იწვევს ვარჯიში.

ნიკოტინის ან შოკოლადის ჩიპებით არ დავბადებულვართ, ტვინს ნელ-ნელა ვაჩვევთ, რომ ისინი გვჭირდება . შესაბამისად, იკარგება კონტროლი.

შეგვიძლია, შევცვალოთ დამოკიდებულება. არც ისე დიდი ხნის წინ მწეველი უფრო პოპულარულ პერსონად ითვლებოდა. დღეს პირიქითაა. თუ გადაწყვეტ, მხოლოდ მაშინ ჭამო, როცა გშია, თუ იფიქრებ, როგორ იგრძნობ თავს გადავსებული კუჭით, რას იგრძნობ სასწორზე წონის მაჩვენებლის დანახვისას, ტვინი შეძლებს გააკონტროლოს ტვინის შიმშილისა და სიმაძღრის პროცესები. ყველა ჭარბწონიანი არ არის მიჯაჭვული საკვებზე, წონის მატების მიზეზი ზოგჯერ ჰომეოსტაზის დარღვევაა, ზოგჯერ – ცუდი გენეტიკა,

მოუწესრიგებელი ძილი, ცუდი კვებითი ჩვევები, ნევროზი, დისბაქტერიოზი, არაჯანსაღი გარემო. გამხდარსაც შეიძლება ჩამოთვლილთაგან რომელიმე პრობლემა ჰქონდეს. ყველა ჩვენგანი სხვადასხვანაირია. შესაბამისად, წონის მატება-კლებისთვისაც ინდივიდუალური პროგრამები გვჭირდება და არა პოპულარული დიეტა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gut Reactions: The Science of weight gain and loss. Simon Quellen Field, 2019

ირენა მახარაძე

1 რამდენიმე ფრაგმენტი დედის პორტრეტების გალერეიდან 177

2 სიურრეალისტური თამაშები 187

3 ალბერსის ხელოვნების გაკვეთილები 198

4 გოგენის ინტერპრეტაციები და „შოკოლადის ფილა“ 206

რამდენიმე ფრაგმენტი დედის პორტრეტების გალერეიდან

ბავშვებს უყვართ ნამდვილი ამბების მოსმენა მხატვრების ცხოვრებიდან. როგორც კი ხელოვნების გაკვეთილზე რაიმე ბიოგრაფიულ პასაჟს ვეხებით, იმ წამს უმახვილდებათ ყურადღება. და თუ საუბარი მათთვის ნაცნობ ხელოვანს ან ხელოვნების ნაწარმოებს ეხება, უფრო აქტიურად ერთვებიან დისკუსიაში, ერთმანეთს უზიარებენ ფაქტებს წაკითხული წიგნებიდან თუ სტატიებიდან და საკუთარ შეფასებებს აკეთებენ.

ხელოვნების გაკვეთილზე მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებთან ერთად, დედის დღის მოახლოებასთან დაკავშირებით განვიხილეთ – „დედის პორტრეტები ცნობილ მხატვრებთან“. სანამ ბავშვები დედებისთვის საკუთარ ისტორიებს ნახატებად აქცევდნენ, ჯერ ნაცნობი მხატვრების მიერ შესრულებული ნამუშევრები გავიხსენეთ, მერე კი ახლებსაც გავეცანით. ერთად შევუდექით ცნობილი მხატვრების მიერ შექმნილი დედის პორტრეტების თვალიერებას, დაკვირვებას, მათში ასახული უფაქიზესი მომენტების აღმოჩენას.

ჭკვიანი, განათლებული და მზრუნველი დედები ხელოვანებს ხშირად გვერდში ედგნენ, ამხნევებდნენ. ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებასა თუ სხვა მედიაში ასახული ეს სახეები, ჩვენი ფიქრისა და შთაგონების წყაროც გახდა. გამიხარდა, რომ ახსოვდათ დავით კაკაბაძის „იმერეთი, დედაჩემი“, რენესანსის მადონები, ჯეიმს უისტლერის „მხატვრის დედა“, ალბრეხტ დიურერის დედის გრაფიკული ნახატიც და ა.შ.

■

ჰოლანდიელმა მხატვარმა, რემბრანდტ ვან რეინმა დედის ეს პორტრეტი სულ ახალგაზრდამ დახატა (სურ. 1), ლეიდენში ყოფნის ბოლო პერიოდში, 1629 წელს. აქაც უკვე ავლენს ასაკის ფიზიკური მახასიათებლების, დანაოჭებული თვალების, მოშვებული კანის ხატვისას დიდ ოსტატობას. მოხუც დედას

რემბრანდტი, „მხატვრის დედა“ (1629) (სურ. 1)

ეგზოტიკური მოსასხამი მოსავს, კაბაზე მოდებული აქვს ბეწვი, კაბას თეთრი ნაქარგებით შემკული საყელო აგვირგვინებს. ნახატის ტონალობა მუქია, მაგრამ მას ფერმკრთალი სახე, თეთრი საყელო და მოსასხამის ყვითელი ნაქარგობა უპირისპირდება. შუქი, რომელიც მოხუცის სახეს კომპოზიციის მარჯვე-

ნა მხრიდან ეცემა, მაყურებლის ყურადღებას სწორედ მისკენ მიმართავს და დრამატიზმით ავსებს სურათს.

ვინსენტ ვან გოგი, მხატვრის დედის პორტრეტი (1888) (სურ. 2)

ვინსენტ ვან გოგს ხომ დედამ, ანა კორნელია კარბენტეს ვან გოგმა, გააცნო და შეაყვარა ხელოვნება, რომელიც თავადაც კარგი მხატვარი იყო და ექვსი შვილი სახლში შემოქმედებით გარემოში გაზარდა.

ეს პორტრეტი 1888 წელს შავ-თეთრი ფოტოდან დაუხატავს მხატვარს და დედის სახე ფერის ცოცხალი გრძნობით განუმსჭვალავს (სურ. 2). ანას კეთილგანწყობილი, მზრუნველი და ფხიზელი სახე გვნუსხავს. ის ვინსენტს წერილებს ხშირად სწერდა, ცხადია, ღელავდა მასზე.

ვინსენტ ვან გოგი, ეტენის ბაღის მოგონებები 1888 (სურ. 3)

ანას ძალიან უყვარდა მცენარეები, სახლში პატარა ბაღიც ჰქონიათ და შვილებიც პატარაობიდანვე ეხმარებოდნენ მის მოვლაში. ბუნებისადმი მისი დიდი სიყვარული ვინსენტს ადრეული ასაკიდან გადაეცა. 1888 წელს შესრულებულ ტილოში „მოგონებები ეტენის ბაღიდან“, ვან გოგი დედისა და ორი დის პორტრეტს ამ იდილიურ ადგილას ხატავს (სურ. 3).

„კომპოზიცია ნაცრისფერსა და შავში“ – „მხატვრის დედა“, ჯეიმს უისტლერი, 1871 (სურ. 4)

ჯეიმს უისტლერის დედის, ანნა მაკნილის პორტრეტს ვიქტორიანულ „მონა ლიზად“ მოიხსენიებენ (სურ. 4). პორტრეტი ლონდონში შეიქმნა. ამბობენ, რომ ანნამ სხვა მოდელი შეცვალა, რომელიც აღარ მისულა სახელოსნოში დანიშნულ დროს. თავიდან უისტლერს ფეხზე მდგომი სურდა დაეხატა ნატურა, მაგრამ ასაკოვანი დედა დიდხანს ვერ შეძლებდა ფეხზე დგომას და ამიტომ მხატვარმა კომპოზიცია შეცვალა. იგი პროფილში, მჯდომარე პოზაში დახატა. საინტერესოა, რომ უისტლერის თავდაპირველი ჩანაფიქრი ფერისა და კომპოზიციის შესწავლას ისახავდა მიზნად. ამჟამად ნახატი ორსეს მუზეუმში ინახება და დედის სახის ბრწყინვალე ხატია.

პაბლო პიკასო, მხატვრის დედის პორტრეტი (1896) (სურ. 5)

პატარა ბიჭი იყო პიკასო, როცა დედის ეს პორტრეტი დახატა (სურ. 5). მარია პიკასოს პასტელში შესრულებული ფაქიზი და პოეტური სახე, მხატვრის შემოქმედების ადრეული წლებიდან, ერთ-ერთი საუკეთესოა. გვიანი პერიოდის პიკასოს კუბისტური ნამუშევრებისგან განსხვავებით, ეს საპირისპირო, რეალისტური, ტრადიციული ნახატია.

პროფილში მჯდომარე ფიგურა, თავისუფლად შეკრული თმა, თეთრი ბლუზი, მარგალიტის საყურე, დახრილი მზერა, ჩუმი გამომეტყველება – უნაზეს შტრიხებს სძენს მის პორტრეტს.

როცა 1881 წელს პირველი შვილი, პაბლო დაიბადა, მარია 26 წლის იყო. შემდეგ ლოლა და კონჩიტა გაჩნდნენ. დედის გადმოცემით, პაბლოს პირველი სიტყვები "piz, piz" – ყოფილა, ესპანურად lapiz ფანქარს ნიშნავს და "piz, piz"კი მისი შემოკლებული ვერსიაა.

ჯორჯო დე კირიკო, დედის პორტრეტი, 1911 (სურ. 6)

მოგვიანებით პიკასო განაცხადებს – 12 წლისა უკვე რაფაელივით ვხატავდიო. ასეც იყო. ის 14 წლისა ბარსელონის ხელოვნების აკადემიაში მიიღეს. ახალგაზრდა პიკასო ხატავდა მამას, დეიდას, დას ლოლას, ბებიას და დედას. პასტელში შესრულებული ეს პორტრეტი 1896 წლით თარიღდება, როცა პაბლო 15-ის, დედა კი 41 წლის იყო. ნახატის კვლევისას, რამდენიმე წლის წინ, აღმოაჩინეს, რომ პორტრეტის უკანა მხარეს პიკასოს ჩიბუხიანი კაცი დაუხატავს.

იტალიელი მხატვარი ჯორჯო დე კირიკო თურმე მოგზაურობების დროს ძვირფას დედას ხშირად შეუვლიდა და მის პორტრეტებს ხატავდა. მხატვრის დედა, ჯემა ჩერვეტო, გენუელი ბარონესა გახლდათ, რომელიც წარჩინებულ სიცილიელს გაჰყვა ცოლად. ამ ნახატში, კირიკო დედას სადღაც სიშორეში მიმართული მზერით ხატავს, ცარიელი ცა და რამდენიმე დეტალია მონიშნული ფონზე (სურ. 6).

მიგრანტი დედა, დოროთეა ლანგი, 1936 (სურ. 7)



ეს ფოტო, „მიგრანტი დედა“, რომელზეც 32 წლის ფლორენს ტომპსონია აღბეჭდილი, შვილებთან ერთად, შეუპოვარი მზერით, ლანგის საკულტო სურათია (სურ. 7). ხელოვნებაში ეს ფოტო დედის სახეების ერთ-ერთი ძლიერი სიმბოლო გახდა და ამავე დროს, ამერიკის ისტორიაში „დიდი დეპრესიის“ წლებში, ამერიკელი ხალხის ბრძოლისა და სიმტკიცის გამომხატველია. როცა ხელოვანმა ეს ფოტო გადაიღო, გაყინულ ფერმაში აღარ იყო სამუშაო უსახლკარო მკრეფავებისთვის. ფლორენს ტომპსონს შვილებისთვის საკვების მოსაპოვებლად, რაც ებადა უკანასკნელის, მანქანის საბურავების, გაყიდვა მოუწია.

ფოტოს გამოქვეყნების შემდეგ ხელისუფლება გამოფხიზლდა და ლტოლვილთა ბანაკს დახმარება გაუგზავნა. ესეც თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა ძალა აქვს ხელოვნებას, რომ ხელოვნებას შეუძლია სამყარო უკეთესობისკენ შეცვალოს.

■

ამ ნამუშევრების მიმოხილვის შემდეგ ბავშვებმა დახატეს დედის პორტრეტები, ის, რაც დედას ყველაზე მეტად უყვარს და ახარებს, კონკრეტული სი-

სურ.8

ტუაციები – დედასთან ერთად სეირნობა, დედის სამუშაო თუ სახლის გარემო, ულამაზესი თაიგულები, ყვავილებითა და მზით ავსებული მდელოები, გულებით აციმციმებული კომპოზიციები. ნახატებში სიტყვებიც გამოჩდნენ, თბილი, სიყვარულით სავსე გულწრფელი სტრიქონები. ბოლოს ნამუშევრების ამ მშვენიერ ციკლს სახელი ერთხმად შეურჩიეს – „დედა, მიყვარხარ!“ (სურ. 8,9).

სურ. 9

სიურრეალისტური თამაშები

სიურრეალისტების ხელოვნებას ჩემი მოსწავლეები ყოველთვის დიდი ინტერესით ათვალიერებენ და უამრავ შეკითხვას მისვამენ – რატომ დნება საათები სალვადორ დალის ნახატში? მაგრიტის შავქუდიანი მამაკაცები ღრუბლებში რად სეირნობენ? და ა.შ. მათი თვალით ეს ნამუშევრები ერთგვარი გამოცანებია, რომელთა ამოხსნას ჩვენ თამაშებით ვიწყებთ.

სიურრეალისტების მიერ მოგონილი თამაშები, ხატვის სხვადასხვა ტექნიკა, სახალისო და მოულოდნელობებით სავსე აქტივობები, ხელოვნების გაკვეთილებზე ამ მიმდინარეობის განხილვისას, თემის შესავალში, ან ჯგუფური სამუშაოს დაწყების წინ, გნებავთ სასწავლო წლის დასაწყისში, ან უბრალოდ ბავშვების განტვირთვისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ.

სიურრეალისტურ ნახატებში თუ ობიექტებში, საგნები, ადამიანები, ბუნება უჩვეულო კონტექსტში გვევლინებიან, სადაც რეალური და წარმოსახული სამყარო ლოგიკის გარეშეა გაერთიანებული. ასეთი სიმბოლური სურათები შეიძლება სიზმარში ვნახოთ, როცა გონება ცნობიერის კონტროლისგან თავისუფალია. სიურრეალისტები სწორედ ქვეცნობიერს ათავისუფლებენ და „ზერეალობას“ ქმნიან.

სიურრეალისტები თავს სიმბოლიზმის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. მათ წრეში გაერთიანებული იყო სხვადასხვა ეროვნების ხელოვანი მრავალფეროვანი მხატვრული მიდგომებით. ლიტერატურასა და მხატვრობაში ამ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ავტომატიზმი, ენის ექსპერიმენტული გამოყენება, ნაპოვნი საგნები, გარკვეულწილად, მის წინამორბედ დადაიზმშიც იყო წარმოდგენილი. თუმცა, სიურრეალისტებმა ეს სტრატეგიები ზიგმუნდ ფროიდის სიზმრებისა და ქვეცნობიერი გონების თეორიების ჩარჩოში მოაქციეს. მათ სჯეროდათ, რომ შემოქმედება, რომელიც ადამიანის ქვეცნობიერიდან მოდის, უფრო ძლიერი და ნამდვილია, ვიდრე ცნობიერი ფიქრის ნებისმიერი პროდუქტი. ღრმად აინტერესებდათ სიზმრების ინტერპრეტაციაც, როგორც გამოუთქმელი გრძნობებისა და სურვილების გამოვლენა.

სიურრეალისტებმა სახვითი ტექნიკის, ხერხებისა და ჯგუფური თამაშების სერია სიზმრების სამყაროს გამოსაღვიძებლად გამოიგონეს. ამ „სალონური თამაშების“ მიზანი გაოცების, აბსურდულობის, იუმორისა და მოულოდნელი გადაკვეთების წარმოქმნა იყო (სურ. 1).

სურ.1

აქ განხილული რამდენიმე თამაში და ტექნიკა – **„დახვეწილი გვამი“ (Cadavre Exquis), ავტომატური ხატვა, ფროტაჟი და „კოლაჟი დახეული ქაღალდით“**, ვფიქრობ, მოსწავლეებს სიურრეალიზმის უკეთ გაგებაში დაეხმარება და თამაშის გზით საკუთარ თავს, ნაცნობ საგნებსა თუ მოვლენებს ახლებურად დაანახებს.

ყველაზე სახელგანთქმული სიურრეალისტური თამაში Cadavre Exquis (ფრანგულად), (ინგლისურად Exquisite Corpse), ქართულად ასე ჟღერს – „დახვეწილი გვამი“. თამაშის შინაარსი უფრო გასაგები რომ ყოფილიყო, გაკვეთილზე მოსწავლეებს წარვუდგინე, როგორც „უცნაური, გამოგონილი არსება“. ბავშვობაში ასეთი თამაშის ვარიაცია სიტყვებით თუ ნახატებით, ალბათ ბევრ ჩვენგანს უთამაშია. მე, პირადად, მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ეს გასართობი სიურრეალისტების მოგონილი იყო, ისევე როგორც ფროტაჟის ტექნიკა – როცა ხურდა ფულს ფურცლის ქვეშ ამოვდებდით და გრაფიტის ფანქრით მის ანაბეჭდს ვაკეთებდით.

„დახვეწილი გვამი“ 1925 წელს პარიზში სიურრეალისტებმა ივ ტანგმა, ჟაკ პრევემ, ანდრე ბრეტონმა და მარსელ დიუშანმა გამოიგონეს და ძალიან ჰგავს ძველ სალონურ თამაშს, რომელშიც მონაწილენი ერთ წინადადებას ისე ადგენენ, რომ არ იციან, რა დაწერა წინა მოთამაშემ. სახელი „cadavre exquis“ კი მოდის ფრაზიდან, რომელიც ამ პირველი თამაშის შედეგად დაიბადა – „დახვეწილი გვამი ახალ ღვინოს დალევს“ („le cadavre exquis boira le vin nouveau“).

„დახვეწილ გვამს“ სიურრეალისტები ნახატებითა და კოლაჟებითაც თამაშობდნენ და სიტყვების ნაცვლად უცნაური, გამოგონილი, ჰიბრიდული არსებების სხეულის ნაწილებს ინტუიციურად ხატავდნენ.

ამ თამაშს სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეების გასახალისებლად ხშირად ვიყენებ. სიურრეალიზმის ისტორიის გაცნობისას კი ბავშვების ყურადღების კონცენტრირებასა და ახალი თემით უფრო ცოცხლად დაინტერესებაში მეხმარება. ძალიან კარგია, სანამ გონებისა და ხელის სავარჯიშო პორტრეტის ხატვას, ან ილუსტრაციასა და ფანტასტიკური ქმნილებების დიზაინზე მუშაობას შევუდგებოდეთ. მთავარი ხიბლი ალბათ თამაშის იუმორი და მოულოდნელობის ეფექტია, თან თანატოლთა თანამშრომლობას ეყრდნობა და იდუმალების გრძნობას შეიცავს. თამაშის წესები კი თავისუფლად შეიძლება მოვარგოთ ნახატების, კოლაჟების და ლექსების შექმნის პროცესსაც. შეგვიძლია, ოჯახთან ან მეგობრებთან ერთადაც ვითამაშოთ.

„გამოგონილი არსებები“ სიურრეალისტურ სტილში ჩვენ ასე ვითამაშეთ: (სურ. 2)

კლასი 3- ან 4-წევრიან ჯგუფებად იყოფა, თითოეულს ფურცელი და ფანქარი დასჭირდება. ფურცელი ჰორიზონტალურად სამად იკეცება – უცნაური არსების თავის, ტორსის და ფეხების დასახატად. მოთამაშეები დაფარულად ხატავენ ამ სხეულის ნაწილებს და ფურცელს გადაკეცილს გადააწოდებენ ერთმანეთს, მხოლოდ მინიშნებას უტოვებენ, სად მთავრდება კისერი ან ტორსი. დაფარულ ნახატებში არ ვიხედებით, ეს თამაშის მოულოდნელობის ეფექტს არღვევს. როდესაც ბოლო მოთამაშე დაასრულებს ხატვას, ფურცელი მაშინ იხსნება სრული ნახატების გამოსავლენად.

მოსწავლეები ხატავენ სპონტანურად, რაც იმ წამს მოუვათ თავში. ფურცლის პირველ გადაკეცილ არეში შეუძლიათ ყველაზე უცნაური თავი დახატონ, რაც კი წარმოუდგენიათ – ადამიანის ან ფანტასტიკური არსების, პროპორციული ან დისპროპორციული, სიმეტრიული ან ასიმეტრიული სახის ნაკვთები შეუძლიათ ზედმეტი მიუხატონ, ან სულაც მოაკლონ. თმა, ბეწვი, ქუდი, რქები, სათვალე, სამკაული, ნისკარტი და სხვა დეტალები არ დაავიწყდეთ. მეორე მოთამაშე კისრის ხაზების მიხედვით აგრძელებს და ხატავს ტორსს – ტანსაცმლით, ხელებით, ან თუნდაც ფრთებით და ა.შ. მესამე ხატავს არსების ფეხებს, ან გადაადგილების ნებისმიერ საშუალებას, ფარფლებს, საცეცებს, ბორბლებს და ა.შ. ბოლოს ფურცლებს ერთდროულად ვხსნით და თუ საჭირო გახდა, უცნაური ქმნილების სხეულის ნაწილებს ხაზებით ვაერთებთ. მერწმუნეთ, ასეთ ნახატებს სიცილის გარეშე ვერ დაათვალიერებთ (სურ. 2).

ნახატების გახსნის მერე, როცა სიცილით გული ვიჯერეთ, ერთად განვიხილეთ, როგორი იყო ხატვა, როცა წინასწარ არ იცი, რა გამოსახულებას აგრძელებ, როგორი განცდაა, როცა ფიქრის გარეშე წამიერად აზრად მოსულ იდეას ხატავ. სპონტანური ნახატებით თამაში ბავშვებს ძალიან მოეწონათ. მთხოვეს, ხშირად გავიმეოროთ გაკვეთილებზე. ფიგურების გაფერადებაც სახალისოა, ამ დროს უფრო ახლოს და სხვა თვალით აკვირდებიან ამ უცნაურ არსებებს, სახელებიც შეიძლება დაარქვან და საინტერესო გარემოც დაუხატონ ირგვლივ (სურ. 3).

სურ.3

ევროპასა და ამერიკაში Cadavre Exquis/Exquisite Corps-ს ხელოვნების გაკვეთილებზე კოლეჯში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებით კლასებსა თუ საზაფხულო ბანაკებში თამაშობენ. ინტერნეტსივრცეში ამ აქტივობის უთვალავი რესურსი და მაგალითი შეგვიძლია ვიპოვოთ.

სიურრეალისტურ ტექნიკებში ავტომატიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა – სპონტანური ან ავტომატური წერა, ხატვა; გამოსახულებებისა და სიტყვების თავისუფალი ასოციაციები.

ავტომატური ხატვა განისაზღვრება, როგორც „ქვეცნობიერის გამოხატვა, ან „ქვეცნობიერის სავარჯიშო“. იგი მონაწილეებისგან გონების კონტროლის გარეშე ხატვას მოითხოვს. ერთი შეხედვით, შედეგი შეიძლება ნაჯღაბნების სერიას ჰგავდეს, მაგრამ ეს ნახატები ავტორის ქვეცნობიერის ნაკადის დაფიქსირებაა (სურ. 4).

სურ. 4

ავტომატური ხატვა სიურრეალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილია თანამედროვე ხელოვნებაში. ხელოვნების შექმნის ამ უნიკალურ მეთოდს 1920-იანი წლებში ბევრი ხელოვანი იყენებდა – ანდრე მასონი, ოსტინ ოსმან სპარი, ხუან მირო, სალვადორ დალი, ჟან არპი, ანდრე ბრეტონი. შემოქმედების ბოლო პერიოდში პაბლო პიკასოც სიურრეალისტური ავტომატიზმით იყო გატაცებული. მას შემდეგ, რაც ავტომატური ხატვით პირველი ნამუშევრები შეიქმნა, ეს ახალი ტექნიკა სწრაფად გადავიდა ფერწერასა და სხვა მედიაში.

ავტომატური ხატვისთვის სხვადასხვა სახატავი საშუალება – ფანქრები, პასტელები ან მარკერები და თითო მოსწავლისთვის 2-3 ფურცელი დაგვჭირდება. ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეგვიძლია ჩავატაროთ. კარგი იქნება, თუ წინასწარ სხვადასხვა მელოდიას (წყნარი, აჩქარებული და დრამატული) შევარჩევთ, 1-2 წუთი მოვუსმენთ და უმალ უწყვეტი კონტურით დავიწყებთ ხატვას. ფურცლებზე ხაზების აჩქარებულ თუ შენელებულ მოძრაობებში მოულოდნელი გამოსახულებები დაიხატება. შემდეგ კი ამ ნახატებმა ახალი ვიზუალური სახეები ან თამაშები შეიძლება შთაგვაგონოს (სურ. 5, 6).



სურ. 5

სურ. 6

ფროტაჟი ფურცლის ზედაპირზე ტექსტურის შექმნის ტექნიკაა ისეთი მასალებით, როგორიცაა ნებისმიერი ფაქტურიანი ზედაპირი და ცვილის პასტელი, გრაფიტის ფანქარი ან ნახშირი. ფაქტურის შესაქმნელად შეიძლება კედლის ხაოიანი ზედაპირი, იატაკი, მაგიდა, წიგნის ყდა, ქსოვილი და ნებისმიერი რელიეფური ზედაპირის მქონე საგანი გამოვიყენოთ. ამ ტექნიკის აღმომჩენი მაქს ერნსტისთვის ფროტაჟი მის ქვეცნობიერში შეღწევის საშუალება იყო. ის ნამუშევრებში სიმებს, ბადეს, პურის ქერქსაც კი იყენებდა (სურ. 7).



MAX ERNST, Frottage

სურ.7

თხელი ქაღალდი განათავსეთ სხვადასხვა ტექსტურიან საგანზე, წაუსვით ფანქარი, პასტელი ან ნახშირი და ნახავთ, როგორ გამოისახება ზედაპირზე ფურცლის ქვეშ არსებული ფორმები და გამოსახულებები. შემდეგ დავაკვირდეთ ამ ნახატებს, რას გვაგონებს ეს ფაქტურები? ადამიანებთან, სიმბოლოებთან, ობიექტებთან თუ ბუნებრივ მოვლენებთან ხომ არ გვიჩნდება ასოციაციები? წარმოსახვას გზა მივცეთ, ახალი ნიშნები და ფერები შეიძლება დავამატოთ და ფროტაჟში დამალულ მოულოდნელ სახეებს ამოვიკითხავთ (სურ. 8).



სურ.8

ფროტაჟი მოსწავლეებს შემოქმედებითი ფიქრისკენ უბიძგებს, სადაც „არაფერი“ შეიძლება „რაღაც“ გახდეს. ერთ ნახატში სხვადასხვა ზედაპირისგან მიღებული ფროტაჟების დაკავშირებით კომპლექსური ეფექტების შექმნაა შესაძლებელი. დამატებით შეიძლება გავაფერადოთ, გამოვჭრათ ან სხვა მასალებს დავუკავშიროთ კოლაჟში.

„კოლაჟი დახეული ქაღალდით“ (ფრ. Papier Déchiré) პირველად ჟან არპმა გამოიყენა (სურ. 9).

სურ. 9

ნაკუწებად დახეული ან სხვადასხვა ფორმად დაჭრილი ფერადი ან მეორადი ქაღალდები თეთრ ფურცელზე უნდა მიმოვაბნიოთ. შემთხვევით დაცვენილი ქაღალდები უკვე გარკვეულ კონფიგურაციებს შეიცავს, რომლებიც ასეთივე წყობით ფურცელზე დავაწებოთ (სურ. 10).

სურ. 10

მოსწავლეები ყურადღებით დააკვირდებიან შემთხვევით მიღებულ კოლაჟს, რომელიც აბსტრაქტულ კომპოზიციად შეუძლიათ დატოვონ, ან განავრცონ – ფანქრებით, საღებავებით, პასტელებით, მარკერებით ამ დეტალების შემაერთებელი ან ზედ მიხატული ხაზების, წერტილების თუ სხვა ფორმების დამატებით და დამუშავებით.

მოსწავლეებთან ერთად ხელოვნების გაკვეთილებზე კიდევ არაერთი სიურრეალისტური თამაში და ვიზუალური ტექნიკა – გრატაჟი, ფროსაჟი, დეკალკომანია, ფოტოკოლაჟი, ფოტომონტაჟი – შეგვიძლია გამოვიყენოთ. ბავშვებს ყოველთვის ხიბლავთ მოულოდნელობის ელემენტი და იუმორი საკლასო ოთახში. თამაშით სწავლება კი ყველა ასაკის მოსწავლისთვის საინტერესო და სასარგებლოა, როგორც საგნით დაინტერესების, ისე განტვირთვისთვის და რაც მთავარია, ხელოვნებაში თავისუფლების შეგრძნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. A book of surrealist games, Compiled by Alastair Brotchie, Edited by Mel Gooding, 1995
2. https://www.nationalgalleries.org/art-and-artists/31332/cadavre-exquis-exquisite-corpse
3. https://www.centrepompidou.fr/es/ressources/oeuvre/ckXapBx
4. https://www.widewalls.ch/magazine/automatic-drawing
5. Unreal, Mysterious, Strange, Explore the dreamlike art of the Surrealists with these art activities for kids and families. Elizabeth Margulies, Lisa Mazzola Nov 12, 2020

ალბერსის ხელოვნების გაკვეთილები

იოზეფ ალბერსი (1888–1976) მეოცე საუკუნის მოდერნიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა (მხატვარი, მწერალი, ფერის თეორეტიკოსი, დიზაინერი, მასწავლებელი), რომელმაც თავისი ნამუშევრებით და გავლენიანი პედაგოგიური მოღვაწეობით (ბაუჰაუზში, შავი მთის კოლეჯსა და იელის უნივერსიტეტში) თანამედროვე ხელოვნებაში ახალ ხედვას და იდეებს გაუკვალა გზა.



იოზეფ ალბერსი, 1968, © ანრი კარტიე ბრესონის ფოტო

იოზეფ ალბერსი 1888 წლის 19 მარტს ბოტროპში, გერმანიაში დაიბადა. 1905–1908 წლებში ბურენში მასწავლებლის პროფესიას ეუფლებოდა. 1908–1913 წლებში ვესტფალიის დაწყებით სკოლაში ასწავლიდა. ბერლინის სამეფო ხელოვნების სკოლის დასრულების შემდეგ (1913–1915) კი სერტიფიცირებული ხელოვნების მასწავლებელი გახდა. 1920 წელს ხელოვნებას სწავლობდა ვაიმარში, ესენსა და მიუნხენში, სადაც მინაზე ხატვით იყო გატაცებული. 1923 წლიდან საბაზისო დიზაინის კურსს ასწავლიდა. როდესაც 1925 წელს ბაუჰაუზი

დესაუში გადავიდა, ალბერსი პროფესორი გახდა. იქ ის ასევე მინასა და ლითონზე მუშაობდა, ავეჯის დიზაინს და ანაბეჭდებს ქმნიდა.

1930-იან წლებში იოზეფ ალბერსს ემიგრაციაში წავიდა (ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა), რადგან ნაცისტებმა ბაუჰაუზი — ხელოვნებისა და აზროვნების ეს მოდერნისტული ცენტრი — დახურეს. 1933 წელს ალბერსი ჩრდილოეთ კაროლინაში ახლადდაარსებული შავი მთის კოლეჯის ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა და 1949 წლამდე ასწავლიდა იქ.

ალბერსმა და მისმა მეუღლემ, ანამ, თანამედროვე ტექსტილის ხელოვნების ფუძემდებელმა, ბაუჰაუზში მიღებული ცოდნა და გამოცდილება შავი მთის კოლეჯში ჩაიტანეს.

შავი მთის კოლეჯი 1957 წელს დაიხურა, მაგრამ თანამედროვე მხატვრობაზე, მუსიკაზე, ცეკვაზე, თეატრზე, დიზაინსა და ლიტერატურაზე მისი გავლენა დღემდე შესამჩნევია.

ეს სასწავლებელი ხელოვნებაში სწავლა-სწავლების ახლებურ იდეებს ქადაგებდა, რომელიც ამერიკელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და განათლების სპეციალისტის ჯონ დიუის (1859-1952) პროგრესული განათლების კონცეფციას ეყრდნობოდა. დიუის აზრით, განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას, რადგან გამოცდილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს; განათლება სოციალური ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს, რადგან სწორედ იდეებისა და გამოცდილების გაზიარებით მიიღწევა სოციალური პროგრესი.

შავი მთის კოლეჯში იოზეფ ალბერსი სკოლის მასწავლებლობის გამოცდილებას ეყრდნობოდა, სწავლების დროს გაკვეთილების გეგმებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ლექციების ნაცვლად პრაქტიკული ექსპერიმენტებით ცდილობდა სტუდენტების წახალისებას. პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორიც საბოლოო პროდუქტი. და ეს მეთოდი ეფექტური აღმოჩნდა. მიუხედავად ინგლისური ენის არც ისე კარგი ცოდნისა, ჟესტებით და პერფორმანსით ალბერსი მშვენივრად ახერხებდა სტუდენტებთან კომუნიკაციას, რომ მხატვრობა და ხელოვნება ახლებურად, ცოცხალი პერსპექტივებით დაენახვებინა.

როდესაც შავი მთის კოლეჯში სტუდენტებმა ჰკითხეს, რას გვასწავლითო, ალბერსმა უპასუხა: **„თვალის გახელას“**. ხედვისა და წარმოსახვის გავარჯიშების ეს მარტივი პრინციპი მისი სახელგანთქმული ნახატების სერიასაც — „პატივის მიგება კვადრატს“ (Homage to the Square) — შეიძლება მივუსა-



იოზეფ ალბერსი თავის კლასთან ერთად შავი მთის კოლეჯში, კადრი Life magazine-სთვის
© ჟენევიევ ნეილორის ფოტო / Corbis via Getty Images

დაგოთ. ის ასეულობით ნამუშევარს მოიცავს, სადაც მხატვარი ერთმანეთში ჩასმული კვადრატების ქრომატულ ურთიერთობებს მკაცრად იკვლევს. ეს აბსტრაქციები მასონიტზე ზეთის საღებავებით მასტეხინით არის შესრულებული. ერთი შეხედვით, ეს მინიმალიზმი ან მარტივი აბსტრაქცია შეიძლება გვეგონოს. მაგრამ ნახატები მნახველისგან გაცილებით მეტს მოითხოვს –

ფერისა და ფონის ურთიერთობის აღქმას: კვადრატები იდეალურად ცენტრში არ არის განლაგებული – ოპტიკურ ილუზიას ქმნის, თითქოს ქვევით მიიწევს და დაკვირვების დროს მოძრაობას იწყებს. ისინი ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ, ერთი ფერი მეორეს აძლიერებს, ხან უკანა პლანზე აბრუნებს, ხან წინ წამოსწევს.



ალბერსი – პატივის მიგება კვადრატს

ალბერსი იშვიათად ურევდა ფერებს, სუფთა ფერებით ხატავდა. მისთვის ნახატი ფერის, ფონის, ფორმისა და მაყურებლის თანაობაა. თავის წიგნში „ფერების ურთიერთქმედება“ (1963) ის წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ფერი, ტონი, ნახევარტონი არსებობს, ყოველდღიურად მხოლოდ 30-მდე ფერის სახელს ვიყენებთ“. მას მიაჩნდა, რომ ჩვენი ლექსიკა მეტის-

მეტად მწირია, რათა ფერების ნიუანსები გადმოსცეს. ალბერსი სტუდენტებს ექსპერიმენტებს ატარებინებდა, რომ თავად დაჰკვირვებოდნენ და შეესწავლათ ფერების ურთიერთქმედება: როგორ შეუძლია ერთ ფერს სხვა ფერების გარემოცვაში განსხვავებული ინტენსივობა და ხარისხი შეიძინოს.

გაკვეთილზე ალბერსი სტუდენტებს სთხოვდა სამი სხვადასხვა ფერის ფურცლის აღებას და ისე დალაგებას, რომ ოთხი განსხვავებული ფერი მიეღოთ. მეორე ექსპერიმენტის დროს კი საპირისპიროდ უნდა მოქცეულიყვნენ – ოთხი ფერისგან სამი გამოეყვანათ. ალბერსის აზრით, ფერადი ფურცლები ფერისა და ფონის ურთიერთქმედების გასააზრებლად იდეალური იყო – იაფი, სწორი, მთლიანად დაფერილი და, რაც მთავარია, ნაკლები ნარჩენით.

ალბერსი – „ფერების ურთიერთქმედება“

„ფერის ეფექტურად გამოსაყენებლად აუცილებელია იმის აღიარება, რომ ფერი მუდმივად გვატყუებს“, – წერდა ალბერსი ამ დავალებების შესახებ. ფერის მისეული აღქმა ნაკლებად ჰგავდა ფიზიკურ თვისებებს, რომლებიც სამეცნიერო პრიზმულ სისტემებშია ასახული. ფერი, მისი თეორიით, ურთიერთფარდობითი და უსასრულოდ ცვალებადია.

2013 წელს, „ფერთა ურთიერთქმედების“ 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად, იელის უნივერსიტეტმა ალბერსის ფერთა თეორიის აიპადის ვერსია (Interaction of Color App Demo Trailer) გამოუშვა. აპლიკაციას ვირტუალური ფერადი ქაღალდი აქვს და მომხმარებელს მისი დაჭრა, გადაადგილება, ჩასმა, სხვა ტონებთან შეხამება შეუძლია – იმისთვის, რომ ფერთა თამაშის ილუზია თვალმა აღიქვას.

ნახატის სწავლებისას ალბერსი მოწაფეებს მარტივ სავარჯიშოს ასრულებინებდა. ის მათ ფურცელზე თავიანთი სახელების დაწერას და დასრულებისთანავე ხელის მაღლა აწევას ავალებდა. სტუდენტები დავალებას თვალის დახამხამებაში ასრულებდნენ. შემდეგ ალბერსი სახელების უკუღმა დაწერას სთხოვდა და სტუდენტებს ცოტა აგვიანდებოდათ ხელის აწევა, რადგან ახალგაზრდა მხატვრები გონებაში ასოების ფორმებს უნდა დაჰკვირვებოდნენ, წარმოსახვისა და ფიქრისთვის კი დრო სჭირდებოდათ. ალბერსი ასწავლიდა მათ, რომ ხატვის ყოველ ნაბიჯს გონების ინტენსიური კონცენტრაცია სჭირდება.

იელში მუშაობისას, როდესაც ალბერსი რომელიმე მოწაფეს გაფანტულობას შეატყობდა, მოპირდაპირე ქუჩაზე სამხატვრო მასალების მაღაზიაში გაგზავნიდა, რომ სამდოლარიანი სახატავი ქაღალდი ეყიდა, რომელიც მაშინ საკმაოდ ძვირი იყო. ამით შეგირდებს ასწავლიდა, ისევე მოჰფრთხილებოდნენ იმ იაფფასიან ქაღალდსაც, რომელზეც ფიგურულ ნახატებს ხატავდნენ.

ალბერსის ყოფილი სტუდენტი რობ როი კელი იხსენებს, რომ სემესტრის ბოლოს მასწავლებელი სტუდენტების ჩანახატების წიგნაკებს მოაგროვებდა ხოლმე და ამოწმებდა, როგორ ჰქონდათ გათავისებული მასწავლებლის რჩევები. და თუ იქ, სერიოზულ ჩანახატებთან ერთად, მიჩხაპნილ ტელეფონის ნომრებს, მულტფილმების გმირებს, მინაწერებს ან რამე სხვას ნახავდა, საშინლად ბრაზდებოდა. უფრო მეტიც: მოითხოვდა, ყოველი გვერდი გულდასმით შესრულებული ნახატით ყოფილიყო შევსებული და წიგნაკებში ფურცლებსაც კი ითვლიდა, რომ დარწმუნებულიყო – არ ატყუებდნენ და გაფუჭებული ნახატების გამო ფურცლებს არ ხევდნენ.

„ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ არ ვართ მდიდრები, ღარიბები ვართ, – ასე განაცხადა ალბერსმა ბაუჰაუზში თავისი შესავალი კურსის კითხვისას, თან ხელში გაზეთების დასტა ეჭირა, – ყველა ხელოვნება მასალით იწყება... მე მსურს, პატივი სცეთ მასალას და ის გონივრულად გამოიყენოთ – შეინარჩუნოთ მისი თავდაპირველი მახასიათებლები“.

შემდეგ ალბერსი სტუდენტებს პირველ დავალებას აძლევდა: გაზეთები მხოლოდ თითების დახმარებით უნდა გარდაესახათ. მაკრატლისა და წებოს გამოყენება აკრძალული იყო. სტუდენტებს შემოქმედებითობა, ფაქტობრი-

ვად, ცარიელი ხელებით უნდა გამოევლინათ, ახალი შესაძლებლობები მასალის საშუალებით უნდა აღმოეჩინათ.

ალბერსის დაკვირვებით, მისი მოწაფეები თავისუფლად მუშაობდნენ უცნობი, არატრადიციული მასალებით. თიხისა და მარმარილოს ნაცვლად მან თავისი კლასები გოფრირებული მუყაოთი, ქაღალდის ლენტებით, მავთულით, საღეჭი რეზინით გაავსო და სტუდენტებს აქეზებდა, რომ ამ ნივთებისთვის საინტერესო გამოყენება ეპოვათ.

ამ მეცადინეობათა მიზანი სულაც არ ყოფილა ხელოვნების ნიმუშის შექმნა. სინამდვილეში ალბერსს სურდა, სტუდენტებს მასალების ყურადღებით გამოყენება ესწავლათ.

ალბერსის მეთოდი პირდაპირ დაკვირვებას და თვითაღმოჩენას ეყრდნობოდა. ყურადღების კონცენტრირებასთან ერთად, ის სტუდენტებს ასწავლიდა, ბოლომდე შეეგრძნოთ სამყაროს ვიზუალური ფენომენები — სინათლის ციმციმი ტელევიზორის ჩართვისას, ფერის მოძრაობა, როდესაც ჩაის პაკეტი ცხელ წყალს ეხებოდა. ალბერსის აზრით, მხატვრებს თვალები ფართოდ უნდა ჰქონდეთ გახელილი მგრძნობიარე ხაზების, ფორმებისა და ელფერების დასანახავად, რომლებიც ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ.

როგორც მისი ნამუშევრები მოწმობს, ალბერსს გააზრებული ჰქონდა, რომ ვიზუალურ ველში ყველაფერი კონტექსტში არსებობს, რომ ყოველი ხაზი და ფერი ზემოქმედებას ახდენს მომიჯნავე ხაზსა და ფერზე. სკამის ფეხებს შორის, რძის ბოთლებს შორის, ფორთოხლებს შორის, მცენარის ფოთლებს შორის არსებული სივრცეების ხატვა დაეხმარება მხატვარს, განივითაროს ეს აღქმა. სივრცე არასდროს არის მთლიანად „ცარიელი“. თუ სტუდენტები ამ დეტალებს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ, ისინი ძლიერი კომპოზიციების შექმნას შეძლებენ და იქნებ უკეთესი ადამიანებიც გახდნენ.

ალბერსის გაკვეთილები სტუდენტებს ხშირად ვერდანახულ ვიზუალურ რეალობას აცნობდა. მოწაფეები, თავიანთი სახელების უკუღმა ან თავდაყირა წერით, ასოების გამოყვანით, ან ყურადღებით ჩახატული სივრცეებით, რომლებსაც ხალიჩებსა და სკამებს შორის ხედავდნენ, „ნეგატიურ“ ან „შეუვსებელ“ ფორმებს ეცნობოდნენ, თავისუფალი ხელით შესრულებული ხაზების მარტივი სავარჯიშოებით კი აღმოაჩენდნენ, რომ ხაზები და ფორმები ერთმანეთს აწვებიან ან ავსებენ, კავშირებს, რიტმს, დაძაბულობას ქმნიან. თავიანთი სახელების უკუღმა ხატვით თუ გაზეთის ტექსტის იმიტაციით ისინი აღმოაჩენდნენ, რომ ეს განსხვავებული ხასიათის ფორმები იყო.

მარტივი მასალებით (ქაღალდი ან მავთული) კონსტრუირებისას სტუდენტები სწავლობდნენ, რომ ღრმული და სიცარიელე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც სიმყარე. ასამბლაჟებში ფერების გადაკვეთით ან განსხვავებული

მასალების კომბინირებით ისინი ერთი ელემენტის მეორეზე ზემოქმედებას იკვლევდნენ. ამ სავარჯიშოების სიმარტივე შესაძლებელს ხდის, დააკვირდე უმცირეს, უფაქიზეს მოვლენებს – ფერის ნიუანსს, მრუდის ზუსტ ბუნებას, ქაღალდის მოხეული ნაწილის ხასიათს.

ალბერსისთვის ხელოვნების გაკვეთილები ცხოვრების გაკვეთილებივით იყო და მას სჯეროდა, რომ სტუდენტებს, რომლებიც „ვიზუალურ ემპათიას“ ივითარებდნენ, აუცილებლად ექნებოდათ სოციალური თანაგრძნობაც. „პატივი ეცი სხვა მასალას ან ფერს... ან შენს მეზობელს. პატივი ეცით მას, ვისაც ყურადღებას არ აქცევდით“, – ეუბნებოდა ის მოსწავლეებს.

იოზეფ ალბერსისეული ხელოვნების სწავლება წესების, სტილის ან ტექნიკის ახსნას არ გულისხმობდა. ის სტუდენტებს ნანახის გაცნობიერებას, „თვალის გახელას“ ასწავლიდა. მისთვის ხელოვნების სწავლების საფუძველი იყო მძაფრი ხედვის უნარის განვითარება, ვიზუალური ველის გააზრებულად შესწავლა ძირითადი ელემენტების – ხაზის, ფორმის, ფერისა და ტექსტურის მეშვეობით. რეალურად რას ვხედავთ, რამდენად კარგად შეგვიძლია დანახვა, როგორ შეგვიძლია, ჩვენი აღმოჩენები აზრიან ნამუშევრებად ვთარგმნოთ.

ვიზუალური აღქმის უნარის განვითარების გზების პოვნაში ალბერსს ალბათ ვერავინ შეედრება. ეს სავარჯიშოები მისი პედაგოგიკის ძლიერი იარაღი იყო. მისი აღტაცების გრძნობა და ხილული სამყაროს სხვებისთვის გაზიარების შესანიშნავი უნარი აცოცხლებდა ყველაფერს, რასაც კი შეეხებოდა. ალბერსი თავის მოსწავლეებს ეუბნებოდა: „ისწავლეთ ცხოვრების დანახვა და შეგრძნება“, „წარმოსახვა ამუშავეთ, ჯერ კიდევ არის საოცრებები სამყაროში, რადგან ცხოვრება საიდუმლოა და ყოველთვის ასე იქნება. მაგრამ გახსოვდეთ, ხელოვნება ნიშნავს – გჯეროდეს, გწამდეს, რაც ხედვის განვითარებას გულისხმობს“.

იოზეფ და ანა ალბერსების ფონდის მიერ შექმნილი ვებგვერდი „ალბერსი ბავშვებისთვის“ (Albers for kids) საინტერესო სავარჯიშოებს გვთავაზობს. აქ ალბერსების ნამუშევრების მიხედვით შედგენილი სახალისო დავალებები შეგხვდებათ ვიდეოინსტრუქციებით, რაც ბავშვებს და მოზარდებს ფერებით ექსპერიმენტების ჩატარებაში დაეხმარება, თანაც მარტივად და მხიარულად – როგორ შეიძლება, ერთი ფერი გახდეს ორი, როგორ შეიძლება სახლში ნაპოვნი სათამაშოებით ფერების ბორბლის შექმნა, მარილით ხატვა და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დიუის განათლების კონცეფცია
2. To Open Eyes
3. How to Be an Artist, According to Josef Albers, Sarah Gottesman
4. Josef Albers – guggenheim.org

გოგენის ინტერპრეტაციები და „შოკოლადის ფილა“

ხელოვნების გაკვეთილზე შემოსულ მოსწავლეებს კედლებზე გამოფენილი ახალი ნახატები შეუმჩნეველი არასდროს რჩებათ. და მეც ეს წამები მიყვარს, როცა საკუთარ ნამუშევარს თვალებით ეძებენ და როგორც კი მიაგნებენ, სიხარულით აციმციმდებიან. მერე იწყებენ შეფასებას, ვის როგორ უმუშავია. ჩვენი პირველივე შეხვედრიდან ვცდილობ, ვაგრძნობინო და დავარწმუნო, რომ ხელოვნებაშია თავისუფლება, რომ ხელოვნება სახალისოა. ჩვენი გაკვეთილები, თეორიასთან ერთად, ხატვა-ძერწვის გარეშე არ ტარდება, ეს იციან და საჭირო მასალაც მომარაგებული აქვთ. პატარებს უფრო მოსწონთ საკუთარი ნამუშევრები, დიდები კი ეჭვებით მისმენენ, როცა ნახატებს ვუწონებ.

ხელოვნების ოთახში კედლის ნაწილი მეცხრეკლასელების ნახატებს ეთმობა. აქ პოლ გოგენის ორი ავტოპორტრეტით შთაგონებული და ბავშვების მიერ თავისებურად გააზრებული ნამუშევრებია თავმოყრილი. როცა სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ამ კუთხეს ათვალიერებენ, პორტრეტებს შორის ერთი „უჩვეულო“ ნახატი ხვდებათ თვალში, რომელიც დიდ სტაფილოსფერ ლაქად აღიქმება, ახლოდან კი ფანქრით დახატულ შოკოლადის ფილას და ფურცელზე ენერგიული ხელით გაკეთებულ წარწერებს არჩევენ: „შოკოლადი მინდა! Alpen Gold, KitKat!“. ნახატის ავტორი მეცხრეკლასელი დათოა. (სურ. 1)

წარწერებს რომ კითხულობენ, ბავშვებს ეღიმებათ. თავიდან, უმრავლესობას, განსაკუთრებით მეხუთეკლასელებს, ძალიან უკვირდათ, რატომ იყო ხელოვნების კაბინეტში „ბავშვის ნაჯღაბნი“ გამოფენილი. თანაც ასე დიდის, მეცხრეკლასელის.

ავუხსენი, რომ ის, რაც ზოგს „ნაჯღაბნი“ ჰგონია, სულაც არ არის ნაჯღაბნი. ბავშვის ნახატია. უფრო მეტიც – ეს დათოს ერთგვარი ავტოპორტრეტია, რადგან იმ წამს რასაც გრძნობდა, ასე თამამად და ემოციურად გამოხატა. და რომ ეს ძალიან კარგია, ეს ხელოვნებაა, როცა სუფთა ემოციაა გადმოტანილი

სურ. 1

ფურცელზე საღებავით და ფანქრით, რომ ბავშვების ასეთ უშუალო და თავისუფალ თვითგამოხატვას, ადრეც და ახლაც, ყველა დიდი მხატვარი შენატრის. დათოს ნახატი მარკ როტკოს რომ ენახა, ალბათ ხელებს დაუკოცნიდა. როტკოს მაშინ არც იცნობდნენ, მაგრამ მალევე ფერადი მინდვრების ჯადოქრის ხელოვნება დავათვალიერეთ და აღფრთოვანებულებმა ინტერპრეტაციებიც სიამოვნებით ხატეს.

თუმცა დათოს „შოკოლადი“ არა როტკოს, არამედ პოლ გოგენს უკავშირდება – როცა ის დახატა, შთაგონების წყარო და ფიქრის საბაბი პოსტიმპრესიონისტი მხატვრის ავტოპორტრეტები იყო.

რესურსების სიაში ვაშინგტონის ეროვნული გალერეის ვებგვერდი მაქვს ჩანიშნული, სადაც, მდიდარ ვიზუალურ მასალასთან ერთად, ხელოვნების მასწავლებლებისთვის თემატურად და ასაკობრივად დაჯგუფებული და დეტალურად გაწერილი გაკვეთილების ძალიან კარგი მოდელებია მოცემული.

ნიმუშად ერთ-ერთი გაკვეთილის სქემა გამოვიყენე, რომლის მიხედვით, გოგენის ორი ავტოპორტრეტის შედარებითი ანალიზის შემდეგ (ვენის დიაგრამის გამოყენებით) მოსწავლეებს შეუძლიათ, კოლაჟის ტექნიკით შექმნან ავტოპორტრეტები სიმბოლური ატრიბუტებით. მშვენიერი იდეა იყო და რა-

ტომაც არა, გარკვეული ცვლილებებით ჩემი გაკვეთილის გეგმას მოვარგე. ვინაიდან ჩემს მოსწავლეებს საღებავებით ხატვის „შიმშილი“ აქვთ, განსაკუთრებით – მერვე-მეცხრეკლასელებს, გადავწყვიტე, ფერში ემუშავათ. ავტოპორტრეტები და ინტერპრეტაციები ხატეს. თან კოლაჟისთვის სხვა თემა გვაქვს შემონახული.

გოგენთან კონტექსტში „ეგზოტიკის“ განმარტების გაშლა მოგვიხდა, რადგან, როგორც შევატყვე, ზოგიერთს ამაზე ცოტა ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

ეგზოტიკა გოგენისთვის ევროპული ცივილიზაციისგან განსხვავებული ტაიტელების პირველყოფილი კულტურა იყო. ჩვენთვის რა არის ეგზოტიკა? მიპასუხეს: ხილი, მაგალითად, ანანასი, პაპაია. ორი ირანელი მოსწავლე გვყავს კლასში, ელენა და ფათემე. ლაზარემ აღნიშნა – აი, მათთვის ხომ ქართული სამზარეულო იქნება ეგზოტიკური, ისევე როგორც ჩვენთვის ტრადიციული ირანული კერძებიო. ხილიდან და კერძებიდან დაწყებული საუბარი განვავრცეთ და განვაზოგადეთ – ეგზოტიკაა ბუნება, კულტურა, ცხოვრება, ყველაფერი, რაც უჩვეულო და მშვენიერი გვეჩვენება.

ასე მივყევით და ვათვალიერეთ გოგენის „ველური“ პეიზაჟები და ტაიტელი ქალების პორტრეტები. ერთი გაკვეთილი, რეპროდუქციების თვალიერებით, დაკვირვებითა და მსჯელობით, გოგენის შემოქმედების მიმოხილვას დავუთმეთ: გოგენმა ხატვა პარიზში, იმპრესიონისტებთან ერთად დაიწყო, მაგრამ 1880-იან წლებში ის დასავლეთის ცივილიზაციას რამდენჯერმე გაექცა. ჯერ ბრეტანსა და არლში გაემგზავრა, სადაც ვან გოგს შეხვდა. მერე ოჯახი მიატოვა და საფრანგეთის პოლინეზიაში გადასახლდა, რომ მთელი დრო ხელოვნებისთვის მიეძღვნა. ამ შორეულ მხარეში გოგენი სამოთხეს ეძებდა, სადაც შეძლებდა შეექმნა სუფთა, „პრიმიტიული“ ხელოვნება. გოგენის გაბედულმა სტილმა, ემოციების ძლიერი ფერით გამოხატვამ და ეგზოტიკური თემებით გატაცებამ მეოცე საუკუნის ხელოვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა.

მეორე გაკვეთილზე „ავტოპორტრეტი შარავანდედით“ (1889) ვნახეთ, საიდანაც გოგენის სევდა და მელანქოლია გვიმზერს (სურ. 2).

აქცენტი დეკორატიულ საწყისზეა, რადგან მხატვარმა ეს სურათი თავდაპირველად ხის კარის მოსართავად დახატა. თურმე იმ სასტუმროს მფლობელმა, სადაც გოგენი მეგობრებთან ერთად დაბინავდა, მას კედლების და ავეჯის გაფორმება შესთავაზა. გოგენმა მუხის კარადის კარი სიმბოლოებით სავსე პორტრეტით მოხატა. ნახატი ყვითელი და წითელი ფერების ორი ფერა-

სურ. 2

დოვანი სიბრტყისგან შედგება. გოგენმა თავისი სახე, თავზე შარავანდედით, ცდუნების ქრისტიანულ სიმბოლოებს, ვაშლსა და გველს შორის გამოსახა. მხატვარი მხოლოდ თავს და ერთ ხელს გვიჩვენებს. თავი თითქოს ჭრის კაშკაშა სიბრტყეებს. სახე კლდეს ემსგავსება, სტილიზებული მწვანე მცენარის თაღებში იჭედება. ნუთუ ასეთია სამოთხის ბაღი? როგორი ავტოპორტრეტია, სხვა ჩვენთვის ნაცნობ ავტოპორტრეტებს ჰგავს? ნახევრად ანგელოზია, ნახევრად ეშმაკი? იქნებ აქ სულ სხვა მაგიაა, მაგია მხატვრობის, შემოქმედის ძალის გამომხატველი?

მოსწავლეებს ვთხოვე, დაფიქრებულიყვნენ და ნახატში არსებული სიმბოლოები ამოეცნოთ. პირველი კომენტარი იყო, ეს კარიკატურას უფრო ჰგავსო. გოგენის ერთმა მეგობარმაც ხომ ასე შეაფასა ეს ნახატი. ნელ-ნელა სიმბოლოები ამოიკითხეს, რომლებიც კეთილს და ბოროტს, სამოთხეს და ჯოჯოხეთს დაუკავშირეს. გოგენს ხელში გველი უჭირავს, რომელმაც ევა აცდუნა, სამოთხის ბაღში აკრძალული ვაშლი გაესინჯა. ადამმა და ევამ კეთილი და ბოროტი ამ გზით შეიცნეს. გოგენის თავზე გამოსახული შარავანდედი სიწმინდის სიმბოლოა, ანგელოზებსა და სამოთხეზე მიგვანიშნებს. წითელი ფონი

შესაძლოა ცეცხლის და ჯოჯოხეთის ნიშანი იყოს. ან შემოქმედებითი ენერგიის სიმბოლო.

მეორე ავტოპორტრეტიც ვნახეთ, რომელიც გოგენმა დაახლოებით იმავე დროს დახატა (1888 წ.), და თავის მეგობარ ეჟენ კარიერს აჩუქა. (სურ. 3)

სურ. 3

აქ სულ სხვანაირი გოგენია. არც მელანქოლიაა, არც სიმბოლიზმი. თავიც მხრებზე დგას. თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. მახვილი მზერა. ფანჯრიდან მშვენიერი ხედი იშლება, პირველი ავტოპორტრეტის ფერადი სიბრტყეებისგან განსხვავებით.

გოგენის ავტოპორტრეტების გაცნობის შემდეგ ბავშვებს ვთხოვე, მათ ინტერპრეტაციებზეც ეფიქრათ და, როგორც შეძლებდნენ, სიმბოლოების გამოყენებით საკუთარი პორტრეტები დაეხატათ. ისე, რომ თავიანთი ხასიათი, ნიჭი, გემოვნება მინიშნებებით გადმოეცათ. ვთქვათ, თუ ფოტოგრაფია იტაცებდათ, შეეძლოთ დაეხატათ ფოტოაპარატი, მუსიკალური ნიჭი თუ ჰქონდათ – მუსიკალური ინსტრუმენტები ან სულაც მათი დეტალები ან საყვარელი სიმღერა გაეხსენებინათ და ის ემოცია გადმოეცათ. ახლობელ ადამიანებზე, მეგობრებზე ეფიქრათ, ნახატში ისინიც ჩაერთოთ. წარმოსახვა გაეთავისუფლებინათ, ფერებისთვის, დეტალებისთვის, ადგილებისთვის, საკვებისთვის, ტანსაცმლისთვის, საგნებისთვის ცოტა სხვა თვალით შეეხედათ და საკუთარი პიროვნება სიმბოლოებით გამოეხატათ. ხატვის დროს შეეძლოთ გამოეყენებინათ, რაც გაუხარდებოდათ: ფანქრები, პასტელები, საღებავები, მარკერები.

ასე დახატა დათომ თავისი „შოკოლადი“, რომელიც იმ წამს ყველაზე ძალიან უნდოდა – ალპენ გოლდი და კიტ-კეტი. ასე გამოხატა საკუთარი „მე“ (სურ. 1).

მარიამმა, ნიკამ და საბამ გოგენის ავტოპორტრეტების ინტერპრეტაცია ამ-ჯობინეს (სურ. 4, 5, 6).

სურ. 4



სურ. 5

სურ. 6

ნინომ, თათულიმ და გიომ საკუთარი ავტოპორტრეტები შექმნეს (სურ. 7, 8, 9).

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

დასრულებული ნახატები ხელოვნების ოთახში გამოვფინეთ. მოსწავლე-ები ახლაც ხშირად უბრუნდებიან, გოგენს იხსენებენ, საკუთარ და მეგობრების ნამუშევრებს ხალისით განიხილავენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Paul Gauguin Google Images
2. The National Gallery of Art

WWW.TPDC.GE

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი